საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№3 (238)
29 იანვარი - 4 თებერვალი, 2014
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

საქართველოში მეცნიერება თითქმის აღარ არსებობს 16

## თავისუფალი დაკიდების კოეფიციენტი 4



**«ტოტო კუტუნიოსაც კი, როდესაც ნაფტალინს შემოაცლიდნენ და სააკაშვილის ახირებით სამღერად ჩამოჰყავდათ, გაცილებით ღირსეულ და წარმომად-გენლობით დახვედრას უწყობდნენ თბილისის აეროპორტში, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტს მოუწყვეს ანკარაში...»**

დამაწყნარებელი ცოცხიდან დამაწყნარებელ სკამამდე 2

10 «სოფლის მეურნეობა განადგურების ზღვარზეა»

11 ნატო ვერ იქნება უსაფრთხოების გარანტია საქართვე-ლოსთვის

«აღმოჩნდა, რომ ადმირალი ირემაძე დარიშხანით იყო მოწამლული» 13

«შევარდნაძის «მოქალაქეთა კავშირმა» დაგვაქცია და ივანიშვილის «მოქალაქე» რატომ აგვაშენებს?! 14

ვიზიტის მასპინძელმა მხარემ საქართველოს პრეზიდენტი მიიღო, როგორც თურქეთის ვილაიეთის წარმომადგენელი 5

ევროპარლამენტარის განცხადება უკრაინაზე, ადამიანის უფლებებსა და ქრისტიანების დევნაზე 18

# ამბები

თუ სააკაშვილის რეჟიმი სხვა შემზარავ დანაშაულებთან ერთად ცოცხებით აუპატიურებდა, ცოცხლად ატყავებდა და სასტიკი წამებითა და ცემა-ტყეპით ხდიდა სულს პატიმრებს და ამას უკანონოდ სჩადიოდა, ამჟამინდელი ხელისუფლება ამ ყველაფრის დაკანონებას აპირებს, თანაც — გაცილებით მრავალფეროვანი საშუალებების დამატებით — სკამით, წიწაკის გაზით, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობებით, ძაღლებით...

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## როდემდე, ხაჩიკჯან, ანუ მეზობლების კიდევ ერთი გამოხდომა

**სომეხი მეცნიერების მხრიდან ისტორიული, არქეოლოგიური და ლიტერატურული საკითხების მიკერძოებულად გაშუქება, კარგა ხანია, აღარავის უკვირს. ხან ქართული ლიტერატურისა თუ არქიტექტურის ძეგლები გამოაცხადეს სომხურად, ხან — ანსამბლი „სუხიშვილები", შემდეგ ქართულ ღვინო „საფერავს" და ქართულ ჩურჩხელას სტაცეს ხელი და სომხური იარლიყი მიაწებეს. განსაკუთრებით კი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებსა და ტოპონიმებს ერჩიან. ამ მხრივ გამოირჩევიან სომეხი ხელოვნებათმცოდნე სამველ კარაპეტიანი და აკადემიკოსი აშოტ მელქონიანი, რომლებმაც ბოლო წლებში არაერთი ე. წ. ნაშრომი გამოაქვეყნეს, რომლებშიც ბევრი ქართული ეკლესია სომხეთის კულტურის ძეგლად არის მოხსენიებული.**

რამდენიმე დღის წინათ, საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის, თურქეთში ოფიციალური ვიზიტისას, სადაც მან ქართულ დელეგაციასთან ერთად ტაოკლარჯეთში არსებული ქართული კულტურის ძეგლები მოინახულა, სომხებმა ვაი-ვიში ატეხეს, — საქართველოს პრეზიდენტმა თურქეთში სომხური ტაძრები მოინახულა, რომლებსაც ქართულად ასაღებენო.

აი, რას წერს სომხური ინტერნეტგამოცემა news.am:

**„საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, რომელიც თურქეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება, ერზრუმისა და არდვინის** (ართვინის. — რედ.) **პროვინციებში მოინახულა ტაძრები — ოშკვანაქი და იშხანი. საქართველოს პრეზიდენტს მეგზურობას უწევდნენ ერზრუმის ვიცეგუბერნატორი და სხვა ოფიციალური პირები. უძველესი ოშკვანაქი და იშხანი პრეზიდენტ მარგველაშვილს წარუდგინეს, როგორც ქართული ტაძრები.**

**ალვნიშნავთ: სომეხმა სპეციალისტებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ ამ ტაძრებს აქვთ სომხური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ყველა თავისებურება, მათი წარმომავლობა სახელების მიხედვითაც კი ადვილი დასადგენია.**

**ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს, ოშკვანაქი და იშხანი, რომლებიც ერთმანეთთან ახლოსაა განლაგებული, ქართულ კულტურას მიაწეროს. ქართველები კი სპეციალურად ჩადიან ამ ტაძრების მოსანახულებლად და ამტკიცებენ, რომ ეს ქართული კულტურის მემკვიდრეობაა".**

„სნაჩალა პადუმაი, — პატომ გავარი", — აღმოხდებოდა, ალბათ, ამ ტექსტის წაკითხვის შემდეგ ნებისმიერ ქართველს, მიმინოს, ვალიკო მიზანდარის მსგავსად, მაგრამ ზემომოყვანილი ტექსტის ავტორებს მხოლოდ ისტორიკოსი ირინა გივიაშვილი გამოეხმაურა, ისიც მხოლოდ ქართულ მედიაში. არადა, „დიდ სომხეთზე" (სადაც ქართული მიწებიც უნდა შევიდეს) მეოცნებე ჩვენი მეზობლების მადის დაკმაყოფილებას საშველი არ დაადგა. ამიტომ ამ გამოხდომებს ოფიციალური, მკაცრი და ფაქტებით დადასტურებული პასუხი უნდა გაეცეს.

**P.S. როგორც ციცერონი იტყოდა: „როდემდე, კატილინა, როდემდე უნდა გამოსცადო ჩვენი მოთმინება?!"**




## რატომ არის მოსალოდნელი საპროტესტო აქციები საქართველოში

EIU

### რომელი ქვეყნების ლიდერები შეიძლება გამოეთხოვონ თანამდებობას?

**უკრაინა, ბულგარეთი, ბრაზილია, არგენტინა, მექსიკა, ტუნისი, ეგვიპტე და თურქეთი — ეს ის ქვეყნებია, რომლებშიც ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში პროტესტმა იფეთქა. თუმცა დემონსტრანტები ისეთი ტრადიციულად კანონმორჩილი და „წყნარი" ქვეყნების ქუჩებშიც კი გამოჩნდნენ, როგორიც არის იაპონია და სინგაპური.**



მოქალაქეებს ქუჩაში გასვლას აიძულებს უთანასწორობა და მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილება. შემოსავლების შემცირებისა და უმუშევრობის მაღალ დონეს ხშირად არ მოჰყვება ხოლმე არეულობები, არასტაბილურობის რისკი მაშინ იზრდება, როდესაც ეკონომიკურ პრობლემებს სხვა ფაქტორებიც თან სდევს. ასეთი ფაქტორებია: შემოსავლებს შორის უზარმაზარი განსხვავება; სუსტი მთავრობა, სოციალური უზრუნველყოფის დაბალი დონე, ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირება და წარსულში არეულობების გამოცდილება, თუმცა ბოლო ხანს სოციალური პროტესტის გამოწვევის უმთავრესი ფაქტორი მთავრობისადმი უნდობლობაა.

**რომელი ქვეყნების ლიდერები შეიძლება გამოეთხოვონ თანამდებობას მათ მიერ გატარებული პოლიტიკის გამო?**

ბრიტანულ გამოცემა The economist-თან არსებულმა ორგანიზაცია Economist Intelligence Unit(EIU)-მა 150 ქვეყანაში ჩაატარა სოციალური მღელვარების რისკის კვლევა. მიღებული შედეგების მიხედვით, 2014 წელს 65 ქვეყანა (43%) სოციალური მღელვარების მაღალი ან ძალიან მაღალი რისკის ქვეშ იმყოფება. ამ მხრივ განსაკუთრებით მოწყვლადია ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი აფრიკა და ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი.

სოციალური პროტესტის აფეთქების **რისკის ძალიან დაბალი და დაბალი დონეა შემდეგ ქვეყნებში**: ავსტრია; დანია; ლუქსემბურგი; იაპონია; ნორვეგია; შვეიცარია; ავსტრალია; კანადა; ბოსტვანა; ჩილე; ჩეხეთი; ფინეთი; შვედეთი და სხვ. ამ ჩამონათვალში აშშ-ს ბოლოდან მეორე, 23-ე ადგილი უკავია.

**საპროტესტო გამოსვლების ძალიან მაღალი რისკის ქვეყნებია**: არგენტინა, ბოსნია, ეგვიპტე, საბერძნეთი, გვინეა, ერაყი, ლიბანი, ლიბია, სუდანი, სირია, უზბეკეთი, ესპანეთი და სხვ.

**საქართველო საპტოტესტო გამოსვლების საშუალო რისკის ქვეყნების ჩამონათვალში მოხვდა**. ჩვენს ქვეყანას 54 სახელმწიფოს შორის მე-20 ადგილი უკავია და მას უსწრებს უშუალო მეზობლები: სომხეთი (მე-2 ადგილი ამ კატეგორიაში), აზერბაიჯანი (მე-3), აგრეთვე, ანგოლა (1), კუბა (მე-11), დომინიკის რესპუბლიკა (მე-12), ეკვადორი (მე-13), ეკვატორული გვინეა, გაბონი და სხვ. თუმცა, **თუ საქართველოს ხელისუფლების ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებს გავითვალისწინებთ, განსაკუთრებით, სამართლიანობის აღდგენის დაპირების შეუსრულებლობას, ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესებას, უმუშევრობის მაღალ დონეს, ლარის კურსის დაცემას, ჩვენი ქვეყანა შეიძლება საპროტესტო გამოსვლების ძალიან მაღალი რისკის ქვეყნების რიგებში აღმოჩნდეს.**

## დამაწყნარებელი ცოცხიდან დამაწყნარებელ სკამამდე

**სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტრომ მოამზადა და პარლამენტს განსახილველად წარუდგინა „პატიმრობის კოდექსში" შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი, რომლის მიხედვითაც, ბორკილისა და დამაწყნარებელი პერანგის გარდა, პატიმრის მიმართ დასაშვები ხდება ისეთი ტიპის სპეციალური საშუალებების გამოყენება, როგორიცაა დამაწყნარებელი სკამი, დამაწყნარებელი საწოლი, რეზინის ხელკეტი, ცრემლმდენი გაზი, წიწაკის გაზი, არალეტალური იარაღი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, წყალმტყორცნი და სასამსახურო ძაღლი.**



პარლამენტში წარდგენილი პროექტის თანახმად, მთლიანად გადაიხედა ბრალდებულებთან და მსჯავრდებულებთან დაკავშირებული საკითხები, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში დადგენილი წესები. სისტემაში დაგეგმილი ცვლილებები უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებსაც შეეხება. პროექტის მიხედვით, „პატიმრობის კოდექსში" განისაზღვრება, თუ რა გარემოებების არსებობისას რა სახის სპეციალური საშუალება უნდა იყოს გამოყენებული და რომელი წესების დაცვით.

კანონპროექტში ნათქვამია, რომ სპეციალური საშუალებების გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევაში, როცა სხვა საშუალებები არაეფექტიანია.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილის — გრიგოლ გიორგაძის განმარტებით, ყველა ის სპეცსაშუალება, რომელთა გამოყენებაც ციხეებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დასაშვებია, საერთაშორისო სტანდარტებით არის დადგენილი და ევროპულ ციხეებში აპრობირებული.

როგორც მინისტრის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება იმ საჭიროებამ გამოიწვია, რომელსაც ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი და ადამიანის უფლებებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციები ითხოვენ, კანონში ზუსტად უნდა იყოს გაწერილი ყველა ის უფლება და საშუალება, რომელთა რეალიზებაც ხდება. **„ძველი მმართველობა რაც იყო, იყო ძალადობრივი მეთოდებითა და ციხეების კრიმინალურ სამყაროსთან გარიგებით, რაზეც ჩვენ უარი ვთქვით. საჭიროა კანონის ფარგლებში მოქმედება, რამაც საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების აუცილებლობა გამოიწვია",** — განაცხადა გიორგაძემ.

**ასეა, ქვეყანაში ამ მხრივ მაინც შეინიშნება პროგრესი. თუ სააკაშვილის რეჟიმი სხვა შემზარავ დანაშაულებთან ერთად ცოცხებით აუპატიურებდა, ცოცხლად ატყავებდა და სასტიკი წამებითა და ცემა-ტყეპით ხდიდა სულს პატიმრებს და ამას უკანონოდ სჩადიოდა, ამჟამინდელი ხელისუფლება ამ ყველაფრის დაკანონებას აპირებს, თანაც — გაცილებით მრავალფეროვანი საშუალებების დამატებით — სკამით, წიწაკის გაზით, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობებით, ძაღლებით... და ამ საშუალებების დაკანონებას აპირებენ იმიტომ, რომ ევროპულ ციხეებში ყოფილა აპრობირებული და თანაც თურმე ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები ითხოვენ.**

**ვინ მართავს ამ ქვეყანას — ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება თუ გრანტიჭამია არასამთავრობო ორგანიზაციები?**

„მე ვიყავი მომსწრე 2012 წლის არჩევნების საბოლოო დრამატული კვირისა და შემიძლია პირადად დავადასტურო ის უმოწყალო ზეწოლა თავისუფლებაზე და ძალადობა საარჩევნო კამპანიაში ჩართულ მოქალაქეებზე, რომელიც მე ვნახე. ის ფაქტი, რომ საქართველოს მოსახლეობის 60-მა პროცენტმა ხმა სააკაშვილის წინააღმდეგ მისცა, არ იყო მხოლოდ ივანიშვილის გამბედაობა და სიმამაცე, არამედ ასევე გახლდათ დასავლური მთავრობების მხარდაჭერა, რომელმაც ცხადი გახადა სააკაშვილისთვის, რომ მას აღარ მისცემდნენ არჩევნების მოპარვის ნებას.“

## ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

THE TUFTS DAILY
The independent student newspaper of Tufts University

# «აიძულეთ სააკაშვილი, თქვას სიმართლე!»

**ტაფტის უნივერსიტეტის (აშშ) სტუდენტურმა გაზეთმა The Tufts Daily-მ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ტაფტის უნივერსიტეტის ფლეტჩერის დიპლომატიისა და სამართლის სკოლამ სპეციალურად მიხეილ სააკაშვილისთვის შექმნა ახალი თანამდებობა და ის ამ სკოლაში დაიწყებს მუშაობას, როგორც მაღალი რანგის მოხელე.**

„ეს თანამდებობა პირველად შეიქმნა და მიზნად ისახავს, ტაფტის უნივერსიტეტის სტუდენტებს ურთიერთობა ჰქონდეთ საერთაშორისო მასშტაბის ლიდერებსა და სხვადასხვა სფეროს პრაქტიკოსებთან...

პრეზიდენტობის პერიოდში სააკაშვილმა შთამბეჭდავად გააუმჯობესა ქვეყნის ეკონომიკა, დაამარცხა კორუფცია და საქართველო დასავლეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოს დაუკავშირა. ის პროფესიონალი დიპლომატია და ბევრი კარგი საქმე გააკეთა თავისი ქვეყნისთვის“, — ამბობს **ფლეტჩერის სკოლის დეკანი, ადმირალი ჯეიმს სტავრიდასი.**

The Tufts Daily-ში გამოქვეყნებულ წერილს გამოეხმაურა **ამერიკის ყოფილი ელჩი გერმანიაში და სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპის საკითხებში — ჯონ კრისტიან კორნბლამი.** მან სტუდენტური გაზეთის რედაქტორს მიმართა წერილით, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

**„სამწუხაროა, თქვენს გაზეთში იმის წაკითხვა, რაც საქართველოს ექსპრეზიდენტმა სააკაშვილმა აღნიშნა, როგორც ფლეტჩერის სკოლის „უმაღლესმა სახელმწიფო მოღვაწემ“. ეს ფაქტი ფლეტჩერის ახალი დეკანის არა მხოლოდ ცუდი გადაწყვეტილების მაგალითია, არამედ ზიანის მომტანიცაა ფლეტჩერის მოსწავლეებისა და მთლიანად საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის. სააკაშვილს არ შეუძლია, იყოს მაგალითი მომავალი დიპლომატებისა და ბიზნესის სფეროს ლიდერებისთვის.**

მე, ამერიკის ყოფილი ელჩი და სახელმწიფო მდივნის თანაშემწე, ვმსახურობდი საგარეო პოლიტიკის მრჩევლად სააკაშვილის ოპონენტთან 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში, რაც, უბრალოდ, არ არის აღნიშნული ფლეტჩერის განცხადებაში. ამგვარი დაუდევრობის მიზეზი, სავარაუდოდ, ის ფაქტია, რომ 2012 წლის არჩევნების შედეგად ძალაუფლება „ქართული ოცნების“ პარტიას გადაეცა, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა და მისმა პარტიამ ძალღონე არ დაიშურა, გამოეყენებინა მთავრობის ყველა ბერკეტი, რათა დაებლოკა ოპონენტ ბიძინა ივანიშვილის კამპანია. ივანიშვილი გახლავთ ბიზნესმენი, რომელიც პოლიტიკაში მივიდა, რათა დაესრულებინა სამოქალაქო უფლებების რეგულარული დარღვევა, მთავრობის მიერ მოქალაქეებზე განხორციელებული ძალადობა და ეკონომიკის ნგრევა, რაც სააკაშვილის მმართველობას ახასიათებდა.

მე ვიყავი მომსწრე 2012 წლის არჩევნების საბოლოო დრამატული კვირისა და შემიძლია პირადად დავადასტურო ის უმოწყალო ზეწოლა თავისუფლებაზე და ძალადობა საარჩევნო კამპანიაში ჩართულ მოქალაქეებზე, რომელიც მე ვნახე. ის ფაქტი, რომ საქართველოს მოსახლეობის 60-მა პროცენტმა ხმა სააკაშვილის წინააღმდეგ მისცა, არ იყო მხოლოდ ივანიშვილის გამბედაობა და სიმამაცე, არამედ ასევე გახლდათ დასავლური მთავრობების მხარდაჭერა, რომელმაც ცხადი გახადა სააკაშვილისთვის, რომ მას აღარ მისცემდნენ არჩევნების მოპარვის ნებას.

ფლეტჩერის ახალი დეკანი იმ უფროსი თაობის სამხედრო ამერიკელ სამხედრო ჩინოსანთა ჯგუფიდანაა, რომელიც სააკაშვილს, მიუხედავად მის მიერ ჩადენილი დანაშაულებისა, მხარს უჭერდა ნატოსადმი მხარდაჭერის გამო. დარწმუნებული ვარ, დეკანს მოუწევს თავისი გადაწყვეტილების დაცვა, როგორიც უნდა აღმოჩნდეს ფაქტები. მაგრამ ფლეტჩერის სტუდენტებისა და პროფესორების დახმარებით შესაძლებელია დადებითი შედეგის მიღება იმით, რომ სააკაშვილის ყოველი გამოჩენა გამოიწვევს მისი მემკვიდრეობის სრულ და გულწრფელ განსჯას. წაიკითხეთ საქართველოს უახლესი ისტორია, გაეცანით სააკაშვილის მიერ პატიმრების მოპყრობის ფაქტებს, 2011 წლის მაისში მომიტინგეების დაუნდობელ დარბევას, კორუფციასა და პირად გამდიდრებას, რამაც მისი მთელი რეჟიმის ინფიცირება გამოიწვია. **უპირველეს ყოვლისა, აიძულეთ იგი, თქვას სიმართლე. ამგვარი ქმედებით თქვენ მიაღწევთ იმას, რომ მისი ექსცენტრიული განცხადება იქცეს მაგალითად, თუ როგორ შეუძლია თავისუფლებას, გაიმარჯვოს რუსეთის მოსაზღვრე სტრატეგიულ რეგიონებში ისეთ პოსტსაბჭოთა დიქტატორებზე, როგორიცაა სააკაშვილი“.**



# რატომ ითხოვენ პორტუგალიიდან საქართველოს ელჩის გაწვევას

პორტუგალიაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი **ხვიჩა გიგიაძე პორტუგალიაში საქართველოს საელჩოს საქართველოს მოქალაქეებისადმი გულგრილობასა და ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის მიმართ უმოქმედობაში ადანაშაულებს. იგი ეხმაურება პორტუგალიაში „ქართული ოცნების“ შტაბის უფროსის — ირაკლი ბარამიძის მიმართვას საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელ მაია ფანჯიკიძისადმი პორტუგალიიდან საქართველოს ელჩის — გიორგი გორგილაძის გაწვევის შესახებ. ირაკლი ბარამიძემ საქართველოს ელჩი 6 იანვარს ლისაბონის აეროპორტის სადეპორტაციო განყოფილებაში ნაპოვნი საქართველოს ჩამომხრჩვალი მოქალაქისადმი უყურადღებობაში დაადანაშაულა.**

პორტუგალიაში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი, კომპანია PT-GEO-ს აღმასრულებელი დირექტორი ხვიჩა გიგიაძე ეხმაურება ირაკლი ბარამიძის განცხადებას, პორტუგალიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის — გიორგი გორგილაძის გამოწვევის მოთხოვნის შესახებ და აღნიშნავს, რომ ინვესტიციების მოზიდვის კუთხით პორტუგალიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო არ აქტიურობს. არადა, პორტუგალიელი ბიზნესმენების ჯგუფი დაინტერესებულია საქართველოში ინვესტიციების განხორციელებით, თუმცა ეს, საქართველოს საელჩოს უმოქმედობისა და უუნარობის გამო, ვერ ხერხდება.

# მაღალჩინოსნებს თავიანთი ბიზნესები ნათესავებსა და ახლობლებზე აქვთ გადაფორმებული

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა თემაზეა: „პოლიტიკოსების ქონებრივი დეკლარაცია და მათი ფარული ბიზნესინტერესები“. როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, ბოლო წლების პრაქტიკამ ცხადყო, რომ საჯარო სამსახურში დასაქმებული მაღალი თანამდებობის პირები, ცნობილი პოლიტიკოსები, ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას, რაც გამოიხატება მათი ბიზნესინტერესების ოჯახის წევრებსა და ახლობელ ადამიანებზე გადაფორმებასა და მათ მონაწილეობაში.**



**მონიტორინგის შედეგების მიხედვით, გიგი უგულავასთან დაკავშირებულ კომპანიებსა და ფირმებს 13 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი აქვთ მიღებული, ხოლო გივი თარგამაძესთან დაკავშირებულ ფირმებს — 85 მლნ ლარამდე. გიგი უგულავას შემთხვევაში, საუბარია ძმის, ბიძის, სიდედრის, ქვისლის, მამიდისა და სხვა ახლობლების ბიზნესში საქმიანობაზე და მათ კომპანიებზე, ესენია: „მანი“, „ჯეოლენდი“, „თ.ფ“, „ლთ ჯგუფი“. მაგალითად, უფლებაშეჩერებული მერის ძმის, ირაკლი უგულავას კომპანია „ჯეოლენდი“ გა**მარჯვებულია 38 სახელმწიფო ტენდერში. სახელმწიფოს მასთან 114 ხელშეკრულება აქვს გაფორმებული; გიგი უგულავას ბიძის, თამაზ გოგიაშვილის, კომპანია „თ.ფ“ გამარჯვებულია 13 სახელმწიფო ტენდერში, მასთან სახელმწიფოს დადებული აქვს 28 ხელშეკრულება.

## გიგი უგულავასთან დაკავშირებულ კომპანიებს 13 მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი აქვთ

გივი თარგამაძის ოჯახი და ოჯახთან დაახლოებული პირები აქტიურად საქმიანობენ კომპანიებში და იღებენ მაღალ მოგებას. მაგალითად, შპს „პაულ შულერ უნდ ირაო **გრუპის“ თანადამფუძნებელია პარლამენტის წევრის ძმა ზაზა თარგამაძე, რომლის შემოსავალი 2005-2012 წლებში შეადგენდა 60 მილიონ ლარზე მეტს.**

აღნიშნულ კომპანიას „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, საერთო ჯამში, მიღებული აქვს 12 მილიონ 840 ათას 051 ლარი. „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე — 2 მილიონ 324 ათას 780 ლარი. კომპანიას 2010-2013 წლებში, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ეროვნული ბანკისთვის შესრულებული აქვს 22 მლნ ლარზე მეტი სამუშაოები.

**„ახალგაზრდა ადვოკატები“, მონიტორინგით მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევენ, დაცული იქნას კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ და დაუყოვნებლივ დაიწყოს მაღალი თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის შესწავლა და მათი შესაძლო კავშირები ბიზნესთან.**

# სახელმწიფო კიდევ ოთხ კონფესიას დააფინანსებს



**სახელმწიფო ზარალს აუნაზღაურებს იმ რელიგიურ გაერთიანებებს, რომლებიც საბჭოთა პერიოდში სისტემური წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ, — განაცხადა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა.**

„კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე მთავრობა ზარალს უნაზღაურებდა საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას, მაგრამ სხვა რელიგიური გაერთიანებები, რომლებმაც საბჭოთა პერიოდში არანაკლები ზარალი განიცადეს, დახმარების გარეშე რჩებოდნენ. ჩამონათვალში, რომლის მიხედვითაც კონფესიები სახელმწიფოსგან მიიღებენ დახმარებას, შევიდა ოთხი რელიგიური მიმართულება — ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური. ეს არის საკმაოდ სერიოზული, წინ გადადგმული ნაბიჯი. ეს ინიციატივა ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილისგან წამოვიდა. მან მკაფიოდ დააყენა ამ ღონისძიების განხორციელების საკითხი და ირაკლი ღარიბაშვილმა თანამდებობაზე დანიშვნისთანავე ამ თემაზე მუშაობა დაიწყო. სახელმწიფოს მხარდაჭერას მიიღებს მორწმუნე ადამიანების 90% და სხვა რელიგიური გაერთიანებების ზარალის შესწავლაც თანდათან მოხდება. ჯერჯერობით თანხის ზედა ზღვარი 4,5 მილიონი ლარით განისაზღვრება“, — აღნიშნა ზაქარეიშვილმა.

**P.S. საქართველოს საპატრიარქომ რელიგიური კონფესიებისთვის ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა დადებით მოვლენად შეაფასა.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ალექსანდრე ჭაჭია:**

**...პარლამენტის თავმჯდომარე, ჩემი აზრით, კარგად ართმევს თავს თავის მოვალეობებს, მაგრამ ზემოხსენებული საქმიანობისთვის არ გამოდგება — მას აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი „მედასავლეთის“ იმიჯი და, რა თქმა უნდა, უდავოდ გააჩნია სერიოზული ვალდებულებები დასავლელ პარტნიორებთან, ამიტომ არც რუსები, არც აფხაზები მასთან გულწრფელად არ ისაუბრებენ. ამ მნიშვნელოვანი საქმისთვის საჭიროა მესამე პირი ქვეყნის უმაღლესი სახელისუფლო ეშელონიდან, ანუ პრეზიდენტი.**

# თავისუფალი დაკიდების კოეფიციენტი, ანუ ЖИРАФ БОЛЬШОЙ, ЕМУ ВИДНЕЙ!

**საქართველოს პრეზიდენტის — გიორგი მარგველაშვილის თურქეთში ვიზიტმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ამ პატივცემულ ფილოსოფოსს თანამდებობისთვის შესაფერისად, ბიძინა ივანიშვილის გარდა, არც საქართველოში მიიჩნევს ვინმე და არც თურქეთში. ძალიან მიმძიმს ამის აღიარება — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბატონი მარგველაშვილი ჩემი ქვეყნის პრეზიდენტია, მაგრამ ფაქტი ჯიუტია — მას არც შინ და არც გარეთ სერიოზულად არავინ აღიქვამს. აქვე ხაზგასმით ვამბობ, რომ ეს „შეუფერებლობა“ ყველაზე ნაკლებად არის თავად მარგველაშვილის ბრალი, რადგან მისი არასერიოზულად აღქმა შედეგია უმოწყალო კასტრაციისა, რომელიც პრეზიდენტის პოსტს დავმართეთ ზოგადად, და ბატონი ივანიშვილის ახირებისა — რომ ამ კასტრირებულ პოსტზე ყველაზე კარგი კანდიდატურა სწორედ მარგველაშვილი იქნებოდა.**



კასტრაციასა და თანამდებობისთვის შესაფერისობას მოგვიანებით დავუბრუნდები, მანამდე კი მარგველაშვილის თურქეთში ვიზიტის რამდენიმე უკიდურესად მნიშვნელოვან და სამარცხვინო დეტალს მივაქცევ თქვენს ყურადღებას.

პირველი და მთავარია დახვედრა — **გიორგი მარგველაშვილს აეროპორტში დახვდნენ, როგორც ლამის რიგით მგზავრს. ტოტო კუტუნიოსაც კი, როდესაც ნაფტალინს შემოაცლიდნენ და სააკაშვილის ახირებით სამღერად ჩამოჰყავდათ, გაცილებით ღირსეულ და წარმომადგენლობით დახვედრას უწყობდნენ თბილისის აეროპორტში, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტს მოუწყვეს ანკარაში...**

**თანაც საქართველოს პრეზიდენტის დახვედრა ადგილობრივი მერისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის დონეზე საკმაოდ ღია და უტაქტო მინიშნება იყო თურქეთის მხრიდან, რომ ანკარა საქართველოს „საშინაო საქმედ“, ვილაიეთად განიხილავს.**

მეტიც, სამთავრობო უწყების მოსაცდელში პრეზიდენტის პრესმდივანს თავს დაესხნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, რის გამოც თურქულ მხარეს ოფიციალურად ბოდიში ჯერაც არ მოუხდია.

მოკლედ და გასაგებად რომ ვთქვა, **საქართველოს პრეზიდენტი თურქეთში სტუმრობისას ფეხებზე დაიკიდეს,** მომიტევეთ ამ უხეში შედარების გამო, მაგრამ ჯიუტი ფაქტების ერთობლიობა მკაფიოდ მეტყველებს, რომ, **როგორც „თანასწორს თანასწორთა“ შორის, მას თურქეთში არავინ აღიქვამდა...**

და საერთოდ, მთელი ვიზიტი, იმ წვრილფეხა თურქი ჩინოვნიკების გამომეტყველება, რომლებმაც მარგველაშვილს კომპანიის პატივი დასდო, ძალიან ჰგავდა არა მეზობელი პარტნიორი ქვეყნის პრეზიდენტის, არამედ ღარიბი და აბეზარი ნათესავის სტუმრობას, რომელსაც მასპინძლის მოსამსახურე პერსონალიც კი ამრეზით და ქედმაღლურად უმზერს...

ამ და სხვა სამარცხვინო, დამამცირებელი დეტალების ფონზე, რომელთა ჩამოთვლითაც მეტს აღარ დაგძაბავთ, შოკისმომგვრელი იყო გიორგი მარგველაშვილის განცხადება:

**„თურქეთი საქართველოს უახლოესი პარტნიორია... ჩემ მიერ პირველი ვიზიტი სწორედ თურქეთის რესპუბლიკაში ხორციელდება. საქართველოსთვის თურქეთის მხარდაჭერა ფასეულია საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხებში“...**

თქვენც ხომ?!

რა თქმა უნდა, ერთადერთი ასოციაცია, რომელიც ამ განცხადებამ შეიძლება გააჩინოს, არის მარგველაშვილის წინამორბედი პრეზიდენტის — **მიხეილ სააკაშვილის ბოდვა იმის თაობაზე, რომ „თურქეთი ჩვენი ისტორიული მეგობარია“.**

სხვათა შორის, **თურქეთს ისტორიულ მეგობარს უწოდებდა სააკაშვილის წინამორბედი ედუარდ შევარდნაძეც. შეიძლება ითქვას, რომ გიორგი მარგველაშვილმა ამ შემთხვევაში წინამორბედი პრეზიდენტების „რეჩი“ გაიმეორა.** როგორც ჩანს, პრეზიდენტის პოსტს, დასაჭურისების შემდეგაც შერჩა ბოდვითი იდეებით დასნებოვნების უნარი და ამ ხვედრს ფერმალი და იურისტი პრეზიდენტების კვალდაკვალ ვერც ფილოსოფოსი მარგველაშვილი გაექცა.

არადა, **ეს ის „ისტორიული მეგობარი თურქეთია“, რომლის პრეზიდენტიც 2008 წლის აგვისტოში არა თბილისში, არამედ მოსკოვში ჩაფრინდა, რუსეთის ხელმძღვანელობისგან აჭარის მიტაცების ნებართვის ასაღებად;**

**ეს ის „ისტორიული მეგობარი“ თურქეთია, სადაც რუკებს დღემდე ისე ბეჭდავენ, რომ ბათუმი და აჭარა თურქეთის ტერიტორიაა;**

**ეს ის „ისტორიული მეგობარი“ თურქეთია, რომელმაც ფინანსურ-ეკონომიკური თვალსაზრისით უკვე დაასრულა აჭარის ოკუპაცია;**

ეს ის „ისტორიული მეგობარი“ თურქეთია, რომლის მეოხებით ბათუმის შემოგარენსა და საერთოდ აჭარაში ათეულობით რელიგიური პანსიონი მოქმედებს, სადაც ყურანს ასწავლიან და სასწავლო პროგრამა ძირითადად რელიგიურ, მუსლიმანურ თემატიკასა და ჰაფიზობის კურსებს მოიცავს. **მაღალმთიან აჭარაში მოქმედი სასულიერო პანსიონატები კი, რომლებიც ბავშვებს ძირითადად ისლამის საფუძვლებს ასწავლიან, მოსწავლეებს თურქეთში აგზავნიან „ისლამის ცოდნის გასაღმავებლად“ და დაბრუნების შემდეგ აჭარაში, თურქულ კომპანიებში მაღალანაზღაურებად სამუშაოს ჰპირდებიან.**

**მხოლოდ ხულოს რაიონში 80-მდე მუსლიმანური სასწავლო ცენტრია და მედრესეებში სამი ათასზე მეტი მოზარდი სწავლობს.**

**ეს ის „ისტორიული მეგობარი“ თურქეთია, რომელმაც ბოლო წლებში არაერთი ტაძარი გადასცა ბერძნებს, რომლებთანაც საომარი მდგომარეობა აქვს, ასევე სომხებს დაუბრუნა ჩამორთმეული ქონება კილიკიის საკათალიკოსოშიც კი, რომელიც მხოლოდ ფორმალურად არის დამოუკიდებელი, თორემ სომხეთის ეკლესიის უპირატესობას აღიარებს, ხოლო ჩვენ, „ისტორიულ მეგობარს“ — ქართველებს სათოფეზე არ გვაკარებს ქართულ ისტორიულ ძეგლებთან;**

**ეს ის „ისტორიული მეგობარი“ თურქეთია, რომელიც, რომ არა ყარსის ხელშეკრულების ვალდებულებანი და რუსეთის რიდი, თვალისდაუხამხამებლად გაგვავილაეთებდა.**

მეგობრობა-პარტნიორობას და ისტორიას თავი დავანებოთ, მოდით, მარგველაშვილის ციტატის კიდევ ერთ მარგალიტს მივაქციოთ ყურადღება — **„საქართველოსთვის თურქეთის მხარდაჭერა ფასეულია სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხებში“.**

იმაზე, რომ 2008 წელს თურქეთის პრეზიდენტი არა თბილისში, არამედ მოსკოვში ჩაფრინდა აჭარის მიტაცების ნებართვის ასაღებად, უკვე მოგახსენეთ და აღარ გავიმეორებ. ბატონმა მარგველაშვილმა, ეტყობა, არ იცის, რომ **თურქეთი, კონსტანტინოპოლის პატრიარქის მეშვეობით ძალ-ღონეს არ იშურებს, გადმოიბიროს აფხაზი სასულიერო პირები და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ აფხაზეთის მართლმადიდებლური ეპარქია კონსტანტინოპოლის პატრიარქს, შესაბამისად კი თურქეთის გავლენას, დაუქვემდებაროს.** ეს არც არის გასაკვირი, თურქეთი ცდილობს, შეავსოს ვაკუუმი, რომელიც აფხაზეთში რუსეთის ეკლესიის მიერ ცხუმ-აფხაზეთის საქართველოს ეკლესიის იურისდიქციად აღიარების შედეგად წარმოიშვა. აფხაზი სასულიერო პირები საქართველოს ეკლესიასთან კონტაქტზე არ მიდიან, რუსეთის ეკლესია მათ არც დამოუკიდებელ სუბიექტად აღიარებს და არც თავის ქვეშევრდომად, რადგან ოფიციალურად აღიარებს, როგორც ქართული ეკლესიის ნაწილს. სწორედ ამ ფონზე ცდილობს ანკარა აფხაზეთში საკუთარი ინტერესების გატარებას კონსტანტინოპოლის პატრიარქის მეშვეობით, რომელსაც, ცნობისთვის, საკუთარ აპარტამენტში კედელზე ქემალ ათა თურქის სურათი უკიდია.

ამ ფონზე ლეგიტიმურად ჩნდება კითხვა — **პირი, რომელიც ამბობს, რომ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში თურქეთის მხარდაჭერა ფასეულია, ან პოლიტიკის ანა-ბანაში არ ერკვევა, ან ქვეყნის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მის ინტერესებში საერთოდ არ შედის.**

**საქართველოს პრეზიდენტი თურქეთში სტუმრობისას ფეხებზე დაიკიდეს — მას არავინ აღიქვამდა, როგორც «თანასწორს თანასწორთა» შორის**

დღეს ბრმისთვისაც ნათელია, რომ **თურქეთი საქართველოს განიხილავს, როგორც თავისი გავლენის სფეროს და კავკასიაში აშშ-ის როლის შესუსტების პერსპექტივის ფონზე ცდილობს, რომ თვითონ ჩაანაცვლოს ვაშინგტონი გავლენებში. ამ პროცესს ხელს დიდად არც ამერიკელები უშლიან.**

ეს კი ჩვენთვის ერთადერთ რამეს ნიშნავს — ნატოს ან ნებისმიერი სხვა ეგიდით საქართველოში სამხედრო წარმომადგენლობას, აგრეთვე, სხვა ტიპის ჩარევას განახორციელებს უშუალოდ თურქეთი. ფაქტობრივად, **ანკარა ცდილობს, ჩაანაცვლოს ამერიკელები საქართველოს ხელისუფლების მართვაში და პერსპექტივაში მაქსიმალურად გააღრმაოს და გააფართოოს საკუთარი გავლენა გურჯისტანზე.**

ნაწილობრივ ამითაც აიხსნება საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის, ასე ვთქვათ, „თავისუფალი დაკიდება“ და დემონსტრირება იმისა, თუ ვინ არის უფროსი და ვინ კიდევ — ყურმოჭრილი მონა.

ამ ვიზიტით თურქულმა მხარემ შეგნებულად, ქართულმა კი სიბრიყვით ან სულაც მესვეურთა მითითებით კიდევ ერთი დასტური მისცა რუსეთს, სადაც რეალურად დევს როგორც ჩვენი სუვერენიტეტის, ასევე ტერიტორიული მთლიანობის გასაღები, რომ მისი ხისტი პოლიტიკა საქართველოს მიმართ სწორია, რადგან მხოლოდ ასეთი ხისტი პოლიტიკით თუ შეაჩერებს მოსკოვი გურჯისტანის თურქიზაციას, რომელსაც თავად გურჯები რატომღაც დასავლეთთან ინტეგრაციას ვეძახით.

**წესით და რიგით ისტორიული მეგობრობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე არა სამხრეთელი, არამედ ჩრდილოელი მეზობლის დედაქალაქში უნდა ვსაუბრობდეთ,** თუმცა ამაზე მოგვიანებით.

რაც შეეხება ბატონი მარგველაშვილის კიდევ ერთ უსუსურ არგუმენტს, თუ რატომ ხორციელდება მისი პირველი ორმხრივი ვიზიტი სწორედ თურქეთის რესპუბლიკაში, აქაც პასუხი მარტივია — სხვაგან სად? **აშშ-ის გიორგისთვის კი არა, ბიძინასთვისაც არ უმასპინძლია, რუსეთს მარგველაშვილის მასპინძლობის სურვილი, დიდი ალბათობით, არც გაუჩნდება. ასე რომ, ისევ ანკარა, ვაშინგტონის მიერ საქართველოს ახალ ბატონად ნებადართული დედაქალაქი, თუ იქნებოდა ბატონი ფილოსოფოსის ქედმაღალი მასპინძელი.**

ის, რომ საქართველოს პრეზიდენტს, როგორც ინსტიტუტს, ასეთი უბადრუკი ბედი ელოდა, ჯერ კიდევ ▶



„ჩვენს ურთიერთობას თურქეთთან სერიოზული განხილვა სჭირდება. საქართველომ, ფაქტობრივად, ჩააბარა თავი თურქეთს; აჭარა რომ ჩაბარებულია, ეს უკვე ვიცით. ჩვენ, ყველას, ყოველგვარი შემოწმების გარეშე, ვუშვებთ საქართველოში და საბოლოოდ, ეს ბიზნესი მხოლოდ თურქული გამოდის. ფაქტობრივად, ბიზნესის მეშვეობით, თურქები მთელი საქართველოს ოკუპაციას ახდენენ.“

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

შარშან გახდა ცხადი. შარშანვე ნათელი იყო, რომ პრეზიდენტის სახით ჩვენ მივიღებდით არაფრისმთქმელ და, რაც მთავარია, არაფრისმაქნის უმაღლესი თანამდებობის პირს. მართალია, ეს ყველაფერი „ოცნების“ მიერ მოწოდებული იყო, როგორც სურვილი, შექმნილიყო ძლიერი პრემიერის, ძლიერი პარლამენტის თავმჯდომარისა და ძლიერი პრეზიდენტის ტრიო, მაგრამ სურვილი სურვილად დარჩა, რეალური ძალაუფლება პარლამენტის თავმჯდომარესა და პრემიერ-მინისტრს შორის გადანაწილდა, ხოლო მესამეს — პრეზიდენტს სამი თითის კომბინაცია ხვდა წილად.

**ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პრეზიდენტის უფლებამოვალეობებსა და საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევაზე მიდგა საქმე, „საქართველო და მსოფლიო“ აფრთხილებდა ხელისუფლებას, რომ საჭურისი პრეზიდენტის პოსტის ქონის ფუფუნება ჩვენ არ გვქონდა და უმჯობესი იქნებოდა, ეს პოსტი და მასზე წარდგენილი პირი კონკრეტული, რაც მთავარია, სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ფუნქციებით, კერძოდ კი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების მისიით დაგვეტვირთა. „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია აცხადებდა:**

„საქართველოს არ აქვს მაღალი თანამდებობის უსაქმურების შენახვის ფუფუნება. პრეზიდენტის ფუნქციები ქვეყნის იმ სასიცოცხლო პრობლემებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, რომელთა გადასაჭრელად პარლამენტისა და მთავრობის ძალისხმევა საკმარისი არ არის... მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის აქტიური მოღვაწეობის სფერო უნდა იყოს აფხაზურ და ოსურ მხარესთან, რუსეთის ფედერაციასთან, მათ შორის ჩრდილოეთკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობა. საქმე ისაა, რომ დასავლეთის ვექტორზე ჩვენთან ბევრი ოფიციალური პირი და სტრუქტურა მუშაობს — პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე და საპარლამენტო კომიტეტები, საგარეო საქმეთა სამინისტრო და რიგი სხვა უწყებებისა, ხოლო იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, რომლებიც ჩამოვთვალე, სერიოზულად არავინ მუშაობს. რეინტეგრაციის საქმეთა მინისტრთან აფხაზეთის, ოსეთისა და მით უმეტეს რუსეთის ხელმძღვანელობა საგნობრივად არაფერს განიხილავს. რუსეთთან ურთიერთობებში სპეციალური წარმომადგენლის სამ თვეში ერთხელ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან შეხვედრის შედეგი კი იქნება ერთობლივი ვახშამი და პირობა, რომ სამი თვის შემდეგ კიდევ ერთხელ შეხვდებიან. დრო კი მიდის და უნდა ვაღიაროთ, რომ — არა საქართველოს სასარგებლოდ“.

ის, რომ მხოლოდ ჰალსტუხის გაკეთება, სიგელების ჩაბარება და გაბლენძა საკმარისი არ არის, საქართველოს პრეზიდენტის თურქეთში პირველი ოფიციალური ვიზიტისთანავე გამოჩნდა. აქვე გამოჩნდა, რომ ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მიმართულებაზე დესპანის ან გაუგებარი ფუნქციების მქონე მინისტრის საქმიანობა საკმარისი არ არის, ხოლო პრეზიდენტი, რომელიც შეძლებდა ამ მიმართულებით მნიშვნელოვან გარღვევას, რატომღაც კარიკატურულ ფიგურად ვაქციეთ. რაც მთავარია, ამ ყველაფერში დავკარგეთ დრო...

**„...პარლამენტის თავმჯდომარე, ჩემი აზრით, კარგად ართმევს თავს თავის მოვალეობებს, მაგრამ ზემოხსენებული საქმიანობისთვის არ გამოდგება — მას აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი „მედასავლეთის“ იმიჯი და, რა თქმა უნდა, უდავოდ გააჩნია სერიოზული ვალდებულებები დასავლელ პარტნიორებთან, ამიტომ არც რუსები, არც აფხაზები მასთან გულწრფელად არ ისაუბრებენ. ამ მნიშვნელოვანი საქმისთვის საჭიროა მესამე პირი ქვეყნის უმაღლესი სახელისუფლო ეშელონიდან, ანუ პრეზიდენტი“,** — ასევე ხაზს უსვამდა ჩვენთან საუბარში **ალექსანდრე ჭაჭია.**

მაშინ ხელისუფლებამ არ ჩათვალა საჭიროდ, გაეზიარებინა ვინმეს აზრი, გარდა საკუთარი მოსაზრებისა. ამ ხისტი სიჯიუტის შედეგად კი მივიღეთ ის, რაც მივიღეთ – მკვეთრი დისბალანსი პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარესა და პრეზიდენტს შორის, ძალაუფლების გადანაწილების თვალსაზრისით და არასერიოზული პრეზიდენტის პოსტი, რომელსაც მეზობელ თურქეთში ძაღლადაც არ აგდებენ; **გავუშვით ხელიდან დრო და შანსი, გვეწარმოებინა მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები სოხუმთან, ცხინვალთან, მოსკოვთან და მკვდარი წერტილიდან დაგვეძრა დაკარგული ტერიტორიების გაყინული საკითხი.**

ფაქტია, რომ შევარდნაძე-სააკაშვილის მმართველობის პერიოდში რუსეთთან, აფხაზებთან, ოსებთან ურთიერთობების სფეროში არავითარი პოზიტიური ნაბიჯი არ გადადგმულა, რადგან პოლიტიკის ამ მიმართულებით მუშაობდნენ ყველაზე არაკომპეტენტური ჩინოვნიკები, რომლებიც პარტნიორებთან არანაირი ავტორიტეტით არ სარგებლობდნენ. **ჩვენ კი იმის ნაცვლად, რომ „მესამე პირი ქვეყნის უმაღლესი სახელისუფლო ეშელონიდან“, ანუ პრეზიდენტი დაგვეტვირთა ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქციებით და გამოგვეყენებინა აფხაზებთან, ოსებთან, რუსებთან ურთიერთობებში სერიოზული გარღვევის მისაღწევად, იგი მხოლოდ ჰარამხანის საჭურისობისთვის გავიმეტეთ, ვაქციეთ ძვირადშესანახ უსაქმურ მალალჩინოსნად და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ თურქეთში მას შესაბამისი „პატივით“ დახვდნენ და ვიზიტმაც თავისუფალი დაკიდების რეჟიმში ჩაიარა...**

ამ ყველაფერში თავად გიორგი მარგველაშვილს დანაშაული არ მიუძღვის, აქ დამნაშავეა ის, ვინც რაციონალური აზრისა და წინადადების გათვალისწინების ნაცვლად გაჰკიოდა — **Жираф большой, ему видней!**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი:**

# ვიზიტის მასპინძელმა მხარემ საქართველოს პრეზიდენტი მიიღო, როგორც თურქეთის ვილაიეთის წარმომადგენელი

**საქართველოს პრეზიდენტის — გიორგი მარგველაშვილის პირველ ოფიციალურ ვიზიტს თურქეთში სკანდალებისა და ხმაურის გარეშე არ ჩაუვლია. გარდა იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტს თურქეთის პირველი პირებიდან, წესისამებრ, ტრაპთან არავინ დახვედრია, ამ ყველაფერს მისი პრესმდივნის მიმართ მომხდარი ინციდენტიც დაემატა. პრეზიდენტის თურქეთში ვიზიტს საერთოდ უშედეგოდ მიიჩნევს პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი და ამბობს, რომ ამგვარი არაფრის მომცემი ვიზიტების გამართვას, სჯობს, პრეზიდენტი საერთოდ არ წავიდეს უცხო ქვეყანაში.**



— თუ სალაპარაკო არაფერი გაქვს, არ არის აუცილებელი ვიზიტით სადმე წასვლა. ეს ყველაფერი არაფრის მომცემია. ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, უყვარდა ხოლმე ასე უშედეგოდ უცხოეთში ხეტიალი. ეს არის ცუდი „მემკვიდრეობა“, რომელიც საქართველომ მისგან მიიღო. სააკაშვილის ხეტიალმა საერთოდ წერტილი დაუსვა ყოველგვარ სახელმწიფოებრივ ურთიერთობასა და პროტოკოლს. სააკაშვილი ხშირად ჩადიოდა იმ ქვეყანაში, რომელშიც არც კი ელოდნენ. გახსოვთ, სააკაშვილი თურქეთში ვიზიტის დროს ერთხელ ველოსიპედიდანაც გადმოვარდა. მითხარით, ოფიციალური ვიზიტის დროს რომელი ქვეყნის პრეზიდენტი ისეირნებს ველოსიპედით სტამბოლის ან რომელიმე ქალაქის ქუჩებში?! ეს იყო ტრაგედია!

**საქართველოს პრეზიდენტს თურქეთის ოფიციალურ პირებთან რაიმე სერიოზულ საკითხზეც არ უსაუბრია. ერთადერთი, რაც მოხდა, მარგველაშვილმა ქართული კულტურის ძეგლები მოინახულა.**

**— საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია თურქეთის ხელისუფლების დამოკიდებულებამ. მოგეხსენებათ, გიორგი მარგველაშვილს შს მინისტრი, მერი და გუბერნატორი დახვდნენ. რატომ არ დახვდა საქართველოს პრეზიდენტს თურქეთის პირველი ოფიციალური პირი, რას უნდა მივაწეროთ თურქეთის ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება?**

— ეს იყო სამუშაო ვიზიტი. აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი სწორედ ვიზიტის სახეობას უნდა მივაწეროთ. საერთოდ, ვიზიტები წინასწარ იგეგმება და განისაზღვრება — რა სახის ვიზიტი უნდა იყოს, რადგან პროტოკოლში დიდი განსხვავებაა. **ჩვეულებრივი სამუშაო ვიზიტისას მასპინძელ ქვეყანას სრული უფლება აქვს, არ დახვდეს პირველი პირი, პრეზიდენტი ან პრემიერი, თუმცა ეს ისეთი ნიუანსებია, რომელთა შესახებ საზოგადოებამ, შესაძლოა, არც იცოდეს, ამიტომ საჭიროა, ეს ყველაფერი ხალხს აუხსნა.** როდესაც პრესაში გაჩნდა ასეთი უკმაყოფილო განცხადებები, ვიღაცას ნორმალურად უნდა აეხსნა იმავე საგარეო საქმეთა სამინისტროდან, რაშიც იყო საქმე, მაგრამ, სამწუხაროდ, ამხსნელიც არავინ არის. საგარეო საქმეთა სამინისტროშიც არ მუშაობს ისეთი ხალხი, რომელიც ამ საკითხებში ერკვევა. პროტოკოლის საკითხები ბევრმა სამინისტროს თანამშრომელმა არ იცის. მე დიდი ხნის განმავლობაში ვმუშაობდი საგარეო საქმეთა სამინისტროში და კარგად ვიცი, რა ცოდნაც გააჩნიათ, დღეს კიდევ უფრო უარესი ვითარებაა, ვინაიდან სააკაშვილის დროს სამინისტროში უამრავი უვიცი „კმარელი“ მოიყვანეს, რომლებმაც სრულიად არაფერი არ იცოდნენ. ეს ადამიანები დღესაც იქ მუშაობენ, თუმცა აღსანიშნაია, რომ **დიპლომატიისა და პროტოკოლის დიდი ცოდნით არც ახლანდელი საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე და მისი მოადგილეები გამოირჩევიან.**

**— პრეზიდენტის პრესმდივანს, სოფო ჯაჯანაშვილს, სამთავრობო უწყების მოსაცდელში თავს დაესხა უცნობი ქალბატონი და შეურაცხყოფა მიაყენა. უსაფრთხოების ზომები რატომ არ იყო დაცული ქვეყნის პირველი პირის ვიზიტის დროს?**

— როდესაც უსაფრთხოების ზომები სრულად დაცულია, მაშინაც ხდება ხოლმე გაუთვალისწინებელი შემთხვევები, რომელთა წინასწარ გათვლა შეუძლებელია. ეს წინასწარ გამიზნული თავდასხმა არ ყოფილა. ეს არ არის პირველ გვერდზე გამოსატანი საკითხი და ამას გარდა, ეს არ არის ისეთი საგანგაშო რამ, ასეთი ხმაური რომ გამოეწვია. საგანგაშო სხვა რამაა: თურქეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ვიზიტის მასპინძელმა მხარემ საქართველოს პრეზიდენტი მიიღო, როგორც თურქეთის ვილაიეთის წარმომადგენელი.

**ჩვენს ურთიერთობას თურქეთთან სერიოზული განხილვა სჭირდება. საქართველომ, ფაქტობრივად, ჩააბარა თავი თურქეთს; აჭარა რომ ჩაბარებულია, ეს უკვე ვიცით. ჩვენ, ყველას, ყოველგვარი შემოწმების გარეშე, ვუშვებთ საქართველოში და საბოლოოდ, ეს ბიზნესი მხოლოდ თურქული გამოდის. ფაქტობრივად, ბიზნესის მეშვეობით, თურქები მთელი საქართველოს ოკუპაციას ახდენენ.**

**— მაგრამ, ბატონო ჰამლეტ, ბიზნესმენს ხომ ვერ ავუკრძალავთ ბიზნესის წამოწყებას საქართველოში, პირიქით, ხომ ვცდილობთ, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო შევქმნათ უცხოელი ბიზნესმენებისთვის?**

— ვერ ავუკრძალავთ, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების უპირველესი მოვალეობაა, მოახდინოს ბიზნესის დივერსიფიკაცია; არა ერთ, არამედ რამდენიმე ქვეყანასთან ჰქონდეს ურთიერთობა. **საითაც გაიხედავთ, თურქული ბიზნესია. სასავადმყოფოებიც თურქულია უკვე. მეპატრონეები ისე ეპყრობიან პერსონალს, როგორც მონებს. რაღა მარტო თურქებთან გამოვნახეთ საერთო ენა? არიან ირანელები, ჩინელები, სხვა ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც გაცილებით ხარისხიანად მუშაობენ.** რასაც ახლა თურქები აშენებენ, 20 წლის განმავლობაში თურქეთის ექსპლუატაციის ქვეშ იქნება. 20 წლის შემდეგ არც შენობა ივარგებს და არც დანადგარები (დღესვე არ ვარგა). ამ ყველაფერს გააზრება უნდა და არა ხბოს თვალებით ყურება თურქისთვის, რომელიც საქართველოს, როგორც მეწველ ძროხას, ქართველს კი, როგორც მონას, ისე უყურებს.

ჰიდროელექტროსადგურისა თუ სხვა პროექტებს სხვები გაცილებით უკეთ გააკეთებენ, მაგრამ ამათ რატომღაც თურქი ბიზნესმენის აქ ყოფნა აძლევთ ხელს. როგორც ჩანს, არსებობს რაღაც გარიგება, რომელიც ჩვენ არ ვიცით და იმ გარიგებიდან ვიღაცების ჯიბეში დიდი დივიდენდები მიდის. ასე რომ, უკვე გამოცდილი პარტნიორი, თურქეთის სახით, მათ უფრო აძლევთ ხელს.

**— ანუ ფიქრობთ, რომ ხელისუფლებასა და თურქ ბიზნესმენებს შორის არსებობს გარკვეული გარიგება?**

— რატომაც არა. თუ სააკაშვილის დროს ასე იყო, ამ ხელისუფლების მხრიდან რა გასაკვირია? ესენი ყველაფერზე წავლენ. არის საკითხები, რომელთაც სერიოზული განხილვა სჭირდება, მაგრამ შესწევს კი ამ ხელისუფლებას მათი განხილვის უნარი? მას ეს არ აინტერესებს. ამ ხელისუფლებისთვის მთავარია, თურქმა ბიზნესმენმა ინვესტიცია განახორციელოს საქართველოში და არ აინტერესებს, ის თურქი ბიზნესმენი ვის ან რა საფასურად ასაქმებს და ეს დასაქმება ნიშნავს თუ არა მონურ შრომას. გამოდის, თურქი ბიზნესმენი ჩამოდის და მონასავით ყიდულობს ქართველებს, ორ კაპიკს უხდის და ვირივით ამუშავებს. ეს საკითხებია განსახილველი. **კარგია ტაო-კლარჯეთში ქართული ძეგლების რესტავრაცია, მაგრამ ამის გამო მთელ საქართველოს თურქეთს ნუ ჩავაბარებთ. საქართველოსა და თურქეთს შორის ისეთი ურთიერთობაა, როგორც ბატონსა და ყმას შორის...**

**— ეს იყო საქართველოს პრეზიდენტის პირველი ოფიციალური ვიზიტი, რატომ აირჩია ხელისუფლებამ თურქეთი და არა ევროპის რომელიმე ქვეყანა ან აშშ, რომლებიც ჩვენი მთვარი სტრატეგიული პარტნიორები არიან?**

— როგორც ჩანს, მარგველაშვილის მასპინძლობის დიდი სურვილი არც ერთ ქვეყანას არ ჰქონდა. ყველა ქვეყანა ცდილობს, დეტალურად შეისწავლოს იმ ქვეყნის მდგომარეობა, რომლის პრეზიდენტიც მათთან სტუმრად ჩადის. მათი საელჩოებიც კარგად მუშაობენ ამ საკითხებზე, აგროვებენ ინფორმაციას. ასე მხოლოდ საქართველო არ იქცევა. ჩვენი საელჩოები უცხოეთში იმისთვის არიან, რომ აქედან ჩასულების ჩემოდნები ათრიონ. მეტს არაფერს აკეთებენ. ასე რომ, **როდესაც უცხოელები უყურებენ საქართველოს ამ უმწეო პრეზიდენტს, რომელსაც მუშაობის სურვილიც არ აქვს, სერიოზულად როგორ მიიღებდნენ?** თავად მარგველაშვილიც ყველაფერზე ამბობს, ეს ჩემი საქმე არაა, ის ჩემი საქმე არააო. დღევანდელი ჩვენი პრეზიდენტის სტატუსი, არათუ უცხოელისთვის, ჩემთვისაც გაურკვეველია.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთავარი ის არის, რომ დასავლეთისადმი ერთგულების მტკიცებაში ჩვენი პოლიტიკური ბომონდი ერთმანეთს ეჯიბრება, რადგან საქართველოს მომავალზე მეტად მათ საკუთარი პარტიების მომავალი ადარდებთ. ქართულ პოლიტიკაში კი ადგილებს სწორედ დასავლეთი ანაწილებს და არა ქართველი ამომრჩეველი!**

# გამოცხადებული ცენზურის ქრონიკა

**ორი თვეც არ გასულა, რაც საქართველოს თავდაცვის მთლიანად დასავლეთზე ორიენტირებულმა მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ, საქვეყნოდ გამოაცხადა ის, რასაც სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლებიც კი არ ამბობდნენ საჯაროდ. კერძოდ, „რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში მან ქვეყნის წინაშე მთავარი საფრთხე ასე „აგვიხსნა": „მე ვერ ვხედავ სამხედრო საფრთხეს რუსეთის მხრიდან... ჩვენი მოწინააღმდეგეები შეეცდებიან, საზოგადოების შიგნით, საქართველოს შიგნით შექმნან ახალი განწყობები კრიტიკული, სკეპტიკური ევროპული ინტეგრაციისკენ... საზოგადოებრივი განწყობის შექმნაზე გადავა აქცენტი ჩვენი მოწინააღმდეგეების მხრიდან. ამიტომაც, ძირითადად, ასეთ საფრთხეებს ვხედავ, კონტრდაზვერვით საფრთხეებს და აქედან გამომდინარე, მთელი სახელმწიფო და სპეციალური სტრუქტურები იქნება მობილიზებული, რათა არ დავუშვათ არც ერთ შემთხვევაში ასეთი განწყობების კულტივაცია".**





მინისტრის მუქარას ახლა უკვე „ახალი მემარჯვენე" ქალბატონი მანანა ნაჭყებიაც შეუერთდა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ახალი ხელისუფლება დააკვალიანა: **„მჯერა, რომ დღევანდელი ხელისუფლება წავა დასავლეთის კურსით. ეს ბერკეტი არ არის საზოგადოების განწყობა. ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების განწყობა და მე ვფიქრობ, რომ ის, რომ საქართველოს მოსახლეობამ რეფერენდუმზე დაადასტურა არა ერთხელ, რომ ის არის დასავლური კურსის მომხრე, ესეც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის და, რაც ყველაზე მთავარია, ბატონმა დავითმა, გნებავთ, ჩათვალოს ეს წინა ხელისუფლების გარკვეულ დამსახურებად, ის, რომ საქართველო ეკონომიკურად და ენერგეტიკულად აღარ არის რუსეთზე დამოკიდებული.**

**ეს არის უდავოდ ის პრიორიტეტები, რომელიც აქვს ჩვენს ქვეყანას და მოკლედ ვიტყვი, რომ აღარ მივუბრუნდეთ, ვთქვათ ამ თემას, ჩემი მხრიდან ყოველშემთხვევაში, მაშ რა ბერკეტი დარჩა რუსეთს? ვფიქრობ, რომ ძალიან საშიში ტენდენცია შეიძლება იყოს საზოგადოებაზე რაღაც გარკვეული იდეოლოგიური გავლენის მოხდენა და განსაკუთრებით შეიძლება იყოს, რომ, ვთქვათ, ევროპა ჩვენ თავს მოგვახვევს რაღაც გარკვეულ ლიბერალურ ღირებულებებს და მე ვხედავ სოციალური ქსელების საშუალებით, რომ რაღაცნაირად ხდება ამ თემის აგორება, ამიტომ მე ვთლი, რომ ხელისუფლება დღეს ვალდებულია, თავის თავზე აიღოს. გარდა დეკლარირებული კურსისა, ძალიან მნიშნელოვანია, რომ მან გარკვეული იდეოლოგიური საქმიანობაც გასწიოს".**

ჟურნალისტის კითხვა: **„ანუ თქვენ გულისხმობთ ევროპული იდეების დისკრედიტაციის საფრთხეს?"**

**მანანა ნაჭყებია: „რა თქმა უნდა, ევროპული იდეების დისკრედიტაციის საფრთხეს ვგულისხმობ და ამაში ვხედავ ძალიან მნიშვნელოვან როლს ხელისუფლებისას, რომ მან არ დაუშვას ჩვენს ქვეყანაში ეს. ამის ძალიან ბევრი მექანიზმი არსებობს, ამის ტექნოლოგია არსებობს და ჩვენ ყველაფერი ეს უნდა გავაკეთოთ. ყოველ შემთხვევაში მე შემიძლია ვთქვა, რომ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ვართ დასავლური კურსის მიმდევრები, ნამდვილად გავაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ ხელისუფლებამ ეს მცირე შანსი მაინც არ დატოვოს ქვეყანაში, რომ საზოგადოებაში განწყობა შეიცვალოს სწორედ აი ამ მიმართულებით".**

ყურადღება მიაქციეთ, რა რევერანსებით მიმართავს ეს ქალბატონი დავით დარჩიაშვილს და უწონებს „ნაციონალური" ხელისუფლების „დამსახურებებს"! იმასაც დაუკვირდით, როგორ ერთი-ერთში ჰგავს „ახალი მემარჯვენის" პათოსი ირაკლი ალასანიასას! **ვინ ვისი ოპოზიციაა, ვეღარ გაიგებ, ისინი ხომ ყველანი ერთიანად დასავლეთზე ორიენტირებულნი არიან! ერთი ლექსიკით და ლიზღიერად მოიხსენიებენ რუსეთს და მართლაც გაუგებარია, ნუთუ ამ ერთსულოვნებას მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი ურღვევდა?**

კიდევ უფრო სახალისოა, რომ პოლიტიკოსი ქალბატონი რეფერენდუმსა და პლებისციტს (ისიც ერთხელ და არა „მრავალჯერ" ჩატარებულს, როგორც მას ჰგონია) ერთმანეთისგან ვერ არჩევს. ან... არჩევს, მაგრამ ასე ურჩევნია. მართლაც, **ეს რიტორიკა, რომ „საქართველო არჩეულ ევროპულ კურსს არ გადაუხვევს", დღეს ავანსცენაზე მყოფ ყველა პოლიტიკურ პარტიას აერთიანებს! ხალხის სახელით ლაპარაკი მათი ექსკლუზივია, თავად ხალხს კი, აბა, ვინ ეკითხება რამეს?**

რა „ტექნოლოგიებზე" ლაპარაკობს ქალბატონი მანანა? არ დაუშვათ სხვა, ჩვენგან განსხვავებული აზრიო, მიგვანიშნებს იგი. **რა გამოდის? თუ ამას არ შევისმენთ, რას გვიზამენ? დაგვიჭერენ? პირს აგვიხვევენ? ტელევიზიებს დახურავენ და გაზეთების რედაქციებს დაარბევენ? კი მაგრამ, ამას ხომ სააკაშვილიც აკეთებდა, ოღონდ იმას მაინც არ იძახდა, განსხვავებული აზრის გამო ვსჯი ამ ადამიანებსო!** მაშ, რას უწუნებდით ან რა „დაამარცხეთ"? იქნებ მიესალმოთ კიდეც „დემოკრატიის შუქურის" ხელმეორედ გაბრწყინებას?

ქალბატონ მანანას ერთი დააკლდა, ეთქვა, კონსტიტუციაში გრაფა აღვადგინოთ „პარტიის (ამათ შემთხვევაში — დასავლეთზე ორიენტირებული პარტიების) წარმმართველი როლის" შესახებო! საბჭოთა კავშირის დაშლამდე ცოტა ხნით ადრე ამ მუხლის ამოღებამ მთელ სსრკ-ში დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია, რადგან კომპარტიას ყველაფერში ჩარევის საშუალება მოუსპო, თუმცა რას ერჩით ნაჭყებიას, ის მაშინ ჯერაც კომკავშირულ-პარტიულ სამუშაოზე იყო და სულ სხვა საქმეს ემსახურებოდა!

„ახალ მემარჯვენეს" არც ეკონომიკის ექსპერტი ჩამორჩა და სახედარივით ტყუპი წიხლი უთავაზა რუსეთს: **„თუ შევხედავთ რაციონალურ საკითხებს, რომელიც განაპირობებს საზოგადოების არჩევანს, მათ შორის იმ უდიდესი ნაწილის საქართველოს საზოგადოებისა, კიდევ ერთხელ განვმეორდები, როგორც კვლევები აჩვენებს უკრაინის საზოგადოებისაც, რომ მათ უნდათ უკეთეს საზოგადოებაში ცხოვრება. რუსეთი არის ერთ-ერთი ლიდერი სახელმწიფო მსოფლიოში მშობლების მიერ მიტოვებული ბავშვებით. რუსეთი არის ერთ-ერთი ლიდერი სახელმწიფო, ლიდერი ამ შემთხვევაში ბრჭყალებით, სადაც ურბანული მოსახლეობის 25%-ს, წარმოიდგინეთ, რამდენ ადამიანზე ვლაპარაკობთ, კანალიზაცია არ აქვს სახლებში.**

**რუსეთი არის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო, რომელშიც ყველაზე მეტი ადამიანი კვდება ისეთი დაავადებებისგან, როგორიცაა ალკოჰოლიზმი და, ასე ვთქვათ, განკურნებადი დაავადებები... ადამიანები და საზოგადოებები უნდა წავიდნენ იმ მიმართულებით განვითარებისკენ, რომლითაც მათი და მათი შვილების მომავალი იქნება პოზიტიურად და კარგად უზრუნველყოფილი. დანარჩენს არ აქვს მნიშვნელობა".**

მნიშვნელობა როგორ არ აქვს? ჯერ ერთი, რატომ გვატყუებთ, ბატონო ექსპერტო? ალკოჰოლის მოხმარებით მსოფლიოში პირველ ადგილზე ბრიტანეთია, ასევე, პირველ ადგილზეა ქალთა ალკოჰოლიზმით; ევროპაში პირველ ადგილზეა კოკაინის, ექსტაზისა და ამფეტამინების მოხმარებით. ამ ინფორმაციას ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ევროპული ცენტრი (EMCDDA) ავრცელებს.

გერმანია იკავებს პირველ ადგილს მსოფლიოში უშვილობის მაჩვენებლით. „ევროსტატის" მონაცემებით, გერმანელ ქალთა 30% და მამაკაცთა 40% უშვილოა. შესაბამისად, გერმანია მესამე ადგილზეა მსოფლიოში მიგრანტების რაოდენობით (მსოფლიო ლიდერი აშშ-ია).

საბერძნეთი ლიდერობს (ევროპაში) სიკვდილმისჯილთა რაოდენობით, ბულგარეთი – თვითმკვლელობათა რაოდენობით, რუმინეთი — თაღლითობაშია პირველი ევროპული ფონდების გამოყენებით (მეორე ადგილზეა გერმანია, მესამეზე — იტალია), ესპანეთი — უმუშევრობით. შობადობა სიკვდილიანობას უსწრებს ევროკავშირის მხოლოდ სამ ქვეყანაში: დიდ ბრიტანეთში, ესპანეთსა და საფრანგეთში (ისიც, მიგრაციის ხარჯზე). დანია, შვედეთი და პოლონეთი ერთ ადგილზეა გაყინული, ხოლო იტალიაში, ავსტრიასა და გერმანიაში დეპოპულაცია, ანუ მოსახლეობის შემცირება ხდება.

თუმცა იმ ჩამონათვალში, რომელიც ბატონმა ექსპერტმა მოიტანა, კიდევ ერთი მაჩვენებელი გამორჩა: რუსეთი ევროპულ სახელმწიფოებში ბოლო ადგილზეა რეზინის პენისებისა და ვიბრატორების რაოდენობით. როგორც ავტორიტეტული ინტერნეტგვერდი Gay. Ru გვამცნობს, ამ საქმეში ლიდერია გერმანია, სადაც ერთ ოჯახში 2,5 ვიბრატორია (საშუალო ციფრია, რა თქმა უნდა), ხოლო რუსეთში 90-დან მხოლოდ ერთი ოჯახი სარგებლობს ამგვარი „სექსუალური თანაშემწით".

საინტერესოა, ამასაც აკრძალულ რიტორიკად ჩაგვითვლის ქალბატონი „მემარჯვენე" თუ, რაკი უმცირესობის საიტის ციტატაა, გვაპატიებს დიდსულოვნად?

**უკრაინის „გაევროპელებით" შეპყრობილი ჩვენი პოლიტიკური ბომონდი სტატისტიკას ყოველთვის სათავისოდ იყენებს (მიშასავით) და, დასავლეთით რაც კი მდებარეობს, ყველაფრის ქება-დიდებით არის დაკავებული. ახლა ის მთავარი „დემოკრატიის იმპორტიორიც" ვნახოთ, როგორ გამოიყურება და რაში იკავებს პირველ ადგილს!**

**აშშ მსოფლიოში პირველ ადგილზეა:**

**საგარეო ვალით (15 ტრილიონი დოლარი);**

**განათლების სიძვირით;**

**ჯანდაცვის სიძვირით;**

**ლგბტ პირთა რაოდენობით;**

**ნარკოტიკების მოხმარებით;**

**სამხედრო ბიუჯეტით;**

**მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩაღებული ომების რაოდენობით;**

**პატიმართა რაოდენობით;**

**სამხედრო ბაზების რაოდენობით მთელ მსოფლიოში;**

**სურსათზე შემწეობის მიმღებთა რაოდენობით;**

**ანტიდეპრესანტების მიმღებთა რაოდენობით;**

**ბირთვული იარაღის მარაგებით;**

**მოზარდთა ფეხმძიმობის რაოდენობით — 22%!**

მსოფლიოს 130 ქვეყანაში (ჩვენთანაც) სიკვდილით დასჯაზე უარი თქვეს, 68 ქვეყანაში და მათ შორის აშშ-ში სიკვდილით დასჯის მრავალფეროვანი მექანიზმებია: ჩამოხრჩობა, დახვრეტა, ელექტროსკამი, გაზის კამერა და სასიკვდილო ინექცია. 50 შტატიდან 38-ში სიკვდილით დასჯა შენარჩუნებულია.

აშშ-ის მოსახლეობა მსოფლიოს მოსახლეობის 5%-ს შეადგენს, მაგრამ მთელი მსოფლიოს პატიმართა მეოთხედი სწორედ ამერიკელია. ჩინეთში 1,6 მილიონი პატიმარია, აშშ-ში — 2,3 მილიონი! ანუ ციხეში ზის ყოველი მესამე ზრდასრული ამერიკელი.

**რას ერჩოდით მიშას, ბატონებო, განა მან სწორედ ამერიკული მასშტაბებით არ გაავსო ციხეები? რატომ იყო მაშინ ცუდი ის, რასაც მიშა აკეთებდა, ან რატომაა მაშინ ამერიკის შეერთებული შტატები „ყველაზე დემოკრატიული" სახელმწიფო?**

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში აშშ-ში მშობლებმა 20 ათასი ბავშვი მოკლეს. დაღუპულთა 75% 4 წლისაც არ იყო, ნახევარი — 1 წელზე უმცროსი! **ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ამერიკაში მეტი ბავშვია დაღუპული, ვიდრე მთელ მსოფლიოში — ამერიკელი სამხედრო!**

**მთელ მსოფლიოში გავრცელებული პორნოგრაფიის 80% აშშ-ში მზადდება!**

**ზრდასრულ ამერიკელთა 20%, სულ ცოტა, ერთ ანტიდეპრესანტს მაინც იღებს.**

**აშშ ლიდერია დანაშაულის სტატისტიკით — 12 მილიონი დანაშაული წელიწადში.** მეორე ადგილზე ბრიტანეთია, მესამეზე — გერმანია (6,5 მილიონი დანაშაული წელიწადში).

**მსოფლიო მოსახლეობის 5% (ამერიკელები) მსოფლიო რესურსების 30%-ს მოიხმარს. სერიული მკვლელებისა და მანიაკების 74% ამერიკელია.**

ყოველ წელიწადს აშშ-ში უგზო-უკვლოდ იკარგება 40 ათასი ბავშვი, სულ იტაცებენ 725 ათას ბავშვს. ძირითადი მოტივია ძალადობა, მკვლელობა და ფულის გამოძალვა.

36 მილიონი ამერიკელი შიმშილობს, მოსახლეობის 42% სილარიბის ზღვარზეა. 37%, ანუ 74 მილიონ ადამიანზე მეტი, სექსუალური გადახრებით ხასიათდება. საავადმყოფოებში ავადმყოფთა ნახევარზე მეტი სულით დაავადებულია.

**ბოლო 10 წლის განმავლობაში არასრულწლოვანი სიკვდილმისჯილების ორი მესამედი სწორედ აშშ-ში დაფიქსირდა.**

40 მილიონი ამერიკელი, ანუ ყოველი მეოთხე ქალი და ყოველი მეხუთე მამაკაცი 9-დან 12 წლამდე სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო ოჯახის წევრების ან ახლო ნათესავების მხრიდან.

ყოველ წელიწადს 27 ათასი ამერიკელი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს, სუიციდის მცდელობა აქვს 50 ათას ადამიანს.

**დღეისთვის აშშ-ში ქუჩაში ცხოვრობს 3 მილიონი მოზარდი. 18 წლის ასაკამდე ყოველი მეშვიდე ბავშვი სახლიდან გარბის.**

ეს მონაცემები ავტორიტეტული საერთაშორისო გამოცემებიდან არის აღებული. რას იზამენ ახლა ალასანია და ნაჭყებია, მათაც ენას ჩაუგდებენ თუ მიშასავით თავის ჭკუაზე გადააკეთებინებენ ციფრებს?!

თუმცა ეს არ არის მთავარი. **მთავარი ის არის, რომ დასავლეთისადმი ერთგულების მტკიცებაში ჩვენი პოლიტიკური ბომონდი ერთმანეთს ეჯიბრება, რადგან საქართველოს მომავალზე მეტად მათ საკუთარი პარტიების მომავალი ადარდებთ. ქართულ პოლიტიკაში კი ადგილებს სწორედ დასავლეთი ანაწილებს და არა ქართველი ამომრჩეველი!** ამ პოლიტიკანთა რიტორიკამ უკვე დაგვაშორა ჩვენი ეროვნული ამოცანების შესრულებას, ისინი კი ისევ იმავეს გაიძახიან და ვერც იმას ხვდებიან, რომ ამ თამაშს „ნაციონალებს" ვერ მოუგებენ. სხვათა შორის, ყველაფერზე დასავლეთს თავს სააკაშვილიც კი არ უქნევდა, ახალი ხელისუფლებისგან განსხვავებით!

შემთხვევით ესენი იმას ხომ არ ცდილობენ, რომ მიშა და „ნაციონალური დემოკრატია" მოგვანატრონ?

**არ გამოვა ეს, პატივცემულო ევროპუასიკებო!**

ხალხს, ხომ იცით, არაფერი ეშლება და ეს თიკუნიც სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ თქვენც, სააკაშვილივით, განაჩენი უკვე გამოტანილი გაქვთ. ეს ყველაზე უარესია, რადგან არჩევნებს ხან მოიგებ, ხან წააგებ, მაგრამ, როცა საკუთარი ხალხი უკვე დაგცინის, იქ ყველაფერი დამთავრებულია!

**თამარ დავითულიანი**

**ძალიან ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, რა ტონალობას და კომუნიკაციის სტილს აირჩევს „მოქალაქე“ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში; გადამეტებულმა დიდაქტიკურობამ და მუდმივმა ჩარევამ მიკრომენეჯმენტში შეიძლება ხელისუფლების დისკრედიტაცია, საზოგადოების აღქმაში სახელმწიფო ინსტიტუტების მნიშვნელობის დევალვირება გამოიწვიოს.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ГРАЖДАНИН НАЧАЛЬНИК»

**ბიძინა ივანიშვილი ავანსცენაზე დაბრუნდა. 24 ნოემბერს „ქართული ოცნების“ ყრილობაზე ის დაგვპირდა, რომ 2-3 თვეში სამოქალაქო სექტორში გააქტიურდებოდა, დანაპირები შეასრულა და საზოგადოების წინაშე წარსდგა, როგორც ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქეს“ ხელმძღვანელი. რა ცვლილებები შეიძლება მოიტანოს ამ ორგანიზაციის ამოქმედებამ?**

ადრე, როდესაც კასანდრასავით დაუცხრომელი ქართველი ექსპერტები ცდილობდნენ, ეწინასწარმეტყველათ, თუ რას გააკეთებს ივანიშვილი სამოქალაქო სექტორში, ვარაუდობდნენ, რომ ის არსებული ან ახლადშექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო სპექტრთან ითანამშრომლებდა და მათი მთავარი დონორი გახდებოდა. **თითქმის არავინ საუბრობდა იმაზე, რომ ივანიშვილი ახალ, დიდ ორგანიზაციას შექმნიდა, რომელიც, წესდებაში ჩამოთვლილი მიზნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აქტიურობას ყველა წარმოსადგენ სფეროში აპირებს.**

გამოცდილება ცხადყოფს, რომ სამოქალაქო სექტორში გაცილებით ეფექტურად მოქმედებენ შედარებით ვიწრო პრობლემატიკაზე სპეციალიზებული მცირე და საშუალო ორგანიზაციები და მათი ქსელები, ვიდრე ბრონტოზავრის მსგავსი დიდი და მოუქნელი სტრუქტურები. თუმცა არსებობს რამდენიმე არგუმენტი, რომლებიც (ამ კონკრეტულ სიტუაციაში) ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებას ამართლებს.

უპირველესად, ალბათ, კონტროლის გამარტივება უნდა ვახსენოთ. **თუ ივანიშვილი მხოლოდ დონორის როლით შემოიფარგლებოდა და აფილირებულ არასამთავრობოებს ამ პოზიციიდან გააკონტროლებდა, მისი ფონდის სიახლოვეს, 99%-იანი ალბათობით, შეიქმნებოდა მთელი კორუფციული ინდუსტრია, რომლის ერთადერთი დანიშნულება ივანიშვილის გრანტების ათვისება-განაწილება გახდებოდა. იმ მძიმე გამოცდილებამ, რომელიც ივანიშვილმა ქართველ პოლიტიკოსებთან ურთიერთობის პროცესში შეიძინა** (დღეს ამაზე პრაქტიკულად არ საუბრობენ, თუმცა ადრე თუ გვიან ყველაფერი სააშკარაოზე გამოვა), **სავარაუდოდ, უბიძგა დასკვნისკენ, რომ მისი ფულის ხარჯვის კონტროლის მექანიზმი რაც შეიძლება მარტივი და ეფექტური უნდა იყოს; იგივე ეხება კონტროლს დაკისრებული ამოცანების შესრულებაზე.**

ამასთანავე, მცირე არასამთავრობოებს გაუჭირდებოდათ საკუთარი საინფორმაციო და საიმიჯო პოლიტიკის იმგვარი წარმართვა, რომელიც შესაძლებლობას მისცემდათ, სწრაფად ჩაეჩოჩებინათ უკანა პლანზე სექტორის გამოკვეთილი ლიდერები. ამ ამოცანის გადაწყვეტას ცალკე ძალისხმევა, ფული და, რაც მთავარია, დრო დასჭირდებოდა. „მოქალაქესთვის“ კი, რომელიც გამოიყურება, როგორც ატომური ყინულმჭრელი პინგვინების ფონზე, ეს პრობლემა საერთოდ არ არსებობს, მისი ოფისიდან გამოსულ ნებისმიერ სიტყვას გარანტირებულად აიტაცებენ საინფორმაციო საშუალებები და ის გარდაუვალად იქცევა საზოგადოების განხილვის მთავარ თემად.

**არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი, ფაქტობრივად, უცხო ქვეყნების კონტროლქვეშ იმყოფება, ნაწილი კი სააკაშვილის რეჟიმის ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის ერთგვარ თავშესაფარს წარმოადგენს.** აქ ძალიან მნიშვნელოვანია ერთი გარემოების გააზრება: **ბიძინა ივანიშვილი არ უპირისპირდება არც ერთ უცხო სახელმწიფოს, მათ შორის აშშ-ს, და აღიარებს, რომ მათ საქართველოში გარკვეული ინტერესები და გავლენა აქვთ. მაგრამ მისთვის, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანია, რომ** (პირობითად ასე ვუწოდოთ) **„სააქციო საზოგადოება საქართველოს“ საკონტროლო პაკეტს თვითონ ფლობდეს, ხოლო უცხოელი პარტნიორები 5, 10 თუ 20-პროცენტიანი პაკეტებით დაკმაყოფილდნენ და საკუთარი თამაში მისი გვერდის ავლით არ აწარმოონ.** ამ შედეგის მიღწევა პატარა, ღარიბი ქვეყნის ლიდერისთვის ძალიან რთულია, მაგრამ ივანიშვილმა უკვე მიაღწია იმას, რომ პოლიტიკურ სპექტრში საკონტროლო პაკეტს დაეუფლა და ნაწილობრივ შეზღუდა (მყისიერად მსგავსი რამ არ ხდება) უცხო სახელმწიფოების პირდაპირ კონტროლს დაქვემდებარებული ქართველი პოლიტიკოსები. შესაძლოა, ახლა დაახლოებით იგივე მოხდება არასამთავრობო სექტორში (ცხადია, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით). კიდევ ერთხელ გავიმეორებ — **დღეს ბიძინა ივანიშვილისა და უცხოელი პარტნიორების ინტერესები ერთმანეთთან დაპირისპირებული არაა, მაგრამ არ არსებობს გარანტია, რომ მსგავსი რამ მომავალში არ მოხდება.**

ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ ივანიშვილის ძველი მონოლოგები არასამთავრობო სექტორის როლთან დაკავშირებით (ხელისუფლების მკაცრი კონტროლი და ა. შ.) და ამ კონტექსტში გავაანალიზოთ ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ქცევა, მათი ურთიერთობა მთავრობასთან ივანიშვილის გადადგომის შემდეგ. მთელ რიგ შემთხვევებში ეს იყო ისტერიული დიქტატის მცდელობა, ზოგჯერ კი უცხოელების პოზიციის პირდაპირი ტრანსლირება. გამორიცხული არაა, რომ პაუზა გადადგომიდან „მოქალაქეს“ დაფუძნებამდე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ტესტირების ელემენტსაც შეიცავდა.



**დღეს ბიძინა ივანიშვილისა და უცხოელი პარტნიორების ინტერესები ერთმანეთთან დაპირისპირებული არაა, მაგრამ არ არსებობს გარანტია, რომ მსგავსი რამ მომავალში არ მოხდება**

**დღეს ლიდერი არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენა საზოგადოებრივ აზრზე მნიშვნელოვნად შეზღუდულია. უცხოური დაფინანსების ზოგად შემცირებასთან დაკავშირებულ პრობლემებს თავი რომ დავანებოთ, მოსახლეობის საკმაოდ მოცულობითი ნაწილი მათ დანაშაულად სააკაშვილის რეჟიმთან თანამშრომლობას უთვლის და აკრიტიკებს** (ან უბრალოდ ლანძღავს) **იმის გამო, რომ ისინი ხმაურიანად იცავენ** (მაგალითად) **ვანო მერაბიშვილის უფლებებს, მაშინ, როდესაც თავის დროზე მისი რეპრესიული მანქანის მსხვერპლთ გაცილებით მორიდებულად გულშემატკივრობდნენ**. მთელ რიგ ორგანიზაციებთან დაკავშირებით ეს შეფასება უსამართლოა, მაგრამ ის ძალიან ფართოდაა გავრცელებული და საზოგადოების განწყობაზე შესაბამის გავლენას ახდენს. ამ დროს არენაზე შემოდის ბიძინა ივანიშვილის „მოქალაქე“; ის საზოგადოების ხსენებული ნაწილის მიერ არ აღიქმება როგორც „უცხო სახელმწიფოების გავლენის აგენტი“, „გრანტიჭამია“ და „სააკაშვილის მონა“ და მას, დიდი ალბათობით, გარკვეული დროის შემდეგ მოჰყვებიან შედარებით მცირე სატელიტი ორგანიზაციები, რომელნიც შეეცდებიან, ძირფესვიანად გადაფორმატებულ სივრცეში თავიანთი ნიშა დაიკავონ. ასე რომ, **იმ ორგანიზაციებს, რომელნიც დღეს სექტორის ლიდერებად აღიქმებიან, ძალიან დიდი ძალისხმევის გამოვლენა მოუწევთ, რათა საზოგადოებაზე** (ისედაც შემცირებული) **გავლენა არ დაკარგონ და არ დაეშვან ფსკერზე, სადაც ყოფილი მაღალჩინოსნების მიერ სასწრაფო წესით დაფუძნებული მარგინალური მიშისტური „ენჯეოები“ ბინადრობენ.**

ბუნებრივია, „მოქალაქეს“ კართან, ისევე, როგორც ბიძინა ივანიშვილის კუთვნილ ნებისმიერ სტრუქტურის შესასვლელთან, დადგება იმ ადამიანების რიგები, რომელნიც, აგერ უკვე მესამე წელია, მოწადინებულნი არიან, როგორმე „ბიძინას ფული“ მიიღონ. ბევრმა შეიძლება აღიქვას ეს ორგანიზაცია, როგორც სათადარიგო (ან სულაც, ძირითადი) მმართველი პარტია ან კვაზისახელისუფლო სტრუქტურა, მოკლედ ის, რაც შესაძლებლობას მისცემთ, უდარდელი ცხოვრება მოიწყონ, თანაც ისე, რომ თავი დიდ „ნაჩალნიკებად“ იგრძნონ. ამ ბალასტის მოშორება, სავარაუდოდ, ახალი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის №1 ამოცანა გახდება. **ძალიან ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, რა ტონალობას და კომუნიკაციის სტილს აირჩევს „მოქალაქე“ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში; გადამეტებულმა დიდაქტიკურობამ და მუდმივმა ჩარევამ მიკრომენეჯმენტში შეიძლება ხელისუფლების დისკრედიტაცია, საზოგადოების აღქმაში სახელმწიფო ინსტიტუტების მნიშვნელობის დევალვირება გამოიწვიოს.** „მოქალაქე“ არ უნდა გავიდეს იმ ჩარჩოებიდან, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციების როლი გულისხმობს, **მისი ტრანსფორმირება „პარალელურ ხელისუფლებად“ ან „პარალელურ მმართველ პარტიად“ სახელმწიფოს ფრიად დააზარალებს.**

რამდენი ლამაზი სადღეგრძელოც უნდა ვთქვათ იმის თაობაზე, რომ „მოქალაქე“ ხელს შეუწყობს საზოგადოების მიერ საკუთარი როლის გააზრებას დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში, ალბათ, მაინც **არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ორგანიზაცია, სხვა ყველაფერთან ერთად, ბიძინა ივანიშვილის კონტროლის გაფართოების ინსტრუმენტია.** აქ იგულისხმება არა მხოლოდ და არა იმდენად კონტროლი მთავრობაზე, რამდენადაც **კონტროლი ქვეყნის ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროზე და საზოგადოებრივი აზრის „დღის წესრიგზე“.** ამ სიტუაციაში წინა პლანზე კვლავ გამოდის ნდობის ფაქტორი — **საზოგადოება ივანიშვილს „სიტყვაზე უნდა ენდოს“ და ირწმუნოს, რომ მისი „მოქალაქე“ ნორმალური სისტემის და არა მორიგი ავტორიტარული რეჟიმის შექმნას მოემსახურება.**

ივანიშვილის სასარგებლოდ მუშაობს მისი ავტორიტეტი, ბრწყინვალე გამარჯვება 2012 წლის არჩევნებში და სააკაშვილის კოშმარული რეჟიმის უსისხლო დემონტაჟი, მაგრამ მისი ხედვები ქართული სახელმწიფოს მომავლის მთელ რიგ ასპექტებთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის ჯერჯერობით ძალზე ბუნდოვანია. ივანიშვილს არ დაუწერია წიგნი, რომელშიც მკაფიოდ აღწერდა თავის მიზნებს, მათი მიღწევის სავარაუდო გზებს და ხშირ შემთხვევაში კომენტატორებს დასკვნის გამოტანა მის ცალკეულ (ხანდახან ბუნდოვან და ურთიერთსაწინააღმდეგო) რეპლიკებზე დაყრდნობით უწევთ. **ცხადია, ინტრიგასა და გაურკვევლობას თავისი ფასი და გემო აქვს, მაგრამ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით სასურველია მეტი სიცხადე, რადგან, სააკაშვილისგან განსხვავებით არა გასართობ კომპლექსს ან სადომაზოხიზმის თეატრს, არამედ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ. სტრატეგიულ საკითხებთან დაკავშირებით, საზოგადოებას კონსენსუსი თუ არა, ივანიშვილის „გენერალურ გეგმაზე“ გაცილებით მეტი ინფორმაცია სჭირდება.**

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ივანიშვილის დღის წესრიგში მთავარი საკითხი ახალი, სანიმუშო ქართული დემოკრატიის შექმნაა და მის გადაწყვეტას ორგანიზაცია „მოქალაქეს“ ყველა რესურსს მოახმარს, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების წარმომადგენლებმა გააგრძელონ პატარა, ლოკალური ამოცანების გადაწყვეტაზე ორიენტირებული არასამთავრობო ჯგუფების შექმნა. **„მოქალაქე“ ყველა სფეროში ყველა პრობლემას ვერ მოაგვარებს და ამის გაკეთება რომ სცადოს, გადაიქცევა უზარმაზარ, რვაფეხას მსგავს მონსტრად, რომლის მოქმედება საკმაოდ ნელი და არაეფექტური გახდება.** კარგი იქნება, თუ ის მხოლოდ რეფორმების ზოგადი ხელშეწყობით, კონცეპტუალური ხასიათის დოკუმენტების შემუშავებით და „ქვედა დონეზე“ მოქმედი პატარა, ავტონომიური ჯგუფების მხარდაჭერით დაკავდება. **უშუალო პასუხისმგებლობის სფეროს გაუაზრებელი გაფართოება, რომელიც შეიძლება არ იყოს დაგეგმილი, მაგრამ მუშაობის პროცესში „ბუნებრივად“ დაიწყოს, „მოქალაქეს“, ისევე, როგორც სრულიად საქართველოს, კარგს არაფერს მოუტანს.**

27 იანვარს უზენაესმა სასამართლომ, როგორც იქნა, გააუქმა მიხეილ სააკაშვილის სამარცხვინო გადაწყვეტილება და ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა აღუდგინა. მოქალაქე ივანიშვილი სათავეში ჩაუდგა არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქეს“ და სამოქალაქო სექტორში აქტიური მოქმედება დაიწყო. ალბათ, მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, წარმატება ვუსურვოთ და ყურადღებით დავაკვირდეთ მის თითოეულ ნაბიჯს, რათა საჭიროების შემთხვევაში შეცდომებზე მივუთითოთ ან დახმარება აღმოვუჩინოთ, რის გამორიცხვაც ნამდვილად არ შეიძლება, რადგან სამოქალაქო სექტორში მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც ირანის ჩამოყალიბება რუსეთის ერთმნიშვნელოვან მოკავშირედ, ისე დაახლოება დასავლეთთან, კრემლს, ნებისმიერ შემთხვევაში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში პოზიციების განმტკიცებისკენ უბიძგებს. მნიშვნელობა არ აქვს, საუბარი „დამცავი კედლის“ თუ „დამაკავშირებელი ხიდის“ აგებას შეეხება და ეს საქართველოს მომავალზე უდავოდ აისახება.**

# ლეფორის ტესტი, ანუ აღმოსავლეთის ფრონტზე ცვლილებებია

**უკრაინის კრიზისმა ქართული აუდიტორიისთვის უკანა პლანზე გადაწია მსოფლიოში განვითარებული ყველა სხვა მოვლენა. მასზე აუცილებლად ვისაუბრებთ, თუმცა, ალბათ, საინტერესო იქნება, დასაწყისში ყურადღება „დიდი საჭადრაკო დაფის“ სხვა მონაკვეთზე გადავიტანოთ, სადაც საქართველოს მომავლისთვის მნიშვნელოვანი თამაში გრძელდება. ირანის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოზე შეიძლება არანაკლები გავლენა მოახდინოს, ვიდრე უკრაინულმა არეულობამ. საერთოდ, დღეს სერიოზულ ტრანსფორმაციას მთელი კონტინენტი განიცდის და, შესაძლოა, საქართველოს გაუმართლა, რომ სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟთან დაკავშირებული კრიზისი მშვიდობიანად გადალახა, მანამ, სანამ პროცესები მეზობელ ქვეყნებში კრიტიკულ ფაზაში შევიდოდა. ახლა გასარკვევი მხოლოდ ის დარჩა, შევძლებთ თუ არა ამ ბონუსის გონივრულ გამოყენებას.**



## დიდი ნავთობი და გლობალური ამბიციები

**განმუხტვის პროცესი დასავლეთისა და ირანის ურთიერთობებში ნელ-ნელა წინ მიდის. ოპონენტების მწვავე კრიტიკისა და აშშ-ის რეგიონული მოკავშირეების, ისრაელისა და საუდის არაბეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, ობამას ადმინისტრაციას, თავისი სამშვიდობო ინიციატივებით, საქმე ნელ-ნელა სანქციების მოხსნისკენ მიჰყავს. ამ ფონზე კრემლმა ძალიან საინტერესო პარტიის გათამაშება დაიწყო.**

**დეკემბრის მიწურულს მსოფლიოს ერთ-ერთმა უმსხვილესმა ბანკმა, ამერიკულმა „მორგან სტენლიმ“ განაცხადა, რომ რუსულ „როსნეფტს“ მიჰყიდა თავისი სანავთობო ქსელის მნიშვნელოვანი ნაწილი. რუსების ხელში გადადის კომპანია „ჰეიდმარ ჰოლდინგის“ 49%, რომელიც დაახლოებით 100 ტანკერს აკონტროლებს, საცავების გლობალური ქსელი, ნავთობის შეძენისა და გაყიდვის კონტრაქტები და ა. შ.** „მორგან სტენლიმ“ დაიტოვა სანავთობო ბიზნესის (უხეშად, დეტალებში ჩარღმავების გარეშე რომ ვთქვათ) ამერიკული სეგმენტი და ეს გარემოება მნიშვნელოვანია, რადგან მსგავსი გარიგებები (აქ საუბარია კონტრაქტების მთელ პაკეტზე, რომლის გაფორმება

## ბრძოლა უკრაინისთვის და «სანქციების შემდგომი» ირანისთვის, რთული პროცესები თურქეთში მალე შეცვლიან გეოპოლიტიკურ ლანდშაფტს ჩვენ გარშემო და საქართველო ახალი გამოწვევების პირისპირ აღმოჩნდება

მიმდინარე წლის მეორე ნახევარში უნდა დასრულდეს) აშშ-ის უცხოური ინვესტიციების სააგენტოს ნებართვას მოითხოვს. მაგრამ, ვინაიდან აქტივების დიდი ნაწილი აშშ-ს საზღვრებს გარეთ მდებარეობს, ეს სააგენტო გარიგების ნაწილობრივ ტორპედირებას თუ მოახერხებს. „ფაინეიშენლ თაიმსის“ შეფასებით, **„ეს შენაძენი „როსნეფტს“ შესაძლებლობას მისცემს, გააფართოოს საკუთარი ბიზნესი და შევიდეს კონკურენციაში მსოფლიოს უმსხვილეს ტრეიდერებთან — „გლენკორთან“ და „ვიტოლთან“, წამყვან გლობალურ ენერგოკომპანიებთან, კერძოდ, „ბი-პი“-სთან, „როიალ დატჩ შელთან“, „ტოტალთან“ და „საუდი არამკოსთან“.** ეს, რა თქმა უნდა, **ძალზე მნიშვნელოვანი გარიგებაა რუსეთისთვის,** მაგრამ შეიძლება გაჩნდეს კითხვა: **რა აკავშირებს ყოველივე ამას ირანთან?**

საქმე ისაა, რომ ბოლო დროს, „ირანული განმუხტვის“ პროცესის პარალელურად, მოსკოვი და თეირანი აწარმოებენ მოლაპარაკებებს ახალ შეთანხმებაზე, რომლის ფარგლებში რუსეთი დღეში ნახევარ მილიონ ბარელ ირანულ ნავთობს შეიძენდა (უფრო სწორად, მოხდება ბარტერი თვეში 1,5 მილიარდი დოლარის საქონელზე). იანვრის დასაწყისში ინფორმაციამ ამის შესახებ მედიაში „გაჟონა“. **13 იანვარს თეთრმა სახლმა რუსეთ-ირანის შესაძლო შეთანხმებასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა, ხოლო სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ აშშ-ის ნეგატიური პოზიცია რუს კოლეგასთან საუბარში დააფიქსირა. საინტერესოა, რა გახდა თეთრი სახლის ასეთი რეაქციის მიზეზი?**

მარტივად რომ ვთქვათ, **კრემლმა გადაწყვიტა კონტროლის დამყარება იმ „დამატებით ნავთობზე“, რომელიც ირანმა შეიძლება სანქციების მოხსნის შემდეგ მსოფლიო ბაზარზე გაიტანოს.** ამის მიზეზი, სავარაუდოდ, არა მხოლოდ რუსული ენერგოკომპანიების პოზიციებზე ზრუნვაა. თუ ირანული ნავთობის ექსპორტის ძირითადი ნაწილი დასავლური კომპანიების ხელში აღმოჩნდება, აშშ და მისი მოკავშირეები დროთა განმავლობაში თეირანზე ზემოქმედების ძალიან სერიოზულ ბერკეტს მოიპოვებენ და, საბოლოოდ, (ამ და სხვა ბერკეტების გამოყენებით) შეიძლება ისლამური რესპუბლიკის „გორბაჩოვიზაციასაც“ მიაღწიონ. **შეერთებული შტატებში, პრინციპში, არც არავინ მალავს, რომ ახალი სამშვიდობო სტრატეგიის საბოლოო მიზანი სწორედ ირანის მშვიდობიანი ტრანსფორმაციაა დასავლეთისთვის მისაღებ კონდიციამდე. და ამ დროს მოდის პუტინი, „როსნეფტის“ ახალშეძენილი ტანკერების მთელი ფლოტით, რომელიც (ბედის ირონია) ამერიკული ბანკისგან იყიდა და აპირებს ამ სტრატეგიას ძალიან სერიოზული დარტყმა მიაყენოს.**

გასათვალისწინებელია ისიც, რომ „მორგან სტენლი“, 99%-იანი ალბათობით, არ წავიდოდა გარიგებაზე რუსებთან, თუ ამერიკული ისტებლიშმენტის გარკვეული ნაწილისგან „მწვანე“ არ ექნებოდა (ეს გარემოება რებუსს მნიშვნელოვნად ართულებს). საინტერესოა, რომ ამ მრავალსვლიან კომბინაციას მოწინააღმდეგეები, როგორც ჩანს, მოსკოვშიც ჰყავს, რადგან ინფორმაციამ რუსეთ-ირანის სენსაციური გარიგების შესახებ, დიდი ალბათობით, მოსკოვიდან გაჟონა. ამგვარად, **ამ შემთხვევაში ჩვენ ვსაუბრობთ არა ორი ზესახელმწიფოს დაჯახებაზე „ცივი ომის“ სტილში, არამედ ძალთა გაცილებით რთულ კონფიგურაციაზე, რომლის ფარგლებში სხვადასხვა ჯგუფი მოსკოვსა და ვაშინგტონში, ტრანსნაციონალურ კომპანიებში, რეგიონულ სახელმწიფოებში** (და ჩინეთში, რომელსაც ეს ნავთობი ყველაზე მეტად სჭირდება) **მოულოდნელად შეიძლება ბარიკადების ერთ მხარეს აღმოჩნდნენ.**

თუ ჩვენ შევაჯამებთ ყველა იმ გრძელვადიან პროგნოზს, რომელთაც ექსპერტები **ირანის მომავალთან დაკავშირებით** აკეთებენ, შეიძლება პარადოქსულ დასკვნამდე მივიდეთ — **როგორც მისი ჩამოყალიბება რუსეთის ერთმნიშვნელოვან მოკავშირედ, ისე დაახლოება დასავლეთთან, კრემლს, ნებისმიერ შემთხვევაში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში პოზიციების განმტკიცებისკენ უბიძგებს.** მნიშვნელობა არ აქვს, საუბარი „დამცავი კედლის“ თუ „დამაკავშირებელი ხიდის“ აგებას შეეხება და ეს საქართველოს მომავალზე უდავოდ აისახება. როგორი იქნება ირანის მომავალი და რომელ ზესახელმწიფოს დაუახლოვდება ის სანქციების მოხსნის შემდეგ? თანაბარი დისტანცირება „დიდი ბლოკებისგან“ ბოლო დროს საკმაოდ რთული გახდა და ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი უკრაინაა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რით დასრულდება ამჟამინდელი მწვავე კრიზისი, ძალიან დიდი ალბათობით, დაკარგავს (რეალური და არა ფორმალური) სუვერენიტეტის ნაწილს და უცხო ქვეყნებზე გაცილებით დამოკიდებული გახდება.

## გეოპოლიტიკური თვითმკვლელობის ინსტრუქცია

**ვინც უნდა იჯდეს უკრაინის პრეზიდენტის სავარძელში, რუსულ ან დასავლურ კრედიტებს, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს ბიუჯეტში არსებული მზარდი „ხვრელები“ ამოავსოს და ვალები გაისტუმროს, ამიერიდან ერთმნიშვნელოვნად პოლიტიკური ფასი ექნება.** ეკონომიკური პრობლემების მასშტაბისა და ბოლოდროინდელი დესტაბილიზაციის გამო, უკრაინის მმართველებს მომავალში დასავლეთის ან რუსეთის ძლიერი მხარდაჭერის გარეშე ძალიან გაუჭირდებათ. ოფიციალური კიევი იძულებული გახდება, გადადგას უკანმოუხედავი ნაბიჯები დასავლე- ▶

## ევროკავშირი გვატყუებს?!

**რამდენიმე დღის წინათ სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელის, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარის — ფილიპ ლეფორის სკანდალური განცხადება გავრცელდა. აი, რა განაცხადა ფილიპ ლეფორმა ცხინვალში ყოფნისას: „სამხრეთ ოსეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, სტატუსი, რესპუბლიკის ხალხის მიერ, დიდი ხანია, განსაზღვრულია. ამ პოზიციის შეცვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს რეალობაა, რომელთან ერთად ცხოვრება და მუშაობა უნდა ვისწავლოთ“.**

ქართველმა პოლიტიკოსებმა და დიპლომატებმა თავდაპირველად ჩათვალეს, რომ ლეფორის ნათქვამი ოსურმა მედიამ დაამახინჯა, მაგრამ მოგვიანებით თბილისში ჩამოსულ ევროკავშირის მაღალჩინოსანს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრისას თავისი განცხადება არ უარუყვია, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ ურყევია.

ლეფორის ეს ორი განცხადება საქართველომ რეაგირების გარეშე არ უნდა დატოვოს, რადგან ევროკავშირის მაღალჩინოსანმა პირველი სკანდალური განცხადების შემდეგ, რომელშიც ე.წ. სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებლობა მიანიჭა, სამადლოდ მოგვიგდო: ევროკავშირი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასო.

**„როგორც ჩანს, ლეფორმა თავის პირველ განცხადებაში ევროკავშირის პოზიცია გაახმოვანა, თქვა ის, რასაც კულისებში ლაპარაკობენ, ჩვენ ვკარგავთ ადეკვატურობას და ვცდილობთ, გავამართლოთ ევროკავშირის ნებისმიერი საქციელი. იცით, როგორი ტენდენციაა? თუ ევროპის მიმართ საყვედური გამოთქვი, მაშინვე პრორუსული ორიენტაციის ადამიანად მოგნათლავენ და რუსეთის აგენტობას დაგაბრალებენ. ასეთი ტენდენცია სიკეთის მომტანი არაა. ჩვენი პოზიცია ევროპასთანაც უნდა დავიცვათ და რუსეთთანაც. აბა, ფილიპ ლეფორს ან რომელიმე ევროპელ დეპუტატს ისრაელისთვის გაებედა და ეთქვა, პალესტინელებმა გადაწყვიტეს, სად არის მათი სამშობლო და ანგარიში გაუწიეთო. ყველა ვნახავდით, ამას რაც მოჰყვებოდა. ისრაელი არ მოისვენებდა, ვიდრე ასეთ ვაიდიპლომატს სამსახურს არ დაატოვებინებდნენ“,** — განაცხადა პოლიტოლოგმა სოსო ცინცაძემ ლეფორის განცხადების შეფასებისას.

ფილიპ ლეფორი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ზარ-ზეიმით მიიღეს და ასევე გააცილეს. აბა, „მაღალ სტუმარს“ საყვედურს ხომ არ შეჰკადრებდნენ?!

**ჩვენ კი დაფიქრება გვმართებს — რას უნდა ველოდოთ ევროკავშირისგან, რომლის წარმომადგენელიც ქართულ ისტორიულ მიწა-წყალს ასე ჰაიჰარად ანიჭებს დამოუკიდებლობას?!**

## ვინ არის ბიძინა ივანიშვილის ახალი რჩეული

ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვა არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქეს“ დაარსებით გადაწყვიტა, რომელიც უკვე რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში („ქართუ ბანკის“ მისამართზე — ჭავჭავაძის №39ა) და აღმასრულებელი დირექტორიც ჰყავს — ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი საბანაძე. ამ პიროვნების შესახებ, რომელსაც ბიძინა ივანიშვილმა ნდობა გამოუცხადა, საზოგადოებამ ბევრი არაფერი იცის. ვრცელდება ხმები, რომ ის ამ თანამდებობაზე პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის რეკომენდაციით დაინიშნა, თუმცა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორი გიორგი კეკელიძე ამბობს, რომ „ივანიშვილის მიერ იყო რაღაც სახის აქტივობა გამოცხადებული და თანაშემწეებს დაავალა, შეეგროვებინათ საინტერესო ადამიანების ბიოგრაფიები. საკუთარი სივი გიორგიმაც გააგზავნა, შემდეგ რამდენიმე გასაუბრება გაიარა და გადაწყვიტეს, წაეყვანათ გუნდში, რომელიც ბატონმა ივანიშვილმა შეკრიბა საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის“.

**საინტერესოა, როდიდან ინიშნებიან საქართველოში მილიარდობით ბიუჯეტიანი არასამთავრობო ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორებად „სივებით“?!**

**ოფიციალური თბილისი გაათმაგებული ყურადღებით უნდა დააკვირდეს დასავლელი პარტნიორების მოქმედებას, რათა ზუსტად დაადგინოს, ემთხვევა თუ არა ერთმანეთს ჩვენი პოზიციები სეპარატისტული რესპუბლიკების არსებულ თუ ჰიპოთეტურ სტატუსთან დაკავშირებით.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## დასავლელმა დიპლომატებმა შეიძლება გამოიყენონ უკვე აპრობირებული ხერხი და შეეცადონ, სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება ევროკავშირთან დაახლოების პერსპექტივით მოხიბლონ

◀ თით ან აღმოსავლეთით, რომელთაგანაც ოცი წლის განმავლობაში თავს იკავებდა.

ამ „გეოპოლიტიკური თავშეკავებულობის“ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ **ნებისმიერმა მკვეთრმა მოძრაობამ შეიძლება უკრაინის ერთიანობა იმსხვერპლოს, რადგან აღმოსავლეთ უკრაინის მოსახლეობის ძირითად ნაწილს რუსეთთან დაახლოება სურს, დასავლეთ უკრაინაში კი სიტუაცია საპირისპიროა.** ბალანსი ამ ორ მისწრაფებას შორის, „ორ სკამზე ჯდომა“ შეიძლებოდა ძალიან დიდხანს გაგრძელებულიყო, რომ არა უკრაინის ყველა ხელისუფალის (კრავჩუკი იქნებოდა, კუჩმა, იუშჩენკო თუ იანუკოვიჩი) უუნარობა, შეექმნათ ეფექტური, მზარდი ეკონომიკის მქონე სახელმწიფო, რომელიც უცხოურ დახმარებაზე კრიტიკულად დამოკიდებული არ იქნებოდა. **კორუმპირებული და წინდაუხედავი უკრაინული ელიტა, უბრალოდ, იჯდა და „ჭამდა“ საბჭოთა უკრაინის მემკვიდრეობას, რომელიც, მისი სიდიდის მიუხედავად, ულევი ნამდვილად არ იყო. ეკონომიკური თვალსაზრისით, უკრაინას ჰქონდა გაცილებით კარგი სასტარტო პირობები, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპის ნებისმიერ პოსტსოციალისტურ სახელმწიფოს, მაგრამ მის ელიტას მთელი ამ წლების განმავლობაში, ფლანგვისა და ძარცვის გარდა, პრინციპში, არც არაფერი უკეთებია.** ცხადია, მის წიაღში ვერ დაიბადებოდა სიცოცხლისუნარიანი იდეები, რომლებიც აღმოსავლეთ და დასავლეთ უკრაინას უფრო მეტად დააახლოებდა და, შესაბამისად, ქვეყნის ერთიანობას განამტკიცებდა.

ახლა კი არჩევანი ძალზე შეზღუდულია: ან უნდა მოხდეს ეროვნული რესურსების სრული მობილიზაცია ეკონომიკური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად (რისთვისაც არც ელიტა, არც საზოგადოება მზად, სავარაუდოდ, არ არის), ან კიდევ დახმარებისთვის უცხო სახელმწიფოებს უნდა მიმართონ, რომელნიც პოლიტიკური და ეკონომიკური კრახის პირას მყოფ უკრაინას გაცილებით მეტს მოსთხოვენ, ვიდრე ადრე. საბოლოო ჯამში, **პოსტსაბჭოთა უკრაინის მთელი ისტორია ეკონომიკური თვითგანადგურების ისტორიაა და, მიუხედავად იმისა, ვინ გაიმარჯვებს ახლო მომავალში ქუჩის დაპირისპირებასა თუ არჩევნებში, უკრაინამ, როგორც სახელმწიფომ, უკვე წააგო, თანაც დიდი ანგარიშით.**

**ქართული საზოგადოების ნაწილმა ამ მომენტის დრამატულობა შეიძლება ვერ აღიქვას, რადგან საკუთარი ქვეყნის მაქსიმალურ მიღწევად უცხო ზესახელმწიფოს** (ბლოკის) **პრივილეგირებულ სატელიტობას აღიქვამს. თუმცა ნაწილს, ალბათ, ესმის, რამდენად მძიმეა ნამდვილ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შანსის დაკარგვა** (ხელშესახებ პერსპექტივაში)**, რომელიც უკრაინას ნამდვილად ჰქონდა.**

არ არსებობს რეალური დამოუკიდებლობა მყარი ეკონომიკური ფუნდამენტის გარეშე, ხოლო მისი შექმნა შეუძლებელია, მაშინ, როდესაც ელიტის ბირთვს „პრიხვატიზაციის“ დროს გამომუშავებული მტაცებლური ინსტინქტებით შეპყრობილი, გაუმაძღარი ხროვა შეადგენს. ალბათ, სწორედ ასეთი ელიტა წარმოადგენს საქართველოს (უკრაინის და ა. შ.) დამოუკიდებლობის №1 მტერს, რომელმაც ქვეყანას უდიდესი ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური (რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია) ზარალი მოუტანა.

### ფილიპ ლეფორი, როგორც სემაფორი

**ბრძოლა უკრაინისთვის და „სანქციების შემდგომი“ ირანისთვის, რთული პროცესები თურქეთში მალე შეცვლიან გეოპოლიტიკურ ლანდშაფტს ჩვენ გარშემო და საქართველო ახალი გამოწვევების პირისპირ აღმოჩნდება. სამხრეთ კავკასიისთვის ბრძოლის ახალი რაუნდის დაწყება გარდაუვალი ჩანს და ამ კონტექსტში** (დღეს მხოლოდ ერთ ლოკალურ საკითხს შევეხებით)**, ალბათ, ძალიან საგანგაშო სიგნალს წარმოადგენს ევროკავშირის სპეციალური წამომადგენელის და ჟენევის დისკუსიის თანათავმჯდომარის, ფილიპ ლეფორის მიერ ცხინვალში გაკეთებული განცხადება** (თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ლიდერთან — ლეონიდ თიბილოვთან შეხვედრაზე) — **„სამხრეთ ოსეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, სტატუსი, დიდი ხანია, განსაზღვრულია რესპუბლიკის მოსახლეობის მიერ“.**

თუ რუსეთის და დასავლეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში ისევე დრამატულად წარიმართება, როგორც უკრაინაში, ვაშინგტონსა და ბრიუსელში, რაღაც მომენტში დღის წესრიგში შეიძლება დადგეს სეპარატისტულ რესპუბლიკებში რუსეთის გავლენის შემცირების ამოცანა. დღეს ეს პრაქტიკულად შეუძლებელი ჩანს, მაგრამ **დასავლელმა დიპლომატებმა შეიძლება გამოიყენონ უკვე აპრობირებული ხერხი და შეეცადონ, სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება ევროკავშირთან დაახლოების პერსპექტივით მოხიბლონ.** ხოლო იმისთვის, რომ მათთან ამ მიმართულებით აქტიურად ითანამშრომლონ, სეპარატისტებისთვის რაღაც სტატუსის მინიჭება დასჭირდებათ. მნიშვნელობა არ აქვს, დროებითი დაერქმევა მას თუ გარდამავალი, განხილული ვარიანტის ფარგლებში ეს სტატუსი არსებულზე უფრო მაღალი იქნება.

**ევროპული დიპლომატიის მაღალ ეშელონებში შემთხვევითი რეპლიკები არ არსებობს და, სავარაუდოდ, არც ლეფორის ფრაზაა შემთხვევითი, მიუხედავად იმისა, რა კომენტარები მოჰყვა მას, მთავარია, რომ განცხადების უარყოფა არ მომხდარა.** სეპარატისტული რესპუბლიკების მომავალ სტატუსთან დაკავშირებით ევროპის აკადემიურ წრეებსა და პოლიტიკურ კულუარებში სულ უფრო ხშირად ძალზე არაორდინალური მოსაზრებები გამოითქმის და ამის შესახებ მშვენივრად იციან ჩვენმა ექსპერტებმა და დიპლომატებმა. **ახლა ევროპაში „სუვერენიტეტების აღლუმის“ დროა, მალე ჩატარდება რეფერენდუმი შოტლანდიის დამოუკიდებლობაზე; უმოქმედოდ არც კატალონელები სხედან. თუ ეჭვქვეშ დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის მთლიანობა დადგება, ნაკლებად სავარაუდოა, დასავლელმა პოლიტიკოსებმა საქართველოს მთლიანობა დოგმად გაიხადონ, მითუმეტეს თუ სეპარატისტული რესპუბლიკებისთვის სტატუსის შეცვლა რაღაც მომენტში მომგებიან ტაქტიკურ გადაწყვეტილებად მოეჩვენებათ, რომელიც შესაძლებლობას მისცემს, რუსეთის მიერ დაკავებულ ამ პლაცდარმებზე საკუთარი თამაში წამოიწყონ.** ამიტომ სასურველია, საქართველოს ხელისუფლებამ მოახდინოს შესაძლო ცვლილებების მოდელირება და შეიმუშავოს ალტერნატიული სტრატეგიები, რომლებიც მოსალოდნელი საფრთხის ნეიტრალიზებაში დაეხმარება. ფილიპ ლეფორის რეპლიკამ (გამორიცხული არაა, რომ ეს ქართული მხარის რეაქციის თავისებური ტესტირება იყო; ლეფორი ამით განსაკუთრებულს არაფერს კარგავს, რადგან 31 იანვარს მანდატი უმთავრდება) შეიძლება მიგვიყვანოს დასკვნამდე, რომ **ოფიციალური თბილისი გაათმაგებული ყურადღებით უნდა დააკვირდეს დასავლელი პარტნიორების მოქმედებას, რათა ზუსტად დაადგინოს, ემთხვევა თუ არა ერთმანეთს ჩვენი პოზიციები სეპარატისტული რესპუბლიკების არსებულ თუ ჰიპოთეტურ სტატუსთან დაკავშირებით.**

**დიმიტრი მონიავა**

## პარაფირებული სვეტი




# როცა ევროპა დაგცინის

**შალახოს ფონზე გაფორმებული პარაფირების ხელშეკრულება კარგა ხანს გვიფრიალა ხელისუფლებამ ცხვირწინ და იმასაც დაგვპირდა, წინა მთავრობას მაპზე უკეთესი რომ ჰქონდა, ახლა ჩვენ იმაზე უკეთესს მოგვცემენო.**

**რა უფლება გვაქვს, არ დავუჯეროთ, პარაფირების ხელშეკრულების გაფორმების დროს ლამის ბაირაღი დააფინეს იატაკზე და მერე კბილებით აიღეს, თუმცა...**

**ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი და ჟენევის დისკუსიის თანათავმჯდომარე ფილიპ ლეფორი ცხინვალში იმყოფებოდა და ლეონიდ თიბილოვთან შეხვედრისას განაცხადა, სამხრეთ ოსეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, სტატუსი დიდი ხანია, განსაზღვრულიაო.** რა გასაკვირია, რომ ოსურმა მხარემ ეს ამბავი მსოფლიოს მოსდო, ქართულმა მხარემ კი გააპროტესტა და ლეფორისგან ახსნა-განმარტება მოითხოვა. **ლეფორმა ცხინვალში ნათქვამი არ უარყო, თუმცა აღნიშნა, რომ ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით ურყევია.** ამ განცხადებამ ჩვენი ხელისუფალნი დაამშვიდა და ეს მაშინ, როცა ლეფორისთვის პირდაპირ უნდა ეკითხათ: ხერხემლის დაბოლოებასთან რაიმე ხომ არ გაწუხებსო? **კაცი პირდაპირ დაგვცინის და ესენი კიდევ ხმამაღალ სიტყვას ვერ უბედავენ.** ვერ უბედავენ მაშინ, როცა საქმე ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას ეხება და ხომ წარმოგიდგენიათ, ჩვენი უფლებების დაცვა რომ მოვთხოვოთ, რას იზამენ?

**ვერ გეტყვით, ჰყავს თუ არა ბიძინა ივანიშვილს ჭორვილაში სირაქლემა, მაგრამ ფაქტია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს ამ ფრინველის პოზაში ყოფნა ძალიან მოსწონთ და, როგორც იმ ანეკდოტშია, ერთ დღესაც გამოივლის ვინმე მადლიანი და...**

აქეთ კიდევ ფილიპ დიმიტროვი დადის და კარდაკარის პრინციპით მოსახლეობას იმას უმტკიცებს, ევროპის კარს რომ გაგიღებთ, აუცილებელი არ არის, ლგბტ აქტივისტები შეიყვაროთო. არადა, დიმიტროვი არ იყო, ლგბტ აქტივისტების მიმართ 17 მაისს გამოხატული სიყვარულის შემდეგ კრიტიკის ქარცეცხლში რომ გაგვხვია და დღემდე ნებისმიერ ანგარიშში გვახსენებენ, 17 მაისს ველურებივით მოიქეცით და ეს თქვენს ევროინტეგრაციას ხელს შეუშლისო?!

**იქით კიდევ ვლადიმერ ჟირინოვსკიმ ჩაგვახედა სარკეში და კარგი ვერაფერი დავინახეთ. მან პირდაპირ განაცხადა: ქართველები, კერძოდ კი ირაკლი ოქრუაშვილი, ამბობდა, რუსეთში, კარგად რომ შეფუთო, ფეკალიებიც გაიყიდება და ახლა ხომ ხედავთ, რა ხდება? — ქართველები დაჩოქილები გვეხვეწებიან, ჩვენი „ხვანჭკარა“ და „ბორჯომი“ იყიდეთო. ვიყიდით, ოღონდ წარწერა ინგლისურად კი არა, რუსულად უნდა იყოსო.**

როგორია? — მწარეა, მაგრამ სიმართლეა. სიმართლეა ის, რომ ღვინით ევროპისა და ამერიკის დაპყრობა გადავწყვიტეთ და არ გამოგვივიდა, ქართული ხილით მსოფლიო უნდა გაგვეოცებინა და არ გამოგვივიდა, „ბორჯომით“ ყველა უნდა გადარეულიყო, მაგრამ **საბოლოოდ მივხვდით, რომ რუსეთის ბაზარზე უარის თქმა ბოლო წლებში გაკეთებულ სისულელეთაგან ერთ-ერთი გამორჩეული იყო და მის გამოსწორებას ახლა ვცდილობთ.** ჟირინოვსკის კი, როცა ქილიკის შესაძლებლობას მისცემ, აუცილებლად გაგაქილიკებს და იცით, რატომ? ამის შანსს არც ჩვენ ვუშვებთ ხოლმე და, თუ გგონიათ, რომ ჟირინოვსკელები გვაკლია, კარგად გადახედეთ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს და ვლადიმერ ვოლფოვიჩის ორეულებს იოლად იპოვით.

**და მაინც, გვინდა თუ არა, უნდა ვაღიაროთ, რომ ლეფორი მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილებით ვერ იტყოდა იმას, რაც განაცხადა, და ეს კიდევ ერთხელ გვაიძულებს, დავფიქრდეთ იმაზე, რა გვინდა.**

**დავით მინდიაშვილი**

მოვლენა

## ტრაგედია მიცკევიჩის ქუჩაზე

27 იანვარს თბილისში, მიცკევიჩის ქუჩაზე, დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრში ტრაგედია დატრიალდა — შენობაში გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობად მისულმა მეხანძრეებმა პირველი სართულის ერთ-ერთ ოთახში გარდაცვლილი მამაკაცი იპოვეს. მეორე მამაკაცის ცხედარი კი, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები აღენიშნებოდა, — შენობასთან ახლოს.

გავრცელებული ინფორმაციით, ცენტრის ექიმმა, პროფესორმა ზურაბ ბენდელიანმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით 1980 წელს დაბადებული ანზორ ბექურიშვილი მოკლა.

მანამდე კი ბექურიშვილმა ცენტრის შენობაში, იმ ოთახში, სადაც ექიმი ბენდელიანი იმყოფებოდა, ასაფეთქებელი მოწყობილობა შეაგდო. ექიმმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა მოასწრო, თუმცა ოთახში გაჩენილ ხანძარს თავი ვერ დააღწია და დაიწვა.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოში მილიონ ჰექტარზე მეტი სახნავი მიწის ფართობი იყო, რომელიც განადგურდა და გადაგვარდა, მთელი ამ ხნის მანძილზე, 25 წელიწადს ვგულისხმობ, ამ მიწის მესამედიც არ დამუშავებულა. კომუნისტების დროს 800 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი მუშავდებოდა, ეს ერთწლიანი კულტურებისთვის. ხოლო მრავალწლიან კულტურებს სხვა ფართობი ეკავა. ყველაზე მაღალი მოსავალი მარცვლეულის იყო — 850 ათასი ტონა. ეს ერთ-ერთი რეკორდული მაჩვენებელი იყო.“**

# ჯუმბერ პატიაშვილი: საქართველოს სოფლის მეურნეობა განადგურების ზღვარზეა

**საქართველოში სოფლის მეურნეობა სულს რომ ღაფავს, არავისთვის უცხო არ არის, სოფლის მკვიდრთ უზარმაზარი სახლ-კარი მიტოვებული რომ აქვთ და დედაქალაქში სარდაფებში ცხოვრობენ, თავს კი „ტაქსაობით“ ირჩენენ, ესეც ჩვეულებრივი ამბავია. ახალი ხელისუფლება მილიარდი დოლარის ჩადებას გვპირდებოდა სოფლის მეურნეობაში დარგის ასაღორძინებლად, მაგრამ ხალხს „დრუჟბები“ და სხვა ხელსაწყოები შერჩათ მხოლოდ. გლეხები კვლავ უსახსრობას უჩივიან, მათ წელსაც ვერ შეძლეს მიწის დამუშავება, სათესლე მასალაც კი ვერ შეიძინეს. სოფლის მეურნეობის ქართულ პროდუქციას კვლავ „ცეცხლი უკიდია“ და გაზაფხულზე უფრო გაძვირდება. არადა, რამხელა შესაძლებლობების ქვეყანა გვქონია, ტურიზმიც კი ისე ყოფილა განვითარებული, რომ, მიშას ეს რომ სცოდნოდა, გაგიჟდებოდა, ეგონა, ყველაფერი თავად მოიგონა. ასე ჰგონია ახალ ხელისუფლებასაც. „საქართველო და მსოფლიო“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ პირველ მდივანს — ჯუმბერ პატიაშვილს ესაუბრა და მისგან ბევრი საინტერესო ინფორმაცია მოისმინა.**



**— ბატონო ჯუმბერ, თუ გაიხსენებთ, სოფლის მეურნეობის რა პროდუქტებს და რამდენს აწარმოებდა საქართველო და რა ვითარებაა დღეს?**

— საქმე ისაა, რომ წინა წლებთან პარალელს თუ გავავლებთ, შარშან რაღაც გაკეთდა სოფლის მეურნეობაში, მაგრამ ზუსტი ინფორმაცია, თუ რამდენი ჰა მიწა დამუშავდა, არ მაქვს, ალბათ, თქვენც არ გაწვდიან ამ ინფორმაციას.

**საქართველოში მილიონ ჰექტარზე მეტი სახნავი მიწის ფართობი იყო, რომელიც განადგურდა და გადაგვარდა, მთელი ამ ხნის მანძილზე, 25 წელიწადს ვგულისხმობ, ამ მიწის მესამედიც არ დამუშავებულა.**

**კომუნისტების დროს 800 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი მუშავდებოდა, ეს ერთწლიანი კულტურებისთვის. ხოლო მრავალწლიან კულტურებს სხვა ფართობი ეკავა. ყველაზე მაღალი მოსავალი მარცვლეულის იყო — 850 ათასი ტონა. ეს ერთ-ერთი რეკორდული მაჩვენებელი იყო.**

**— და ქვეყნისთვის თუ იყო საკმარისი?**

— საკმარისი არ იყო, ვინაიდან ჩვენ ერთ სულ მოსახლეზე საჭირო რაოდენობას მეცხოველეობის განვითარების კუთხითაც ვითვლიდით, ამიტომ საკმარისი ნამდვილად არ იყო. საქართველო მილიონ ტონამდე მარცვალს საკავშირო ფონდიდან იღებდა, ჩვენ კი ვაგზავნიდით: ღვინოს, ყურძენს, ჩაის, სხვადასხვა ციტრუსს, რაც ფარავდა შემოსულ პროდუქტს და დადებითი სალდო გვქონდა საკავშირო ურთიერთობებში.

**საქართველოში იყო ასევე მილიონ ხუთასი ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ორი მილიონ ორასი ათასი ცხვარი, მილიონი იყო ღორის სულადობაც. მართალია, იმდენ ხორცს ვერ ვაწარმოებდით ერთ სულ მოსახლეზე, რამდენიც საჭირო იყო, მაგრამ ტურიზმიც ყვაოდა — წელიწადში 5 მილიონ ტურისტს ვმასპინძლობდით და ამიტომ ხორცის მარაგსაც საკავშირო რეზერვებიდან ვიღებდით.**

**— ბატონო ჯუმბერ, ამ რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ გადაცემაში „ნაციონალმა“ ზურა ჯაფარიძემ თქვა, რომ საქართველო სოფლის მეურნეობის ქვეყანა არ არის, ეს სტალინმა ჩაგვაგონა და დაგვაჯერაო...**

— ვინც ამ თემაზე საუბრობს, არც ერთი ამ საქმის მცოდნე არ არის. საქართველო მიწათმოქმედების, ხორბლეულის, ბოსტნეულის ქვეყანაა. არის ისეთი პროდუქტები, რომლებიც მარტო საქართველოში მოდის. ოფიციალურად საქართველო მარცვლეულის სამშობლოა. მსოფლიოში არსებული მარცვლეულის 24 სახეობიდან 14 ჩვენს ქვეყანაში მოდის.

**საქართველოს სოფლის მეურნეობა ყოველთვის უზრუნველყოფდა ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნებს, რასაკვირველია, ექსპორტ-იმპორტის ბალანსირების საფუძველზე.**

**— ბანალური კითხვაა, მაგრამ მაინც გკითხავთ: არაფერი რომ აღარ გაგვაჩნია, რამ ან ვინ მიგვიყვანა აქამდე?**

— საქართველო ერთადერთია იმ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, რომელიც ნგრევაში მოყვა, სხვა რესპუბლიკები გამოცალკევდნენ, ჩვენ კი ნგრევაში მოვყევით.

ამაში ვერავის დავადანაშაულებ, ყველაფერი ქართველების ხელით გაკეთდა. ისრაელმა, ყველაზე მწირემიწიანმა ქვეყანამ, თანაც წყლის დეფიციტით, შეძლო შეექმნა ისეთი სოფლის მეურნეობა, რომელიც დღეს მხოლოდ ექსპორტზე მუშაობს.

**ჩაის კულტურა, რომელიც ძირითადად ექსპორტზე გადიოდა, თან ხარისხითაც გამოირჩეოდა, აღარ არსებობს. არადა, მას კონკურენციის გაწევა შეეძლო. საქართველო საერთოდ არ აწარმოებს ეთერზეთებს, მაშინ, როდესაც 32 ათასი ტონა იწარმოებოდა. ბოსტნეული კი ექსპორტზეც გაგვქონდა და საკუთარ მოსახლეობასაც ვაკმაყოფილებდით.**

ამ ყველაფრის აღდგენას დრო და გონივრული მიდგომა სჭირდება. არავინ თქვას, რომ სოფლის მეურნეობა საქართველოს ვერ გადაარჩენსო. ჩვენი ქვეყანა არის ერთადერთი ქვეყანა, რომელშიც, სუბტროპიკული კულტურებით დაწყებული, ჩრდილოეთ განედებამდე რაც პროდუქტი არსებობს, ყველაფერი მოდის.

**გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველო სოფლის მეურნეობის კუთხით ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული იყო და ბოლო 25 წლის განმავლობაში ის გადაიქცა უცხოური პროდუქტების ყველაზე დიდ მომხმარებლად. საქართველოს სოფლის მეურნეობა განადგურების ზღვარზეა. ეს ყველანაირი კვლევის შედეგად ასეა.** 194 ქვეყანაში ჩატარებული კვლევების მიხედვით, საქართველო ბოლო ადგილზეა. ნგრევა 90-იანი წლების ბოლოდან დაიწყო და ამ დრომდე გრძელდება. საერთაშორისო ორგანიზაციები გაკვირვებულნი არიან ამ მონაცემებით და ვერ ხვდებიან, რას უნდა გამოეწვია ასეთი ვითარება, რადგან საქართველოში არ შეცვლილა არც კლიმატი, არც მიწა, არ შემცირებულა წყალი და ა. შ. მეზობელ ქვეყნებში ვითარება ასეთია: სომხეთში სოფლის მეურნეობის წარმოების მაჩვენებელია 89,7%-ია, აზერბაიჯანში — 32,1%, თურქეთში — 26,8%.

**ესაუბრა**
**ეკა ნასყიდაშვილი**

# პირწავარდნილ სომეხთა მორიგი გამარჯვება საქართველოზე

**ავლაბარში, სომხურ ეკლესიაში, ყოველწლიური ეკუმენური ლოცვა ქრისტიანთა ერთობისთვის გაიმართა. ლოცვაში — გრიგორიანული ეკლესია, რომის კათოლიკური ეკლესია, ევანგელურ-ლუთერანული და ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია მონაწილეობდნენ. ლოცვას საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.**

შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი: **„მე მოწვეული ვიყავი ამ ლოცვაზე დასასწრებად, ეს გახლავთ ეკუმენური ლოცვა, რომელიც მრავალი წელია, საქართველოში აღევლინება და მასში ოთხი ქრისტიანული გაერთიანება მონაწილეობს. ისინი ლოცულობენ საქართველოს კეთილდღეობისთვის, ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობისთვის, მშვიდობისთვის და დღეს ეს ლოცვა განსაკუთრებით სირიასა და უკრაინაში არსებულ ვითარებას ეძღვნებოდა“.**

საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ეს ინფორმაცია შესაძლებელია ყურს ასე ცუდად სხვა დროს არ მოხვედროდა, მაგრამ დღეს, როდესაც მართლმადიდებლურ ეკლესიაზე ასეთი შეტევაა, ებრძვიან პატრიარქს, ბედავენ, გააკრიტიკონ მისი ყოველი წარმოთქმული სიტყვა, საბრალდებო სკამზე სვამენ სასულიერო პირებს მხოლოდ იმის გამო, რომ ეს უკანასკნელნი, რითაც შეუძლიათ, იბრძვიან ჩვენი შვილების უზნეობისგან დასაცავად და საქართველოს მთავრობა ამაზე ხმასაც კი არ იღებს ასეთ ვითარებაში, გვატყობინებენ, რომ ჩვენი მთავრობა ეკუმენურ ლოცვას ესწრება ევანგელისტ-პაბტისტებთან და ევანგელისტ-ლუთერანებთან ერთად და ამ ლოცვაში არ მონაწილეობს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია. სახელმწიფო მინისტრი კი გვიხსნის, რომ ისინი ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისთვის ლოცულობენ.

იცის თუ არა მინისტრმა ზაქარეიშვილმა, რომ ყოველ შაბათ საღამოსა და კვირა დილას ყველა მართლმადიდებლურ ეკლესიაში აღევლინება ლოცვა — საქართველოს მთავრობის, მხედრობისა და პრეზიდენტისა სახელზე? თანაც მართლმადიდებლებს ეკლესია გვასწავლის, რომ: **„მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიცია ერეტიკოსთა მიმართ, ანუ ყველა იმათ მიმართ, ვინც მართლმადიდებელი არ არის, ერთხელ და სამუდამოდ იქნა დამტკიცებული წმ. მოციქულებისა და წმ. მამების მიერ, ანუ ღვთივშთაგონებული გადმოცემით, რომელიც ერთია და უცვალებელი. ამ დებულების თანახმად, მართლმადიდებლებს ეკრძალებათ ნებისმიერ ერთობლივ ლოცვაში ან მსახურებაში მონაწილეობა ერეტიკოსებთან ერთად. რამეთუ „რაჲ მოყუსება არს სიმართლისა და უშჯულოებისაჲ? ანუ რაჲ ზიარება არს ნათლისა და ბნელისა? ანუ რაჲ შეტყუება არს ქრისტესი ბელიარის თანა? ანუ რაჲ ნაწილ უც მორწმუნესა ურწმუნოჲსა თანა?“** (2 კორ. 6,14-15).

მოციქულთა 45-ე კანონის თანახმად: **„ეპისკოპოსი და ხუცესი და დიაკონი, რომელი თანამლოცველ ოდენ ექმნეს მწვალებელთა, დაეცადენ მღდელობისაგან. ხოლო უკუეთუ აწვიოსცა მათ მოქმედებაჲ რაჲსმე სამღდელოთაგანისაჲ, ვითარცა მღდელთა, განიკუეთენ“.**

ზაქარეიშვილის ეკუმენისტურ ლოცვაზე დასწრება არ ჰქონდა ხალხს მონელებული, რომ დავოსიდან დაბრუნებულმა, დაჩქარებულ რეჟიმში მოსაუბრე ჩვენმა პრემიერმა, ასევე დაჩქარებულად, დილაუთენია გვახარა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 4,5 მილიონი ლარით ოთხი კონფესია დაფინანსდება — მუსლიმანური, გრიგორიანული, კათოლიკური და იუდაიზმი.

**ასეთი რამ, ანუ ზოგიერთ პირწავარდნილ სომეხთა ლობირებით საქართველოს მიმართ ისტორიულად მუხანათი გრიგორიანული ეკლესიისა და ვერაგ ტერტერათა ბიუჯეტის ხარჯზე დაფინანსება თვით ყოვლისშემძლე კათოლიკე პრემიერმა ვანო მერაბიშვილმაც ვერ გაბედა...**

მთავარი კი, ის არის, რომ საქართველოს ბიუჯეტში სეკვესტრში მოყვა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ქართველთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგი — განათლება, ვერ შეძლეს წინასაარჩევნოდ დაპირებული პენსიის გაზრდა და ასეთ დროს ბიუჯეტი ახერხებს, რომ დააფინასოს გრიგოიანული ეკლესია რომლის წარმომადგენელი ზოგიერთი ყოვლად პირწავარდნილი სომეხი ასეულობით ქართულ ტაძარს გვედავება და მუხლჩაუხრელად „ილვწის“ როგორც სეპარტისტული, ასევე სხვა ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი განწყობების კულტივაციისთვის.

**დედაეკლესია გვასწავლის, რომ უფლისკენ მიმავალი ერთადერთი მართალი გზა ჩვენი გზაა, მართლმადიდებლებისა, სხვა დანარჩენი მწვალებლობაა. გარდა ამისა, ყურადღებამისაქცევია ქართველთა და სომეხთა სადავო ტაძრები, დღემდე არ არის გარკვეული რამდენიმე ტაძრის ბედი და ასეთ ვითარებაში საქართველოს მთავრობა იჩენს „კეთილ ნებას“ და გრიგორიანელებს აფინანსებს. რა შეიძლება მოჰყვეს ამას, ნეტავ, თუ იცის ღარიბაშვილმა? რა კარგი იქნებოდა, ის ისევე სხარტად აზროვნებდეს, როგორც ლაპარაკობს... ეს არის ზოგიერთ პირწავარდნილ სომეხთა მორიგი გამარჯვება და ყოვლად გაუგებარია, რატომ ახორციელებს სომხური ლობის ინტერესებს ახალი პრემიერი საქართველოს სახელმწიფო ინტერესთა საზიანოდ.**

ქართველთა ფიქრი, ყოველივე ამის შემხედვარე, კიდევ ერთ საშიშ ტენდენციამდე მიდის — ცხადია, რომ ეს გადაწყვეტილება არ არის სპონტანური. კონფესიების დაფინანსება; სავარაუდოდ, პარაფირების ხელშეკრულებაში ვალდებულებად გვაქვს აღებული, ამიტომაც ხდება ამ ვალდებულების ფორსირებულად აღსრულება და, **თუ გავითვალისწინებთ გონივრულ ეჭვს, რომ პარაფირების ხელშეკრულებით ერთსქესიანი ქორწინების დაკანონების ვალდებულებაც გვაქვს აღებული, გამორიცხული არ არის, ერთ „მშვენიერ დილას“ ჩვენმა მთავრობამ გვახაროს: — პირველად საქართველოს ისტორიაში, დღეს სამების საკათედრო ტაძარში ჯვარს დაიწერენ შაქრო და ზაქრო.**

ქართველი ხალხი კატეგორიულად ითხოვს, განმარტოს მთავრობამ, თუ რა ვალდებულებები გვაქვს ნაკისრი პარაფირებული ხელშეკრულებით და ეს გააკეთოს აგვისტომდე.

**ეკა ნასყიდაშვილი**

„დასაფიქრებელია ისიც, რომ ნატოს წევრი ქვეყნების მაგალითზე არ ჩანს, რომ ნატო რაიმე სახის უსაფრთხოების გარანტიაა რომელიმე ამ ქვეყნისთვის და შესაბამისად, ის ვერ იქნება რაიმე უსაფრთხოების გარანტია საქართველოსთვის. პირიქით, ბოლო წლებმა აჩვენა, რომ ნატოსთან ურთიერთობა საქართველოსთვის მსხვერპლისა და დანაკარგის მომტანი აღმოჩნდა. ასე რომ, ვფიქრობ, საქართველო ალტერნატიული უსაფრთხოების საშუალებებზე უნდა დაფიქრდეს.“

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ანდრეი სუშენცოვი: ნატო ვერ იქნება უსაფრთხოების გარანტია საქართველოსთვის

**მსოფლიოს ყურადღება დღეს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებისკენ არის მიპყრობილი. კიევში ვითარება დღითიდღე იძაბება. ქვეყნის წინაშე უკვე უკრაინის ორად გაყოფის საშიშროებაც დგას. როგორ დასრულდება არეულობა და რა გავლენას მოახდენს უკრაინაში მიმდინარე მოვლენები საქართველოზე, „საქართველო და მსოფლიოს“ რუსი პოლიტოლოგი, ექსპერტი — ანდრეი სუშენცოვი ესაუბრება.**



**— ბატონო ანდრეი, როგორ შეაფასებთ უკრაინში მიმდინარე მოვლენებს, როგორი უნდა იყოს მსოფლიოს, მათ შორის რუსეთის ძალისხმევა ამ ეტაპზე, რათა უკრაინაში კონფლიქტი მშვიდობიანად დასრულდეს და ვითარება უმართავ პროცესებში არ გადაიზარდოს?**

— მართალი ბრძანეთ, ახლა მთავარია, კონფლიქტი მშვიდობიანად დასრულდეს და ვფიქრობ, რომ დღესდღეობით ყველას, საერთაშორისო საზოგადოების, მათ შორის რუსეთის, ინტერესებშიც არის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ეს ძალადობა სწორედ ოპოზიციის რადიკალური ნაწილისა და მათი ლიდერების მხრიდან მომდინარეობს.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა, აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჯონ კერისთან, კეტრინ ეშტონსა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტთან შეხვედრის შემდეგ აღნიშნა, რომ ყველანი სოლიდრულები და დაინტერესებულები არიან კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების საკითხთან დაკავშირებით. „ძალიან მნიშვნელოვანია, გარედან რაიმე სახის მოწოდებები არ ისმოდეს, რათა ოპოზიციამ და განსაკუთრებით შეიარაღებულმა „ბოევიკებმა“ ეს არ აღიქვან, როგორც წახალისება“, — განაცხადა ლავროვმა. ასე რომ, ვფიქრობ, უკრაინაში კონფლიქტის შემდგომი ესკალაციის თავიდან ასაცილებლად რაიმე სახის მოწოდებებისგან ახლა ყველა ქვეყანამ თავი უნდა შეიკავოს.

**— როგორ ფიქრობთ, ვინ არის დაინტერესებული უკრაინაში სიტუაციის გამწვავებით?**

— ვფიქრობ, უკრაინის ოპოზიციის რადიკალური ნაწილის გარდა, ამ ეტაპზე არავინ არის დაინტერესებული, თავად ოპოზიციაც, რომ ეს ძალადობა გაგრძელდეს უკრაინაში. მე ვერც იმას ვხედავ, რომ დღეს გარე ძალებს შეეძლოთ მიმდინარე პროცესებში ჩარევა. ყველაფერი თავად უკრაინელებმა უნდა გადაწყვიტონ.

**— უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ექსპერტები უცხო ქვეყნების, მათ შორის რუსეთის, ინტერესებზეც საუბრობენ. მართალია, რუსეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ არ ჩაერევა უკრაინის შიდა საქმეებში, ზოგიერთ რუსულ გამოცემაში იბეჭდება სტატიები იმის შესახებაც, რომ, თუ დღეს ოპოზიცია გაიმარჯვებს, უკრაინა რუსეთს საბოლოოდ ჩამოშორდება და იქ რუსეთისადმი აგრესიულად განწყობილი და ომზე ორიენტირებული რეჟიმი ჩამოყალიბდება, ამიტომ რუსეთს მაინც მოუწევს ჩარევა. ვითარების კიდევ უფრო გაუარესების შემთხვევაში, როგორ მოიქცევა რუსეთი?**

— ასეთი მოსაზრებები სიმართლეს არ შეეფერება. ამაზე რაიმე კომენტარიც არ მინდა გავაკეთო. **ბუნებრივია, შეუძლებელია, რუსეთს არ ადარდებდეს ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება, ვინაიდან უკრაინა ჩვენი ყველაზე დიდი მეზობელი და სავაჭრო პარტნიორია, მაგრამ რაიმე სახით რუსეთი არ ჩაერევა ამ კონფლიქტში** და, სამწუხაროა, რომ ზოგიერთი ექსპერტი ამგვარ ინფორმაციებს ავრცელებს, მეტიც, აცხადებენ, თითქოს რუსული სპეცნაზი კიევში ჩავიდა, რაც სიცრუეა.

**— საქართველოში ხშირად ისმის, ახლა ჩვენი ბედი კიევში წყდებაო. თქვენ იცნობთ უკრაინას, საქართველოს, როგორ ფიქრობთ, რა გავლენას მოახდენს და როგორ აისახება უკრაინაში მიმდინარე მოვლენები საქართველოზე?**

— საქართველომაც და უკრაინამაც საკუთარი ბედი თავად უნდა გადაწყვიტონ. რუსეთი როგორც კიევთან, ასევე თბილისთან დაკავშირებით ანალოგიურად იქცევა. რუსეთი არ ერევა საქართველოს შიდა საქმეებში და არ ჩარეულა არც შარშან, როდესაც ოქტომბერში, საპარლამენტო არჩევნებზე ქართველმა ხალხმა „ქართულ ოცნებას“ დაუჭირა მხარი. ქართველებმა თავად გააკეთეს ეს არჩევანი.

**— თუმცა, მოგეხსენებათ, კონფლიქტი ქვეყნაში, უკრაინის ხელისუფლების მიერ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმას მოჰყვა; სავარაუდოდ, უკრაინის მოვლენების შემდეგ, ევროკავშირი საქართველოსთან დაკავშირებით პროცესებს დააჩქარებს. საქართველოში ახალ ხელისუფლებაში მყოფ ბევრ პოლიტიკოსს მიაჩნია, რომ ევროინტეგრაციისა და ნატოსკენ საქართველოს მისწრაფება რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას ხელს არ შეუშლის. რას ფიქრობენ და როგორ უყურებენ საქართველოს აღნიშნულ მისწრაფებას მოსკოვში?**

— რუსეთი არ არის არც ნატოს და არც ევროკავშირის წევრი და შესაბამისად, ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებებსაც არ იღებს. გაწევრიანდება თუ არ საქართველო ნატოსა და ევროკავშირში, ამას აღნიშნული ორგანიზაციები თავად წყვეტენ. ბუნებრივია, რუსეთს აქვს თავისი ინტერესები როგორც საქართველოსთან, ასევე უკრაინასთან დაკავშირებით და საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას, საქართველოს ნატოში გაწევრიანების თაობაზე, მოსკოვი, ბუნებრივია, არ მიესალმება, მაგრამ მოგეხსენებათ, დიპლომატიური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის ამ ეტაპზე შემწყდარია.

**დასაფიქრებელია ისიც, რომ ნატოს წევრი ქვეყნების მაგალითზე არ ჩანს, რომ ნატო რაიმე სახის უსაფრთხოების გარანტიაა რომელიმე ამ ქვეყნისთვის და შესაბამისად, ის ვერ იქნება რაიმე უსაფრთხოების გარანტია საქართველოსთვის. პირიქით, ბოლო წლებმა აჩვენა, რომ ნატოსთან ურთიერთობა საქართველოსთვის მსხვერპლისა და დანაკარგის მომტანი აღმოჩნდა. ასე რომ, ვფიქრობ, საქართველო ალტერნატიული უსაფრთხოების საშუალებებზე უნდა დაფიქრდეს.**

«ნატოსთან ურთიერთობა საქართველოსთვის მსხვერპლისა და დანაკარგის მომტანი აღმოჩნდა»

**— საქართველოს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მოსკოვში თქვენი საექსპერტო მოხსენების პრეზენტაცია გაიმართა სახელწოდებით „საქართველო არჩევნების შემდეგ და ქართულ-რუსული ურთიერთობების პერსპექტივა“. თქვენ ბრძანეთ, რომ „ინტერესი გაიზარდა, მოძრავი ძალა, რომელიც მართავს რუს და ქართველი ხალხს, ეს არის ურთიერთსიმპათია, მზადყოფნა ერთმანეთის მოსმენისა და გაგებისა“. ცოტა ხნის წინ საქართველოშიც იმყოფებოდით. რა იყო თქვენი ვიზიტის მიზანი და რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე ხელისუფლების შეცვლის შემდგომ ქვეყანაში განხორციელებულმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა?**

— დიახ, ცოტა ხნის წინ ვიმყოფებოდი საქართველოში და ჩემი ურთიერთობა, დიალოგი ექსპერტებთან, მედიასთან კვლავ გრძელდება. რაც შეეხება არსებულ ვითარებას, პოზიტიური ცვლილებები, ბუნებრივია, შეინიშნება — ყველა კონტაქტი, რომელიც 2008 წლის შემდეგ გაწყდა, ნელ-ნელა აღდგა. მახსოვს, ჩემი კოლეგების დეპორტაციაც განახორციელეს, ჩვენ, უბრალოდ, ჩამოსვლასაც ვერ ვახერხებდით საქართველოში. მადლობა ღმერთს, ამჟამად აგრესია, როგორც ასეთი, აღარ არსებობს. პროცესი გაჯანსაღდა. ვფიქრობ, უფრო მეტად საღად დავიწყეთ ერთმანეთთან ურთიერთობა და ერთმანეთსაც უფრო მეტად ადეკვატურ პასუხებს ვცემთ. **მიუხედავად იმისა, რომ ბევრ საკითხში ახალ მთავრობასაც წინა ხელისუფლების მსგავსი პოზიცია აქვს, განსაკუთრებით „გაყინულია“ საკითხი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, იმედს არ ვკარგავ, რომ პერსპექტივაში ყველაფერი კარგად იქნება.**

ესაუბრა **შორენა ციკქარაშვილი**



# შაურმა ყეფს, ქარავანი მიდის

**საქართველოში უცხოელების ვოიაჟები აღარ გვიკვირს, მაგრამ იყო დრო, ჩინელებს ისე ვუმზერდით, როგორც მსოფლიოს მერვე საოცრებას და ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ყველამ ვიცოდით, ჩინელები ძაღლის ხორცს ჭამდნენ, ჩვენთან კი, მოგეხსენებათ, ძაღლი ადამიანის მეგობარია... დროის გასვლასთან ერთად, მეგობრობის გაგება ჩვენშიც შეიცვალა და ადამიანის ოდინდელ მეგობრებს არაადამიანურად დავერიეთ.**

გასულ კვირას ტაბიძის ქუჩაზე არსებულ რამდენიმე რესტორანში ზედამხედველობის სამსახურმა ვირისა და ძაღლის ხორცი აღმოაჩინა. ვირი ცალკე თემაა, რაც შეეხება ძაღლს, ამბობენ, რომ ძაღლის ხორცი სამკურნალოც კი არის, მაგრამ რატომ გადაწყვიტეს რესტორნის მეპატრონეებმა, რომ ქართველებს მასობრივად გვჭირდება მკურნალობა, ვერ გეტყვით. ალბათ, ამას ისევ ჩვენზე ზრუნვის გამო აკეთებენ, პროფილაქტიკის მიზნით. ჰოდა, **მომავალში თუ მენიუში საინტერესო კერძები გამოჩნდება, ნუ გაიოცებთ. მაგალითად, ისეთი, როგორიც არის**

„ხინკალში ავი ძაღლია“, „ძაღლი შინ არ ვარგოდა, რესტორანში გარბოდა“, „ქაბაბი კუდის ქიცინით“...

2003 წლიდან მთელი 9 წლის განმავლობაში ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს მთელი ერი ვირის ხორცს ჭამდა და, როცა ხელისუფლება შეიცვალა, ვიფიქრე, გვეშველა-მეთქი, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ახალმა ხელისუფლებამ, უბრალოდ, დოზა გაზარდა. სადაც რესტორნის მენიუ, იქაც შაურმაო და... ცნობილ თუ უცნობ საშაურმეებში ძაღლისა და ვირის ხორცი აღმოაჩინეს. **ახალმა პროდუქტმა ახალი იდეები გააჩინა და მალე ერთი რეჟისორი „მაგდანას ლურჯას“ რემეიქის გადაღებას აპირებს სახელწოდებით**

**„მაგდანას შაურმა“,** ხოლო მეორე რეჟისორს სხვა ფილმის სათაური აქვს შერჩეული — **„შავყურა, თეთრი შაურმა“.**

სავარაუდოდ, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელიც აგვყვება და აუცილებლად გადაიღებს ფილმს

„ოთხი ტანკისტი და შაურმა“.

ვისაც ჰგონია, რომ ძაღლისა და ვირის ხორცი თანამედროვე ბიზნესმენების „ნოუ ჰაუ“, ძალიან ცდება. ამ ყველაფერს სათავე ჯერ კიდევ კომუნიზმის დროს დაედო, როცა სოლოლაკში, ერთ-ერთი სახინკლის სარდაფში ძაღლის თავები იპოვეს, მერე კი, როცა საქართველოს პირველი პრეზიდენტი სახელმწიფო გადატრიალების გზით მოიცილეს, თენგიზ სიგუა დაგვპირდა, კენიიდან ხორცი და კარაქი მოდის და იმით გავალთ იოლად, სიდუხჭირის ნუ შეგეშინდებათო. მართალია, სიგუას არ დაუკონკრეტებია, კენიიდან რის ხორცს ელოდა, მაგრამ იმხანად ხალხი ისე იყო ერთმანეთის ჭამას მიჩვეული, ყველაფერს აიტანდა და აიტანა კიდეც. **მერე კენგურუს კონსერვები შემოვიდა, მერე ბიზონიც დავაგემოვნეთ და, ახლა რომ გაიძახიან, ეგზოტიკური სამზარეულოო, რაც ქართველებს გვაქვს გადატანილი, ეგზოტიკა კი არა, ყველაზე ველური ტომის ყველაზე დიდ გურმანს შეშურდებოდა.** იმას აღარ ვამბობ, ცხენის „კორმით“ პურს რომ გვიცხობდნენ და მერე მის საყიდლად ღამეებს რომ ვათენებდით... **ერთი ეგ მიკვირს, ჭიხვინი როგორ არ დავიწყეთ?! თუმცა რაღა ჭიხვინი, არც ის მსმენია, შაურმანაჭამ ადამიანებს ან ყროყინი დაეწყოთ ან ყეფა.**

თბილისში ეს ამბავი გაცივებულიც არ იყო, რომ ვირის ხორცი ბათუმის საშაურმეში აღმოაჩინეს. გაგიჟებულან თურქები (ქართველები უმცირესობაში არიან), ამას გვაჭმევდნენო?! და როგორც შევიტყვეთ, საპროტესტო ნოტას ამზადებენ, ვირზე დააკრავენ და ისე გამოგზავნიან. სამაგიეროდ, სომხებმა გამოგვიგზავნეს მადლობის წერილი (ძაღლს გამოატანეს), აქაოდა, კიდევ კარგი, ეგ ამბავი ზაფხულში არ გასკდა, თორემ ხომ გადაირეოდა ნახევარი სომხეთი და ეგებ, ზაფხულამდე მენიუში ვირები და ძაღლები აკრძალოთო. არ არის ცუდი იდეა და იქნებ მართლა აგვეკრძალა, მაგრამ ამ წინასაარჩევნოდ ან ერთს ვინ შეელევა, ან მეორეს, ვერ გეტყვით.

**დავით მინდიაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სასაცილოა, როდესაც პრემიერმინისტრმა ჩემზე 5 წუთი ილაპარაკა, — პროკურატურის თანამშრომელი ფოტოშოპით რომ ერთობა, კატასტროფაა და ამაზე უარესი რაღა უნდა მოხდესო. უარესი ის არის, ბატონო პრემიერმინისტრო, რაც დღევანდელ პროკურატურაში ხდება“.**



# გიორგი ნოზაძე: გამომძიებლებისა და პროკურორების 95 პროცენტს ნაცმოძრაობისდროინდელი ადამიანები შეადგენენ

**ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ქუთაისის მერისა და საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობას ვიღაც იკავებს, მაგრამ ეს ადგილი მალევე ვაკანტური ხდება. საზოგადოება ხუმრობს კიდეც, ქუთაისის მერის სავარძელს თავის დროზე თემურ შაშიაშვილმა გაუკეთა ჯადო, ხოლო გენერალური პროკურორის სკამს — ადეიშვილმაო. ქუთაისს ახლაც არ ჰყავს მერი, რადგან ეს თანამდებობა დიმიტრი კოპალიანმა სამთვიანი მუშაობის შემდეგ დატოვა და ქალაქი მერისა და მერის მოვალეობის შემსრულებლის გარეშე დარჩა. რაც შეეხება საქართველოს მთავარ პროკურორს, ამ თანამდებობაზე კბილაშვილისა და ფარცხალაძის შემდეგ ახლახან დაინიშნა გიორგი ბადაშვილი, რომლის შესახებაც (მისი წინამორბედი ფარცხალაძის მსგავსად) საზოგადოებას ბევრი არაფერი სმენია, ვიზუალურადაც მხოლოდ ერთი ფოტოთია ცნობილი. აი, რას ყვება ადვოკატი, საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ყოფილი უფროსი გამომძიებელი გიორგი ნოზაძე, რომელიც რამდენიმე თვის წინათ საგამოძიებო ნაწილის იმჟამინდელმა უფროსმა გიორგი ბადაშვილმა სამსახურიდან გაათავისუფლა:**

— საქართველოს პროკურატურაში დაახლოებით 11 წელი ვიმუშავე და გარკვეული მიზეზების გამო 2002 წელს წამოვედი. როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ „ქართულმა ოცნებამ“ შეცვალა, 2012 წლის ნოემბერს მთავარ პროკურატურაში საქართველოს იმჟამინდელმა მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა დამაბრუნა, მაგრამ მხოლოდ ერთი წელი დამცალდა მუშაობა. არადა, ამ ხნის განმავლობაში ისეთი საქმეები გავხსენი, ბევრი გამომძიებელი ვერ დაიტრაბახებს. **ჩემ მიერ გამოძიებული საქმეების მიხედვით, ხუთ პირს გამოუტანეს გამამტყუნებელი განაჩენი და ეს ხუთი ადამიანია: ბაჩანა ახალაია, მეგის ქარდავა, დავით ჭაკუა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელი ჩახვაძე და აჭარის კუდის ხელმძღვანელი თეიმურაზ პატარიძე.**

მთავარი არის ის, რომ, როცა მთავარი პროკურორი კბილაშვილი იყო, მუშაობის ნორმალური პირობები გვქონდა, მაგრამ ლაშა ნაცვლიშვილმა, როგორც კი მთავარი პროკურორის მოადგილედ დაინიშნა, ხელში აიღო მთელი ძალაუფლება. არადა, ციხის ბუნტის საქმიდან დაწყებული, უამრავ მნიშვნელოვან ეპიზოდს ვიძიებდი, მაგრამ ხელი შემიშალეს. **ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა, ქართველ ხალხს იმედი გაგვიჩნდა, რომ გაყინულ გახმაურებულ საქმეებს გამოვიძიებდით, მაგრამ ვინ გვაცალა? კბილაშვილის წასვლის შემდეგ არავის უკითხავს, ვინ რაზე ვმუშაობდით, რა წინსვლა ან პრობლემა გვქონდა, ფეხებზე ვეკიდეთ.**

**— ბაჩო ახალაიას რომელ საქმეს იძიებდით?**

— 2001 წლის ციხის ბუნტის დაწყების ეპიზოდს, რომელიც გამოვიძიე, გავგზავნე სასამართლოში და ახალაიას გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს, მაგრამ სააკაშვილმა, რომელიც იმხანად პრეზიდენტი იყო, შეიწყალა. მხოლოდ ამ საკითხში გამოუტანეს ბაჩანა ახალაიას გამამტყუნებელი განაჩენი, დანარჩენში გაამართლეს.

**— თქვენ რატომ გაგათავისუფლეს?**

— ჩემს თანამშრომელს გავეხუმრე ფოტოშოპით. ახალმა ხელმღვანელობამ ეს პროკურატურის მუშაკისთვის შეუფერებელ საქმიანობად მიიჩნია და ამ სისულელის გამო 4 ადამიანი გაგვიშვეს სამსახურიდან. ეს მხოლოდ მიზეზი იყო. რომ არა ჩემი ხუმრობა, ადრე თუ გვიან მაინც ასე მოხდებოდა, რადგან მანამდე ცალ-ცალკე დაიბარეს ჩვენი სამსახურის თანამშრომლები და უცერემონიოდ გაათავისუფლეს.

**— ვინ ათავისუფლებდა ხალხს სამსახურიდან?**

— გიორგი ბადაშვილი. ფარცხალაძემ, როგორც კი მთავარ პროკურორად დაინიშნა, მყისვე მოიყვანა ბადაშვილი და მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსად დანიშნა. მეც მან გამათავისუფლა. რაც მთავარია, **ბადაშვილი ყველას ერთი ტექსტით მიმართავდა: შენი ნებით დაწერე განცხადება, თორემ გენერალური ინსპექციის დასკვნით გაგაგდებთო. მეც ზუსტად ასე დამემუქრა.**

გენერალური ინსპექციის დასკვნით სამსახურიდან გაშვების არ შემშინებია, რადგან დანაშაული არავის წინაშე არ მიმიძღოდა, უბრალოდ, შიშის განცდა დამეუფლა — საშინელებაა, როცა ასეთ გახმაურებულ საქმეებს იძიებ, ხელმძღვანელობა კი ჩასაფრებულის პოზიციიდან გითვალთვალებს და ცდილობს, რამე გავნოს. ვიფიქრე, შეიძლება, შარში გამხვიონ-მეთქი და იძულებული გავხდი, განცხადება დამეწერა და სამსახურიდან წამოვსულიყავი. ეს ყველაფერი 2013 წლის 29 ნოემბერს მოხდა.

**— ოთარ ფარცხალაძე როგორი ხელმძღვანელი იყო?**

— ის პროკურატურაში მომუშავე პერსონალს არასდროს შეხვედრია, სახეზეც კი არ გვინახავს. საქმეზე ხომ საერთოდ არ ყოფილა ლაპარაკი. ყველაზე მეტად გული ჩემ მიერ გამოძიებულ საქმეებზე დამწყდა. იმდენი ვიწვალე და ყველაფერი წყალში ჩაყარეს. კაციშვილი არ დაინტერესებულა, რა ხდებოდა თითოეულ საქმეში. **პროკურატურის ხელმძღვანელობისთვის პრიორიტეტული არ ყოფილა თემა, რომელსაც სამართლიანობის აღდგენა ჰქვია. მათი პრიორიტეტი იყო 2012 წლის შემდეგ მიღებული თანამშრომლების გაყრა და პროკურატურის დაკომპლექტება ფინანსური პოლიციის კადრებით.**

**დიახ, კბილაშვილის მიყვანილი კადრები პირწმინდად გაყარეს პროკურატურიდან, ხოლო გამომძიებლებისა და პროკურორების 95 პროცენტს ნაცმოძრაობისდროინდელი ადამიანები შეადგენენ.** არ გეგონოთ, კბილაშვილის ახლობელი ვიყავი. მან გაიკითხა ჩემი სახელი, გაიგო, წლების განმავლობაში რა საქმეები მქონდა გამოძიებული, დამიბარა და შემომთავაზა გამომძიებლად მუშაობა.

**— ახალ მთავარ პროკურორს რატომ არ მოუხვედით თვალში?**

— 2012 წლის შემდეგ მისულ გამომძიებლებს მოგვცეს ის საქმეები, რომელთა მიხედვითაც სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმების აღძვრა უნდა დამდგარიყო დღის წესრიგში. ჩვენ მართლაც დავიწყეთ თითოეული საქმის დეტალურად გამოძიება და, როგორც ჩანს, გადავაჭარბეთ, ამიტომაც გაგვაჩერეს. ამ შემთხვევაში სახელმწიფო მანქანა ამუშავდა.

სააკაშვილის ხელისუფლება ფინანსურ პოლიციაში ბიზნესმენებს თუ რიგით ადამიანებს თავიანთი ბიზნესისა და ქონების სახელმწიფოსთვის ჩუქების აქტს აფორმებინებდნენ და დღეს ეს ადამიანები რა დღეში არიან? მხოლოდ ბიზნესისა და ქონების იძულებით ჩუქების შესახებ 9200 განცხადება დევს პროკურატურაში. ვისაც ჩუქების განცხადების გარეშე წაართვეს ქონება, ეს კიდევ სხვა საქმეა. „ქართული ოცნება“ ხალხს დაჰპირდა, სამართლიანობას აღვადგენთო და პროკურატურას დაზარალებული ხალხი მოაწყდა. **ათასობით განცხადება შემოვიდა, ვინ, როდის და რატომ წაართვა ან აჩუქებინა ქონება. ეს ყველაფერი ახალ ხელისუფებას დაზარალებული ხალხისთვის რომ დაებრუნებინა, ქვეყნის ბიუჯეტის ნახევარი დასჭირდებოდა, ამიტომაც არ მოისურვა ახალმა ხელისუფლებამ მისი წინამორბედის მიერ წართმეული, მიტაცებული ქონების ხალხისთვის დაბრუნება.**

ასე რომ, ჩვენ, 2012 წლის შემდეგ პროკურატურაში მისული ხალხი რომ დავრჩენილყავით, ყველაფერს დეტალურად გამოვიძიებდით და სახელმწიფო იძულებული გახდებოდა, ხალხისთვის ზარალი აენაზღაურებინა, მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ ამის გაკეთება არ ინება და მოკლე გზით წავიდა, ანუ პროკურატურაში ის კადრები მიაბრუნა, რომლებიც იმხილებოდნენ ამა თუ იმ დანაშაულში, კერძოდ, ქონების წართმევაში.

დიახ, დღეს პროკურატურაში მუშაობენ ის ადამიანები, რომლებიც თავიან გაფუჭებულ საქმეებს არ გამოიძიებენ, რადგან საკუთარ თავს გისოსებს მიღმა არ გაუშვებენ. შესაბამისად, სააკაშვილის გუნდიც კმაყოფილი დარჩა და ახალი ხელისუფლებაც. დაზარალებული ადამიანები კი ამხელა ფინანსურ ზარალსა და მორალურ ზიანს ადრე თუ გვიან მოინელებენ და ეგ იქნება. **წინა და მომდევნო მთავრობა კმაყოფილია, ხალხი კი — უკმაყოფილო და ეს ყოფილა კოაბიტაცია. იმიტომაც გაგვყარეს სამსახურიდან, რადგან ჩვენ კოაბიტაციაში ხელს შევუშლიდით. სასაცილოა, როდესაც პრემიერმინისტრმა ჩემზე 5 წუთი ილაპარაკა, — პროკურატურის თანამშრომელი ფოტოშოპით რომ ერთობა, კატასტროფაა და ამაზე უარესი რაღა უნდა მოხდესო. უარესი ის არის, ბატონო პრემიერმინისტრო, რაც დღევანდელ პროკურატურაში ხდება, და ისიც, რომ ნასამართლევი კაცი მთავარ პროკურორად არ უნდა დანიშნო.**

**— ფარცხალაძის მსგავსად, საზოგადოებას არც ბადაშვილის პიროვნებაზე აქვს წარმოდგენა, თქვენ, ასე თუ ისე, იცნობთ...**

— თავიდანვე ვიცოდი, რომ საქართველოს გენპროკურორი ან ფარცხალაძე იქნებოდა, ან ბადაშვილი, ან შოთაძე. სხვა სფეროდან დღევანდელი ხელისუფლება მთავარ პროკურორს ვერ დანიშნავდა. კახი კახიშვილისა და ეკა ბესელიას კანდიდატობაზე საზოგადოების თვალის ასახვევად საუბრობდნენ, რეალურად, ფინანსური პოლიციის წარმომადგენლის გარდა არავის დანიშნავდნენ ამ თანამდებობაზე, რადგან სხვები თავიანთ კადრებს მოიყვანდნენ და იმ საქმეებს, რომლებიც თაროზე დევს და არ უნდა გაიხსნას, გახსნიდნენ; ამიტომაც სხედან სკამებზე ფარცხალაძე, ბადაშვილი და სხვები, რომლებიც სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში ფინანსურ პოლიციაში მუშაობდნენ და ღამის ორ საათზე ადამიანებს თავიანთი ბიზნესის გაჩუქების განცხადებებს აწერინებდნენ. ისინი, პირველ რიგში, თავიანთ დანაშაულს ფარავენ. არადა, **თაროზე შემოდებული საქმეების გამოძიება რომ დაიწყოს, ფარცხალაძეს, ბადაშვილსა და სხვებს სამართლებრივი პრობლემები შეექმნებათ.**

ახლა კი წინა და ახლანდელმა ხელისუფლებამ მოილაპარაკეს, რომ ხალხს წართმეულ ქონებას არ დაუბრუნებენ. თვითონ აიწყვეს საქმე და ხალხი დარჩა მოტყუებული. **ქართველი ხალხისადმი ასეთი დამოკიდებულება ამ ხელისუფლებასაც იმავე ჩიხში შეიყვანს, რომელშიც „ნაცმოძრაობა“ შევიდა. ასეთი აგდებული დამოკიდებულება ხალხის მოთმინების ფიალას აავსებს და კვლავ ქუჩაში გამოვა.**

ადამიანმა პროკურორის უნარ-ჩვევები რომ შეისწავლოს და საშუალო დონის პროკურორი დადგეს, სულ ცოტა, ათი წელი მაინც უნდა იმუშაოს პროკურორად. ბადაშვილს გამომძიებლად კი აქვს რამდენიმე წელი ნამუშევარი, მაგრამ პროკურორობასთან შეხება არ ჰქონია. ბადაშვილი თავის თანამშრომლებს ახლაც მხოლოდ მუქარის ენით ელაპარაკება და სამსახურიდან ყრის.

**— ახლა რას აპირებთ?**

— სასამართლოში სამსახურიდან ჩემი დათხოვნის საკითხზე სარჩელი შევიტანე. ამას გარდა, მეორე საკითხზეც უნდა ვიჩივლო: როგორც კი სამსახურიდან გამიშვეს, სამ დღეში საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა ვაკანსია გამოაცხადა ერთ-ერთ თანამდებობაზე. შევიტანე გაცხადება, გავედი ტესტირებაზე, ჩავაბარე ზოგადი უნარები და ა. შ. ყველაზე უცნაური იყო ის, რომ **ტესტირებაზე 10 მამაკაცი ვიმყოფებოდით, კონკურსში კი გაიმარჯვა ვინმე ელზა საკანდელიძემ. ტესტირება არც ერთ ქალბატონს არ გაუვლია, თორემ ვიფიქრებდი, მან გაიმარჯვა-მეთქი.** ასე რომ, ამ საკითხზეც ვაპირებ ჩივილს, რადგან კონკურსი გააყალბეს, მაგრამ საქართველო ის ქვეყანაა, რომელშიც უსამართლობასთან ბრძოლას ჯერჯერობით აზრი არ აქვს, მაგრამ ვნახოთ, იქნებ რამე გამოსწორდეს.

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

„2004 წელს სააკაშვილმა ადმირალ ირემაძეს დავალება მისცა, რომ, თუ რუსეთიდან რაიმე გემი შემოვიდოდა, ჩაეძირა. ირემაძემ აღნიშნული ბრძანება არ შეასრულა, რადგან, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, რა მოჰყვებოდა მსგავს ქმედებას რუსეთის მხრიდან. სააკაშვილს 2008 წლის გეგმის განხორციელება ჯერ კიდევ 2004 წელს უნდოდა და ამას ბათუმიდან იწყებდა.“

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ჩუმად გავაკეთებინე ექსპერტიზა და აღმოჩნდა, რომ ადმირალი ირემაძე დარიშხანით იყო მოწამლული»

**დამოუკიდებელ საქართველოს თავისი ისტორიის მანძილზე ერთადერთი ადმირალი ჰყავდა, რომლის გარდაცვალების საქმეც დღემდე ბურუსითაა მოცული. რვა წლის მანძილზე ოჯახს ხმა არ ამოუღია, რადგან გამუდმებული ტერორის ქვეშ იმყოფებოდა. მათ ახლა ახალი ხელისუფლების იმედი აქვთ და სჯერათ, რომ საქმე დაიძვრება, მაგრამ მთავარი მოწმე დღემდე არ იმყოფება საქართველოში და მის ჩამოყვანაზე საუბარიც არ არის.**
**რა გახდა ადმირალ ირემაძის სიკვდილის მიზეზი? რა დავალება მისცა სააკაშვილმა ადმირალს? რატომ არ ჰყავს საქართველოს საზღვაო ფლოტი? რისი იმედი აქვს მოკლულის ოჯახს? — ამ და სხვა მნიშვნელოვან დეტალებზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიოს“ თადარიგის კაპიტანი გოდერძი ორმოცაძე ადმირალის ქალიშვილთან — თამთა ირემაძესთან ერთად დაუკავშირდა.**



**გოდერძი ორმოცაძე:**

— დამოუკიდებელ საქართველოს ერთადერთი ადმირალი ჰყავდა — ზურაბ ირემაძე. მისი შექმნილი იყო საზღვაო ფლოტიც, მის სახელს უკავშირდება საბრძოლო გემების შემოყვანაც. მოკლედ, ქვეყნის ერთგული და პატრიოტი კაცი იყო. მას მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა პრემიერ ზურაბ ჟვანიასთან. ამდენად, ის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლებაში მოსულ მთავრობასთან დაახლოებული გახლდათ.

ბათუმში დაწყებული არეულობის დროს, 2004 წელს, როდესაც ასლან აბაშიძის გადაგდება უნდოდათ, ყველას გახსოვთ, თუ როგორ განვითარდა მოვლენები. ასლან აბაშიძის გადასარჩენად რუსეთიდან ივანოვი ჩამოვიდა. **სააკაშვილმა ადმირალ ირემაძეს დაავალა, რომ, თუ რუსეთიდან რაიმე გემი შემოვიდოდა, ჩაეძირა. ირემაძემ აღნიშნული ბრძანება არ შეასრულა, რადგან, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, რა მოჰყვებოდა მსგავს ქმედებას რუსეთის მხრიდან. სააკაშვილს 2008 წლის გეგმის განხორციელება ჯერ კიდევ 2004 წელს უნდოდა და ამას ბათუმიდან იწყებდა.**

**— რა გაძლევთ ასეთი განცხადების გაკეთების საფუძველს?**

— ამ ინფორმაციას დაადასტურებს პოლკოვნიკი ვიქტორ ჭელიძე, თუ ოდესმე საქართველოში დაბრუნდა. ის მას შემდეგ წავიდა ქვეყნიდან, რაც ადმირალი ირემაძე მოკლეს. **ადმირალს რუსული გემების ჩაძირვის სანაცვლოდ სააკაშვილი 4 მილიონ დოლარს სთავაზობდა, მაგრამ მან უარი განუცხადა. ოჯახის წევრები და მისი მოადგილე ვიქტორ ჭელიძე იხსენებენ, რომ ბატონი ზურაბი იმ დღეს საშინლად გაღიზიანებული დაბრუნებულა შინ და უთქვამს: — სააკაშვილმა ისეთი დავალება მომცა, ეჭვი მაქვს, ჩემი სიკვდილი უნდაო.**

ახალმა ხელისუფლებამ, ჯარის გაძლიერების მიზნით, ძალიან მალე უკრაინიდან და ბელორუსიდან იარაღის შემოტანა დაიწყო, რომელიც აუცილებლად ზღვით უნდა შემოსულიყო, ადმირალმა შენიშნა, რომ რაღაც საბუთები უკანონო იყო, ასევე შენიშნა, რომ იყო ნარკოტიკული ნივთიერებებიც და ამიტომ გემების შემოსვლა შეაჩერა. ადმირალის გადაწყვეტილებამ სააკაშვილი ჭკუიდან გადაიყვანა.

ზურაბ ჟვანიას ძალისხმევით, 2004 წლის აგვისტოში ზურაბ ირემაძე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსად უნდა დანიშნულიყო, ბრძანება ხელმოწერილი იყო. ორშაბათ დღეს, 13 აგვისტოს, ადმირალი ფოთიდან თბილისში წამოსასვლელად რომ ემზადებოდა, გარდაიცვალა. რამდენიმე დღეში ავტოავარიით მისი სიძე, სამხედრო გემის კაპიტანი — დავით რუხაძეც დაიღუპა.

**არც ერთ მათგანს ექსპერტიზა არ ჩაუტარდა, მიუხედავად ოჯახის წევრების კატეგორიული მოთხოვნისა. ირემაძის გარდაცვალების მიზეზად გულის შეტევა დასახელდა.**

მოგვიანებით ოჯახის ექიმმა ზაზა შალამბერიძემ განმარტა: „ოჯახის წევრებს ვაძლევდი ისეთ პრეპარატებს, რომ მათ ეს ტრაგედია ადვილად გადაეტანათ“.

**ქვეყნიდან გაქცეული პოლკოვნიკი ჭელიძე ამბობს, რომ ადმირალის სიკვდილში ეჭვი რომ შეეპარა, ჩუმად გავაკეთებინე ექსპერტიზა და აღმოჩნდა, რომ ზურაბ ირემაძე დარიშხანით იყო მოწამლულიო.**

ამ დრომდე ირემაძის საქმეზე ბევრი რამ ითქვა და საქმეც დიდი ხანია ძიებაშია, მაგრამ ამ დეტალებზე არავის უსაუბრია. აქვე მინდა, აუცილებლად აღვნიშნო, რომ **ამ საქმეში პოლკოვნიკ ვიქტორ ჭელიძის ჩვენებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მან ძალიან ბევრი რამ იცის თავდაცვის სამინისტროს ძველი და ახალი თანამშრომლების შესახებ.** ასევე იცის სააკაშვილის, კეზერაშვილის, ოქრუაშვილის ბინძური საქმეების შემსრულებელი ადამიანების ვინაობაც. საქართველოში მისი დაბრუნება, როგორც ჩანს, ახალ ხელისუფლებასაც არ აძლევს ხელს.

## აღმირალი ირემაძე პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანების შეუსრულებლობას შეეწირა?

**თამთა ირემაძე:**

— მე მოგიყვებით, როგორ დაიღუპა მამაჩემი 2004 წლის 13 აგვისტოს და რა იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. მამა და ჩემი მეუღლე ბათუმში მეგულებოდნენ, რადგან იქ რაღაც სწავლებაზე იყვნენ წასულები, ამიტომ იმ საღამოს არ ველოდებოდი, მაგრამ მამა მოვიდა. საშინლად გამოიყურებოდა, ტანსაცმელი შემოხეული ჰქონდა, ცუდი ფერი ედო და დასიებული იყო. **ვერაფრის კითხვა ვერ გავბედე, რადგან ძალიან განერვიულებული ოთახებს ამოწმებდა, მერე აივანზე გავიდა, ისროლა, შემოვიდა და მითხრა: „მამა, შენ ნურაფრის შეგეშინდება, ამათ დედას ვუტირებ, ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია, მივუხვდი, რაც უნდათ“. მეტი ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო, უკვე ცუდად გახდა.** ვაი-ვაგლახით მოვახერხე მისი ჰოსპიტალში გადაყვანა, რადგან ტელეფონით ვერავისთან დაკავშირება ვერ შევძელი. ჰოსპიტალში მიყვანისთანავე მითხრეს, რომ მამა გარდაიცვალა. მამას გარდაცვალებიდან დიდი დრო არ გასულა, რომ ჩემი მეუღლე დაიღუპა, მისი სიტყვებიც სულ მახსოვს: **„თამთა, სულ მარტო დავრჩით. მალე მეც აღარ ვიქნები. საჭირო არ არის, ამის მეტი რამე იცოდე“.**

მეორე დილის ექვს საათზე ამბავი მომიტანეს, რომ დათო ავტოკატასტროფაში დაიღუპა, სიჩქარის გადაჭარბებით. თან გავიგე, რომ მას დილის ექვს საათზე ჩემი მეგობარი თათია როინიშვილი ახლდა. გონს რომ მოვეგე, თათიას სანახავად წავედი და ვკითხე, თუ რა უნდოდა იმ დროს ჩემს ქმართან ერთად. მისი პასუხი ასეთი იყო: „21 წლის ორმეტრიანი ქმარი ხომ გიწევს გაშოტილი; თუ არ გაჩუმდები, შენც იმავეს გაგიკეთებო“.

**— ეს თათია ახლა სად არის და ვინ იყო? რა გავლენა ჰქონდა ასეთი?**

— თათია მას შემდეგ საქართველოში არ არის. ის არავინ არ იყო, უბრალოდ, სამხედრო მოსამსახურის შვილი იყო და ფოთში დასასვენებლად ჩამოვიდა.

ამის შემდეგ ჩვენს ოჯახს ჯოჯოხეთი დაეწყო. გამუდმებულ შიშში ვცხოვრობდით. **ფოთიდან ძალიან მალე წამოვედით, რადგან ვეღარ ვჩერდებოდით. მუქარა იყო თათიას ქმრის მხრიდანაც, ისინი უცხოეთიდან გვიკავშირდებოდნენ. ამას გარდა იყო უცხო, უცნობი ზარები; გვემუქრებოდნენ, რომ, თუ ხმას ამოვიღებდით და საქმის გამოძიებას მოვითხოვდით, ცუდად დავამთავრებდით.**

გავიდა წლები და ჩვენი ოჯახიდან ნივთებმა დაიწყო გაქრობა, ოღონდ ისე კი არა, რომ ვინმე გვძარცვავდა, არა, კარი იღებოდა, იკეტებოდა და ნივთები იკარგებოდა. ეს პროცესი სამი წლის მანძილზე გრძელდებოდა. ის, რომ ამას უცხო არ აკეთებდა, იმით მივხვდით, რომ მამას ალბომი გაქრა და თვეების შემდეგ ალბომი საძინებელში დაგვხვდა.

**— ვინ აკეთებდა ამას?**

— ჩემი მეორე ქმარი. რაღაცამ დამაეჭვა, ცხელ კვალზე გავყევი და ჩვენი ოჯახიდან გატანილი ნივთები მშრალ ხიდზე აღმოვაჩინე. დავურეკე ჩვენი საქმის გამომძიებელს და ყველაფერი მოვუყევი, ფაქტები დავუდე, მაგრამ გამომძიებელმა არაფერი მოიმოქმედა. 24 დღის მანძილზე პასუხი არ გამცეს. 24 დღის შემდეგ კი გამომძიებელი მოვიდა და მითხრა, რომ ბაქარ ხუცაიძე, ანუ ჩემი ქმარი საძინებელში ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფი გარდაცვლილი იპოვეს. საქმე გლდანი-ნაძალადევის პოლიციაში იყო აღძრული, გამომძიებელია გიორგი ხუციშვილი.

ვიდრე ჩემს ქმარს გავშიფრავდით, მანამდე მან სოფელში სახლი დაგვიწვა, რამდენიმეჯერ ავარიაში მოგვაყოლა. დედა რაღაცას ეჭვობდა და ჰკითხა კიდეც, რას გვერჩი, რა დაგიშავეთო. მან უპასუხა: „შემიყვარდით და ვერ გწირავთო“.

**წლების განმავლობაში რაღაცას ეძებდნენ, გვაწამეს, ყველაფერი წაგვართვეს, გაგვანადგურეს. დღემდე არ ვიცით, ვინ არის ჩვენი მტერი. ერთადერთი ადამიანი, რომელმაც ყველაფერი იცის, პოლკოვნიკი ვიქტორ ჭელიძეა და ჩვენც მის დაბრუნებას ველოდებით.**

**გოდერძი ორმოცაძე:**

— დიდია ალბათობა, რომ იარაღის საქმეს შეეწირა ზურაბ ჟვანიაც, გია კრიალაშვილიც, ადმირალი ირემაძეც და მისი სიძეც. ადმირალ ირემაძეს ხუთი ნაჩუქარი იარაღი ჰქონდა, რომლებიც მისი კაბინეტიდან დაიკარგა. ახლა ჩვენ, სამხედროები ვიძიებთ ამ საქმეს და ვცდილობთ, გავიგოთ ვის სახელზეა ის იარაღები რეგისტრირებული. ასევე დაიკარგა ძალიან მნიშვნელოვანი საბუთები, კასეტები. ჭელიძის საქართველოში დაბრუნება ნათელს ბევრ ფაქტს მოჰფენს.

ამ დროისთვის კი ის ვიცით, რომ **მას შემდეგ, რაც ადმირალმა სააკაშვილს საეჭვო ტვირთის შემოტანაზე უარი განუცხადა, მიშას მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა თავში, რომ საზღვაო ფლოტი დაეშალა და ზურა ირემაძის სიკვდილის შემდეგ დაშალა კიდეც.**

**საქართველოს ფლოტი არ ჰყავს, ის სასაზღვრო პოლიციას შეუერთდა, ხოლო 2008 წლის ომის პერიოდში რაც გემები იყო გადარჩენილი, უმოწყალოდ ჩაძირეს. ეს ინფორმაცია უნდა იცოდეთ – სააკაშვილის მთავრობამ გემები სპეციალურად ჩაძირა.**

**საუბარში ჩაგვერთო ადმირალ ირემაძის მეუღლე მანანა ირემაძე:**

— დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი მეუღლის გარდაცვალების საქმეს ნათელი მოეფინება. 8 წელიწადი გაჩუმებული ვიყავი და არც ახლა ამოვიღებდი ხმას, ამის იმედი რომ არ მქონდეს. მთავარია, რომ აღარ მეშინია და ხმა ამოვიღე. თან საქმეში ისეთი კომპრომატები დევს, ხელისუფლება აუცილებლად უნდა დაინტერესდეს.

**— რა გაძლევთ ასეთ იმედს, იარაღით უკანონო ვაჭრობის საქმის გახსნა?**

— მე ვიქტორ ჭელიძის განცხადებას ვეყრდნობი. მან თქვა, რომ ადმირალმა უკანონო ბრძანება არ შეასრულა, არ ჩაძირა გემი, რომელზეც რუსი პოლიტიკოსები იმყოფებოდნენ, და ამიტომ მოკლეს. **პროკურატურას მივეცი ჩვენება და ჩემი მეუღლის სიტყვებიც ვუთხარი: — ეს კაცი (სააკაშვილს გულისხმობდა) ისეთ დავალებებს მაძლევს, რომელთაც არ შევასრულებ და სასიკვდილოდ გამიმეტებს.**

**— ჭელიძე საქართველოში არ არის, იგი არ დაუკითხავთ. ასეთ ვითარებაში მაინც რატომ გაქვთ იმედი, რომ ეს საქმე გაიხსნება?**

— სიმართლე როგორღაც ხომ უნდა დადგინდეს?! ის ერთადერთი მოწმეა. ის ამბობს, რომ აქვს ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც წერია ზურას დარიშხანით მოწამვლის შესახებ, გვამის ეგზგუმაციას ვითხოვ ან ექსპერტიზის დასკვნის ნახვას.

მივმართავ პროკრატურას, ხელისუფლებას, თავდაცვის სამინისტროს, რომ ჩვენი ამბავი გულთან ახლოს მიიტანონ. განადგურებულები ვართ, გაძარცულები, დაყაჩაღებულები, უმუშევრები, მოხუცის პენსიაზე ვცხოვრობთ, ჩემს შვილს სწავლის ქირას ვერ ვუხდი.

**— თავდაცვის მინისტრი ალასანია, როდესაც თქვენი მეუღლე მოკლეს, „ნაციონალების“ გუნდის წევრი იყო, მაინც გაქვთ იმედი, რომ ამ საქმეს მიხედავს?**

— მითუმეტეს, პროკურატურას ხელიც კი უნდა შეუწყოს, წინააღმდეგი რატომ უნდა იყოს?!

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სიკვდილივით არ სურთ, საკუთარ ხალხს გააცნონ პარაფირების ტექსტი. რაღაცას გვიმალავენ, მაგრამ ტექსტის შინაარსს კი არა, — თავიანთ უდღეურობას და უსუსურობას! შემდეგ, როცა რომელიღაც „ჭკვიანი“ აღმოაჩენს, რომ თურმე ხელი მოგვიწერია გეიაღლუმებზე, რეგიონული ენების დამკვიდრებაზე, სხვა რელიგიების მართლმადიდებლობასთან გათანაბრებაზე და ა.შ., ველარაფერს გავაწყობთ, რადგან უკვე ხელშეკრულება გაფორმებული იქნება.“

ელიზბარ დიაკონიძე:

# შევარდნაძის «მოქალაქეთა კავშირმა» დაგვაქცია და ივანიშვილის «მოქალაქე» რატომ აგვაშენებს?!

**უკრაინასა და საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე წმინდა სამების საკათედრო ტაძრის დიაკვანი ელიზბარ დიაკონიძე გვესაუბრება:**

— თბილისში ახლა კაცს რომ ჰკითხო, როგორ ხარო, გეტყვის — ვარ ქართულ დემოკრატიასავითო. ფურცელზე რომ წერიხარ და რომ არა ხარ სინამდვილეში, ასეთ მდგომარეობაში ვართ და უკრაინის დემოკრატიულობას ვიცავთ. ძაღლი შინ არ ვარგოდა და ეზოს გარეთ გარბოდაო, — ისეა ჩვენი საქმე.

რატომ ვფიქრობთ ისეთ სისულელეზე, რომ რუსეთი 60-მილიონიან უკრაინას დათმობს? ეს ორივე სლავური წარმოშობის, ერთმანეთის მონათესავე მართლმადიდებელი ერია და არ უნდათ ევროკავშირი, არ უნდათ გეიაღლუმები და მაკკეინი. უფლის წყალობით, უკრაინა არ ცდილობს ამ თავლაფდამსხმელი კავშირის ეგიდით თავისი ერისა და ჯიშის შერყვნას, გადაშენებას, თავისი ქვეყნის შეურაცხყოფას, რა არის ამაში გასაკვირი?

ევროპა და ამერიკა თვლის, რომ საქართველოში მართლმადიდებლობა დამარცხებულია, შერყვნილი და გაუბედურებულია ხალხი, ეს ქვეყანა მათთვის პრობლემას აღარ წარმოადგენს და ახლა უკრაინას მიადგნენ, შემდეგ ბელარუსს და სხვა ქვეყნებსაც ჩამოუვლიან და ამით რუსეთს მოახრჩობენ, თავიანთი ჭკუით. ევროპის ცუდად ჩარევა ამ მოვლენებში სასიკეთოდ არავის მოგვიბრუნდება, ასეთი მეთოდებით ბრძოლა აუცილებლად მასშტაბურ სამოქალაქო ომს ააგორებს.

**პატრიარქის საშობაო ეპისტოლეში ნათქვამია, რომ სექსუალური უმცირესობების უფლებები არ უნდა შეიზღუდოს, რაც თავისთავად ახალი ხელისუფლების გამართლებას ეხმაურა, იმ ორი მღვდლის დაპატიმრების გამო, რომლებმაც გეიაღლუმის წინააღმდეგ გაილაშქრეს. არ შეიძლება დღეს ერთი ხელისუფლების საამებლად ტკბილუბნობდე, ხვალ — მეორის, რადგან სიმართლე ერთია მხოლოდ და ეს არის უფალი. ეკლიანია სიმართლისკენ მავალი გზა, მაგრამ ვალდებულნი ვართ, ამ გზით ვიაროთ!**

**— საპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლებას ადანაშაულებს, რომ უკრაინელი ხალხის მიმართ სათანადო თანადგომას არ იჩენს. აკრიტიკებენ გიორგი მარგველაშვილს, იმის გამო რომ კიევში არ ჩავიდა...**

— რა უფლება აქვს თავისუფალი ქვეყნის პრეზიდენტს, სხვა ქვეყანაში ჩავიდეს და მას თითი უქნიოს ან რჩევები შესთავაზოს, მიიწვია ვინმემ? საკმარისი არ იყო, რომ ჩვენს ქვეყანას ზნედაცემული გიჟი მართავდა? ახლა მარგველაშვილს მოუწოდებენ, რომ ჩატრიშინდეს იქ და „რადა — უკრაინა“ იძახოს?! სჯობს, მარგველაშვილმა ჩვენს გაბითურებულ და გაპარტახებულ ქვეყანაზე იზრუნოს, რადგან, ახლა რომ დღეში ვართ, ვერ წარმომიდგენია, ასეთი რამ რომელიმე სახელმწიფოში ხდებოდეს. არ არსებობს სტრუქტურა, რომლისგანაც შენთვის საინტერესო საკითხზე პასუხს მიიღებ.

მთელი ხმით გავყვირით, რომ უდიდესი კულტურის მატარებელი ერი ვართ, ამ დროს ჩვენზე უკულტურო და უსაქმური კულტურის სამინისტრო არსად მეგულება. **რას წარმოადგენს ასეთს კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია, რომ მთელი წლის განმავლობაში მის კართან დგანან და ჯერაც მის კაბინეტში ვერ შეუღწევიათ? ხმამაღლა ვამბობ ამას და მომკითხოს პასუხი! ბოლო-ბოლო, ბიძინა ივანიშვილი, ვისი ხელის ბიჭიც ხართ, ბატონო გურამ, ხომ აწყობდა შეხვედრებს ჟურნალისტებთან და საზოგადოებასთან?** მოდი, ერთხელ შენც გარისკე და გადადგი ეს ნაბიჯი და, თუ კონკრეტულად ვინმე ელიზბართან არ გინდა შეხვედრა, შეკრიბე ხალხი და შეხვდი, რომ ზოგადად მაინც შეიტყო რამე მათ პრობლემებზე, გაიგო, რას გთავაზობენ, იქნებ მისაღებია შენთვის და ქვეყნისთვის? ასეთი სიტუაციაა ყველა სხვა სფეროში...

აქტიურად განიხილება, ვინ უნდა იყოს თბილისის მერი — ნარმანია თუ გულჭრელაშვილი და პრობლემა თურმე მხოლოდ ისაა, დაბადების მოწმობაში თბილისი უწერია მომავალ მერს თუ ჩუმლაყი...

დაფიქრდით, ხალხნო, როდემდე შეიძლება ჭაობში ფშვინვა, როდემდე? ნურც დითირამბებს დაუგდებთ ყურს და ნურც ვიღაცის ხელის ბიჭობით შეაფასებთ ვინმეს, საკუთარი გონებით გადაწყვიტეთ, რადგან შემდეგი ოთხი წელი ამის შანსი აღარ გექნებათ.

**— პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა დავოსიდან დაბრუნებისთანავე განაცხადა, რომ ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, მართლმადიდებლური ეკლესიის პარალელურად ქვეყანაში არსებული კიდევ 4 კონფესია დააფინანსოს, მათ შორის ისინიც, რომელთაც მართლმადიდებლები მწვალებლურს ვუწოდებთ, საპატრიარქომ კი მთავრობის ინიციატივა მოიწონა...**



— ერთ-ერთ ინტერვიუში „საქართველო და მსოფლიოსთან“ ვთქვი, რომ სახელმწიფოს მართავს გიჟი, ეკლესიას მართავს შიში. ეკლესიაში, როგორც მოგახსენეთ, შიში კვლავ მეფობს, სახელმწიფოს კი ამჯერად დადამბლავებული, მშიერმუცელა, უნიფხვო მონები მართავენ — უჯიშო და უსულგულო ჯოგი! თორემ როგორ შეიძლება, სადაც სამი კაცი შეიკრიბება და სექტად გამოაცხადებს თავს, სახელმწიფომ მათზე ფული ფლანგოს, მაშინ, როცა ხალხი მშიერი უკვდება, და ეს ეკლესიამ მოიწონოს! 4 მილიონ-ნახევარი ლარი შენს მშიერ მოსახლეობას ცოტა მაინც ხომ წაადგება?

**სიკვდილივით არ სურთ, საკუთარ ხალხს გააცნონ პარაფირების ტექსტი. რაღაცას გვიმალავენ, მაგრამ ტექსტის შინაარსს კი არა, — თავიანთ უდღეურობას და უსუსურობას! შემდეგ, როცა რომელიღაც „ჭკვიანი“ აღმოაჩენს, რომ თურმე ხელი მოგვიწერია გეიაღლუმებზე, რეგიონული ენების დამკვიდრებაზე, სხვა რელიგიების მართლმადიდებლობასთან გათანაბრებაზე და ა.შ., ველარაფერს გავაწყობთ, რადგან უკვე ხელშეკრულება გაფორმებული იქნება.**

## «საპატრიარქოს კვლავ შიში მართავს, სახელმწიფოს კი — უნიფხვო მონები!»

## «ვატყობ, მალე მივიღებთ უწინდელი «მოქალაქეთა კავშირის» სინთეზს და უკან, შევარდნაძის ხანაში დავბრუნდებით»

**საპატრიარქო იმ სიმაღლეზე უნდა იდგეს, რომ მისი ლოცვა-კურთხევისა და რეკომენდაციის გარეშე ასეთ გადაწყვეტილებებს ვერ უნდა იღებდნენ. ეს უნდა ხდებოდეს ქართული ეკლესიის საღი აზრისა და მსჯელობის შედეგად და არა ისე, სოსო თოფურიძე რომ ადგა თავზე და აწერინებდა ხელს, რაზეც უნდოდა.**

კარგი რამ წამოსცდა ერთხელ ბიძინა ივანიშვილს: რაც ბერიო, ის — მრევლიო! რა მდგომარეობაც ქვეყნის პარლამენტშია, იგივეა სინოდში და ქვეყნის აღმშენებლობა სწორედ ეკლესიის გაწმენდით უნდა დავიწყოთ. როცა ეკლესიაში იტყვი შენს გულისტკივილს, კი არ უნდა გამოგაგდონ გარეთ, უნდა დაგიძახონ და გკითხონ — რაშია საქმე, შვილო, რამ დაგწყვიტა გულიო; იქნებ აქვე, სახლში გადავწყვიტოთ პრობლემა. მაგრამ ჩვენთან პირიქითაა, სიმართლისთვის მაღლა კი არ აჰყავხარ ვინმეს, — ისჯები, მაგრამ, თუ რაღაც მაქინაციებით მაღალ ეშელონებში მოხვდები, მაშინ ხარ „მართალი“.

**— მამა ელიზბარ, რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“ ჩამოყალიბდა. ბიძინა ივანიშვილის თქმით, საზოგადოებაში გადასვლის შემდეგ მეტს გააკეთებს ხალხისთვის, ვიდრე პოლიტიკაში. რას ველით ამ ორგანიზაციისგან?**

— იმას „ოცნება“ დაარქვა, ამას — „მოქალაქე“. გენინსპექცია ბრუნდება საქართველოში თუ რა ხდება? „მოქალაქევ!“ — ასე მოგვმართავდა მილიცია თავის დროზე და ქუჩაში გვაჩერებდა. გარდა ამისა, **შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირმა“ დაგვაქცია და ივანიშვილის „მოქალაქე“ რატომ აგვაშენებს? იქნებ, ბატონი ბიძინა ერთ წელიწადში იმიტომ გაიქცა პოლიტიკიდან, რომ გაცილებით მალე მიხვდა, ვის ხელში გვტოვებდა, ვიდრე წარმოიდგენდა?!** ვატყობ, მალე მივიღებთ უწინდელი „მოქალაქეთა კავშირის“ სინთეზს და უკან, შევარდნაძის ხანაში დავბრუნდებით.

„ოცნებამ“ ჩაილურის წყალი დალია და სჯობდა, „მოქალაქისთვის“ „ნატვრა“ დაგვერქმია, ნატვრაში მაინც ამოგვძვრებოდა სული, რადგან ადამიანმა კი არ უნდა იოცნებო, რეალისტურად უნდა მიუდგე საქმეს და შენი გასამარგლი უნდა გამარგლო. თუ თავად მარგლავ შენს ყანას და ვერ აუდიხარ საქმეს ბოლომდე, მაშინ ჩამოვა მეზობელი მოსახმარებლად, მხართეძოზე წამოწოლილ მეოცნებეს კი თავის გასაკეთებელს არავინ გაუკეთებს. ეს არის ცხოვრების რეალობა.

ესაუბრა
**ნონა ქარქაშაძე**

# როდის ვიხილავთ პარაფირების ტექსტს ქართულ ენაზე?

**2013 წლის 29 ნოემბრის შემდეგ, რაც ვილნიუსის სამიტზე „შალახოს“ ფონზე საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება გაფორმდა, თითქმის ორი თვე გავიდა.**

შეგახსენებთ, რომ დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ და ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ქეთრინ ეშტონმა. ევროკავშირთან პარაფირების ცერემონია კი საზეიმოდ გაიმართა და ქართველებს დიდ ევროპულ ოჯახში გაწევრიანების იმედი გაგვიჩნდა, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დღემდე არ იცის, რას ვზეიმობთ და რა კონკრეტული მოთხოვნები უნდა დავაკმაყოფილოთ, რომ უახლოეს მომავალში ევროპული ოჯახის წევრები გავხდეთ, რადგან პარაფირების ტექსტი ქართულ



ენაზე ჯერაც არავის უნახავს.

**იმის გასარკვევად, თუ როდის შევძლებთ პარაფირების შინაარსის ქართულ ენაზე წაკითხვას და შეფასებას, „საქართველო და მსოფლიო“ საგარეო საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდა. სამინისტროში განგვიმარტეს, რომ საკმაოდ ვრცელი 1000-გვერდიანი ტექსტის ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნას დიდი დრო დასჭირდა. ამჯერად ტექსტის რედაქტირება მიმდინარეობს და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების შინაარსი მშობლიურ ენაზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, სავარაუდოდ, 2-3 კვირაში განთავსდება.**

აი, მაშინ ქართველი ერი თავად გადაწყვეტს, ევროპული ბედნიერების მოლოდინი მხოლოდ ხელოვნურად შექმნილი დღესასწაულია თუ დავუკრათ „შალახო“ და კიტაური ჩამოვუაროთ.




„პატრიარქის დამცირება და შეურაცხყოფა — ეს არის შეურაცხყოფა საქართველოს მოსახლეობის იმ ძალიან დიდი ნაწილისა, რომელიც პატრიარქს თავის სულიერ მწყემსმთავრად თვლის“.

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვინ ებრძვის საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას პირწავარდნილი მეგრანტეების ხელით?

**2014 წლის 8 იანვარს ანტიმართლმადიდებლურ საქმიანობაში არა ერთხელ შემჩნეულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა პატრიარქის ეპისტოლეში სუროგაციისა და ხელოვნური განაყოფიერების შესახებ გამოთქმული თვალსაზრისის გამო ეკლესიასა და პატრიარქზე მორიგი იერიში მიიტანეს. საპატრიარქოს წინააღმდეგ მიზანმიმართულად აგორებულმა ახალმა ტალღამ საზოგადოებაში გააჩინა კითხვა — ვინ დგას საპატრიარქოსა და პატრიარქზე მორიგი შეტევის უკან და ვინ ებრძვის საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას პირწავარდნილი მეგრანტეების ხელით? — ამ კითხვით „საქართველო და მსოფლიომ“ მიმართა უფლებადამცველ დიმიტრი ლორთქიფანიძეს და „საერთო გაზეთის“ მთავარ რედაქტორ ვახტანგ ხარჩილავას.**



## „არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების წყარო აუცილებლად უნდა შემოწმდეს“

**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

— საპატრიარქოს მიმართ ასეთი არაადეკვატური დამოკიდებულება, როგორიც ე. წ. ლიბერალური ფრთის წარმომადგენელმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოხატეს, კიდევ ერთი დემონსტრირებაა იმისა, რომ **დასავლური ინსტიტუტების მიერ მართული ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების წყარო აუცილებლად უნდა შემოწმდეს. ისინი ეწევიან იმ ინსტიტუტის მიზანმიმართულ დისკრედიტაციას, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ყველაზე დიდი ნდობით სარგებლობს — საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოს.** მის საჭეთმპყრობელს, უწმინდეს და უნეტარეს ილია მეორეს, საერთაშორისო კვლევების მიხედვით, ყველაზე მაღალი ნდობა აქვს. როგორც ჩანს, ეს გახდა პირობითი რეფლექსის გამომხატველი ფაქტორი იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც დავალებას იღებენ თავიანთი დონორი ორგანიზაციებისგან. ეს არასამთავრობოები უკან არაფერზე იხევენ თავიანთი პროტესტის ყველაზე უფრო დაუშვებელი, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ფორმებით გამოსახატავად, იმიტომ, რომ **პატრიარქის დამცირება და შეურაცხყოფა — ეს არის შეურაცხყოფა საქართველოს მოსახლეობის იმ ძალიან დიდი ნაწილისა, რომელიც პატრიარქს თავის სულიერ მწყემსმთავრად თვლის.**

სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოწყობილ უხამს პერფორმანსსა და პატრიარქის შეურაცხმყოფელ განცხადებებს საზოგადოების საპასუხო რეაქცია მოჰყვა — **საპატრიარქოსთან სწორედ ის ადამიანები მიბრძანდნენ, რომელთათვისაც აუცილებლობას წარმოადგენდა, წინ აღდგომოდნენ უხამს განცხადებებს პატრიარქის მიმართ და შელაპარაკებაც სწორედ ამან გამოიწვია.** ეს ყველაფერი კი ისევ და ისევ უმრავლესობის პოზიციის დამცველთა დაპატიმრებითა და მათზე ადმინისტრაციული სახდელების დაკისრებით დასრულდა. აქ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზეა ყურადღება გასამახვილებელი — **საჭიროა, ქვეყანაში ამოქმედდეს ისეთი საკანონმდებლო ნორმები, რომლებითაც ქართველი ერის ისტორიული, კულტურული თუ ზნეობრივი ღირებულებები, რითაც საქართველომ დღემდე მოაღწია, დაცული იქნება.** იქნება ეს გამოხატვის შესახებ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები თუ არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები.



## „პატრიარქს ებრძვიან, მაგრამ სინამდვილეში ეს ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგაა მიმართული“

**ვახტანგ ხარჩილავა:**

— სიმართლე გითხრათ, არასამთავრობო ორგანიზაციების პროტესტი პატრიარქის ეპისტოლეს მიმართ ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ისინი პატრიარქისა და ეკლესიის მოწინააღმდეგენი არიან. კარგად მახსოვს, პატრიარქის წინააღმდეგ გააზრებულად წამოწყებული ომი სხვადასხვა გამოცემის ფურცლებიდან. იბეჭდებოდა ძალიან უხამსი და ბინძური წერილები მისი უწმინდესობის წინააღმდეგ. **პატრიარქის ოპონენტები კი, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციები არიან, რომლებიც ხშირად ხელისუფლებაზე მაღლაც კი აყენებენ საკუთარ თავს. ეს ხალხი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები კი არა, აგენტები უფრო არიან, რომლებიც უზარმაზარი თანხებით ფინანსდებიან.** მათი დამფინანსებლების შესახებ ინფორმაციის მოპოვება კი თითქმის შეუძლებელია. ეს ტაბუდადებული თემაა. ამ ხალხს უცხოური ორგანიზაციები აფინანსებენ და სწორედ ამიტომ მათი მიზნების პროპაგანდას ეწევიან. ხან ლგბტ წარმომადგენლების, ხან სუროგაციისა და კიდევ სხვა საკითხების დასაცავად წამოყოფენ ხოლმე თავს. სწორედ ეს არის მათი მისია. მათი ქმედებები მიმართულია ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. დროა, საქართველოს ხელისუფლებამ და ქართველმა ხალხმა ძალიან მკაცრად და რადიკალურად მოითხოვოს იმის გარკვევა, ვინ არიან ამ ორგანიზაციების დამფუძნებლები და დამფინანსებლები, რომლებიც ასე უტიფრად და თავხედურად ებრძვიან ეკლესიასა და პატრიარქს! **ჩვენ ვამბობთ, რომ ისინი პატრიარქს ებრძვიან, მაგრამ სინამდვილეში ეს ბრძოლა ხომ საქართველოს წინააღმდეგაა მიმართული! ამ საქართველოს კი პატრონი ხომ ჰყავს ან ხომ უნდა ჰყავდეს ჩვენი და ხელისუფლების სახით?!** ჰოდა, მაშინ ვიკითხოთ, ბატონო, როდემდე უნდა ვიყოთ ასე უმოქმედოდ, ეს ბრძოლა ხომ გუშინ და დღეს არ დაწყებულა?! ვიდრე არ გაირკვევა, ვინ არიან ამ ორგანიზაციების დამფინანსებლები, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ მზაკვრობას არაფერი ეშველება!

მოამზადა
**შორენა ღვაჩლიანმა**



# მიეცით მეფეს მახათი

**საქართველოში მეფობის თემამ რამდენიმე წლის წინ წამოიწია. როგორც ჩანს, ტახტის იმჟამინდელ კანდიდატს „დიდოსტატის მარჯვენა“ ჰქონდა წაკითხული და ამიტომ შორენასთან გააბა რომანი, თუმცა მერე ისე გამოვიდა, რომ შორენას დაშორდა და მხოლოდ მარჯვენა შერჩა. შემდეგ მეფობაზე პრეტენზია იმერელმა ბაგრატიონებმაც განაცხადეს, მოგვიანებით კი გაირკვა, რომ სამეფო უფლებები რეალურად ბაგრატიონ-გრუზინსკებს ჰქონდათ და არა ბაგრატიონ-მუხრანელებს და დღემდე კაცმა არ იცის, რომელი მხარეა მართალი. უფრო ზუსტად, საზოგადოებამ არ იცის, თორემ სამეფო კარი მეფობანას თამაშობს და თან როგორ?!**

ჯერ იყო და სამეფო ქორწილი გამართეს, მერე იყო სამეფო გაყრა, მერე — ისევ შეყრა, ახლა კი — ისევ გაყრა და ამ ყველაფერს ლოგიკურად პატარა უფლისწულის დაბადებაც მოჰყვა, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, იმ უფლისწულსაც გვარიანი ბრძოლა მოუწევს თავისი უფლებების დასამტკიცებლად.

შემდეგ ეს ჩვენი ბაგრატიონები რაინდების კურთხევას მოჰყვნენ. პირველად ეს პატივი ბიზნესმენ ლევან ვასაძეს ერგო, მერე — სხვას, ახლა კი... აბა, თუ იცით, ვინ არის კლაოდიო სოარეშ როშა?! ბრაზილიელი ფეხბურთელი არ გეგონოთ, ეს კაცი ბრაზილიის პრეზიდენტის აპარატის ისტორიული დოკუმენტაციის საბჭოს წევრი გახლავთ. ძალიან გთხოვთ, ამხელა თანამდებობასა და გვარ-სახელს ნულარ გამამეორებინებთ და მარტივად გეტყვით, რომ სამეფო კარმა ეს კაცი რაინდად აკურთხა და პარალელურად, საქართველოს სამეფო სახლის წარმომადგენლად დანიშნა ბრაზილიაში. უფრო მარტივად რომ აგიხსნათ, ნოდარ დუმბაძის „თეთრ ბაირაღებს“ გაგახსენებთ, ტიგრან გულოიანი რომ ეუბნება ჭეიშვილს, დროშა იყავი და ტარიც გაგიკეთესო...

ისე, ამ ამბავს დადებითი მხარეც აქვს. **დავით აღმაშენებელი იწოდებოდა მეფედ „აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა“... ჰოდა, თუ მეფობა აღდგება საქართველოში, ამ ტიტულებს დაემატება მეფე ბრაზილიელთა. ახლა არ მითხრათ, რაში უნდა გამოვიყენოთო. ჯერ ერთი, სამბას კურსებს გავხსნით და ცეკვას ვისწავლით, მერე კიდევ, ისე როგორ იქნება, ერთი-ორი ბრაზილიელი ფეხბურთელი დაგვამადლონ და ეგებ ამ ჩვენს ნაკრებსაც ეშველოს რამე.**

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ საკითხავი ახლა ის არის, ეს რაინდის ტიტულების დარიგება როდემდე უნდა გაგრძელდეს? ხელს კი არაფერში გვიშლიან, მაგრამ სამეფო სახლის ოფიციალურ ვებგვერდზე (არის ასეთიც), პირველ განცხადებად ის წერია, რომ სპონსორს ეძებენ, მერე კი იმის ახსნა მოდის, რომ მონარქიის აღდგენის შემთხვევაში ჩვენ არაფერი გვემუქრება, რადგან **თითოეულ მოსახლეს სამეფო ოჯახის შენახვა წლიურად ორი ლარი დაუჯდება, ანუ მათი შენახვა 5-6 მილიონ ლარზე მეტი არ ეღირება. წლიურად 2 ლარი ბევრი მართლა არ არის, თუმცა, ცოტა არ იყოს, უხერხულია, წელიწადში 6 მილიონით შევინახოთ ერთი ოჯახი, როცა საქართველოს მასშტაბით მიუსაფართა თავშესაფრების შენებას ვერ ავუდივართ და უფასო სასადილოების გახსნა ლამის სტრატეგიულ მიზნად გვექცა.** თანაც ჯერ ერთმანეთში ვერ გაურკვევიათ, მეფე ვინ არის და, მაგათ რომ ცალ-ცალკე ოჯახები ჩამოაყალიბონ და ერთმანეთს აუჯანყდნენ ხოლმე, დაშლადაქუცმაცება მერე ნახეთ.

**გამოსავალი ერთადერთია — სამეფო სახლს უჟანგავი მასალისგან დამზადებული მახათი უნდა გადავცეთ და თან ინსტრუქციაც მივაყოლოთ. მერე რაინდად კურთხევის ცერემონიაც მახათით ჩავატარებინოთ, მაგრამ, ჩვენი ბედი რომ ვიცი, თვალს წამოუგდებენ რომელიმე ლათინოამერიკული ქვეყნის რომელიღაც წარმომადგენელს და მისი მკურნალობის ხარჯებიც ჩვენი გადასახდელი გახდება.** ამიტომ უფრო უმტკივნეულო გამოსავალს გთავაზობთ: საფრანგეთის მეფეებს ასე მიმართავდნენ — „სირ“(ხელმწიფეო). არა მგონია, ფრანგებმა უარი გვითხრან ამ წოდების გამოყენებაზე და... ახალი მეფეები სწორედ ფრანგულად მოვიხსენიოთ.

**დავით მინდიაშვილი**

# ყველაზე დაბინძურებული ჰაერი თბილისშია

**ჰაერის დაბინძურების კუთხით ყველაზე მწვავე მდგომარეობა თბილისშია. საქართველოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვია. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ავტოპარკის ტექნიკური მდგომარეობისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს.**

ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვია. გამონაბოლქვის წილი ქვეყნის მთლიან გაფრქვევებში დაახლოებით 71%-ს შეადგენს. ავტოტრანსპორტიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კუთხით ყველაზე მწვავე მდგომარეობა თბილისშია, სადაც ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 1/3 ცხოვრობს და მთლიანი სატრანსპორტო საშუალებების 40%-ია თავმოყრილი. მათი წილი ქალაქის დაბინძურებაში 95%-ზე მეტია.

პრემიერ-მინისტრის საყურადღებოდ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„პროგრამული დაფინანსება 2-3 წლითაა გათვალისწინებული და საბაზისოს არ ეხება. არადა, ეს უკანასკნელი უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის არსებობისთვის აუცილებელ მოთხოვნებს, თუნდაც ისეთ ღარიბ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. აი, ამის შემდეგ კარგი და სახელმწიფოსთვის საჭირო პროგრამები კი დამატებით უნდა დააფინანსოს სახელმწიფომ. ორ ატომურ ბომბადარტყმულმა იაპონიამ პირველი ბიუჯეტი რომ შეაკოწიწა, 12 პროცენტი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის გაითვალისწინა."**

ოთარ კვესიტაძე:

# საქართველოში მეცნიერება თითქმის აღარ არსებობს



**„საქართველო და მსოფლიოს" შეკითხვებს უპასუხებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი ოთარ კვესიტაძე.**

**— თავისი არსებობის 5 წლის მანძილზე ჩვენი გაზეთი ცდილობდა, შეძლებისდაგვარად დაეცვა ქართული მეცნიერების, მეცნიებათა ეროვნული აკადემიის ინტერესი, მეტ-ნაკლებად საქმის კურსში გვყავდა ჩვენი მკითხველები. მაგრამ იმ შემზარავმა ციფრებმა, რომლებიც, ბატონო ოთარ, აკადემიის საერთო კრებისთვის წარდგენილ მოხსენებაში დაასახელეთ, გამაოგნებელი შთაბეჭდილება დატოვა. თუ ასე გაგრძელდა, ქართული მეცნიერების კატასტროფა გარდაუვალია.**

— საკავშირო ინსტიტუტების ჩათვლით, რომლებიც საქართველოში იყო (აგრარული სპეციალობის, სამედიცინო პროფილის ინსტიტუტების ჩათვლით), გვყავდა 73 ათასი მეცნიერი-თანამშრომელი. ეს — უწინ. 2000 წელს — 45000, ამჟამად 2200-2300 თუ შეგროვდა, დიდი ამბავია.

**5-6 წლის წინათ საქართველოს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში დამკვიდრდა სრულიად დაუსაბუთებელი აზრი, რომ მეცნიერება, მით უფრო, ფუნდამენტური, საქართველოსთვის ზედმეტი ფუფუნებაა. თუ დაგვჭირდება, დასავლეთიდან მოვახდენთ იმპორტირებასო.**

**ასე გაწირეს ჩვენს ქვეყანაში მეცნიერული აზრი, რაც, მე რომ მკითხოთ, ისეთივე დანაშაულია, როგორც ათეულ მილიონობით ლარის მითვისებაზე, გაფლანგვასა თუ არამიზნობრივად დახარჯვაზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეები.**

ის, რაც ამ მხრივ მოიმოქმედა ყოფილმა ხელისუფლებამ, ერისთვის მომავლის წართმევის ტოლფასია.

**— კატასტროფის წინაშე ვდგავართ?**

— კატასტროფა მომხდარია. გულახდილად გეტყვით: საქართველოში მეცნიერება დღეს თითქმის აღარ არსებობს. ყველაზე მეტად დაზარალდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი: ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია...

**— აკადემიის საერთო კრებაზე ძალიან მწვავედ დადგა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საბაზისო და პროგრამული დაფინანსების პრობლემა. იქნებ გავარკვიოთ ჩვენი მკითხველები, რაზეა ლაპარაკი?**

— საქმე ის არის, რომ შარშანდელი წელიწადი ისე დასრულდა და 2014-იც ისე დაიწყო, რომ ჩვენი მრავალტანჯული ინსტიტუტების მიზერული ხელფასების ბედი დღემდე გაურკვეველი რჩება. **პროგრამული დაფინანსება, რომელსაც მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო გვთავაზობს, საერთოდ უპერსპექტივობის წინაშე აყენებს ამ ინსტიტუტების თანამშრომლებს. ერთგვარად უკეთეს მდგომარეობაშია ის ინსტიტუტები, რომლებიც თავდაცვის სამინისტროს დაუქვემდებარეს.** მაგალითად, მეტალურგიის ინსტიტუტი, რომელსაც შესანიშნავი მეცნიერი და კარგი ორგანიზატორი გიორგი თავაძე ხელმძღვანელობს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ახლახან სათავეში ჩაუდგა აკადემიკოსი ლადო პაპავა და უკვე შეიძლება ითქვას, რომ ამ უმაღლესი სასწავლებლის ცოტა ხნის წინანდელი მდგომარეობა და დღევანდელობა ისე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც დღე და ღამე. პრინციპული, საქმიანი პოზიციით გამორჩეული რექტორია ბატონი ლადო.

სამწუხაროდ, არიან ისეთი რექტორებიც (ალბათ, დამემოწმებით, რადგან იმ კრებას ესწრებოდით), რომლებიც კვლავ კონიუნქტურის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. კრებაზე მათი გამოსვლა ძალიან ჰგავდა დავალების შესრულებას.

საბაზისო დაფინანსება ნიშნავს ხელფასს...

**— რომლის შედარებაც კი არ შეიძლებაო, როგორც ერთმა გამომსვლელმა თქვა, ნანუკას შოუს წამყვანის ანაზღაურებასთან. იმდენად მცირეა.**

— რას ამბობთ, როგორ შევედრებით! **ჩვენი პროფესორების ხელფასები მინიმუმ ათჯერ ნაკლებია სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა ხელფასებზე. დამლაგებელი პარლამენტში პროფესორზე, ალბათ, 15-ჯერ მეტს იღებს.**

აი, ამ საბაზისო ხელფასების გაზრდაზე ლაპარაკიც არ არის.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ სრული უპასუხისმგებლობაა, უპატივცემულობაა მეცნიერების მიმართ.

**— პროგრამული დაფინანსება საქმეს არ შველის?**

— მომისმინეთ: დავუშვათ ინსტიტუტს აქვს 5 პროგრამა. სამინისტროში წარადგინა ხუთივე. ორი დაუფინანსეს, სამზე უარი უთხრეს. ეს ნიშნავს, რომ დანარჩენი სამი პროგრამით გათვალისწინებული მეცნიერი-თანამშრომლები ცარიელზე რჩებიან და იძულებულნი ხდებიან, წავიდნენ. თან სამინისტროს ჩინოვნიკები ინსტიტუტებს აფრთხილებენ, რომ 65 წელს ზემოთ არავინ გაითვალისწინონ. თუ ამ მოთხოვნას არ შეასრულებენ, არ დააფინანსებენ საერთოდ.

**— ეს ხომ ასაკობრივი დისკრიმინაციაა?**

— რა თქმა უნდა.

**— ვინ ადგენს ამ პირობებს, ასეთ მოთხოვნებს?**

— სამინისტროში არის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი, რომელიც ამას აკეთებს.

**— აგრძელებენ მიხეილ სააკაშვილისეულ პოლიტიკას?**

— ასე გამოდის. იქ, სამინისტროში მივიდა ძალიან საინტერესო კაცი — მარსაგიშვილი, რომელსაც ახლაც დიდ პატივს ვცემ, როგორც მეცნიერსა და სპეციალისტს. მაგრამ ისე შეიცვალა იმ თანამდებობაზე მოხვედრის შემდეგ, რომ ვეღარ ვცნობ — განსხვავებულ პოლუსზე აღმოჩნდა. რა მოხდა, ვერ გეტყვით. აშკარაა, რომ მეცნიერების მხარდამჭერს ვერ ვუწოდებთ მის პოზიციას.

**— გაჩინოვნიკდა?**

— მაგრად... თვალებში ნაცარს გვაყრიან და გვეუბნებიან, რომ პროგრამების დაფინანსება იქნება საბაზისო დაფინანსება. **პროგრამული დაფინანსება 2-3 წლითაა გათვალისწინებული და საბაზისოს არ ეხება. არადა, ეს უკანასკნელი უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის არსებობისთვის აუცილებელ მოთხოვნებს, თუნდაც ისეთ ღარიბ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. აი, ამის შემდეგ კარგი და ქვეყნისთვის საჭირო პროგრამები კი დამატებით უნდა დააფინანსოს სახელმწიფომ.** ორ ატომურ ბომბადარტყმულმა იაპონიამ პირველი ბიუჯეტი რომ შეაკოწიწა, 12 პროცენტი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის გაითვალისწინა.

**— ჩვენთან რამდენია?**

— 0,2 პროცენტი! არადა, ჩვენი სამეცნიერო პოტენციალი იმდენად ძლიერია შენარჩუნებული, იმდენად სერიოზულია, რომ საქმეში ჩაუხედავი კაცისთვის შეიძლება გაუგებარიც კი იყოს. ვგულისხმობ სიცოცხლის შემსწავლელ, ზუსტ მეცნიერებებს. აგრარული მეცნიერებაც ძლიერია, ფიზიკა, როგორ გითხრათ, არაჩვეულებრი- ▶



## მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის ექსკლუზიური ინტერვიუ «საქართველო და მსოფლიოს»

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი | CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA

0114, თბილისი, მეფე ერეკლე II-ის მოედანი №1 ტელ: (995 32)2990378, 2989540; ფაქსი: 2987114 | 1, King Erekle II sq. Tbilisi, 0114 Tel.: (995 32)2990378, 2989540; Fax: 2987114

†

გულითადად მივესალმებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 2014 წლის 17 იანვრის სხდომის მონაწილეთ, რომელნიც სამეცნიერო დარგში მდგარ პრობლემებს განიხილავენ.

ერთი რამ ფაქტია, უნდა მოხდეს ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებული რესურსის სრულად გამოყენება, რომ შევინარჩუნოთ მეცნიერული აზრის უწყვეტობა და, ამასთან, შევძლოთ, ვიამაყოთ ახალი აღმოჩენებით.

გასაკეთებელი ძალიან ბევრია, რომ მივაღწიოთ თუნდაც იმ დონეს, რაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ გვქონდა.

განათლება - მეცნიერება და ჯანმრთელობის დაცვა ერზე ზრუნვის მთავარი მაჩვენებელია. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი ხელისუფლება ამ მიმართულებით სერიოზულ ნაბიჯებს ინტენსიურად კვლავაც გადადგამს და ჩვენი მეცნიერების შეთავაზებებსაც გაითვალისწინებს.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

17 იანვარი, 2014 წელი

**«მეცნიერებათა აკადემია სამინისტროს დირექტივებით ვერ იმუშავებს. ეს ხომ ელემენტარულია და ამაში ამბიციურობის მისხალიც არ არის»**

## „რუსოფობიის პოლიტიკის აყოლა დიდი დანაშაული იქნებოდა. დღეს შვეიცარიის მეცნიერების ცენტრში, რომელიც ფიზიკაში მსოფლიო მნიშვნელობის ფრონტადაა აღიარებული, ორმოცამდე ქართველი ფიზიკოსი მუშაობს. როგორ გგონიათ, დუბნა რომ არ ყოფილიყო, ქართველები რომ არ ყოფილიყვნენ რუს ფიზიკოსებთან შემოქმედებითად დაკავშირებული, შესაძლებელი იქნებოდა იმ ცენტრში ქართველების მიწვევა? არა, რა თქმა უნდა.“

პრემიერ-მინისტრის საყურადღებოდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ვად ძლიერი სამეცნიერო პოტენციალითაა წარმოდგენილი ქართველოლოგიური მეცნიერება. ამ ხალხს პატრონობა და მხარდაჭერა სჭირდება.

**— ერთი რამ გამაგებინეთ, ბატონო ოთარ: არიან თუ არა სამინისტროში ისეთი მაღალი დონის სპეციალისტები, რომლებსაც უნარი შესწევთ, შეაფასონ და ნება დართონ ან უარი თქვან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ წარმოდგენილ პროგრამებზე?**

— ხომ მიაქციეთ ყურადღება, რა უპასუხა ამ შეკითხვას სამინისტროს წარმომადგენელმა: უცხოელ მეცნიერებს შევაფასებინებთო. აკადემიკოსებმა გაიკვირვეს, მაშინ ამ პროგრამებს ქართულად რატომ გვაწერინებთო?! ვინ თარგმნის და სწორად თარგმნიან თუ არა? — ესეც ჰკითხეს. უცხოეთში მცხოვრებ ქართველ მეცნიერებს შევაფასებინებთო, „დაგვიზუსტეს“.

ამაზე სერიოზული კომენტარის გაკეთებაც კი უხერხულია.

**— უხერხული ის იყო, ბატონო ოთარ, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კრების წინაშე, ჩემი აზრით, მოუმზადებელი მინისტრები რომ წარდგნენ. მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.**

**ახლა კი ასეთი შეკითხვა, რომელიც ნახევარი საუკუნის წინათ დიდი კამათისა და მითქმა-მოთქმის საგანი იყო: ფიზიკოსები თუ ლირიკოსები? თქვენ ვისკენ იხრებით, როგორც აკადემიის პრეზიდენტი, — ჰუმანიტარებისკენ თუ ზუსტი მეცნიერების წარმომადგენლებისკენ?**

— ცენტრისტი ვარ **(ეღიმება).** ქართველოლოგიური მეცნიერებების გარეშე წარმოუდგენელია მეცნიერებათა აკადემიის არსებობა. ასევე წარმოუდგენელია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გარეშე აკადემიის არსებობა.

ჩვენს აკადემიას ერთგვარი ჰუმანიტარული „გადახრა სჭირდა“. საჭირო გახდა ვექტორის შეცვლა კი არა, ნორმალურ, დაბალანსებულ პარამეტრებში მოქცევა. ამის შესახებ მოსვლისთანავე ველაპარაკე კოლეგებს და სრული გაგება და მხარდაჭერა მივიღე.

**რეალობაა, რომ დღეს ქვეყანა სტიქიურად ვითარდება. იმპულსურად კეთდება აქცენტები ამა თუ იმ დარგზე, გასაგებად რომ ვთქვა, პრიმიტიულად აღქმულ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე. მაგალითად, ღვინო ფულია? წავიდა! ლუდი ფულია? წავიდა! რესტორანი ფულია? წავიდა! და ა. შ. ესაა გადამწყვეტი. პრაქტიკულად არავის აინტერესებს ორიგინალური ტექნოლოგიები, რომლებიც ქვეყანას თანამედროვე განვითარების ლიანდაგზე დააყენებს. ამ მიმართულებით არაფერი კეთდება.**

შევეცადე, ეს პრობლემა წამოგვეწია. შევქმენით კომისია, მოვიზიდეთ სათანადო კვალიფიკაციის თანამოაზრეები. თავმჯდომარედ აკადემიკოსი ირაკლი ჟორდანია ავირჩიეთ. ამ სიახლემ დიდი ინტერესი გამოიწვია.

**და ბატონმა ოთარ კვესიტაძემ წამიკითხა ფრიად საინტერესო ლექცია იმის თაობაზე, თუ როგორ და რით შეიძლება მოსახლეობის შრომითი დასაქმება, შემოსავლების გაზრდა, ადამიანების დამკვიდრება იმ პირობებში, როცა დაცლილია თუშეთი, პრაქტიკულად აღარ არსებობს ხევსურეთი, ცუდ დღეშია მთიანი იმერეთი — ელიავას ბაზრობასთან თითქმის მთელი ზემო იმერეთის შრომისუნარიანი მოსახლეობა სამუშაოს მოლოდინში ამაოდ ათენ-აღამებს; როგორ უნდა გადავჭრათ ეს პრობლემა თუნდაც ბუნების სიკეთეთა გონივრული, კარგად ორგანიზებული გამოყენებითა და მნიშვნელოვანი ფინანსური დანახარჯების გარეშე, ჩვენი ქვეყნის ოცდაათამდე ნიადაგობრივ-კლიმატური ზონისთვის სოფლის მეურნეობის მრავალდარგობრიობის მისადაგებითა და ეფექტიანად წარმართვით. ამ საკითხს ვერც ერთი სხვა ქვეყნის რაგინდარა წარმატებული მეცნიერი ვერ მოგვიგვარებს — სპეციფიკაა უნიკალური, მრავალფეროვნებით გართულებული, ამიტომ ჩვენი გასაკეთებელია და მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ უნდა ითავოს ეს სახელმწიფოებრივი საქმე.**

**ეს იყო აბსოლუტური კონკრეტიკით და მეცნიერული ანალიზით გამორჩეული საუბარი, ფაქტებით დადასტურებული. გადაწყვეტა ხელის გაწვდენაზეა. ისეა, როგორც მათეს სახარებაში: „ითხოვეთ და მოგეცემათ; ეძებეთ და იპოვით; დააკაკუნეთ და გაგეღებათ“** *(მათ. 7,7).*

წლების განმავლობაში დამკაკუნებელი არავინ იყო. მით უფრო, — გამღები. ახლა გამოჩნდა:

— ჩვენ ვქმნით პროგრამებს, კონცეფციებს და განსაკუთრებულად პერსპექტიულს წარვუდგენთ მთავრობას, — **ამბობს ბატონი ოთარ კვესიტაძე და განაგრძობს,** — მეცნიერება ტექნოლოგიაში უნდა გადავიყვანოთ, ამის პოტენციალი გვაქვს, ამ დონის მეცნიერები გვყავს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომელიც ქვეყნის ჭირისუფალია და მთავრობის მთავარი მრჩეველი, ახალი წინადადებების დანერგვას დედოფლისწყაროს რაიონიდან ვიწყებთ, ჩვენს მოსაზრებებს მთავრობას წარვუდგენთ. ასეთ პრაქტიკულ ლიანდაგზე გადავდივართ. შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერებათა აკადემიის მოქმედების ვექტორი რადიკალურად შეიცვალა.

**— ფუნდამენტური მეცნიერებები?**

— თავისი ადგილი და წილი აქვს და დარჩება. სრულად გვაქვს გაცნობიერებული, აკადემია საერთაშორისოდ აღიარებულ სამეცნიერო სტრუქტურად რომ იქცეს და რეალურად უპასუხოს შესაბამის სტანდარტებს, ამისათვის ვალდებულნი ვართ, თანამედროვე მეთოდოლოგიით ჩავატაროთ ინტენსიური კვლევები ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და არქეოლოგიის, ყველა სხვა ქართველოლოგიური პროფილის მეცნიერებებში; **საფუძვლიანად უნდა გვქონდეს გაანალიზებული მეცნიერების ყველა ის ფუნდამენტური დარგი, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან შეიძლება დაკავშირდეს და, შესაძლოა, ქვეყნის ინტერესებისთვის იქნას გამოყენებული.** აკადემია კვლავაც მხარს დაუჭერს და გააძლიერებს მეცნიერების ისეთ ტრადიციულ მიმართულებებს, როგორებიცაა მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, დედამიწის სიცოცხლის შემსწავლელი და აგრარული მეცნიერებები, მედიცინა და ა. შ.



> «ჩვენი მინისტრი ახალგაზრდა ქალია, ალბათ, უდავოდ ნიჭიერი. მაგრამ მეცნიერების როლისა და ადგილის გაგება მეცნიერებათა აკადემიაშიც კი გვიჭირს, სხვაზე რა უნდა ვთქვა?! მეცნიერების ბედ-იღბალი თვითონ მეცნიერებმა უნდა გადაწყვიტონ»

**— ბატონო ოთარ, თქვენ ახსენეთ აკადემიის მიმართულების ვექტორი, ვთქვათ ასე, — შიგნით მიმართული. გარე ვექტორზე შეგეკითხებით, რომელიც ათწლეულების განმავლობაში, ძირითადად, მიმართული იყო საბჭოთა კავშირის სივრცისკენ, უწინარესად, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, კიევის და ა. შ. სამეცნიერო ცენტრებისკენ. რუსოფობიის აღზევების პერიოდის „დაღდასმულობა“ დაძლიეთ?**

— **რუსოფობიის პოლიტიკის აყოლა დიდი დანაშაული იქნებოდა. დღეს შვეიცარიის მეცნიერების ცენტრში, რომელიც ფიზიკაში მსოფლიო მნიშვნელობის ფრონტადაა აღიარებული, ორმოცამდე ქართველი ფიზიკოსი მუშაობს. როგორ გგონიათ, დუბნა რომ არ ყოფილიყო, ქართველები რომ არ ყოფილიყვნენ რუს ფიზიკოსებთან შემოქმედებითად დაკავშირებული, შესაძლებელი იქნებოდა იმ ცენტრში ქართველების მიწვევა? არა, რა თქმა უნდა. მესმის, რომ რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ მგონია, რომ გართულების პიკი გადავიარეთ და შეიქმნა ის სიტუაცია, რომელიც ხელს შეუწყობს მეცნიერული კონტაქტების განვითარებას საზღვარგარეთის მეცნიერებათა აკადემიებთან, მათ შორის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან. ასევე მსოფლიოს სოლიდურ სამეცნიერო ცენტრებთან, საზოგადოებებთან და, საჭიროების შემთხვევაში, შევქმნით კვლევის ერთობლივი ცენტრებს, პროექტებს...**

ერთ რამესაც გეტყვით.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ფუნქციონირებდა ხელოვნური საკვების კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი ალექსანდრ ნესმეიანოვი. 11 წელიწადი ამ კომისიის წევრი ვიყავი. ვერ წარმოიდგენთ, რა დიდი გამოცდილება მივიღე. ჩემნაირად რუსეთის სამეცნიერო ცენტრებთან არაერთი ქართველი მეცნიერი თანამშრომლობდა, რამაც ჩვენი კოლეგების პროფესიულ ზრდას სერიოზულად შეუწყო ხელი.

ამ კომისიას ისეთი მიღწევები ჰქონდა ხელოვნური საკვების შექმნის საქმეში (მაგალითად, ხელოვნური ხიზილალის, უაღრესად ყუათიანი პროდუქტის), რაზეც ამერიკელებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ. მომეცა საშუალება, პირადად დავრწმუნებულიყავი ამაში აშშ-ში ყოფნის დროს.



რატომ უნდა შევაქციოთ ზურგი ასეთი პოტენციალის მქონე სამეცნიერო ცენტრებს?! მივიღოთ, გავიზიაროთ, განვავითაროთ მათი მეცნიერული კვლევების შედეგები. ორი აზრი არ არსებობს, რომ არ უნდა გავხდეთ რუსეთის მეცნიერების სატელიტები, როგორც არც ერთი სხვა ქვეყნის. ეს ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია.

**ყოფილმა ხელისუფლებამ აქ, საქართველოში მეცნიერებს ისე გაგვიტეხა სახელი, მოგვსპო, დაგვანიავა, რომ ბევრ კოლეგას რწმენაც კი შეერყა, ამიტომ მეცნიერების მენტალიტეტის შეცვლა ადვილი არ გამოდგა.**

**— შეიძლება ვცდები, მაგრამ აკადემიის საერთო კრებაზე მეცნიერებისა და განათლების მინისტრის გამოსვლამ მაფიქრებინა, რომ მაღალი რანგის ჩვენი ჩინოვნიკების (რომლებმაც ეს-ესაა მიაღწიეს მაღალ საფეხურებს) მენტალიტეტიც შესაცვლელია, რადგან იმავე არხით მიედინება, რომელიც სააკაშვილის დროს გაიჭრა.**

— ჩვენი მინისტრი ახალგაზრდა ქალია, ალბათ, უდავოდ ნიჭიერი. მაგრამ მეცნიერების როლისა და ადგილის გაგება მეცნიერებათა აკადემიაშიც კი გვიჭირს, სხვაზე რა უნდა ვთქვა?! მეცნიერების ბედ-იღბალი თვითონ მეცნიერებმა უნდა გადაწყვიტონ.

პრობლემას მთავრობა ვერ ჩამოგვიყალიბებს, ისევ მეცნიერებმა უნდა ვუკარნახოთ. ჩვენი უპირველესი ამოცანაა, მეცნიერული საფუძვლები შევქმნათ იმისა, თუ რა სჭირდება ქვეყანას. ამ გზით მივდივართ.

მე არ მიკვირს, რომ ქალბატონი თამარი შეიძლება ვერ არის ჩახედული მეცნიერების დეტალებში... არც შეიძლება იყოს... მაგრამ ცოტა მეტი ყურადღებით რომ ყოფილიყო, მისი გამოსვლაც უფრო ადეკვატური იქნებოდა კრების მონაწილეთა მოთხოვნების. **მეცნიერებათა აკადემია სამინისტროს დირექტივებით ვერ იმუშავებს. ეს ხომ ელემენტარულია და ამაში ამბიციურობის მისხალიც არ არის.**

**— პრემიერ-მინისტრს უნდა შეხვედროდით...**

— შევხვდი კიდეც, მაგრამ საყდრისის ოქროს საბადოს პრობლემისადმი იყო მიძღვნილი ის თათბირი. ძალიან რთული საკითხია... ამ შეხვედრის დამთავრებისთანავე გადავეცი ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს ჩვენი კრების მიერ მიღებული მიმართვა და მივიღე დაპირება, რომ იანვრის ბოლომდე აუცილებლად გამონახავს დროს და შემხვდება.

**— ამ შეხვედრის შედეგებზე, ალბათ, მოგვეცემა შესაძლებლობა ცალკე საუბრის.**

— გპირდებით.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

> «ყოფილმა ხელისუფლებამ აქ, საქართველოში მეცნიერებს ისე გაგვიტეხა სახელი, მოგვსპო, დაგვანიავა, რომ ბევრ კოლეგას რწმენაც კი შეერყა, ამიტომ მეცნიერების მენტალიტეტის შეცვლა ადვილი არ გამოდგა»

**P.S. ლიფტამდე მიმაცილა ბატონმა ოთარ კვესიტაძემ. ჩემი პროტესტის საპასუხოდ — ნუ წუხდებით-მეთქი, აი, რა მიამბო:**

**— ერთი ინგლისელი სტუმარი ქუჩამდე ჩავაცილე. ეტყობა, ვერ გაიგო, რომ მისდამი პატივისცემის გამო მოვიქეცი ასე და ირონიანარევი შენიშვნა მომცა:**

**— ყოველთვის ასე უფრთხილდებით თქვენს სამუშაო დროს?!**

**არც ვაციე, არც ვაცხელე და მივახალე:**

**— ასე მაშინ ვიქცევი, როცა მინდა დავრწმუნდე, რომ თქვენისთანა სტუმარი ნამდვილად წავიდა!**

**კაცს რომ იუმორი აქვს, სინალდის ნიშანია.**

მხილება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დღეს სულ უფრო აშკარა ხდება, რომ, როცა თავს ესხმიან უკრაინას, ამ თავდასხმის ნამდვილი მიზანი არის პროპაგანდა რუსეთის წინააღმდეგ. კვლავ ხაზს გავუსვამ, რომ რუსოფობია, რომლითაც გამსჭვალულია ევროპარლამენტი, მისი მოქმედების ძრავაა და ეს, რა თქმა უნდა, ჩვენთან ანგლოსაქსური სამყაროდან მოდის.“

# დასავლეთი გაძლიერებული რუსეთის შიშმა აიტანა

## ევროპარლამენტარის შოკისმომგვრელი განცხადება უკრაინაზე, რუსოფობიაზე, ადამიანის უფლებებზე, აშშ-ის ორმაგ სტანდარტებსა და ქრისტიანების მიზანმიმართულ დევნაზე

**ყოველი წლის ბოლოს ევროპარლამენტი აქვეყნებს ანგარიშს მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ, რომლის განხილვის შემდეგ კენჭს უყრიან მის ბაზაზე მომზადებულ რეზოლუციას. ამ დოკუმენტს ევროკავშირი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად გამოიყენებს, კერძოდ, იმ ქვეყნებზე ზემოქმედების მოსახდენად, რომლებშიც ეს დარღვევები მასობრივ ხასიათს ატარებს.**



შარშანდელ ანგარიშში, ისევე, როგორც წინა წლების დოკუმენტებში, რუსეთს განსაკუთრებული ადგილი დაეთმო, მაგრამ ტრადიციული ანგარიშის განხილვაზე ევროპარლამენტის დეპუტატმა ავსტრიიდან — **ევალდ შტადლერმა** განცხადება გააკეთა:

„მიმაჩნია, რომ ეს ანგარიში დაბალანსებული არ არის. ამ დოკუმენტის ცალმხრივობის დასადასტურებლად ამჯერად დავასახელებ სამ მაგალითს, თუმცა თავისუფლად შემიძლია კიდევ 10 მაგალითის მოშველიება.

**თავში „სასიკვდილო განაჩენი და მისი აღსრულება“ ადამიანის უფლებათა დამრღვევად დასახელებულია ბელარუსი, მაგრამ სიტყვაც არ არის ნათქვამი სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენების ისეთ ლიდერ ქვეყანაზე, როგორიც ევროკავშირის პარტნიორი ამერიკის შეერთებული შტატებია!** არც ერთი სიტყვა აშშ-ზე!“

**ამ საკითხს ევალდ შტადლერი მეორე დღესაც მიუბრუნდა და შენიშნა:**

„ჯერ კიდევ გუშინ ვთქვი, რომ ხმას არ მივცემდი ამ ანგარიშს, დღეს ასეც მოვიქეცი, კვლავ მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმას, რომ ანგარიში ცალმხრივია.

მეასე და ასმეერთე პუნქტებში დასახელებულია სიკვდილით დასჯის ორი შემთხვევა ბელარუსში (მინსკის მეტროში მოწყობილი ტერაქტების გამო), რაც, რა თქმა უნდა, სამწუხაროა. მაგრამ ამასთან, **სიკვდილით დასჯის ყველაზე დიდი რაოდენობა დასავლეთ ნახევარსფეროში — აშშ-შია, ეს ქვეყანა კი საერთოდ დასახელებულიც არ არის, არც ერთი სიტყვა აშშ-ზე!**

ეს არის იმის დადასტურება, თუ რამდენად **მიკერძოებული და ცალმხრივია მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ შედგენილი ეს დოკუმენტი!..**

იმავე ცალმხრივობით გამოირჩევა აბორტების თემაც, როგორც ქალთა უფლება, მაგრამ არა ბავშვის სიცოცხლის უფლება. იგივე ეხება ქრისტიანულ უმცირესობათა განადგურებას არაბულ ქვეყნებში, რომლებთანაც ევროკავშირი მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფება.

არაფერია აქ ნათქვამი დასავლეთ საჰარის ამჟამინდელ პრობლემებზე, **სიტყვა არ არის ნათქვამი ადამიანის უფლებათა დაცვაზე პალესტინაში, სადაც ისეთი ცუდი სიტუაციაა, რომ ეს თემა აუცილებლად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ამ ანგარიშში ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ.**

იგივე ეხება ედვარდ სნოუდენს, რომელმაც საკუთარი ინიციატივით იკისრა პასუხისმგებლობა, გარისკა და დაგვანახა, **როგორ ირღვევა ადამიანის უფლებები ამერიკის სპეცსამსახურების მიერ, რომლებიც უთვალთვალებენ მილიონობით ადამიანის კერძო, ოჯახურ და სამსახურის სფეროებს! ამის შესახებ არც ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ამ ანგარიშში. არც ერთი სიტყვა!**

ამიტომ ეს ანგარიში აშკარად მიკერძოებულია. იგი მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ, უკრაინის წინააღმდეგ, ბელარუსის წინააღმდეგ.

ეს ანგარიში თავიდან ბოლომდე რუსოფობიითაა გაჟღენთილი! ამიტომ, ჩემი ღრმა შეგნებითა და რწმენით, ხმას ვაძლევ ამ ანგარიშის წინააღმდეგ!“

**ამ განცხადებიდან ორიოდე დღეში ევალდ შტადლერს სტრასბურგში, ევროპარლამენტში ინტერვიუ ჩამოართვა ჟურნალისტმა ალექსანდრ როსტოვსკიმ, რომლის თარგმანსაც აქვე გთავაზობთ.**

**«ჩვენ მოწმენი ვხდებით მუდმივად მზარდი გლობალური ბრძოლის ამერიკელებს, რუსებსა და ჩინელებს შორის. უკრაინას ამ ბრძოლაში ცენტრალური როლი აკისრია, ევროკავშირი კი ამერიკელების ინტერესებს ემსახურება»**

— ბატონო შტადლერ, ევროპარლამენტმა მიიღო ანგარიში მსოფლიოში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ. პირადად მონაწილეობდით ამ პროცესში, დებატებში და კრიტიკულად შეაფასეთ იგი.

ევროპარლამენტის ეს ანგარიში ძალიან ბევრი გაფრთხილებისა და ჭკუის დარიგების შემცველია, ჩამოთვლილია მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დარღვევის მრავალრიცხოვანი შემთხვევა, მაგრამ ეს, ეტყობა, მაინც მცირე ნაწილია იმისა, რაც მსოფლიოში შეიმჩნევა?

— ანგარიში მიკერძოებულია. და ეს გავაკრიტიკე. ეს ანგარიში, უეჭველია, აგებულია მძლავრი რუსოფობიის ბაზაზე.

**ხაზი უნდა გავუსვა, რომ გაოგნებული ვარ რუსეთის მიმართ მტრული გამონათქვამებითა და ფორმულირებებით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ევროკავშირი მტრულ დამოკიდებულებაშია რუსეთთან.**

მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ ევროპარლამენტის 2013 წლის ანგარიშში ცალკე კარი ეძღვნება ორ სასიკვდილო განაჩენს ბელარუსში. ამასთან, ანგარიშში ერთი სიტყვაც არ არის თქმული დასავლეთის ნახევარსფეროს ქვეყანაში, აშშ-ში, ყველაზე დიდი რაოდენობით აღსრულებული სასიკვდილო განაჩენების შესახებ.

**არც ერთი სიტყვა არ არის თქმული წამებათა შესახებ დასავლეთისა და აშშ-ის პარტნიორ ქვეყანაში — საუდის არაბეთში. იქ ადამიანებს სიკვდილით სჯიან ყველაფერთან ერთად იმის გამო, რომ ისინი ქრისტიანები არიან, იმიტომ, რომ ქრისტეს რჯული ირწმუნეს...**

**ანგარიშში ლაპარაკი არ არის ქრისტიანულ უმცირესობათა განადგურების შესახებ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში,** რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან, უკვე 2000 წელიწადია, იქ ცხოვრობენ. **მაგალითად, კოპტები ეგვიპტეში ან ქრისტიანები სირიაში, რომლებსაც ყელსა სჭრიან ისლამისტები.**

**სიტყვაც არ თქმულა ქრისტიანულ თემებზე ერაყში. ქრისტიანები, თითქმის 2000 წელიწადია, იქ ცხოვრობენ და დღეს მათ ისლამისტები დევნიან...**

კიდევ ერთი ფარისევლური პუნქტი აბორტებს ეხება. იქ ლაპარაკია ე. წ. ქალთა სექსუალური ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობაზე და, ამასთან ერთად, „ადამიანის უფლებაზე“ — გაიკეთოს აბორტი, რაც, ფაქტობრივად, აკანონებს აბორტებს.

კარგად მოისმინეთ და გაიაზრეთ: აბორტის გაკეთების უფლება! რატომღაც არავინ არ ფიქრობს ბავშვების სიცოცხლის უფლებაზე, პირიქით, შემოაქვთ უფლება აბორტზე.

ყველა ამ და მრავალი სხვა მიზეზის გამო აშკარად ჩანს, რომ **მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ ეს ანგარიში მიკერძოებული და ცალმხრივია,** ამიტომ ხმა მივეცი მისი მიღების წინააღმდეგ.

ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩემი შეხედულება ამ ანგარიშზე გაიზიარა ზოგიერთმა ჩემმა კოლეგა-დეპუტატმა, მათ შორის, პოლონეთიდან, რამაც გამაკვირვა.

**— მიიჩნევთ, რომ პარლამენტს საერთოდ აქვს უფლება, დაადგინოს ადამიანის უფლებათა დარღვევა სხვა ქვეყნებში და ამისთვის დაგმოს ეს ქვეყნები?**

— ვფიქრობ, რომ კი. ასეთი უფლება აქვს ყველა პარლამენტს, მაგრამ ეს სამართლიანად, ობიექტურად და დაბალანსებულად უნდა გაკეთდეს. თუ ვხედავთ, რომ ირღვევა ადამიანის უფლებები, ვლაპარაკობთ კიდეც ამის შესახებ. მაგრამ ადამიანის უფლებათა დარღვევა არ უნდა გამოვიყენოთ, როგორც პოლიტიკური პროპაგანდა, მაგალითად, უკრაინის ან თუნდაც რუსეთის წინააღმდეგ.

**დღეს სულ უფრო აშკარა ხდება, რომ, როცა თავს ესხმიან უკრაინას, ამ თავდასხმის ნამდვილი მიზანი არის პროპაგანდა რუსეთის წინააღმდეგ. კვლავ ხაზს გავუსვამ, რომ რუსოფობია, რომლითაც გამსჭვალულია ევროპარლამენტი, მისი მოქმედების ძრავაა და ეს, რა თქმა უნდა, ჩვენთან ანგლოსაქსური სამყაროდან მოდის.**

ევროკავშირისა და ევროკომისიის დიპლომატების ქცევითა და განცხადებებით უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ **ევროკავშირის პოლიტიკა რუსეთის იზოლაციისკენაა მიმართული ეკონომიკურ სფეროშიც.** ამის მაგალითია, თუნდაც, ევროკავშირის ახალი კანონი „მესამე ენერგეტიკული პაკეტი“ („გაზპრომის“ წინააღმდეგ). ამასთან ერთად, ნათელია, რომ **ევროკავშირი ამერიკელების ინტერესებს ემსახურება. მიმაჩნია, რომ ეს პოლიტიკა აბსოლუტურად მცდარია.**

ჩვენ დავინახეთ ევროპული დიპლომატიის კატასტროფული შეცდომები უკრაინის მაგალითზე, როცა უკრაინის ევროკავშირთან ასოცირების შემთხვევაში ევროპულმა დიპლომატიამ ვერ შეამჩნია ან არ მოისურვა იმის დანახვა, თუ რამდენად ფუნდამენტურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან უკრაინისა და რუსეთის ეკონომიკები.

**ევროკავშირმა ვერ დაინახა, რომ იულია** ▶

„კიევში იყვნენ მძიმედ დაჭრილები, მაგრამ ისინი პოლიციელები იყვნენ. ჩემი თვალით ვიხილე შეტაკების ვიდეო კიევში, დემონსტრანტების ველური აგრესია გასაოცარი იყო. პოლიციას ნაბრძანები ჰქონდა, არავითარ შემთხვევაში არ ეპასუხა და რეაგირება არ მოეხდინა ასეთ აგრესიაზე. უკრაინის ხელისუფლების ასეთი ქცევა ევროკავშირს სათანადოდ არ დაუფასებია.“

მხილება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ძნელია იმის წარმოდგენაც კი, რა გადაიტანა უკრაინამ ბოლო წლებში ევროკავშირის აგრესიული პოლიტიკის გამო

**◀ ტიმოშენკო დამნაშავეა, კრიმინალური ფიგურაა. და აი, ევროკავშირმა უგულებელყო რუსეთისა და უკრაინის ეკონომიკების მჭიდრო კავშირი, ტიმოშენკო კი უმანკო წმინდანის რანგში აღაზევა და მოლაპარაკების მთავარ თემად აქცია.**

როცა უკრაინის ან რუსეთის მიმართ ევროპული პოლიტიკა მსჯავრდადებული დამნაშავეების (ხოდორკოვსკის) დაცვითაა დაკავებული, როცა ამას ურთიერთობის მთავარ თემად აქცევენ, მაშინ არ უნდა გავიკვირვოთ, რომ უკრაინამ ევროკავშირს კარი ცხვირწინ მიუჯახუნა და ალტერნატივისა და მოკავშირეების ძებნა აღმოსავლეთში დაიწყო. ეს სწორია, უკრაინის ადგილზე მეც ასე მოვიქცეოდი.

**ძნელია იმის წარმოდგენაც კი, რა გადაიტანა უკრაინამ ბოლო წლებში ევროკავშირის ამ აგრესიული პოლიტიკის გამო.**

უკრაინელებმა ახლა თავის თავს უთხრეს: „მორჩა, ჩვენ ყელამდე მაძღარი ვართ ევროკავშირის ამ პოლიტიკით, ჩვენ გვსურს რუსეთთან ალტერნატიული პარტნიორობა“. და იმაში, რომ რუსეთმა უკრაინასთან დაახლოების ეს შანსი გამოიყენა, რომელიც მას ევროკავშირმა ლურჯკანტიანი ლანგრით თავად მიართვა, რუსეთი, ვფიქრობ, არ უნდა დავადანაშაულოთ, მით უფრო მას შემდეგ, რაც ევროკავშირის პოლიტიკამ უკრაინას დამართა.

**— ჩვენ ვნახეთ, როგორც იჯდა ევროპარლამენტის ვიცეპრეზიდენტი ქალი ევროპარლამენტის განხილვის დროს ტიმოშენკოს გამოსახულებიან მაისურში წარწერით „თავისუფლება ტიმოშენკოს“. რა დამოკიდებულება გაქვთ ამგვარ ევროპულ დიპლომატიასთან?**

— ეს სისულელეა, იგავმიუწვდომელი გონებაშეზღუდულობა. ეს ვიცეპრეზიდენტი ქალბატონი უნდა დაინტერესებულიყო და ეკითხა ლონდონის ერთ-ერთი საადვოკატო კანტორისთვის, რომელმაც დაადგინა, რამდენი ათეულობით მილიონი ევრო გადარიცხა იულია ტიმოშენკომ დასავლეთის ბანკებში უკრაინის პრემიერმინისტრის თანამდებობაზე ყოფნის დროს. უნდა ითქვას, რომ ყოველთვის იყვნენ და არიან გულუბრყვილო ადამიანები, რომლებსაც სჯერათ, რომ ის, რაც მასმედიაშია, ლამის ღვთის განგება და უკანასკნელი ინსტანციის სიმართლეა.

**— ჩვენთვის ცნობილია, რომ ევროპარლამენტის ერთი დეპუტატი პირადად ეწვია იულია ტიმოშენკოს და აღმოაჩინა, რომ მას ცხოვრების შესანიშნავი პირობები აქვს მოწყობილი. ამის თაობაზე მასმედია რატომ არაფერს იტყობინება?**

— გასაგებია, რატომაც. იმიტომ, რომ ეს ეწინააღმდეგება აღიარებულ პროპაგანდას. ვიმეორებ, **ევროპარლამენტი პროპაგანდის სამინისტროდ იქცა. ის, რაც ევროპარლამენტის დეპუტატმა ტიმოშენკოს საპატიმრო ადგილას აღმოაჩინა, ფეოდალური წყობილების სასახლეს ჰგავს. ყველა დამნაშავე ასეთ თავადურ პირობებში როდი იმყოფება გისოსებს მიღმა.**

ეს დეპუტატი გააკვირვა იმანაც, რომ **სინამდვილეში ტიმოშენკოს ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან კარგია. ამას ადასტურებს ყველა, ვინაც იგი პირადად ინახულა.** ხოლო ის, რომ იგი ზურგის ტკივილს უჩივის, ბევრს ეს, თავისუფლებაზე მყოფსაც აწუხებს. ასე რომ, მისი ტკივილები სულაც არ არის გამოწვეული იმ პირობებით, რომლებიც მისთვის გისოსებს მიღმა არის შექმნილი. **ის, რასაც დასავლეთის მედია ჩვენ გვიყვება გაუბედურებულ და შიმშილით დაოსებულ ტიმოშენკოზე, მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდაა.** თუ ევროპარლამენტის დეპუტატები მასმედიას თავს ატყუებინებენ, ეს მათი პირადი საქმეა. მე პირადად ამ პროპაგანდისა არ მჯერა და მოვლენებს კრიტიკულად აღვიქვამ. ყოველთვის ვცდილობ, გავიგო, სინამდვილეში რა დგას საგნებს უკან. ვფიქრობ, რომ **ჩვენ მოწმენი ვხდებით მუდმივად მზარდი გლობალური ბრძოლის ამერიკელებს, რუსებსა და ჩინელებს შორის. უკრაინას ამ ბრძოლაში ცენტრალური როლი აკისრია, ევროკავშირი კი ამერიკელების ინტერესებს ემსახურება.**

უკრაინის წინააღმდეგ ევროკავშირის უნამუსო პროპაგანდის კიდევ ერთი მაგალითი შეიძლება დავინახოთ თურქეთში ამასწინათ გამართულ პროტესტებში. მოდით, გავიხსენოთ ევროკავშირის პოლიტიკოსების რეაქცია თურქეთში, გიზის პარკში გამართული სტუდენტების საპროტესტო აქციების დროს. თურქეთი, უკრაინისგან განსხვავებით, ევროკავშირის წევრობის კანდიდატია. თურქეთის პოლიციამ მაშინ უმოწყალოდ დაარბია დემონსტრანტები. იყო ბევრი დაჭრილი, მძიმედ დაჭრილიც, რამდენიმე მოკლეს. უკრაინის მთავრობა კი პირიქით მოიქცა, იზრუნა, რათა პოლიციას კიევში დემონსტრანტების მიმართ ზომიერად ემოქმედა და, მადლობა ღმერთს, იქ არც მძიმედ დაჭრილა ვინმე, არც არავინ მოუკლავთ.

**კიევში იყვნენ მძიმედ დაჭრილები, მაგრამ ისინი პოლიციელები იყვნენ. ჩემი თვალით ვიხილე შეტაკების ვიდეო კიევში, დემონსტრანტების ველური აგრესია გასაოცარი იყო. პოლიციას ნაბრძანები ჰქონდა, არავითარ შემთხვევაში არ ეპასუხა და რეაგირება არ მოეხდინა ასეთ აგრესიაზე.**

**უკრაინის ხელისუფლების ასეთი ქცევა ევროკავშირს სათანადოდ არ დაუფასებია. უფრო მეტიც, რაღაც ვერ ვნახე, რომ ევროპარლამენტის დეპუტატები და ევროკავშირის პოლიტიკოსები ჩასულიყვნენ თურქეთში — ანკარაში, სტამბოლში, გიზის ამ პარკში დემონსტრანტების გასამხნევებლად. ასეთი რამ არ მინახავს, ასეთი რამ არ ყოფილა.**

ამ მაგალითზე ძალიან კარგად ჩანს **ევროკავშირის ორმაგი მორალი და უნამუსობა,** როცა ადამიანის უფლებათა დარღვევაზეა ლაპარაკი. თუ სადმე ადამიანის უფლებათა დარღვევა ევროკავშირს არ აღელვებს ან ეწინააღმდეგება მის ინტერესებს, იქ ევროკავშირი არ რეაგირებს ან ერთ-ორ ფორმალურ განცხადებას გადმოისვრის, ვალის მოსახდელად. ასე იყო თურქეთის შემთხვევაში.

მაგრამ იქ, სადაც რაიმე დარღვევა რაც შეიძლება უკეთ ესადაგება ევროკავშირის პოლიტიკის წარმატებას, მაგალითად, უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ პროპაგანდის წარმართვა, იქ ევროკავშირი იქამდეც კი მიდის, რომ უკრაინის მთავრობის ლეგიტიმური მოქმედების კრიმინალიზაციას ახდენს. თანაც, როგორც ყველგან და ყოველთვის, მათ ერთადერთი დამნაშავე ჰყავთ — ვლადიმერ პუტინი. ამას მე რუსოფობიას ვუწოდებ, შეგნებულად გავრცელებულ რუსოფობიას. რა მოჰყვება ამას, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ. **მათ რა, სურთ, ღია კონფლიქტით დაუპირისპირდნენ რუსეთს? მათ სურთ კვლავ დაუბრუნდნენ „ცივი ომის“ დროს? რუსეთთან კონფლიქტის დაძაბვით მათ თავიანთი სამხედრო მრეწველობის გამოცოცხლება უნდათ? „აღმოსავლეთიდან საშიშროების“ მუქარით სურთ, ბიუჯეტს წაგლიჯონ ფული სამხედრო მანქანისთვის? თუ ასეა, მაშინ პირდაპირ უთხრან ამის შესახებ თავიანთ მოქალაქეებს.**

**— როგორ ახსნით ამ წინააღმდეგობას, როცა ევროკავშირი ზოგ ქვეყანას უფრო ძლიერ აკრიტიკებს, ზოგს კი — ნაკლებად ან საერთოდ არა?**

— ეს ევროკავშირის პროპაგანდისტური პოლიტიკის ნაწილია. ისინი თავად ნიშნავენ „კარგებს“ და თავადვე ამხელენ „ცუდებს“, ვინც მათ არ მოსწონთ. „ცუდი“ ყოველთვის ისაა, ვინც ხელს უშლის ევროკავშირს და, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ს. მათ „მტრებად“ აცხადებენ, ბოროტების ღერძს მიაკუთვნებენ. დღეისთვის „მტრის“ ამ პროპაგანდის გენერალური ხაზი აშკარად მიმართულია პუტინისა და რუსეთის წინააღმდეგ.

**კონფლიქტის ესკალაციის ასეთი პოლიტიკა ფრიად საშიშია, ამიტომ მივმართავ ჩემს ავსტრიელ თანამემამულეებს, რომლებსაც დღემდე ყოველთვის შეეძლოთ გაერჩიათ პროპაგანდა რეალობისგან, — თავი აარიდონ რუსეთის წინააღმდეგ ევროკავშირის ესკალაციის ამ პოლიტიკას.** ევროკავშირის პოლიტიკა ერთია, ავსტრიის ფედერალური მთავრობის პოლიტიკა — სულ სხვა. ავსტრიას გააჩნია რუსეთთან კეთილი ურთიერთობის ხანგრძლივი ტრადიცია და, თუ ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრს საკუთარ კარიერაზე ზრუნვის მეტი სხვა საქმე არ აქვს, დროა, უფლებამოსილებაზე უარი თქვას.



# კოდეინისა და ეფედრინის შემცველი საშუალებების ურეცეპტოდ გაცემა მკაცრად დაისჯება

**შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის სამინისტროები კოდეინის, ეფედრინის, ფსევდოეფედრინისა და ნორეფედრინის შემცველი საშუალებების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლს, ხოლო მათი რეალიზაციის წესების დარღვევაზე პასუხისმგებლობას ამკაცრებენ. საუბარია იმ ფსიქოტროპულ და ფსიქოაქტიურ მედიკამენტებზე, რომელთა მეშვეობითაც ნარკოტიკული საშუალების კუსტარულად დამზადებაა შესაძლებელი.**

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები, შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის სამინისტროს ავტორობით, პარლამენტს უკვე წარედგინა.

პროექტის თანახმად, ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით, განისაზღვრება ნუსხა იმ სამკურნალო საშუალებებისა (ისეთი სამკურნალო საშუალებები და პრეპარატები, რომელთა არადანიშნულებისამებრ გამოყენება სუფთა სახით ან სხვა ნივთიერებებთან ერთად, ნარკოტიკულ თრობას იწვევს), რომლებზეც კონტროლის რეჟიმი და ლეგალური ბრუნვის წესები გავრცელდება. კოდეინის, ეფედრინის, ფსევდოეფედრინისა და ნორეფედრინის შემცველი ფარმაცევტული პროდუქტების იმპორტ-ექსპორტის დროს, საქართველოს წლიური მოთხოვნის გათვალისწინებით, განისაზღვრება სახელმწიფო კვოტა, რომელიც შეიძლება შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის მინისტრების ერთობლივი ბრძანებით დადგინდეს. პარლამენტში ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილება მიზნად ისახავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრას კოდეინის, ეფედრინის, ფსევდოეფედრინისა და ნორეფედრინის შემცველი კომბინირებული საშუალებების ლეგალური ბრუნვის დადგენილი წესების დარღვევისთვის.

კოდეინის შემცველი კომბინირებული პრეპარატები ნარკოტიკული საშუალებების II სიაში გადავა. შესაბამისად, რეცეპტის გარეშე მათი რეალიზაცია აფთიაქისთვის (როგორც იურიდიული პირის, ასევე მის უკან მდგომი ფიზიკური პირებისთვის, მათ შორის გამყიდველისთვისაც) სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს. ეფედრინი, ნორეფედრინი და ფსევდოეფედრინი პრეკურსორების IV სიის №1 ცხრილიდან ფსიქოტროპული ნივთიერებების III სიაში გადაინაცვლებს. ამასთანავე, განისაზღვრება ეფედრინის, ნორეფედრინისა და ფსევდოეფედრინის მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობები.

აღნიშნული ნივთიერებების რეცეპტის გარეშე გაცემა აფთიაქისთვის — როგორც იურიდიული, ასევე მის უკან მდგომი ფიზიკური პირისთვის, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს.

# უკრაინაში პრემიერი და მინისტრები გადადგნენ

**უკრაინის პრეზიდენტმა, ვიქტორ იანუკოვიჩმა პრემიერ-მინისტრ ნიკოლაი აზაროვის და მინისტრთა კაბინეტის გადადგომის განკარგულებას ხელი მოაწერა.**

განკარგულების შესაბამისად, გათავისუფლებულ მინისტრთა კაბინეტს დაევალა გააგრძელოს მოვალეობის შესრულება ახალი მინისტრთა კაბინეტის ფორმირებამდე. ნიკოლაი აზაროვმა გადადგომის თაობაზე განცხადება 28 იანვარს გააკეთა.

**„ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით და ვაკეთებთ, რომ არ დავუშვათ სისხლისღვრა“,** — განაცხადა აზაროვმა, რომელმაც თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადება დაწერა.

**„კონფლიქტური სიტუაცია, რომელიც სახელმწიფოში შეიქმნა, უკრაინის ეკონომიკას და სოციალურ განვითარებას ემუქრება, შეიცავს საფრთხეს სრულიად უკრაინული საზოგადოებისა და თითოეული მოქალაქისთვის“,** — ნათქვამია ნიკოლაი აზაროვის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამასთან, ნიკოლაი აზაროვი აღნიშნავს, რომ უკრაინაში არსებული დაპირისპირებისას ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისთვის.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახალი ტექნოლოგიების, მაგალითად, იმ ჰიპერბგერითი ფრთოსანი რაკეტების გაჩენა, რომლებიც გარანტირებულად გაანადგურებენ დიდ ავიამზიდ გემებს, აიძულებს ყველა მსხვილ სამხედრო-საზღვაო მოთამაშეს, გადახედოს თავისი ფლოტების შემადგენლობას და ნაწილობრივ გაათანაბრებს ძველ საზღვაო ზესახელმწიფო აშშ-ს ახალ საზღვაო ზესახელმწიფო ჩინეთთან.**



# აშშ-ის სამხედრო უპირატესობა ჩინეთზე მცირდება

**აშშ-ის შეიარაღებული ძალების წყნარი ოკეანის სარდლობის მეთაური, ადმირალი სემ ლოკლირი აღიარებს ფაქტს, რომ აშშ ნელ-ნელა კარგავს სამხედრო უპირატესობას.**

რამდენიმე დღის წინ წყალსზედა ფლოტის ასოციაციის წინაშე გამოსვლისას ადმირალმა **სემ ლოკლირმა** აღნიშნა, რომ **ამერიკის შეერთებული შტატების „ისტორიული დომინირება“ მცირდება. საკვანძო საფრთხის სახით მან ჩინეთის სამხედრო ძლევამოსილების ზრდა დაასახელა.**

ფაქტობრივად, ამ აღიარების არსი ისაა, რომ **აშშ-ის ჯერ კიდევ უდავო ტექნოლოგიური უპირატესობა აღარ არის საკმარისი რაოდენობრივად უპირატესობის მქონე ჩინეთის შეიარაღებული ძალების დასამარცხებლად.** ადმირალმა ლოკლირმა ყველას მოუწოდა, აქტიურად ეძებონ ახლებური მიდგომები იმისთვის, რომ როგორმე დაძლიონ რეგიონში ძალთა ბალანსის ცვლილების ნეგატიური ტენდენციები, დაუბრუნდნენ იარაღის მთელი რიგი პერსპექტიული სისტემების, კერძოდ ფრთოსანი რაკეტების ახალი თაობის შექმნას. **ჩინეთის სამხედრო ძლევამოსილება ისეთ დონეს აღწევს, რომ მისი შეკავება უკვე შეუძლებელია აშშ-ის ერთ-ერთი რეგიონული დაჯგუფების ძალებით.**

აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტის მკაცრი შემცირებისა და რესურსების საერთო შეკვეცის ფონზე ამერიკელები ადრე თუ გვიან აღმოჩნდებიან იმ სიტუაციაში, როდესაც მათი ძალების სულ უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი მიეჯაჭვება წყნარ ოკეანეს, ზუსტად ისევე, როგორც საბჭოთა კავშირთან ცივი ომის პერიოდში იყო მიჯაჭვული ჩრდილო ატლანტიკაზე. რეგიონში მუდმივად განლაგებული აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების, ფლოტის, საზღვაო ქვეითების და, შესაძლოა, ქვეითი ჯარების კონტინგენტთა ზრდა გარდაუვალ პერსპექტივად გამოიყურება. ამჟამინდელ ეკონომიკურ მდგომარეობაში ეს ზრდა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მსოფლიოს სხვა რეგიონებში აშშ-ის სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი შემცირების ხარჯზე.

**აშშ-ისთვის გაცილებით უფრო რთული გახდება მოკავშირეების დაცვა და მისთვის არასასურველი რეჟიმების დასამხობად ინტერვენციების განხორციელება.** უნდა აღინიშნოს, რომ **ამერიკის ყველა ევროპელი მოკავშირე, რომელსაც კი შეუძლია, პლანეტის სხვა ნაწილებში ამერიკის სამხედრო ოპერაციებს აღმოუჩინოს მხარდაჭერა, დაახლოებით იგივე პრობლემების წინაშეა.**

ეს იმას ნიშნავს, რომ **ამერიკა იძულებული იქნება, გადახედოს ამჟამად მოქმედ კავშირების სისტემას და მკვეთრად გაზარდოს სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა საკვანძო პოლიტიკურ პარტნიორებთან. გარკვეული მომენტიდან თანამედროვე იარაღის მიწოდება, შესაძლოა, ლამის ერთადერთ ინსტრუმენტად იქცეს, რომელიც კვლავ ამერიკის ხელისუფლების ხელში იქნება მსოფლიოს სხვა რეგიონებში საერთაშორისო სიტუაციაზე გავლენის მოსახდენად.**

პერსპექტივაში ახალი ტექნოლოგიების, მაგალითად, იმ ჰიპერბგერითი ფრთოსანი რაკეტების გაჩენა, რომლებიც გარანტირებულად გაანადგურებენ დიდ ავიამზიდ გემებს, აიძულებს ყველა მსხვილ სამხედრო-საზღვაო მოთამაშეს, გადახედოს თავისი ფლოტების შემადგენლობას და ნაწილობრივ გაათანაბრებს ძველ საზღვაო ზესახელმწიფო აშშ-ს ახალ საზღვაო ზესახელმწიფო ჩინეთთან. ამ შემთხვევაში კი აშშ-ს აღმოსავლეთ აზიაში ძალთა კიდევ უფრო მეტი კონცენტრირება დასჭირდება.

rus.ruvr.ru

# ერთი წლის მანძილზე გერმანიამ საცოდავი 37 ტონა ოქრო დაიბრუნა

**ბუნდესბანკის იმ გამაოგნებელი განცხადებებიდან ზუსტად ერთი წლის განმავლობაში, რომლებიც ნიუ იორკის ფედერალური ბანკიდან და საფრანგეთის ცენტრალური ბანკიდან 674 ტონა ოქროს რეპატრიაციას უკავშირდებოდა, მან მხოლოდ საცოდავი 37 ტონა დაიბრუნა. ეს ადრე გამოცხადებულის მხოლოდ 5%-ს შეადგენს და ბევრად ნაკლებია იმ 84 ტონაზე, რომელიც ყოველწლიურად უნდა დაუბრუნდეს ბუნდესბანკს, რათა 674 ტონა შეივსოს დადგენილ რვაწლიან პერიოდში — 2013-2020 წლებში.**

ამ ყველაფერმა ძალიან გააბრაზა გერმანელები და გააჩინა მთელი რიგი ვარაუდები ტრანსპორტირების შეფერხებების ასახსნელად. ძალიანაც შესაძლებელია, რომ ოფშორული მეურვეების საკუთრებაში ოქრო, უბრალოდ, არ არის, რადგან ის ლიზინგში გადასცეს ან, რაც კიდევ უფრო უარესია, რაიმე ფორმალური ან არაფორმალური განცხადებების გარეშე გაყიდეს. შეთქმულების თეორიების მოყვარულები გაჩუმებას არ აპირებენ და ირწმუნებიან, რომ ნიუ იორკის ფედერალურმა სარეზერვო ბანკმა გერმანიას მხოლოდ 5 ტონა ოქრო დაუბრუნა, დანარჩენი კი პარიზიდან წამოვიდა.

როგორც Die Welt-ი წერს, **ამერიკელებს არ შეუძლიათ ნიუ იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკის სარდაფებიდან მეტალი ამოიტანონ, რადგან 1500 ტონა ოქრო, უკვე დიდი ხანია, გაყიდულია.** აი, მომხდარის ოფიციალური ახსნა-განმარტება: **„ბუნდესბანკმა ამერიკული ოქროს ესოდენ მცირე რაოდენობით რეპატრიაცია იმით ახსნა, რომ ოქროს პარიზიდან რეპატრიაცია გაცილებით ადვილია, ამიტომაც დაიწყო ეს პროცესი უფრო სწრაფად“.** ამასთან, ბუნდესბანკმა მიიღო საერთაშორისო გათვლების ბანკის მხარდაჭერა, ამ უკანასკნელს კი აქვს გამოცდილება სხვა ცენტრალური ბანკებისთვის ოქროს გადაცემის საქმეში და რამდენიმეთვიანი მომზადებისა და უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრის შემდეგ უკვე შეიძლება გადაზიდვის დაწყება თვითმფრინავებითა და სატვირთო მანქანებით. ეს ის ბანკია, რომელმაც 2011 წელს რეკორდული 632 ტონა ოქრო გასცა სესხად.

ყველაზე საინტერესო ისაა, თუ რატომ არის პარიზიდან ოქროს ტრანსპორტირება უფრო ადვილი, ვიდრე ნიუ იორკიდან. ნიუ იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკიდან ოქრო მანქანებით გადააქვთ ატლანტიკის ოკეანის ფსკერზე და საფრანგეთიდან მოტოროლერით?

სავარაუდოდ, კიდევ ერთი მიზეზი იყო: პარიზული ზოდები შეესაბამება „კარგი მიწოდების“ ლონდონურ სტანდარტს — London Good Delivery, ნიუ იორკისა კი ამ სტანდარტთან შესაბამისობაში მოსაყვანად გადადნობას საჭიროებს, რაც უკვე პრობლემაა.

**უკანასკნელი რამდენიმე წელია, გერმანიის მოსახლეობა მთელი რიგი სამართლიანი მიზეზების გამო სულ უფრო ხშირად გამოხატავს ცალსახა სურვილს, რომ გერმანიის ცენტრალურმა ბანკმა ჩაატაროს შემოწმება, შეფასება ან რაიმე სხვა სახის ანალიზი. ეს ოქრო 3395 ტონის ოდენობით მხოლოდ ამერიკულს ჩამოუვარდება. პრობლემა ისაა, რომ ფართო საზოგადოების არც ერთ წევრს, არჩეულ წარმომადგენლებსაც კი არავინ მისცა ამ ოქროსთან მიახლოების საშუალება. პრობლემა მძიმდება იმის გათვალისწინებით, რომ გერმანიის ოქროს დიდი ნაწილი საზღვარგარეთ ინახება, ძირითადად, ნიუ იორკის საცავებში და ინგლისის ბანკში.**

გერმანიის ოქროს თემა ახლახან იმასთან დაკავშირებით ამოტივტივდა, რომ გამჟღავნდა ინფორმაცია ევროკავშირის შექმნისას გერმანიის მიერ ლონდონიდან თავისი ოქროს თითქმის ორი მესამედის — 940 ტონის გატანის შესახებ. საოცარი ისაა, რომ მაშინ ბუნდესბანკმა ეს მკაცრად გასაიდუმლოებულ რეჟიმში გააკეთა, არადა, შეეძლო ნებისმიერი მიზეზით აბსოლუტურად გახსნილად დაებრუნებინა საკუთარი ოქრო საკუთარ ტერიტორიაზე.

ამ გასაიდუმლოების გამო უამრავი ვერსია გაჩნდა, მათგან ყველაზე უკიდურესი იყო ვარაუდი, რომ **თავიდანვე არანაირი ოქრო არ არსებობდა და ბუნდესბანკი მალავდა ამას.**

**როდესაც საქმე მიდის მშრალ, უტყუარ ფაქტებამდე, რომლებიც ცენტრალური ბანკების დამნაშავეობას ამხელენ, თვით მსხვილი ცენტრალური ბანკებიც კი იძულებულნი არიან, დუმილი დაიცვან. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლიანობის ცხადად დარღვევა გაანადგურებს მირაჟს იმის შესახებ, რომ თანამედროვე საზოგადოება ცხოვრობს დემოკრატიულ, სამართლებრივ რეჟიმში და ყველაფერი თავდაყირა დადგება.**

არადა, არსებობს დოკუმენტი, რომლის ტექსტი, პირდაპირ გადმოსცემს, რომ **ინგლისის ბანკი და ამერიკული ფედერალური ბანკი შეიკრნენ ბუნდესბანკის წინააღმდეგ და მას ბევრად დაბალი ხარისხის ზოდებს აწვდიდნენ და მსგავსი რამ, სულ მცირე, ერთხელ ნამდვილად მოხდა. საუბარია ოქროს დაახლოებით 172 ზოდზე.**

**ინგლისის ბანკი და ამერიკული ფედერალური ბანკი შეიკრნენ ბუნდესბანკის წინააღმდეგ და მას ბევრად დაბალი ხარისხის ზოდებს აწვდიდნენ და მსგავსი რამ, სულ მცირე, ერთხელ ნამდვილად მოხდა. საუბარია ოქროს დაახლოებით 172 ზოდზე**




სავარაუდოდ, გერმანულ ბუნდესბანკს მოუწევს, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხარისხისაა თუნდაც უკვე მის მფლობელობაში არსებული ოქრო და რამდენია ამ „ოქროს“ ზოდებში ნამდვილი ოქროს შემცველობა. საუბარი აღარ არის იმ ტონობით ოქროს ხარისხზე, რომელიც ლიბერტი-სტრიტის №-33-ში, ზღვის დონიდან 50 მეტრის სიღრმეში ინახება.

zerohedge.com



# ტორონტოს მერი თავისას არ იშლის

**ინტერნეტში გამოჩნდა კიდევ ერთი ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ტორონტოს (კანადა) მთვრალი მერი რობ ფორდი ქალაქის პოლიციის უფროსს შეურაცხყოფს — ქალაქის „მამა“ იამაიკურ დიალექტზე იგინება და ჟესტებსაც იშველიებს. ტორონტოს მერმა დაადასტურა ვიდეოჩანაწერის ნამდვილობა და აღიარა, რომ 20 იანვარს „ცოტა გადაჰკრა“.** გასული წლის ნოემბერში ტორონტოს საქალაქო საბჭომ ტორონტოს მერ რობ ფორდს თითქმის ყველა უფლებამოსილება შეუჩერა. ამის მიზეზი კი ფორდის მიერ ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის, აგრეთვე, საზოგადოებაში უცენზურო სიტყვების გამოყენება იყო.



ამერიკაში პრაქტიკულად ყველა სამთავრობო სტრუქტურა უხეშად არღვევს ამერიკის კონსტიტუციის ფუნდამენტურ პრინციპებს — ნებისმიერი ძალაუფლება უნდა იზღუდებოდეს. ეს დარღვევები ხდება იმის მიუხედავად, თუ რომელი პარტიაა ხელისუფლებაში.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ არ შეუძლიათ აშშ-ის შტატებს მშვიდობიანი გაყრა

**ამერიკის, როგორც სახელმწიფოს, მთავარი პრობლემა ძალიან ჰგავს იმ ქორწინებას, რომელშიც პარტნიორთაგან ერთ-ერთი მუდმივად არღვევს ქორწინების პირობებს. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე თვლის და ამბობს მსოფლიო კლასის ერთ-ერთი ყველაზე გამჭრიახი და შორსმჭვრეტელი ეკონომისტი — უოლტერ უილიამსი. ამასთან, იგი თავის ნაჭუჭში ჩაკეტილი თეორეტიკოსი კი არა, რეალისტია.**




როდესაც წესების დამრღვევი არ უფრთხილდება ქორწინებას და არ დებს პირობას, რომ გამოსწორდება, განქორწინების დროა.

მაგრამ ნუთუ განქორწინება ერთადერთი მშვიდობიანი ალტერნატივაა?

სამწუხაროდ ასეა, რადგან თანაცხოვრების სხვა ყველა ვარიანტი ძალადობას განაპირობებს. ცხადია, პროფესორ უილიამსს უჯობს, ამერიკელი ტირანები დაარწმუნოს, სპეცრაზმის ტანკები პოლიციის ნაცვლად მშვიდობას ემსახურებოდეს, მაგრამ ეს არასდროს მოხდება.

კრიტიკა პირდაპირ სამიზნეს მოხვდა: **ამერიკაში პრაქტიკულად ყველა სამთავრობო სტრუქტურა უხეშად არღვევს ამერიკის კონსტიტუციის ფუნდამენტურ პრინციპებს — ნებისმიერი ძალაუფლება უნდა იზღუდებოდეს. ეს დარღვევები ხდება იმის მიუხედავად, თუ რომელი პარტიაა ხელისუფლებაში.**

**თუ მოღალატე ტირანთან „ქორწინება“ არ შეწყდება, ამერიკა ან ოჯახური მონობის მსხვერპლი გახდება, ან ქუჩაში გამოვა პროტესტის გამოსახატად. სწორედ ამ მეორე ვარიანტისთვისაა ამერიკის პოლიცია კბილებამდე შეიარაღებული და ტანკებით მომარაგებული.**

**მონობა თუ ძალადობა?**

უილიამსს არც ერთი ვარიანტი არ მოსწონს. თვლის, რომ **მშვიდობიანი გაყრა ჯობს და ამ გაყრის შემდეგ ყველამ საკუთარი გზა უნდა განაგრძოს. ამისთვის კი საჭიროა მხოლოდ ერთი რამ: მოიძებნოს მეთოდი შტატ-სახელმწიფოებად მშვიდობიანად დანაწევრებისთვის და ამ ახალი სახელმწიფოების მოქალაქეებმა პატივი უნდა სცენ თავისუფლებასა და კონსტიტუციას.**

უილიამსს რეალისტის იმიჯი აქვს, მაგრამ განა ეს პერსპექტივა რეალობასთან მიახლოებულს ჰგავს? ძალიან საეჭვოა. როგორც ჩანს, უილიამსი თავისი პროფესორული ჩვევით მემარცხენე ლიბერალებს უტარებს გაკვეთილს და დასცინის მათ საბრალო პათეტიკურ-მფარველურ რიტორიკას.

ლიბერალების გუნდი მთელ ქვეყანას დამღერის სხვადასხვაობის ჰიმნს, მაგრამ სულის სიღრმეში ეს ლიბერალები ტოტალიტარისტები არიან. ეს იცის უილიამსმაც და ამიტომაც მიმართავს ლიბერალებს: **„თუ მართლაც შემწყნარებლები ხართ სხვადასხვაობის მიმართ, დაამტკიცეთ ეს ჩემი მიდგომისადმი დამოკიდებულებით“.**

ყველამ იცის, ლიბერალები ტყუიან. ისინი არასდროს დათანხმდებიან ჩხუბის გარეშე განქორწინებას, რადგან ამ შემთხვევაში მათ გასაკრეჭი ცხვარი აღარ დარჩებათ. ასევე აღარ დარჩებათ არავინ, ვისაც ყველა თავიანთ წარუმატებლობაში დაადანაშაულებენ. უფრო მეტიც, აღარ დარჩებათ ხალხი, რომელიც მუდმივად ანაზღაურებს მათ ხარჯებს...

მაგრამ არსებობს უფრო ღრმა მიზეზიც, რომლის გამოც მშვიდობიანი განქორწინება არარეალურია. უილიამსმა იცის, რომ **ძალაუფლების ხიბლი და წყურვილი დაუძლეველი ცდუნებაა. რომც გაიყარონ ამერიკის შტატები მშვიდობიანად, როგორი თავისუფლების მოყვარული და კონსტიტუციური რესპუბლიკებიც არ უნდა შეიქმნას მათგან, ცდუნება მაინც მუდმივად გაჩნდება.**

აშშ-ის მამა-დამაარსებლებს ნათლად ესმოდათ ეს. ისინი დათანხმდნენ ინგლისთან გაყრას, მაგრამ ეს გაყრა სულაც არ იყო მშვიდობიანი. უფრო მეტიც, ამ გაყრას პრობლემა არ გადაუჭრია, რადგან ახალმა ტირანებმა მხოლოდ ახალი შლიაპები მოირგეს ძველების ნაცვლად.

ამ სახელმწიფოს დამაარსებლებს ესმოდათ, რომ ძალაუფლების წყურვილი ახალგაზრდა რესპუბლიკის თავისუფლების ყველაზე დიდი საფრთხე იყო. ისინი აცნობიერებდნენ, რომ ეს საფრთხე შიგნიდან მოდიოდა.

წმიდა ავგუსტინის ეპოქიდან მოყოლებული დასავლელი ადამიანი აღიარებდა ფუძემდებლურ პრინციპს, რომ აუცილებელია ძალაუფლების შეზღუდვა. ეს შეზღუდვები წარმოადგენს ქრისტიანობის უნიკალურ არსს.

ავგუსტინის სწავლების მიხედვით, **სიცოცხლის მიზანი გადარჩენაა და ვერც ერთი სახელმწიფო თუ მთავრობა ვერ გადაარჩენს ადამიანის სულს.** ვინაიდან **სულის გადარჩენა ადამიანის უმაღლესი მიზანია, მმართველები ხელს კი არ უნდა უშლიდნენ ადამიანთა სულების გადარჩენას, არამედ საკუთარ თავს ამ მიზანს უნდა უქვემდებარებდნენ.**

**მმართველები საჭირონი არიან, რადგან სახელმწიფო მშვიდობის, წესრიგის, სამართლიანობის და თავისუფლების ფუნდამენტი უნდა იყოს. ამ პირობების დაცვის გარეშე ვერც გადარჩენა იქნება.**

მაგრამ უნდა შეიზღუდოს არა მხოლოდ სახელმწიფოს ძალაუფლებები, არამედ საკუთარი სურვილებიც. ახლანდელი ტირანები ვერ აკონტროლებენ თავს, რადგან სრულად არიან ჩაძირულნი საკუთარი თავით ამპარტავნულ ტკბობაში, თავაშვებულებაში და რეალობის უარყოფაში.

ტირანებსაც და მათ ქვეშევრდომებსაც მრავალი ადამიანი დიდი სიამოვნებით გაამწესებდა იმ უდაბნოში, რომელშიც ძმის მკვლელი კაენი გაუშვეს, მაგრამ ვინ უნდა გადაწყვიტოს — ვინ ტირანია და ვინ არა?

ამ დრომდე არც ერთ პოლიტიკოსს წინასაარჩევნო გამოსვლისას არ უთქვამს: მე ვარ ძალაუფლების მოყვარული ეგოისტი, ხარბი გაიძვერა და გასწავლით, როგორ უნდა იცხოვროთ“.

**დედამიწაზე ადამიანებს არ შეუძლიათ უცოდველი სახელმწიფოს შექმნა. ახლა აშშ-ში ვერც ერთი მოქალაქე ვერ მიიღებს ელიტაში შესასვლელ ბილეთს, თუ ძალაუფლების სურვილით არაა შეპყრობილი და ძალიან დიდი საფასურის გადახდისთვის არაა მზად.**

ტირანი მუდამ ამშვიდებს თავის მსხვერპლს, რომ ყველაფერი მისივე კეთილდღეობისთვის კეთდება, მაგრამ განა შეიძლება, ვინმეს თავისუფლება აიძულო?

**ტყუილების ზღვაში დახრჩობის პირას მყოფი ამერიკელები სუფთა ჰაერის ჩასუნთქვას ცდილობენ და, სავარაუდოდ, ძალიან უნდათ, მაგრამ ამერიკის ამჟამინდელი სიტუაციიდან მშვიდობიანი გამოსავალი, სავარაუდოდ, ვერ მოიძებნება.**

fgfbooks.com



# ფლორიდელი პოლიტიკოსი ობამას ჩამოხრჩობას ითხოვს

**წარმომადგენელთა პალატაში ამერიკის შტატ ფლორიდის კანდიდატი რესპუბიკური პარტიიდან, ჯოშუა ბლეკი, ამერიკის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას ჩამოხრჩობას ითხოვს სახელმწიფო ღალატისთვის. სპეცსამსახურები დაინტერესდნენ შავკანიანი კანდიდატის გამოსვლებით, მაგრამ ჯერჯერობით მისთვის ბრალი არ წაუყენებიათ.**



**„იმპიჩმენტის გამოცხადება დაგვიანებულია. დროა, დავაპატიმროთ და ჩამოვახრჩოთ“,** — დაწერა ბლეკმა თავის ოფიციალურ გვერდზე ტვიტერში. ჩანაწერს ახლავს ბმული საიტზე Commiblaster, სადაც ირწმუნებიან, რომ აშშ-ის დემოკრატიული პარტია და პირადად ობამა კომუნისტები არიან.

**31 წლის ჯოშუა ბლეკი ფლორიდის წარმომადგენლობით პალატაში კენჭს იყრის პინელასის ოლქიდან, იგი რესპუბლიკური პარტიის წევრია და ამჟამად ტაქსის მძღოლად მუშაობს, 2007 წლამდე კი ქუჩის მქადაგებელი-ევანგელისტი იყო.**

ტვიტერში ბლეკის ჩანაწერი სხვა რესპუბლიკელმა, კრის ლატვალამ, აღმოაჩინა და მისწერა: **„შენ ხომ ხუმრობ ობამას ჩამოხრჩობასთან დაკავშირებით? ვიცი, რომ ვაფრენთ, მაგრამ, ღვთის გულისთვის, შენ ჩვენ გვარცხვენ!“.**

მაგრამ ბლეკს თავის ტვიტზე უარი არ უთქვამს და განაცხადა, რომ, **რაკი ანტიტერორისტული ზომების ფარგლებში პრეზიდენტის ადმინისტრაციამ დაუშვა ტერორიზმში ეჭვმიტანილი აშშ-ის მოქალაქეების ლიკვიდაცია, ობამა სამშობლოს ღალატისთვის ჩამოხრჩობას იმსახურებს. „ვფიქრობ, მისთვის დამსახურებული სასჯელი სიკვდილია. არ შეიძლება, ობამას მივცეთ ნება, სასამართლოს გარეშე ხოცოს ამერიკელები“.**

**„ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ... თუ ჩვეულებრივი ამერიკელი ღალატისთვის სიკვდილით უნდა დაისაჯოს, დაისაჯოს ობამაც“,** — განავრცო აზრი ბლეკმა უკვე ფეისბუქის გვერდზე. ასევე რესპუბლიკელმა კანდიდატმა განაცხადა, რომ ობამას ჩამოხრჩობის მოწოდებით გამოსვლის შემდეგ მასთან სპეცსამსახურების წარმომადგენლები მივიდნენ, მაგრამ მის წინააღმდეგ რაიმე სანქციები არ გამოუყენებიათ, რადგან ფორმალურად კანდიდატს კანონი არ დაურღვევია და პრეზიდენტის მიმართ მუქარით არ გამოსულა.

**დემოკრატიული პარტიიდან ბლეკის კონკურენტებმა უკვე განაცხადეს, რომ შეშფოთებულები არიან. სამაგიეროდ რადიკალი თანაპარტიელები ეკითხებიან ბლეკს, როგორ მოხვდნენ მის ტაქსიში, რომ პოლიტიკის შესახებ ისაუბრონ.**

politikus.ru



# აშშ-ში ნარკოტიკებით ვაჭრობა უკვე ოფიციალურად არის ნებადართული

ახალი წლიდან აშშ-ში მოქალაქეებს ოფიციალურად მისცეს ნარკოტიკების შეძენის ნებართვა, ჯერჯერობით მხოლოდ ერთ შტატში — კოლორადოში და მხოლოდ „მსუბუქი“ ნარკოტიკის — მარიხუანის. ამ ნარკოტიკის შეძენა 21 წელს გადაცილებულ მოქალაქეებს სპეციალიზებულ მაღაზიებში შეეძლებათ. ასეთი მაღაზიები ჯერჯერობით 30-ია და მათ წინ გიგანტური რიგები დგება. უახლოეს ხანში ნარკოტიკებით ვაჭრობის ლიცენზიას კიდევ 350 მაღაზია მიიღებს. საოცარია — ერთი ცნობილი ანეკდოტისა არ იყოს, ეს დაბოლილი ხალხი სხვებს უშლის „ცხვირში თითის შეყოფას“?!



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველაზე „თავისუფალი და დემოკრატიული“ ქვეყნის ციხეებში, როგორც ცნობილია, მსოფლიოში ყველაზე მეტი პატიმარია გამოკეტილი. 2009 წლის მონაცემებით, მათი რაოდენობა 2,3 მილიონს შეადგენდა, ეს კი მთელი პლანეტის პატიმრების მეოთხედზე მეტია. თვით მილიარდნახევრიან ჩინეთსაც კი ციხეში იმ დროს მხოლოდ 1,5 მილიონი პატიმარი ჰყავდა.**



# აშშ-ის საცისხო შტატები

**მსოფლიოს მოსახლეობის 90%-ს აშშ-ში ცხოვრება ჰოლივუდის ფილმების შესაბამისად წარმოუდგენია, ეს ფილმები კი თავისუფლებისა და დემოკრატიის სამშობლოს შესახებ მითების კულტივირებით არიან დაკავებულნი. სინამდვილეში ლამაზი ცელულოიდური ნახატის მიღმა სულ სხვა რეალობა იმალება.**

ვაშინგტონს ძალიან უყვარს სხვა ქვეყნების დადანაშაულება თავისუფლებისა და დემოკრატიის არარსებობაში. ამასთან, **ყველაზე „თავისუფალი და დემოკრატიული“ ქვეყნის ციხეებში, როგორც ცნობილია, მსოფლიოში ყველაზე მეტი პატიმარია გამოკეტილი. 2009 წლის მონაცემებით, მათი რაოდენობა 2,3 მილიონს შეადგენდა, ეს კი მთელი პლანეტის პატიმრების მეოთხედზე მეტია. თვით მილიარდნახევრიან ჩინეთსაც კი ციხეში იმ დროს მხოლოდ 1,5 მილიონი პატიმარი ჰყავდა.**

მრავალ ადამიანს, ამერიკული ციხეების შესახებ რაც იცის, ყველაფერი ფილმებში აქვს ნანახი და ფიქრობს, რომ ეს ერთგვარი სანატორიუმია, რომლებშიც პატიმრები იუმჯობესებენ ჯანმრთელობას, ვარჯიშობენ ტრენაჟორებზე, თამაშობენ კალათბურთს, ამერიკულ ფეხბურთს, მაგიდის ჩოგბურთს და ამ დროს თავს არ იწუხებენ მუშაობით. სინამდვილეში **აშშ-ის ციხეების ერთ-ერთი უსაშინელესი პრობლემა გაუპატიურებაა. მხოლოდ 2008 წელს ამა თუ იმ ფორმის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ციხეების 200 ათასი ბინადარი გახდა. გაუპატიურების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები არასრულწლოვანთა ციხეებში ფიქსირდება.**





**2009 წლამდე 50-დან 37-მა შტატმა დააკანონა ციხეების პრივატიზება და კერძო კორპორაციების მიერ პატიმრების შრომის გამოყენება**

უკანასკნელ წლებში კარდინალურად შეიცვალა ამერიკელი პატიმრების დასაქმებასთან დაკავშირებული სიტუაცია. ციხის სისტემა კომერციულ საფუძვლებზე გადავიდა. ამჟამად ამერიკაში თითქმის ყველა სახელმწიფო ციხე ხანგრძლივი იჯარით გადაცემულია კერძო კომპანიებსა და პირებზე.

ამერიკული ციხეების კომერციალიზაცია და პრივატიზაცია დიდი ხნის წინ დაიწყო — 1980-იან წლებში, რონალდ რეიგანისა და ჯორჯ ბუშ უფროსის პრეზიდენტობისას. ყველაზე მეტად კი ეს საქმე დემოკრატი ბილ კლინტონის პრეზიდენტობისას აყვავდა. **ფედერალური ბიუჯეტის შეკვეცისა და სახელმწიფო მოხელეების შტატის შემცირების კლინტონისეულმა პროგრამამ განაპირობა ის, რომ შტატის იუსტიციის დეპარტამენტებმა დამნაშავეების პატიმრობის უზრუნველსაყოფად ხელშეკრულებების გაფორმება დაიწყეს კერძო კომპანიებთან.**

ვინაიდან სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრები, რომლებსაც ამგვარ კომპანიებს გამოუყოფდნენ, ძალიან ცოტა იყო, პატიმრების შენახვა კი საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, გაჩნდა კითხვა — საიდან უნდა მოეტანათ საჭირო თანხა. ფედერალურმა ხელისუფლებამ მოლაპარაკებები გამართა კერძო კომპანიებთან და გამოსავალიც მალე იპოვეს — დაიწყო პატიმრების სრული დატვირთვით ექპლოატირება.

პატიმრების შრომა მალე იქცა შემოსავლიან საქმედ და 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან წარმოებას მნიშვნელოვანი ზრდაც ჰქონდა. ცხადია, მისი ინვესტორები და პატრონები გახდნენ უოლ-სტრიტის საქმოსნები. **2009 წლამდე 50-დან 37-მა შტატმა დააკანონა ციხეების პრივატიზება და კერძო კორპორაციების მიერ პატიმრების შრომის გამოყენება.**

ციხის წარმოება აშშ-ში ნამდვილი ამერიკული შემართებით შექმნეს — ეს არის მრავალმილიარდიანი ბიუჯეტის მქონე ინდუსტრია თავისი სარეკლამო ჟურნალებით, ვებსაიტებით, ინტერნეტმაღაზიებით, კატალოგებით, სავაჭრო გამოფენებით, მწარმოებელთა ყრილობებით და ასე შემდეგ. **ამჟამად ამერიკული კერძო ციხეები აწარმოებენ მთელი არმიის ჩაფხუტების, ჯავშანჟილეტების, ქამრების, საიდენტიფიკაციო რუკების, შარვლების, პერანგების, კარვების, ზურგჩანთების და ამუნიციის სხვა დეტალების თითქმის 100%-ს.**

გარდა არმიის მომარაგებისა, **ამერიკელი პატიმრები აწარმოებენ სამონტაჟო ინსტრუმენტების თითქმის 90%-ს, პოლიციური და სამოქალაქო ჯავშანჟილეტების 40%-ს, რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის მესამედზე მეტს, საოფისე ავეჯის მესამედს, ყურსასმენებს, მიკროფონებს, მეგაფონებს, საათებს, კომპიუტერებს, ასევე რთულ სამედიცინო და საავიაციო აღჭურვილობებს.**

ხელისუფლებამ და ბიზნესმა საკმაოდ მარტივად გადაწყვიტეს ამერიკელი ▶

# აშშ: სამოქალაქო ომის წინათგრძნობა

**სამწუხაროდ, ეს არ არის სალვადორ დალის სახელგანთქმული ნახატის აღწერილობა, ნახატისა, რომელმაც ათასობით თანამედროვე მოხიბლა. ეს მხოლოდ უკანასკნელი მონაცემებია იმის შესახებ, რაზეც აშშ-ის შიდა უსაფრთხოების სამინისტრომ კიდევ 58 მილიონი დოლარი დახარჯა — ბალტიმორში სოციალური უზრუნველყოფის ორი ოფისის შეიარაღებული დაცვის უზრუნველყოფაზე. ზოგიერთი ექსპერტი ამგვარ ქმედებას მოსახლეობის მხრიდან შესაძლო არეულობების თავიდან ასაცილებელ საფრთხილო ზომებად მიიჩნევს.**

როგორც საიტი Federal Business Opportunities ირწმუნება, **ქვეყნის ყველაზე მსხვილმა სამინისტრომ, რომელშიც თითქმის შვიდი მილიონი თანამშრომელია, ხელი მოაწერა 58 მილიონ 620 ათას 338 დოლარის კონტრაქტს უსაფრთხოების დაცვის ერთ-ერთ ყველაზე „მაგარ“ კერძო სტრუქტურასთან — სააგენტო Paragon Systems, Inc.-თან. კონტრაქტის საგანია „სოციალური დაზღვევის ადმინისტრაციის ოფისებში უსაფრთხოების სამსახურის მუშაობა მერილენდის შტატში, ბალტიმორში, ვაბაშსტრიტსა და მეტრო-უესტზე“.**

კომპანიის სპეციალისტებმა უნდა განახორციელონ შეიარაღებული და შეუიარაღებელი კონტროლი ფოსტასა და შენობის შესასვლელზე, მაგნიტომეტრით სკანირება და, როგორც მომსვლელების, ასევე მთელი პერიმეტრის რენტგენით შემოწმება, ქვეითი და მოტორიზებული პატრულირება, კავშირგაბმულობისა და დაცვის ცენტრების მართვა, ასევე განგაშის სისტემების მონიტორინგი, გაცილება და დაცვა, კადრების გაწვრთნა, რთული სიტუაციების გადაჭრაში დახმარება, პერსონალის ექსტრემალური სიტუაციებისთვის მზადყოფნის შეფასება, სტუმრების საშვებით უზრუნველყოფა, არსენალისა და პირველადი დახმარების სამსახურების, მათ შორის სამედიცინო პუნქტების, მართვა.

საუბარია სოცუზრუნველყოფის ჩვეულებრივი ოფისის დაცვაზე, რისთვისაც ისეთ ძალებს მოუხმობს სამინისტრო, თითქოს ამ ოფისის შტურმით აღებას „ალ ქაიდა“ გეგმავდეს.



**აშშ-ის ფედერალური ხელისუფლება სერიოზულადაა შეწუხებული იმ იდეით, რომ ქვეყანას გარდაუვალი სამოქალაქო მღელვარებები ელის**

როგორც ყველაფრიდან ჩანს, **ფედერალური ხელისუფლება სერიოზულადაა შეწუხებული იმ იდეით, რომ ქვეყანას გარდაუვალი სამოქალაქო მღელვარებები ელის და ეს ყველაფერი ფუდსტემპების შეკვეცასა და უმუშევრობის დახმარების გახანგრძლივებული ვარიანტის გაუქმებასთან იქნება დაკავშირებული.**

საერთოდ, შიდა უსაფრთხოების სამინისტროს ხელმძღვანელობას ხშირად აწუხებს მოულოდნელი იდეები. ხან ჟანეტ მაპოლიტანო იწყებს მსჯელობას სამხრეთელი რასისტემის შესახებ, რომლებიც მზად არიან, ქვეყანა ააფეთქონ და რომლებიც სხვა ყველა სახის ტერორისტებზე უფრო საშიშები არიან, ხან კი თავში უარესებიც მოსდით.

**უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შექმნილი მონსტრი, როგორც ჩანს, თავად იგონებს პოტენციურ საფრთხეებს, შემდეგ კი ამ არარსებული პრობლემების გადასაჭრელად უზარმაზარ სახსრებს ითვისებს.**

მაგალითად, ორი წლის წინ იანვარში უშიშროების სამინისტრომ ჩაატარა სწავლებები სახელწოდებით „ოპერაცია ფარი“, რომლის დროსაც დაცვის ფედერალური სამსახურის აგენტები ნახევრადავტომატური იარაღით აღიჭურვნენ და ფლორიდაში სოციალური დაზღვევის ოფისის დასაცავად დაირაზმნენ. სწავლებების მიზანი იყო „ამოუცნობი პიროვნებებისა და პოტენციურად სახიფათო ქმედებების აღმოჩენა“.

ყველა შეაშინეს, ისტერიკამდე მიიყვანეს, მაგრამ შიგნით არავის უშვებდნენ. რაც ყველაზე არასასიამოვნოა, მიუხედავად ჟურნალისტების მოთხოვნისა, სამინისტროს წარმომადგენლებმა არ ინებეს, რაიმე განემარტათ და მიენიშნებინათ მაინც, თუ რისთვის იყო საჭირო ეს ყველაფერი. მოგვიანებით ინტერნეტრესურსები იტყობინებოდნენ, რომ **უშიშროების სამინისტრომ გადაწყვიტა, დაემუშავებინათ ფლორიდაში სახალხო მღელვარებების აღკვეთის ვარიანტები.**

და მაინც, დედაქალაქიდან არც თუ შორს მდებარე სულ რაღაც ორი შენო- ▶



**ამჟამად ამერიკა მთლიანად იხსნის პასუხისმგებლობას ამერიკის მიერ დაწყებული ომის დასრულებაზე. როდესაც მათ ყველაფერი სწყინდებათ, ისინი უბრალოდ მიდიან.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ პატიმრების აუნაზღაურებელ შრომაში ჩართვის საკითხი. ახალი წესების თანახმად, ვადამდელი გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი ციხის საწარმოში მუშაობს. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ამერიკის სასამართლო სისტემა ძალზე მკაცრია, განზრახ მკვლელობისთვის გათვალისწინებულია სასიკვდილო განაჩენი ან სამუდამო პატიმრობა, შეიარაღებული ძარცვისთვის კი — 20-40 წლიანი პატიმრობა. პატიმრების უმეტესობა თანხმდება თითქმის აუნაზღაურებელ სამუშაოზე. ამგვარ მუშაობაზე უარს ამბობს მხოლოდ პატიმრების არაუმეტეს 25%, რომლებიც სერიოზული რეპრესიების მსხვერპლნი ხდებიან.

**დემოკრატიის ციტადელის საციხო სისტემის კიდევ ერთი თავისებურება ისაა, რის გამოც აშშ მსოფლიოს უცნაური ქვეყნების მცირე ჯგუფს უერთდება. იქ სასიკვდილო განაჩენი გამოაქვთ 13 წლის მოზარდებისთვისაც კი!** 2005 წელს უმაღლესმა სასამართლომ „ჰუმანიზმის" პრინციპებიდან გამომდინარე, სასიკვდილო განაჩენი ამგვარ მსჯავრდებულებს შეწყალების უფლების გარეშე სამუდამო პატიმრობით შეუცვალა. 90 ათასი პატიმარი მოზარდიდან ამგვარი განაჩენი აქვს 2000-ზე მეტს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ **ამერიკის 26 შტატში მოზარდებს სკოლაში გაკვეთილების გაცდენის გამოც კი შეუძლიათ თავი ციხეში ამოჰყონ.**

fbii.org

◀ ბის დასაცავად 58 მილიონი ძალიან ბევრია, თუნდაც ეს რამდენიმე წლით სადღეღამისო დაცვის ანაზღაურება იყოს.

და მაინც: რატომ ჯდება ასე ძვირი ორი არც თუ მთავარი ოფისის დაცვა, თანაც ეს ხომ არ არის ერთადერთი ასეთი კონტრაქტი? იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი პრაქტიკა მუდმივ სახეს იძენს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **ფედერალური ხელისუფლება მართლაც ძალიან დარდობს მოქალაქეების რეაქციას ქვეყანაში ცხოვრების „გაუმჯობესებაზე".**

**გასული წლის ნოემბერში სამინისტრო შეიარაღებულ დაცვას აგროვებდა „სავსებით საიდუმლო" დაშვების დონეზე ვისკონსინსა და მასაჩუსეტსში. მანამდე ერთი თვით ადრე სამინისტრომ 80 მილიონი დახარჯა სამთავრობო შენობების დაცვაზე კიდევ რამდენიმე შტატში.**

**ოქტომბერში სამინისტრომ ნახევარი მილიონი დოლარი დახარჯა ცრემლსადენი გაზის ავტომატურ გამომფრქვევებზე ბუნტებისა და არეულობების ჩასახშობად.**

მრავალი ექსპერტი მიიჩნევს, რომ სუპერმარკეტებზე აფროამერიკელი ახალგაზრდების ჯგუფების თავდასხმები, როგორც ეს ბრუკლინში მოხდა, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის პირველი ნიშნებია.

russian-bazaar.com

# ამერიკული ძლევამოსილების ბოროტად გამოყენება და ამის საფასური



**ამერიკული შეიარაღებული ძალები ძალიან ჰგვანან მაღალკვალიფიციურ მერემონტეებს, რომლებიც პირობას დებენ, რომ თქვენი სამზარეულო თვალის დახამხამებაში აბსოლუტურად ახალ ელფერს შეიძენს. მისი ნდობა შეიძლება, მან თავისი საქმე კარგად იცის. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია მისი რეკომენდაციების გადახედვაც კი, მაგრამ იმ დროისთვის, როდესაც იგი, თვალის დახამხამებაში კი არა, რამდენიმე თვის შემდეგ წავა, სამზარეულოში ისეთი აბდაუბდა დაგხვდებათ, რომ მისი მოწესრიგება გაცილებით ძვირი დაგიჯდებათ, ვიდრე საფუძვლიანი რემონტი. რას იზამთ, აღმოჩნდა, რომ სამუშაო იმაზე რთული იყო, ვიდრე თავიდან ჩანდა.
და რას ფიქრობთ სააბაზანოს გადაკეთებაზე?**



ამით ყველაფერია ნათქვამი ამერიკელების მიერ ომების წარმოების გამოცდილებაზე ცივი ომის შემდეგ. საერთო შეთანხმებით, როდესაც საუბარი ეხება ცოდნას, უნარჩვევებს, მოწყობილობებსა და აღჭურვილობებს, ამერიკელი სამხედროები აღმოჩნდებიან ხოლმე საკუთარ, განცალკევებულ ლიგაში და ამ ლიგას ანალოგი არ მოეძებნება. მაგრამ, როდესაც საქმე დაწყებულის დროულად და ბიუჯეტის ფარგლებში დასრულებაზე მიდგება, ამერიკელი სამხედროების მუშაობის შედეგები ძალზე შთამბეჭდავად გამოიყურება.

მართლაც, **ამჟამად ამერიკა მთლიანად იხსნის პასუხისმგებლობას ამერიკის მიერ დაწყებული ომის დასრულებაზე. როდესაც მათ ყველაფერი სწყინდებათ, ისინი უბრალოდ მიდიან და თავს იკატუნებენ, თითქოს ამერიკული ჯარების გაყვანით კონფლიქტი ოფიციალურად მთავრდება.**

**2011 წელს, როდესაც უკანასკნელმა ამერიკელმა ჯარისკაცმა გადაკვეთა ერაყის საზღვარი, პრეზიდენტმა ობამამ ამაყად გამოაცხადა, რომ მან შეასრულა თავისი წინასაარჩევნო დაპირება და დაასრულა ერაყის ომი. მიმდინარე წლის ბოლოს, როდესაც ამერიკელი სამხედროები შეწყვეტენ საბრძოლო მოქმედებებს ავღანეთში, იგი ამ ომსაც ბევრი ფიქრის გარეშე გაამწესებს ისტორიის არქივში.**

მაგრამ ერაყის ომი ამერიკელი ჯარისკაცების წასვლით არ დასრულებულა. მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონი მთელი ძალით ცდილობს თვალნათელი ფაქტების იგნორირებას, ის დაუნდობელი ეთნიკური და კონფესიური ბრძოლა, რომლის პროვოცირებაც აშშ-მა ერაყში შეჭრით განაპირობა, დღემდე გრძელდება.

ავღანეთში მოვლენები იმავე ტრაექტორიით განვითარდება. არც ერთი სერიოზული ადამიანი არ თვლის, თითქოს ავღანეთის ომი იმ ერთადერთი მიზეზის გამო დამთავრდება, რომ ამერიკელი ჯარისკაცები ბოლოსდაბოლოს აიბარგებიან და სახლში წავლენ.

**უეჭველია, რომ ამერიკული საზოგადოება ავღანეთს ისევე სწრაფად დაივიწყებს, როგორც ერაყი დაივიწყა. მიუხედავად ამისა, ისევე, როგორც ერაყში, ავღანეთშიც გრძელდება ბრძოლა მისი მომავლის განსაზღვრისთვის, ამ ბრძოლის ვადები და შედეგები კი ძველებურად გაურკვეველი რჩება.**

ნაციონალური უსაფრთხოების ისტებლიშმენტში ცოტა ვინმე თუ არის მზად, აღიაროს ნათელი ჭეშმარიტება: **შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის აღრევით აშშ-მა ისწავლა ომების წამოწყება, მაგრამ არ ახსოვს, როგორ მიიყვანოს ეს ომები დასასრულამდე.** მაგრამ მთელი ამ საწარმოს მიზანიც სწორედ ისაა, რომ ომი მომგებიანი პირობებით დაამთავროს. ადრე ამას გამარჯვება ერქვა. აშშ-ისთვის გამარჯვება დაკარგულ ხელოვნებად იქცა. ეს არასახარბიელო განაჩენი ძალაშია ყოველთვის, როცა კი ამერიკული ჯარები ტრადიციულ საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებენ („შოკისა და ცახცახის" მაღალტექნოლოგიური ტაქტიკის გამოყენებით) ან მიმართავენ არატრადიციულ მეთოდებს („გონებებისა და გულების მონადირებით").

## შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის აღრევით აშშ-მა ისწავლა ომების წამოწყება, მაგრამ არ ახსოვს, როგორ მიიყვანოს ეს ომები დასასრულამდე

როგორც შედეგს, ვაშინგტონის ცნობიერებაში ცივი ომის და განსაკუთრებით 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ გაჩენილი სიყვარული შეიარაღებული ინტერვენციების მიმართ განაპირობებს ხოლმე არა სტაბილიზაციას (რაც აშშ-ის მთავარი მიზანია არა მხოლოდ ისლამურ, არამედ მთელ სამყაროში), არამედ მის აბსოლუტურად საწინააღმდეგო რაიმეს. სინამდვილეში, მიუხედავად დიდი მსხვერპლისა და უზარმაზარი ხარჯისა, აშშ-ის სამხედრო ძალისხმევები სწორედ მისი მოწინააღმდეგეების წისქვილზე ასხამს წყალს. ეს მოწინააღმდეგეები თავად ამერიკამ ერთი საერთო წოდებით — „ტერორისტები" — გააერთიანა.

რით შეიძლება აიხსნას ეს წარმოუდგენელი უფსკრული განზრახვასა და შედეგს შორის?

**სამხედრო ძალით ბრმა გატაცება განაპირობებს იმას, რომ მაღალი რანგის სამოქალაქო ჩინები, მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა, ასევე მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეები, მიუხედავად შეიარაღებული ძალების სახეობისა, არასწორად იგებენ და ასევე არასწორად იყენებენ ამ საომარ ინსტრუმენტს.** ძალა კარგია ზოგიერთი საქმისთვის და, უპირველესად, იმის დასაცავად, რაც თავად ამერიკას ეკუთვნის, მაგრამ აშშ უკანასკნელი ათწლედის მანძილზე თავდაცვას არ სჯერდება, არამედ ძალის გამოყენებას ცდილობს გავლენისა და ძალაუფლების გასაფართოებლად, საკუთარი ღირებულებების გასავრცელებლად.

**მდიდრებად და არმქონეებად, ულტრათანამედროვეებად და ჩამორჩენილებად, ღმერთოებად და ღვთისნიერებად გახლეჩილ მსოფლიოში იძულებით და ძალადობრივ შერიგებასა და გამთლიანებაზე ან მორჩილებისთვის მზადყოფნაზე გათვლა სისულელისა და უგუნურობის მწვერვალად გამოიყურება.** ამიტომაც ის ძალები, რომლებსაც აშშ პლანეტის მიყრუებულ კუთხეებში აამოქმედებს, მხოლოდ ცეცხლზე ნავთს ასხამენ შემდგომი წინააღმდეგობებისთვის. და ამ მტკიცებულებას უნივერსალური ხასიათი აქვს როგორც ადგილებზე სამხედრო დასწრების შესახებ საუბრისას, ასევე რაკეტების წვიმების განხილვისას.



**ადამიანებმა, რომლებიც პოლიტიკური კურსის შემუშავებაზე არიან პასუხისმგებელნი, ახლებურად აზროვნება უნდა დაიწყონ. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა შემცირდეს ომის შედარებით პოლიტიკური შედეგების მოლოდინი, რადგან ამ შედეგების მასშტაბები ძალზე შეზღუდულია.**

**ძალა უნდა გაქრეს იმ მეტაფორულ მოლაპარაკებათა მაგიდიდან, რომელსაც ასე ხშირად მოიხსენიებენ ხოლმე პოლიტიკის შემოქმედნი. იმის ნაცვლად, რომ ძალადობას ვარიანტებს შორის უპირატესობა ენიჭებოდეს, უნდა აღორძინდეს ძველი ტრადიცია, როდესაც ძალას მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში მიმართავდნენ.**

ამის შემდეგ სერიოზულად უნდა გაანალიზდეს ძალისა და ძალაუფლების ალტერნატიული ფორმების პოტენციალი, ძირითადად, ეკონომიკური და კულტურული ფორმების პოტენციალი ამერიკის ინტერესების გავრცელების საქმეში. შედეგად სახეზე არ გვექნება ყველა ჭირისგან განსაკურნებელი პანაცეა, მაგრამ ამგვარ ალტერნატივაზე დანახარჯები გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე დროში განუსაზღვრელი ომებისას. და ახალი პრობლემების შექმნის ნაცვლად ამგვარმა ალტერნატიულმა მიდგომამ, შესაძლოა, ძველი პრობლემების გადაჭრის გზებიც კი გამოაჩინოს.

Los Angeles Times

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უცხოური დახმარების შემცირება განვითარებადი ქვეყნების ბუნებრივ რესურსებზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის კონტროლის შესუსტებას ნიშნავს. სწორედ განვითარებადი ქვეყნების ჭეშმარიტი თვითმმართველობის იდეა გადასცა ანათემას როგორც „რომის კლუბმა“, ისე მისმა ზემდგომმა „300-თა კომიტეტმა“.**

ჯონ კოლემანი

# «300-თა კომიტეტი»

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-2 (236-237)

**ჩემს 1989 წლის ნამუშევარში — „ტერორი ცაში“ მე მომხდარი ასე აღვწერე: ულ ჰაკის C-130-ის პაკისტანური სამხედრო ბაზიდან აფრენიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ, ანგართან, რომელშიც C-130 იდგა, საეჭვო სატვირთო მანქანა შენიშნეს. სადისპეტჩერო კოშკიდან დაცვის სამსახურს მისცეს გაფრთხილება, მაგრამ ვიდრე მათ რაიმე მოიმოქმედეს, თვითმფრინავმა აფრენა მოასწრო, ხოლო სატვირთო მანქანა წავიდა. რამდენიმე წუთში თვითმფრინავმა უეცრად ნესტეროვის მარყუჟის კეთება დაიწყო, მაგრამ წარუმატებლად და აფეთქდა. C-130-ის ამგვარი ქმედება ვერავინ ახსნა. ფრენის უსაფრთხოების მიხედვით, თვითმფრინავს შესანიშნავი რეპუტაცია ჰქონდა, ხოლო კატასტროფის გამომძიებელმა პაკისტანურ-ამერიკულმა ერთობლივმა კომისიამ პილოტის შეცდომა ან მექანიკური და სტრუქტურული პრობლემა ვერ აღმოაჩინა. ნესტეროვის მოულოდნელი მარყუჟი, ასე ვთქვათ, ელექტრული დაბალი სიხშირის იმპულსით დაზიანებული თვითმფრინავის „საფირმო ნიშანია“.**

**ის, რომ საბჭოთა კავშირს ჰქონდა საშუალება, ეწარმოებინა ხელსაწყოები, რომლებსაც შეეძლო მაღალამპლიტუდური რადიოსიხშირეების გენერირება, დასავლეთში ცნობილი იყო საბჭოთა მკვლევარების კვლევებიდან, რომლებიც „კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტის“ ინტენსიური რელატივისტური ელექტრონული დასხივების განყოფილებაში მუშაობდნენ. ამ სპეციალისტებს შორის იყვნენ ი. ა. ვინოგრადოვი და ა. ა. რუხაძე. ორივე მეცნიერი მუშაობდა „ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში“, რომელიც ელექტრონულ და რენტგენულ ლაზერებზე სპეციალიზდება.**

მივიღე რა ეს ინფორმაცია, დავიწყე მტკიცებულებების ძიება სხვა წყაროებიდან და აღმოვაჩინე, რომ ინგლისში მდებარე „ელექტრონიკის საერთაშორისო ჟურნალმა“ გამოაქვეყნა ზოგიერთი მასალა, რომლებიც, როგორც ჩანს, ადასტურებდნენ ინფორმაციას იმ მეთოდის შესახებ, რომელიც აირჩიეს გენერალ ულ ჰაკის C-130 თვითმფრინავის ჩამოსაგდებად. გარდა ამისა, ეს ინფორმაცია დაზვერვაში ორმა წყარომ დაადასტურა. ასე თუ ისე, სასარგებლო ინფორმაცია მივიღე საბჭოთა სამეცნიერო გაზეთიდან, რომელიც ინგლისში Soviet Radio Electronics and Communications Systems (საბჭოთა რადიოელექტრონიკა და კავშირგაბმულობის სისტემები) სახელით გამოდიოდა. მე ეჭვი არ შემპარვია იმაში, რომ გენერალი ულ ჰაკი მოკლული იყო. სატვირთო მანქანაში, რომელიც ანგართან შენიშნეს, უდავოდ იყო იმ ტიპის ელექტრონული დაბალი სიხშირის მობილური დანადგარი, რომელიც, როგორც ცნობილია, საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს გააჩნიათ.

ციხეში ყოფნის დროს ქვეყნიდან საიდუმლოდ გატანილი ბჰუტოს წერილობითი ჩვენებების თანახმად, კისინჯერი მას სერიოზულად ემუქრებოდა: **„მე თქვენ და ყველა დანარჩენს სამაგალითოდ დაგსჯით, თუ ქვეყნის გაძლიერების თქვენეულ პოლიტიკას გააგრძელებთ“.** ბჰუტო კისინჯერსა და „რომის კლუბს“ ეწინააღმდეგებოდა, როცა ბირთვული ენერგეტიკის პროგრამის განხორციელებისკენ მოუწოდებდა, რათა პაკისტანი თანამედროვე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ ექცია, რაც „300-თა კომიტეტის“ ხედვით, კისინჯერის მიერ პაკისტანის ხელისუფლებისთვის გადაცემული მათი ბრძანების პირდაპირი დაუმორჩილებლობა იყო. **კისინჯერის მუქარები ბჰუტოს მიმართ აშშ-ის ოფიციალური პოლიტიკის ნაწილი არ იყო; ეს თანამედროვე „ილუმინატების“ პოლიტიკა იყო.**

აუცილებელია, ნათლად გავიგოთ, თუ რატომ სძულთ მთელ მსოფლიოში ბირთვული ენერგეტიკა და რატომ გამოიყენება ბირთვული ენერგეტიკის წინააღმდეგ ომში ფიქტიური „ბუნების დამცველი“ მოძრაობა, რომელიც „რომის კლუბმა“ შექმნა და დააფინანსა. ბირთვული ენერგეტიკის დახმარებით, რომელიც იაფი ელექტროენერგიის უზარმაზარი რაოდენობით გამომუშავების საშუალებას იძლევა, მსოფლიოს მესამე ქვეყნები თანდათანობით აშშ-ის ფინანსური დახმარებისგან დამოუკიდებლები გახდებოდნენ და თავიანთი სუვერენიტეტის განმტკიცებას დაიწყებდნენ. **ატომურ ელექტროსადგურებზე გამომუშავებული ელექტროენერგია განვითარებადი ქვეყნების გამოყვანის გზაა ჩამორჩენილი მდგომარეობიდან, რომელშიც მათი ჩატოვება „300-თა კომიტეტმა“ ბრძანა.**


რიჩარდ ნიქსონი და ჰენრი კისინჯერი

## კისინჯერის მუქარები ბჰუტოს მიმართ აშშ-ის ოფიციალური პოლიტიკის ნაწილი არ იყო; ეს თანამედროვე «ილუმინატების» პოლიტიკა იყო

**უცხოური დახმარების შემცირება განვითარებადი ქვეყნების ბუნებრივ რესურსებზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის კონტროლის შესუსტებას ნიშნავს. სწორედ განვითარებადი ქვეყნების ჭეშმარიტი თვითმმართველობის იდეა გადასცა ანათემას როგორც „რომის კლუბმა“, ისე მისმა ზემდგომმა „300-თა კომიტეტმა“.** ვხედავდით, რომ აშშ-ში მოძრაობა ბირთვული ენერგიის წინააღმდეგ წარმატებით გამოიყენეს, რათა ქვეყნის სამრეწველო განვითარება შეჩერებულიყო კლუბის იმ გეგმების მიხედვით, რომლებიც „ნულოვან ინდუსტრიულ ზრდას“ ითვალისწინებდნენ.

**აშშ-ის ფინანსურ დახმარებაზე დამოკიდებულება სხვა ქვეყნებს „საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს“ მონობაში ამყოფებს.** იმ ქვეყნების მოსახლეობას, რომლებიც ამ დახმარებას იღებენ, საცოდავი ხურდები რჩებათ, ხოლო ძირითადი ნაწილი იმ სახელმწიფო ლიდერების ჯიბეებში ილექება, რომლებიც უფლებას აძლევენ საერთაშორისო სავალუტო ფონდს, ქვეყნიდან ბუნებრივი რესურსები მტაცებლურად ამოქაჩონ. **ზიმბაბვეს** (ყოფილი როდეზიის) **ლიდერი მუგაბე წარმოადგენს ნათელ მაგალითს იმისა, თუ როგორ ხორციელდება უცხოური კონტროლი ქვეყნის ნედლეულის რესურსებზე, ამ შემთხვევაში, მაღალხარისხიან ქრომის მადანზე. ამჟამად ზიმბაბვეს ნედლეულის მარაგები მთლიანად კონტროლდება კომპანია Lonrho-ს, გიგანტური კონგლომერატის მიერ, რომელსაც თავისი დეიდაშვილის, ელიზაბეტ მეორეს სახელით „300-თა კომიტეტის“ წევრი ანგუს ოგილვი მართავს. ქვეყნის მოსახლეობა კი ამ დროს სულ უფრო ღრმად ეფლობა სიღარიბესა და სიღატაკეში, მიუხედავად აშშ-ის მიერ გამოყოფილი 300 მილიონი დოლარის დახმარებისა.**

Lonrho-ს როდეზიულ (ზიმბაბვურ) ქრომზე მონოპოლია გააჩნია და შეუძლია მას ნებისმიერი ფასი დაადოს, მაგრამ სმიტის რეჟიმის დროს მას ამის უფლება არ ჰქონდა. ფასების გონივრული დონე შენარჩუნებული იყო 20 წლის განმავლობაში, ვიდრე მთავრობაში მუგაბე არ მოვიდა. მართალია, ქვეყანაში იან სმიტის 14-წლიანი მმართველობის დროსაც იყო პრობლემები, მაგრამ მისი შეცვლის შემდეგ უმუშევრობამ ოთხჯერ მოიმატა და ახლა ზიმბაბვე ქაოსისა და ფაქტობრივი ბანკროტის მდგომარეობაში იმყოფება. **მუგაბემ აშშ-დან საკმაო უცხოური დახმარება მიიღო** (დაახლოებით 300 მილიონი დოლარი წელიწადში), **რამაც მას საშუალება მისცა, აეშენებინა სამი სასტუმრო საფრანგეთში — კოტ დ’აზურში, მონტე-კარლოში და კაპ ფერატში იმ დროს, როდესაც მისი ერი ავადმყოფობით, უმუშევრობითა და შიმშილით იტანჯებოდა, რომ არაფერი ვთქვათ მკაცრი დიქტატურის რეჟიმზე, რომელიც ყველანაირ პროტესტს ახშობდა. შეადარეთ ეს სმიტის რეჟიმს, რომელსაც არასოდეს უთხოვია და არც მიუღია არც ერთი ცენტი აშშ-ისგან. სრულიად ნათელია, რომ უცხოური დახმარება ზიმბაბვეზე და სხვა აფრიკულ ქვეყნებზე კონტროლის განხორციელების მძლავრი საშუალებაა.**

გარდა ამისა, **უცხოური დახმარება აშშ-ის მოქალაქეებს უნებლიეთ დამოკიდებულ მდგომარეობაში ამყოფებს და ამიტომ ისინი სრულიად უუნაროები არიან, შეუქმნან ხელისუფლებას სერიოზული ოპოზიცია.** დევიდ როკფელერმა იცოდა, თუ რას აკეთებდა, როდესაც მისი კანონპროექტი უცხოური დახმარების შესახებ 1946 წელს კანონი გახდა. ამის შემდეგ ეს კანონი ქვეყნის ყველაზე საძულველ კანონთა შორის მოხვდა, განსაკუთრებით სახელმწიფო რეკეტის საჯარო გამოაშკარავების შემდეგ, რომლის გადახდაც ჩვენ, უბრალო ხალხს, გვიწევს.

როგორ ახერხებენ შეთქმულები, მთელი მსოფლიო და განსაკუთრებით აშშ და დიდი ბრიტანეთი, ჰყავდეთ გამოჭერილი? ყველაზე ხშირად სვამენ შეკითხვას: **„როგორ შეუძლია ერთ ცალკეულ ორგანიზაციას, დროის ნებისმიერ მომენტში იცოდეს ყველაფრის შესახებ, რაც ხდება მსოფლიოში და საერთოდ, როგორ ახორციელებს იგი კონტროლს?“.** ამ წიგნში ჩვენ ვეცდებით, პასუხი გავცეთ ამ და სხვა შეკითხვებს. **ერთადერთი გზა, რეალურად დაუპირისპირდე შეთქმულთა წარმატებას, არის ღიად დასახელება და ფართო დისკუსიის გაშლა საიდუმლო საზოგადოებებისა და ასევე იმ ორგანიზაციების გარშემო, რომლებიც ამ საზოგადოებების, სახელისუფლო აგენტების, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, ტრანსნაციონალური კორპორაციების, ნავთობის მრეწველობის, ასიათასობით სხვა ორგანიზაციისა და ფონდის შირმად გამოიყენებიან.** ისინი სხვადასხვა აზრის უკან იმალებიან, მაგრამ „300-თა კომიტეტს“ ემორჩილებიან — უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოს, რომელიც, სულ ცოტა, ასი წელია, მსოფლიოს მართავს.

რადგანაც „საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოსა“ და „სამმხრივი კომისიის“ შესახებ უკვე ათეულობით წიგნი დაიწერა, გადავიდეთ პირდაპირ „რომის კლუბსა“ და „მარშალის გერმანულ ფონდზე“. ვიდრე გამოვაქვეყნებდი ინფორმაციას ამ ორგანიზაციების შესახებ შეერთებულ შტატებში, მათზე ბევრმა არაფერი იცოდა. ჩემმა პირველმა ნამუშევარმა „რომის კლუბი“, რომელიც გა- ▶



**„რომის კლუბის“ სავარაუდო პროგრამა მოიცავს შეერთებულ შტატებში „პოსტინდუსტრიული“ იდეების შემუშავებასა და გავრცელებას, ისეთ კონტრკულტურული მოძრაობებისა და ჩვევების გავრცელებით, როგორიცაა როკი, სექსი, ჰედონიზმი, სატანიზმი, ჯადოქრობა და „მწვანეთა მოძრაობა“.**

გეოსტრატეგი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მოქვეყნებულია 1983 წელს, არანაირი ყურადღება არ მიიქცია. ბევრმა გაუთვითცნობიერებელმა ადამიანმა ჩათვალა, რომ „რომის კლუბი“ არის რაღაც, რასაც კავშირი აქვს კათოლიკურ ეკლესიასთან, ხოლო „მარშალის გერმანული ფონდი“ კი „მარშალის გეგმასთანაა“ დაკავშირებული.

სწორედ ამიტომ კომიტეტი არჩევს ისეთ დასახელებებს, რომ სიტუაცია აურიოს და მიმდინარე მოვლენებიდან ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოს. **აშშ-ის ხელისუფლებამ შეუძლებელია არ იცოდეს ეს, მაგრამ, რამდენადაც იგი შეთქმულების შემადგენელი ნაწილია, ყველანაირად შეუწყობს ხელს ინფორმაციის დაფარვას, რათა არ დაუშვას სიმართლის გამჟღავნება.** ჩემი ნაშრომის გამოქვეყნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მოიძებნენ მწერლები, რომლებმაც უცბად დაინახეს მასში ახალი უნიკალური ინფორმაციის მდიდარი წყარო და დაიწყეს ამ თემაზე წერა და ლაპარაკი, თანაც ისე, თითქოს დიდი ხანია და საფუძვლიანად ერკვეოდნენ მასში.

მათთვის აღმოჩენა იყო, რომ **„რომის კლუბი“ და მათი ფინანსისტები სახელად „მარშალის გერმანული კლუბი“ წარმოადგენენ შეთქმულთა კარგად ორგანიზებულ ფილიალებს, რომლებიც ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის (ნატო) ეგიდით მოქმედებენ და რომ „რომის კლუბის“ ფუნქციონერთა უმრავლესობა ნატოდან მოვიდა.** ნატოს **პოლიტიკის ყველა ძირითადი დებულება ფორმულირებული იყო „რომის კლუბის“ მიერ, რომელმაც „300-თა კომიტეტის“ წევრის, ლორდ კარინგტონის, მეცადინეობით შეძლო ნატოს ორ ფრაქციად დაყოფა: ძალაუფლების პოლიტიკურ ჯგუფად (მემარცხენეები) და თავად სამხედრო სტრუქტურად.**

„რომის კლუბი“ კვლავ რჩება „300-თა კომიტეტის“ ერთ-ერთ ძირითად საგარეოპოლიტიკურ ქვედანაყოფად, სხვა

## აშშ-ის ფინანსურ დახმარებაზე დამოკიდებულება სხვა ქვეყნებს «საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს» მონობაში ამყოფებს



ასეთ ქვედანაყოფს „ბილდერბერგის კლუბი“ (ბილდერბერგერები) წარმოადგენს. იგი 1968 წელს შეიქმნა, მას შემდეგ, რაც **აურელიო პეჩეი პირადად დაუკავშირდა ტელეფონით მათ, ვინც თავდაპირველად „მორგენტაუს ჯგუფის“ ხერხემალს წარმოადგენდნენ და მოუწოდა, კვლავ გაერთიანებულიყვნენ, რათა ახალი იმპულსი მიეცათ და დაეჩქარებინათ ერთიანი მსოფლიო ხელისუფლების შექმნის გეგმის განხორციელება,** რომელსაც დღეს ახალ მსოფლიო წესრიგს უწოდებენ, თუმცა მე პირველი სახლწოდება უფრო მომწონს. იგი უკეთ აღწერს ამ ფენომენის აზრს, ვიდრე „ახალი მსოფლიო წესრიგი“, რომელსაც მხოლოდ გაურკვევლობა შემოაქვს, რადგანაც **ისტორიაში უკვე რამდენიმე „მსოფლიო წესრიგი“ იყო, მაგრამ ერთიანი მსოფლიო ხელისუფლება ჯერ არ ყოფილა.**

პეჩეის მოწოდებებს ყველაზე ოდიოზური „მომავლის არქიტექტორები“ გამოეხმაურნენ აშშ-დან, საფრანგეთიდან, შვედეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, შვეიცარიიდან და იაპონიიდან. 1968 წლიდან 1972 წლამდე პერიოდში „რომის კლუბი“ გადაიქცა ორგანიზაციად, რომელიც სხვადასხვა სახის „ახალ მეცნიერებათა“ მეცნიერებს, გლობალისტებს, ფუტუროლოგებსა და ინტერნაციონალისტებს აერთიანებდა. როგორც მისმა ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, „ჩვენ იოსების ჭრელ ტანსაცმელს დავემსგავსეთ“. **ნატოს პოლიტიკური ფრთის მიერ მიღებული დოქტრინის საფუძვლად პეჩეის წიგნი „ადამიანური თვისებები“ გამოიყენეს.**

შემდეგში მოყვანილია პეჩეის წიგნიდან ამონარიდი:

**„პირველად მას შემდეგ, რაც ქრისტიანული სამყარო თავისი არსებობის ერთ ათასწლეულს მიუახლოვდა, ხალხის უზარმაზარი მასები რაღაც უცნობის გარდაუვალი დადგომის საგანგაშო მოლოდინში არიან, რამაც შეიძლება სრულიად შეცვალოს მათი ბედი... ადამიანმა არ იცის, რას ნიშნავს, იყო ნამდვილი თანამედროვე ადამიანი... ადამიანმა მოიგონა ზღაპარი ბოროტი ეშმაკის შესახებ, მაგრამ თუ ოდესმე არსებობდა ეს ბოროტი ეშმაკი — ეს თავად ადამიანია... ჩვენ აქ ადამიანურ პარადოქსს ვხვდებით: კაცობრიობა თავისი განსაკუთრებული თვისებებისა და მიღწევების ხაფანგში მოექცა – რაც მეტად იყენებს საკუთარ ძალას, მით მეტია საჭირო“. „ჩვენ დაუღალავად უნდა ვამტკიცოთ, რომ სისულელეა ადამიანის დღევანდელი ღრმად პათოლოგიური და ავადმყოფური მდგომარეობის ახსნა რომელიმე ციკლური კრიზისით ან გარემოებათა შემთხვევითი დამთხვევით. მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ ახალი ტექნოლოგიების „პანდორას ყუთი“ გახსნა, იგი მოსახლეობის უკონტროლო ზრდით, ზრდის მანიით, ენერგეტიკული კრიზისებით, რესურსების ფიქტიური ან პოტენციური ნაკლებობით, გარემოს დაბინძურებით, ბირთვული სიგიჟით და უამრავი მსგავსი უბედურებით იტანჯება“.**

ეს სრულებით ემთხვევა „მწვანეთა“ მოძრაობის პროგრამას, რომელიც გაცილებით გვიან იმავე „რომის კლუბის“ მხარდაჭერით დაარსდა, რათა შეეჩერებინა და უკუღმა შეეტრიალებინა სამრეწველო განვითარება.

ფართო გაგებით, **„რომის კლუბის“ სავარაუდო პროგრამა მოიცავს შეერთებულ შტატებში „პოსტინდუსტრიული“ იდეების შემუშავებასა და გავრცელებას, ისეთ კონტრკულტურული მოძრაობებისა და ჩვევების გავრცელებით, როგორიცაა როკი, სექსი, ჰედონიზმი, სატანიზმი, ჯადოქრობა და „მწვანეთა მოძრაობა“.**

„ტავისტოკის ინსტიტუტს“, „სტენფორდის კვლევით ინსტიტუტს“, „სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტს“ და ასევე გამოყენებითი სოციალური ფსიქიატრიის სფეროში მოღვაწე სხვა კვლევითი ორგანიზაციების ფართო სპექტრს ან უკვე ჰყავდა საკუთარი წარმომადგენლები „რომის კლუბში“, ან მათ მრჩევლებს წარმოადგენდნენ და წამყვან როლს ასრულებდნენ ნატოს მცდელობებში, მიეღო სახელმძღვანელოდ „მერწყულის ერის შეთქმულების“ იდეოლოგია.

მიიჩნევა, რომ სახელწოდება „ახალი მსოფლიო წესრიგი“ 1991 წლიდან, სპარსეთის ყურის ომის შემდეგ დამკვიდრდა. არადა, ერთიანი მსოფლიო ხელისუფლება, უკვე ასი წელია, არსებობს. **ახალი მსოფლიო წესრიგი ახალი არაა, იგი არსებობდა და ამა თუ იმ სახით უკვე დიდი ხნის წინ ვითარდებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი აღიქმება, როგორც მომავალი განვითარების პროგრამა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება; ახალი მსოფლიო წესრიგი – ეს არის წარსული და მომავალი.** აი, რატომ ვწერდი ზემოთ, რომ **უფრო მართებული იქნებოდა სახელწოდება „ერთიანი მსოფლიო ხელისუფლება“.** ერთხელ აურელიო პეჩეიმ თავის მეგობარ ალექსანდრ ჰეიგთან საუბარში აღიარა, რომ თავს „რეინკარნირებულ ადამ ვეისგაუპტად“ მიიჩნევს. პეჩეი უმეტესად ფლობდა ვეისგაუპტის ბრწყინვალე უნარს, ორგანიზება გაეწია და ემართა თანამედროვე ილუმინატები და ეს გამომჟღავნდა იმაში, თუ როგორ მართავდა პეჩეი ნატოს და გლობალური მასშტაბით აყალიბებდა მის პოლიტიკას.

**სამი ათწლეულის განმავლობაში პეჩეი მეთაურობდა „ატლანტიკური ინსტიტუტის ეკონომიკურ საბჭოს“, იმავე დროს გახლდათ Fai Motor Company-ს დირექტორი, რომელიც ჯოვანი აგნელის (Giovanni Agnelli) ეკუთვნოდა. აგნელი, „შავ არისტოკრატიაში“ შემავალი ძველი იტალიური ოჯახის წარმომადგენელი, „300-თა კომიტეტის“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წევრია. მან საბჭოთა კავშირისთვის განკუთვნილი პროექტების შემუშავებაში წამყვანი როლი ითამაშა.**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## «რომის კლუბი» და მათი ფინანსისტები სახელად «მარშალის გერმანული კლუბი» წარმოადგენენ შეთქმულთა კარგად ორგანიზებულ ფილიალებს, რომლებიც ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის (ნატო) ეგიდით მოქმედებენ და რომ «რომის კლუბის» ფუნქციონერთა უმრავლესობა ნატოდან მოვიდა




## საფრანგეთის პირველმა ლედიმ სამ მილიონად შეფასებული ხელოვნების ნაწარმოებები და ავეჯი დალეწა

**ფრანგული გამოცემა „ლე მონდი“ იუწყება, რომ, გავრცელებული ხმების თანახმად, საფრანგეთის პრეზიდენტის — ფრანსუა ოლანდის ფაქტობრივმა ცოლმა, ტელეწამყვანმა და ჟურნალისტმა ვალერი ტრიერვეილერმა, ვიდრე ნერვიული აშლილობის გამო კლინიკაში დააწვენდნენ, ელისეს სასახლეში სამ მილიონ ევროდ შეფასებული ხელოვნების ნიმუშები და ავეჯი დაამტვრია.**





კლინიკაში კი ტრიერვეილერი ფრანგულ პრესაში გამოქვეყნებული სკანდალური ინფორმაციის შემდეგ მოხვდა. ფრანგულმა ტაბლოიდმა Closer-მა ფოტოებთან ერთად გამოაქვეყნა მასალა საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდსა და მსახიობ ჟიული გაიეს საიდუმლო სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ, რის გამოც ვალერი ტრიერვეილერის ნერვიული აშლილობა დაემართა.

რაც შეეხება ელისეს სასახლეში ხელოვნების ნაწარმოებებსა და ავეჯის დამტვრევას, სკანდალმა ისეთი მასშტაბი შეიძინა, რომ საფრანგეთის ნაციონალური ქონების სამსახური იძულებული შეიქნა, განცხადება გაეკეთებინა. ამ განცხადების თანახმად, პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის სამოქალაქო მეუღლემ ნერვული აშლილობის შეტევისას ელისეს სასახლეში ანტიკვარული საათები, სევრის ფაიფურის ვაზები, მაგიდები და სკამები დაამსხვრია და დალეწა, ოლანდის მოწინააღმდეგეების მიერ არის შეთხზული, თუმცა, როგორც ამბობენ, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება.

## თვითნასწავლი ხელოვანი საოცნებო საქართველოს მუყაოთი ქმნის

**24 წლის დიზაინერ-გამომგონებელმა სულხან შაქარაძემ რესტორნების, ავტომობილების, თვითმფრინავების, ყვავილებისა და სასტუმროების მაკეტის შექმნა 3 წლის წინ დაიწყო. მალე მისი ნამუშევრები ფართო საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი. თავდაპირველად მანქანებს ამზადებდა, შემდეგ კი სასტუმროებისა და რესტორნების „აშენება“ დაიწყო.**



მუყაოს საშუალებით თავის ფანტაზიებს გადმოსცემს, ოცნება კი ერთი აქვს — წვლილი შეიტანოს საქართველოს გალამაზებაში და მისი შექმნილი მაკეტები რეალობად იქცეს. „ჩემი ფანტაზია უსასრულოა და საინტერესო. მე არ ვქმნი იმას, რასაც თქვენ ხედავთ, უბრალოდ, ასეთი გამოდის. ნივთის გაკეთებას როცა ვასრულებ, სხვა მნახველებთან ერთად მეც პირველად ვხედავ.“ სამწუხაროდ, არ გამაჩნია ფინანსური შესაძლებლობა, რომ ოცნება რეალობად ვაქციო. იმედი მაქვს, დაინტერესდებიან ჩემი შემოქმედებით“, — ამბობს სულხან შაქარაძე. იგი პროფესიით ბუღალტერი და ბიზნეს-მარკეტოლოგია, თუმცა ამ დარგებში საკუთარი თავი ვერ იპოვა, რადგან პერსპექტივა სწორედ ხელნაკეთებში დაინახა.

**ახალგაზრდა დიზაინერ-გამომგონებელს იმედი აქვს, რომ მიზანს მიაღწევს — თავის ფანტაზიებს რეალობად გადააქცევს, ხელნაკეთები კი ქალაქის განვითარებას და ტურისტების მოზიდვას შეუწყობს ხელს. ახალგაზრდა ხელოვანი იდეის განხორციელებაში დახმარებას ითხოვს.**

**მსურველებს თანხის ჩარიცხვა შეეძლებათ საქართველოს ბანკის მითითებულ ლარის ანგარიშის ნომერზე:**
**მიმღები: სულხან შაქარაძე, ბანკის კოდი: 22**
**ანგარიშის ნომერი: 740000000356932900**
**ტელ.: 558 08 01 06**
**13, 14 და 15 თებერვალს სულხან შაქარაძე გამოფენას გამართავს ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში. (გამოფენაზე შესვლა უფასოა)**
**მუზეუმის მისამართი: ქ. ბათუმი, ჯინჭარაძის ქ. 4.**
**ტელეფონი: (+995) 558 08 01 06**

ფოსტა

უცხოელებზე ქართული მიწების გაყიდვის დროებით შეჩერებამ ისე აღაშფოთა ამერიკა, რომ თითის ქნევას უმატა, ახლა პედერასტებისა და ყველა ჯურის სექსუალურ გარყვნილთა პარადის არ დაშვებამ გააღიზიანა და დაიმუქრა, ნატოში შესვლა საეჭვო გაგიხდებათ, თუ გარყვნილებას არ ეთაყვანებითო. ამის კადრება იმის ბრალია, რომ ღამურა ვაი ქართველებმა ნატოში შესაძრომად საპონი გააქრეს.



ტელ: 234-32-95

# ცალ კარში დემოკრატია

## ფრთხილად იყავით, ბატონებო! ქართველი ხალხის მოთმინების საზღვართან როკვას შეეშვით!

**„ქართული ოცნების“ ბედაური რომ გვეგონა, რომელიც ქართველი ხალხის ოცნების პეგასის ფრთებს გამოიბამდა და ქვეყანას აღორძინების ნატვრას აუხდენდა, კოჰაბიტაციით დამბლადაცემული სახედარი გამოდგა, რესპუბლიკელები „ნაციონალებთან“ ერთად რომ გადასჯდომიან და ევროატლანტიკურ სატყუარა მწვანე ბალახის ბუტაფორიის ცხვირთან დაკიდებით ცდილობენ, ისედაც მრავალნაკორტნი საქართველო ფეოდალურ რეგიონებად დაშალონ, დააკნინონ, დააბეჩაონ და ასეთი ევროპაში შეაჯაგლაგონ, სადაც ასე მოუთმენლად ელოდებიან მონელების ორგანოებმოშლილი ბებრები ევროპულად მოჭიქული „სუდნოებით“.**



თბილისი, 2011 წ.



კიევი, 2014 წ.

**საქართველოში 26 მაისს კაცობრიობის ისტორიაში მომიტინგეების არნახული სადიზმით დარბევა კანონიერად რომ ჩათვალეს, მთელი მსოფლიო შეაწრიალეს — უკრაინაში მომიტინგეებს თმის ღერი არ შეუტოკოთო. მოკლედ, ერთხელ კიდევ თვალნათლივ დავინახეთ ევროატლანტიკური, ცალ კარში მოთამაშეთა დემოკრატია**

თუ ქართველი გქვია, ესე იგი ევროპელი ხარ. ღამურობამონატრებულმა ქართველთა სირცხვილის შვილებმა კოჭლი ჭკუის ნაბოდვარი ეს კუტი აქსიომად გამოაცხეს; ლაღი, ამაყი ქართული თვითმყოფადობა წუნკალი ძაღლის ლაქუცში გაცვალეს. **ხალხით გავსებულ დიდ დარბაზში გაჰყვირიან, ჩვენ ევროპელები ვართო. გაოცებული და ყბადაღებული ევროპელები კი ერთმანეთს თვალებგაფართოებულები შეჰყურებენ: ესენი ვიღას დაჰკარგვიანო?**

ერთი ჭკუასუსტი დადიოდა ქალაქის ქუჩებში და ყველას უმტკიცებდა, მე აინშტაინი ვარო. გამვლელები ეთანხმებოდნენ და სწრაფად სცილდებოდნენ; მერე კი ღიმილით ამბობდნენ, აინშტერინიაო.

ევროპელობა თუ გინდა, გადაცურე შავი ზღვა და იმ აინშტაინივით ამტკიცე შენი ევროპელობა. რას ერჩი ქართულ მიწას და ქართველ ხალხს, რომელსაც აზიელობა არ ეთაკილება?! სხვათა შორის ქრისტე აზიიდან მოძღვრავდა კაცობრიობას და მისი საფლავიც აზიაშია. თუმცა ამ ღამურა ქართველებისგან გასაკვირი არ იქნება, ევროპის საზღვარი ინდოეთზე რომ გაატარონ, მაშინ საქართველოც ევროპის ცენტრში მოხვდება, თორემ **აფხაზებისა და ოსების გარეშე ევროპაში რომ გარბიხართ, საქართველოს გამთლიანებაზე ხელი აიღეთ?! ან შენს ევროპელობაში ეჭვი თუ არ გეპარება, რა ყურის ბარაბნები წაიღე შენი ევროპელობის ღრიალით; ოდესმე გაგიგია, რომ ფრანგებს ან გერმანელებს მტკიცება დაეწყოთ, ჩვენ ევროპელები ვართო?**

ოცნება ფხიზელი კაცის სიზმარია, დიდ მოაზროვნეს უთქვამს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სიზმარი შენს ნებაზე არ ბრუნავს და, როგორც გინდა ეცადო, ველარ გაიმეორებ. ოცნება კი მართვადია და, თუ ნაცარი ბლომად გაქვს, ყვარყვარესავით აჯირითე ალმა-დალმა, ვერაფერს წამოედები, სანამ საღი აზრი არ მიმოგიფანტავს ნაცრით ნაგები ხუხულის ჭაპანწყვეტას.

ჰოდა, სანამ საღ აზრს არ ჩამოუქროლია, ჩვენც შევგრიალდებით ევროპაში მეტროში მათხოვართა კონვეიერით; თუმცა ისინი არც ზემოთ გვაკლია. ეს ღამურები რამხელა ბედნიერებას ეწევიან, გაუსაძლისი ცხოვრებით შელონებულ ქართველებს უვიზოდ რომ გადააბარებენ ევროპას, რათა გაუწმინდონ ბებრები, ხეიბრები თუ სხვადასხვა ორგანომოშლილები. აქ კი ღვთისმშობლის წილხვედრი, სათაყვანებელი სამშობლო დარჩება უცხოელთა საჯირითოდ და სათელად. თავისუფალი ვაჭრობა გვექნება. თუმცა ჩვენ ევროპაში გასაყიდი არაფერი გვაქვს, სამაგიეროდ ევროპა შემოზიდავს ჩვენთან იმდენ ნაგავს, რომ ნაგავსაყრელი აღარ დასჭირდებათ.

**უცხოელებზე ქართული მიწების გაყიდვის დროებით შეჩერებამ ისე აღაშფოთა ამერიკა, რომ თითის ქნევას უმატა, ახლა პედერასტებისა და ყველა ჯურის სექსუალურ გარყვნილთა პარადის არ დაშვებამ გააღიზიანა და დაიმუქრა, ნატოში შესვლა საეჭვო გაგიხდებათ, თუ გარყვნილებას არ ეთაყვანებითო. ამის კადრება იმის ბრალია, რომ ღამურა ვაი ქართველებმა ნატოში შესაძრომად საპონი გააქრეს.**

შენ თუ თავმოყვარეობას, სიამაყეს, შეუპოვრობასა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს ლაქიის ქლესა არსებობაზე გადაცვლი, რა გასაკვირია, რომ ისე მოგექცევიან, როგორც ეკადრება ლაქიას. შედეგად ევროპაში თეთრკანიან პაპუასებს გვიწოდებს ზოგიერთი ცივილიზებული უწიგნური.

ამგვარად ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოების მიერ შერჩეულ 222 ეთნიკურ კულტურულ სახეობებს შორის კავკასიის რეგიონიდან მხოლოდ სომხები, აზერბაიჯანელები, ჩეჩნები და ინგუშები რომ შეარჩიეს და ქართველები სულაც არ გახსენებიათ, რატომ უნდა გვეწყინოს? რა გამორიცხულია, რომ ამერიკის გეოგრაფიულ საზოგადოებაში ტვინის ნაოჭების სიმცირეს განიცდიდნენ. ქვეყანა, რომელიც ბუშის წალმაუკუღმა განათლებამ და მაკკეინის პრეზიდენტად მოსვლის შიშმა ისე დააფრთხო, რომ თეთრკანიანს აღარ ენდნენ და მთელი თავისი არსებობის განმავლობაში შავკანიანებს ადამიანებად რომ არ თვლიდნენ, ახლა პრეზიდენტად ჰყავთ. **ინდიელების გენოციდით მსოფლიო გააოგნეს და დღეს უფრთო ანგელოზობას იბრალებენ, თან კულტურული ერების შერჩევის უფლებას ითვისებენ და გამოღმა დავობენ.** ამგვარად, მათი ჯეიმსთაუნის ფონდის დაკვეთით სააკაშვილის ლაქია პარლამენტმა ჩერქეზების გენოციდი აღიარა. ერთმა ყბაღია ნაცისტმა კი ამაყად განაცხადა, რომ ახლა ჩეჩნების ჯერი დგებაო. ამგვარად უყეფეს და აღიზიანეს „ნაცებმა“ რუსეთი და რა გასაკვირია, თუ მავთულხლართებს ცხვირის წინ გაგიტარებს და, წერასატანილი ჩოჩორივით ტლინკების ქნევას თუ არ მოიშლი, მარტივ მამრავლებად დაგშლის, რაც ევროატლანტიკურ მეგობრებს სულაც არ ენაღვლებათ.

**ზოგიერთი ახლადგამომცხვარი მინისტრი ისე უშფოთველად ლაპარაკობს ხალხის სახელით, რომ ამ უბოდიშობის გამო სიწითლეს ვერ შეატყობ.** თურმე მთელი საქართველოს ოთხმოცი პროცენტი მომხრეა ევროკავშირში გაწევრიანების, აცხადებს ევროინტეგრაციის თუ რაღაც ამგვარის მინისტრი პეტრიაშვილი. ეს მაჩვენებელი თვითონ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისაზე გაცილებით მაღალიაო. ეს ციფრი 2008 წლის გაყალბებული არჩევნების დროს ვირეშმაკა „ნაციონალების“ მოგონილია. არადა, 180 პროცენტის თქმაც შეეძლო, რაზე დაგვიკარგა ამ არჩევნების დროს მკვდარი სულების როლი. **თურმე ევროკავშირის ქვეყნებში უვიზოდ მოგზაურობა შეგვეძლება, ამ სანატრელ ცხოვრებას რომ დაინახავენ აფხაზები და ოსები, ლობეებს სულ ლაწალუწს აუტეხენ, თქვენთან გვამყოფეთ; ჩვენ სამასდოლარიან პენსიას თქვენი 150-ლარიანი მშიერი ფუფუნება გვირჩევნიაო.**

**რატომ არ უნდა იყოს ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთზე გამწყრალი? ამერიკელებს არც კი დაემთავრებინათ ბოლომდე სირიის აწიოკების მუქარა, რომ ჩვენ მზად ვართ ამ ავანტიურაში მონაწილეობის მისაღებადო, ისეთი ენთუზიაზმით გამოაცხადა, რომ, თუ არა ამერიკელთა გაცხელებულ შუბლზე რუსეთის გამაგრილებელი ზემოქმედება, ეს უკვე დამასკოში დახვდებოდა ამერიკელთა დემოკრატიის ნიღბიან შეჯირითებას.**

როგორც ცხინვალიდან გაახლებენ მავთულხლართების გაბმას, საგარეო საქმეთა მინისტრი მაშინვე გვამცნობს, ჩვენ ევროატლანტიკურ მეგობრებს უკვე ვაცნობეთო. ისინიც ცოტათი აკრიახდებიან აქშეული ქათმებივით და უფრო მაღალ ქანდარაზე დასხდებიან. მორჩა, ღონისძიება გატარებულია, ახლა მავთულხლართები თუნდაც გორში გაუტარებიათ. გახურებული ბრძოლის დროს მოწინააღმდეგენი ერთმანეთთან პარლამენტარების საშუალებით აგვარებენ საჭირო საკითხებს. **რუსეთს ებუტები და ევროპაში გარბიხარ საჩივლელად, რომელსაც შენი გამოყენება უფრო აძლევს ხელს, ვიდრე შენი პრობლემების მოსაგვარებლად თავის ატკიება, ან იქნება მაგ გაბუტვით უფრო ამყარებს დაკარგულ ტერიტორიებზე უცხოთა პრეტენზიებს.**

სამაგიეროდ ავღანეთის რისხვა ჩვენი თავდაცვის მინისტრი ავღანეთში ჩაფლულ ნატოს სამხედრო მანქანას ისე ენერგიულად აწვება, რომ ამერიკელთა სერჟანტობას აუცილებლად დაიმსახურებს. არადა, ქართული ჯარი დავით ულუს დროს მონღოლების ხუსტურებზე რომ იბრძოდა, საკუთარი წარმოების ფარხმალი, ჩოხა-ახალუხი და ქალამნები მაინც ჰქონდა. ახლა თანამედროვე მსოფლიო ტერორიზმთან მებრძოლებს საკუთარი მხოლოდ საზარბაზნე ხორცი აქვთ, ამერიკელთა უძლები ამბიციების ამოსაყორად.

**ნატოში შესვლა კი ევროპელობამონატრებულ ღამურა ქართველთა აუხდენელ ოცნებად ქცეულა, რომელიც არც მიეცემათ და არც დაეკარგებათ. ესენი რაში სჭირდებათ ნატოში, როცა უამისოდაც ნებაყოფლობით მიდიან საკუთარი თოკით ყულფში თავის გასაყრელად.**

ქალბატონი ნატოა თუ ჰერმეს — აფროდიტა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეიქმნა. მოწინააღმდეგე აღარ არსებობს, გალატაკდნენ იმ კავშირში მცხოვრები ხალხები; რაღას თხოულობს ეს ტყვიაწამლით დახუნძლული დედაკაცი? ახლა დემოკრატიის დამცველობას იბრალებს და ვაი იმისი ბრალი, ვისი საქციელი ან სიფათი არ მოეწონება, დემოკრატია კი არა, ამქვეყნიურ ჯოჯოხეთს ჩაახუტებს.

სულ ახლახან ამ მიზეზით გაწეწეს ლიბია, სადაც კადაფიმ თავისი ხალხის სასიკეთოდ დაიწყო „ტაბიკების მტვრევა“: განათლება და ჯანმრთელობის დაცვა უფასო გახდა; ბენზინი წყალზე იაფი იყო; ახალდაქორწინებულებს 64 ათას დოლარს, ახალშობილებს 7 ათას დოლარს აძლევდნენ; ბინის ქირა და ელექტროენერგიის გადასახადი გააუქმეს; უმუშევრები 750 დოლარს იღებდნენ; ბავშვების სიკვდილიანობა 9-ჯერ შემცირდა და მრავალ ამგვარ სოციალურ კეთილდღეობას ეზიარნენ. ამას მოითმენდა ნატო?! ისე გაწეწეს დემოკრატიის დაცვის საბაბით, რომ მთელი საუკუნე ვერ მოახერხებენ ნორმალურ ამოსუნთქვას.

**ერაყშიც ჩააშხამეს ჰუსეინს დამოუკიდებლად გაფართხალების მცდელობა და უქციეს კიდეც ერაყელებს ყურძენი ძაღლყურძენად. ავღანეთი ხომ მსოფლიო ნარკობიზნესის ბუნაგად აქციეს. ტერორიზმთან ბრძოლას ვილა ჩივის, იქიდან ტყვის გამოსაღწევად გაჭირვების სიმძიმით წელშიგადრეკილ საქართველოს შეატოვეს ჩასვრილი ავანტიურის ჭირისუფლობა.**

**დემოკრატიისთვის მებრძოლთა შემოცვეთილი ნიღბის შესწორება არც კი უცდიათ მოლასავით თავიანთ სიცრუედაჯერებულებს, ისე ენერგიულად უქნიეს თითი უკრაინის ხელისუფლებას, ევროკავშირზე თავი როგორ შეიკავეო. არადა, რა ეწყინათ? ევროკავშირში შესვლაზე დროებით თავს ვიკავებთო.**

აბაშის წყალგაღმა დარჩენილი მილიციელივით აღშფოთებულმა ამერიკის პრეზიდენტმა ეკონომიკური სანქციების მუქარით ცადა უკრაინის ხელისუფლების დაშინება. **საქართველოში 26 მაისს კაცობრიობის ისტორიაში მომიტინგეების არნახული სადიზმით დარბევა კანონიერად რომ ჩათვალეს, მთელი მსოფლიო შეაწრიალეს — უკრაინაში მომიტინგეებს თმის ღერი არ შეუტოკოთო. მოკლედ, ერთხელ კიდევ თვალნათლივ დავინახეთ ევროატლანტიკური, ცალ კარში მოთამაშეთა დემოკრატია.** ევროკავშირიც ჩამოჯდა კიევში და მთელი თავისი ძალისხმევა შეალია მომიტინგეთა დირიჟორობას. მათმა უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხში, კეტრინ ეშტონმა, არ დაიშურა ორცხობილა და მომიტინგეთათვის ცეცხლის მფრქვეველი მოწოდება. ცნობილი სენატორი მაკკეინიც წამოეშველა ევროკავშირს და რუსეთს სულ მუშტები უქნია. ეტყობა, ვიეტნამელებმა ბეჯითად უჯაჯგუნეს ▶

ხალხი მის მიერ არჩეულ „ქართული ოცნებისგან“ სამართლიანობის აღდგენას და დამნაშავეთა დამსახურებისამებრ დასჯას მოითხოვს, როგორი ძლიერი მფარველიც უნდა იმუქრებოდეს წყალგაღმიდან, ევროსაბჭოდან თუ ევროპის სახალხო პარტიიდან. ნურავინ ნუ ყოფს ცხვირს ქვეყნის საშინაო საქმეებში; ქართველი ხალხის ზნეკეთილობა სისუსტე ნუ ჰგონიათ. ყველა უნდა დაისაჯოს, ვინც მშობელ ერს უმუხთლა!

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ბამბუკის ჯოხები, რომ ფრჩხილზე დასაბერტყავადაც აღარ შერჩა სალი აზროვნება, თორე სად ერეკლე და სად მისი უკრაინის მიტინგზე როკვა! არადა, ეს რომ გასულიყო ამერიკის პრეზიდენტად, მერე გვენახა მსოფლიოს გადარევა.

არც ტაკიმასხარა მიშას დავიწყნია თავისი როლი ევროატლანტიკურ ძაღლიშვილთა ამქარში. მას საქართველოში გვარიანად გაპუტული და ქართველი ხალხის მიერ მაგრად საჯდომ ნაწიხლარი „ნაციონალებიც“ მიჰყვნენ და თავიანთი გედის სიმღერით ზოგიერთ გზააბნეულ უკრაინელს დაუბალღამეს ევროკავშირიდან ნაჩუქარი ორცხობილა. **იყო წყნარად რუსეთი და ღავლავებდა მთელი ევროატლანტიკური დემოკრატია. მომიტინგეების ხელისუფლებაზე მიქსევის ყველა რესურსი გახარჯეს, მათაც გაუთავდათ ნაჩუქარი ორცხობილა და ჩაცხრნენ. არა, ყოფილიყო რუსეთი, უკრაინას ლიბიის მეთოდით გაწევა არ ასცდებოდა, ან ევროკავშირში სულ ციმციმ შეაბრძანებდნენ. ჯერჯერობით დააღწია თავი თანამედროვე დემოკრატების ზვიგენის ყბას, რომლისგან თავის დასაღწევად საბერძნეთში დემონსტრაციები არ წყდება.**

**„ნაციონალებმა“ კი საქართველო გადააქციეს ევროატლანტიკური გადაგვარების ლაბორატორიად, რომელშიც ქართველ ხალხზე ასე დაუსჯელად ატარებდნენ ყოველგვარ ექსპერიმენტებს. გაჭირვებისა და გაუსაძლისი ცხოვრებისგან ისე ნელ-ნელა უნდა დაბეჩავებულიყვნენ, რომ ყოველგვარ მუხთლობას ბოჩოლას კმაყოფილებით შეხვედროდნენ, მაგრამ ამ კონდიციამდე ქართველი ხალხის დაყვანა ვერ შეძლეს.**

ევროპამონატრებულ ღამურა ქართველებს რაკი სურთ, შეეშვან ქართველ ხალხს, თვითონ ეზიარონ გაუკუღმართებულ სექსუალურ ორგიებს; ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილებთან და ყველა ახლობლებთან სექსუალური კავშირით ისე აიმღვრიონ სისხლი, რომ მათი მსგავსი ამფიბიების საყიყინოდ გამოდგეს მხოლოდ. რანაირი დამცირებაც უნდა გკადრონ თქვენმა ევროპელმა მეგობრებმა, არ უნდა გეწყინოთ, რადგან ევროპელობას ასე თავგადაგლეჯით ითხოვთ. ევროპელობა ერთსქესიანთა ქორწინებისა და პედერასტობის მაგალითით უნდა დაამტკიცოთ; ბაყაყებიც უნდა ჭამოთ და ლოკოკინების გოგლიმოგლიც; საქართველო ფეოდალურ სამთავროებად უნდა დაყოთ, ნაწილ-ნაწილ გაყიდოთ და გააჩუქოთ; თქვენ კი, დამსახურებისამებრ, მიიღებთ ქოსმენის უზრუნველობას.

**დააავადეთ და გადააშენეთ ქართველობა, რათა წინაპართა თაყვანისცემის საამაყო ტრადიციებიდან აღარაფერი დარჩეთ. ამგვარად გაგიადვილდებათ სქესობრივად გარყვნილთა აღლუმების ჩატარება. ერთსქესიანთა ქორწინების სიბინძურით ისე დასვარეთ ქართული ზნეობრივი სიწმინდეები, რომ დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარი კაცობრიობის პატარა მარგალიტი ერის არსებობა ისტორიას შეატოვეთ.**

**განა ქართველთა გადაშენების მცდელობა არ იყო, უბედურებად მოვლენილი ამერიკელთა ლაქია სააკაშვილი გენმოდიფიცირებული სიმინდის გამრავლებას მოსახლეობაზე ზრუნვად რომ ათაღლითებდა?** სიმინდის ეს ჯიში სპერმის საწინააღმდეგო ანტისხეულებს წარმოშობს. ეტყობა, ქართველთა მფარველი ღვთაება ფხიზლად არის, მას ქართული მიწაც მიეხმარა და ეს შენიღბული საწამლავი მიშას ღალატს ბოლომად შეატოვა. **ღორის გრიპით თაღლითობაც გააჩალიჩეს, მისი საწინააღმდეგო ვაქცინა ბავშვთა ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას რომ ახდენს.** მოკლედ, **ენერგიულად გაისარჯნენ ფიზიკურად და ზნეობრივად ქართველთა გადასაგვარებლად, მაგრამ ნურავის დაავიწყდება, რომ უფალს ქართველი ერი გაჭირვების ჟამს არასდროს მიუტოვებია.**

სოფელი კი წარმავალია და დროა ავ-კარგის გამრჩევი. ვინც საჯდომზე მაღალი სკამი მოირგეს, ჰგონიათ, რომ სულ ასე იქნება, დაუსჯელობის გრძნობის ტყვეობაში თვითნებობენ, რამეთუ მოჩვენებითი ძალაუფლების მფლობელს ავიწყდება, რომ ხალხი უძლური, ბრმა და ყრუ არ არის, თორემ სახეზე გვაქვს მოუსავლეთის გზაზე დამდგარ „ნაციონალთა“ წკავწკავი.

ამასობაში უმრავლეს-უმცირესობის შეხმატკბილებული ძალისხმევით გატარებული ღონისძიებების ფონზე ახალი წელიც გვეწვია.

ჯერ თელავში სტალინის ძეგლი დაანგრიეს. ახლა კანონი მიიღეს წარსული სიმბოლიკების მოთხრაზე და ამით კალიგულას კვალზე გახოხება გვამცნეს. ათასი სანტა-კლაუსი შეუსიეს ქალაქს და მიგვახვედრეს, რომ ტუტუცი მიშას მიერ ინგლისური ენის ზნედაცემულ მასწავლებელთა სასაცილო ყეინობა ახლა ამ სახით გრძელდება. არც ტელევიზია ჩამორჩათ და ინგლისურად მომღერალი გოგო-ბიჭების ღავლავით წაიღეს ყურთასმენა. აქ მათი არავის ესმის, იმდენად მდარე და სასაცილოა, რომ ინგლისში გამოსაჩენი არ არის. ღამურას წრიპინით ეგლისებიან ევროპას და ბრწყინვალე მშობლიური სიმღერები ავიწყდებათ.

**თურქული სერიალების შემოსევით ხომ პირდაპირ გაგვანათლეს, რას ვიზამთ, ამით მაინც დავიმშვიდოთ მსოფლიოში საპატიო სახელის მქონე ქართული კინოსტუდიის ნოსტალგია.**

**როგორც გინდა გძულდეს წარსული, მას ვერაფრით შეცვლი, ვერ გააქრობ და ვერ შეალამაზებ, თუ დასვრი; ის თავისი ავ-კარგით ჩაბარდა ისტორიას. იმაზე იფიქრე, შენი დღევანდელობა როგორ ხვალინდელ დღეს გაგითენებს.**

პრეზერვატივებზე და გარდასულ დღესთა სიმბოლოების მოსპობაზე მეტი საზრუნავი თუ აღარ დაგრჩათ, აფერუმ თქვენს მიღწევებს!

წარსულის სიმბოლიკას ებრძვი ჯვაროსნების ძალადობით, სადიზმით, სიძულვილით და ათასი ცოდვით დასვრილი ხუთჯვრიანი დროშით?! სტალინის ძეგლს ანადგურებ და რიყეზე წამოსკუპებულ ჰოლივუდის ტაკიმასხარა რეიგანს ელოლიავები?! გმირთა მოედანზე დარჭობილ ჰელიოგაბალის სათაყვანო ორგანოს გარს უვლი; კვერცხების, შლოპანცებისა და გაჭყლეტილი ბოთლების ძეგლებით ამაყობ?!

**ხალხი მის მიერ არჩეულ „ქართული ოცნებისგან“ სამართლიანობის აღდგენას და დამნაშავეთა დამსახურებისამებრ დასჯას მოითხოვს, როგორი ძლიერი მფარველიც უნდა იმუქრებოდეს წყალგაღმიდან, ევროსაბჭოდან თუ ევროპის სახალხო პარტიიდან. ნურავინ ნუ ყოფს ცხვირს ქვეყნის საშინაო საქმეებში; ქართველი ხალხის ზნეკეთილობა სისუსტე ნუ ჰგონიათ. ყველა უნდა დაისაჯოს, ვინც მშობელ ერს უმუხთლა!** ვინც ცდილობს, დემოკრატიის დაცვის რჩევით თავისი ეგოისტური მიზნები შემოგვასაღოს, უმჯობესია, საკუთარ მამიდას მოუაროს, სექსუალურად გარყვნილთა აღლუმებზე საძებარი რომ არ გაუხდეს.

ერთ დროს განვითარებულ და ამაყ საქართველოში მთლიანადაა მოსპობილი მრეწველობა; სოფლის მეურნეობა სავალალო მდგომარეობაშია, ილუპება სოფელი; აღარ არსებობს მძლავრი მეცნიერება; სოციალური კეთილდღეობა სოციალურ უბედურებას მოუხრჩვია; დაწიოკებული ქართული მწერლობა სულს ღაფავს, მწერალი დამშეულია; მათი ნაწარმოებების გამოცემაზე არავინ ზრუნავს. თუ რომელიმემ რამდენიმე წიგნის გამოცემა მოახერხა, კერძო მეწარმის უფლებებს სთხოვენ.

ამგვარად, **კუდამდე გაროკილი საქართველო ყველა მონაცემით ამართლებს ევროკავშირის წევრად მიღებას, გარდა ერთისა; სექსუალური აღვირახსნილობის, გარყვნილობის, ერთსქესიანთა ქორწინებისა და სექსუალურ მანიაკთა თარეშის უფლებას არ იძლევა ხალხი.** აქ კი ღამურა ქართველების აქტიურობაა საჭირო. თავიანთ პირად მაგალითზე, საჯდომზე მიმაგრებული ბანტით და უზნეობის ქადაგებით ეცდებიან სექსუალური აღვირახსნილობის დაკანონებას, შედეგად კი ან აქ დარჩებათ გაწეწილი ტყავი, ან ევროპას შეაფარებენ თავს გაპუტული და შერცხვენილი ამქვეყნიურობით.

**ფრთხილად იყავით, ბატონებო! ქართველი ხალხის მოთმინების საზღვართან როკვას შეეშვით, თორე მიშასაც ცა ქუდად მიაჩნდა და ახლა, ქუდს ვიღა ჩივის, წუნკალი ძაღლის წკუმუტუნით გაურბის ქართველი ხალხის მსახვრალი განაჩენის სუსხს. ამერიკელთა ძაღლიშვილმა შერგო თავი ამერიკაში, მაგრამ მუხთლობის ისეთი მძიმე ტვირთი ჰკიდია, რომ ქვეყნისა და ერის მოღალატეთა სიბინძურიდან მალე აყმუვლდება.**

**გივი სომხიშვილი**,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატი, მწერალი

# ქართულად, ქართულად!

## ანუ ტრიპტიქი ახალ ქართულ თარგმანებზე

**წერილი მეორე**

**მძიმე აღმართის შემდეგ რომ გაივაკებ და შვებით ამოისუნთქავ, სწორედ ასეთი განცდა მქონდა „კაზანოვადან“ „სალვადორ დალიზე“ რომ გადავედი, ლაღად გავუყევი ფართოდ გაშლილ შარაგზას და, თუ ზოგჯერ რაღაცას წამოვკრავდი ფეხს, ერთს კი მოვიხედავდი, მაგრამ ისევ თავაწეული მივდიოდი...**



დიდი შრომა და სიყვარული ჩაუქსოვიათ მთარგმნელებს (ზაზა ჭილაძესა და გრიგოლ ჭუმბურიძეს), თუმცა, ცხადია, მარტო ეს რას უშველიდათ, კალამი რომ ასე არ უჭრიდეთ. ამის უამრავი მაგალითი შეიძლებოდა შემომეთავაზებინა, მაგრამ საგაზეთო სტატიაში ეს ზედმეტი ფუფუნება იქნებოდა. ამდენად, უფრო იმ ზოგიერთ უზუსტობასა და ლაფსუსზე გავამახვილებ ყურადღებას, რომლებიც ამ კარგ თარგმანშიც შეიმჩნევა და შემდგომში **უსათუოდ** უნდა გასწორდეს...

უპირველეს ყოვლისა, თვალში მომხვდა გამოჩენილი ესპანელი კინორეჟისორის (Bueuel) გვარის დამწერლობა (შპელლინგ) – ჩვენში ამ მხრივ იმთავითვე დამკვიდრდა სწორი ეკვივალენტი („ბუნიუელი“, იხ. ქართული ენციკლოპედია, ტ. 2. გვ. 573, 1977 წ.) და ამდენად, ახლა „ბუნუელი“ (გვ. 120-121), ნამდვილად აღარ გვეკადრება (ყოველი შემთხვევისთვის, შეგახსენებთ რუსულ ვარიანტსაც — „Буньюль“ )... რაც შეეხება ლ. ბუნიუელის კინორეჟისორულ დებიუტს, უნდა იყოს არა „Le Chien Andalou“ (გვ. 120), არამედ — „Un Chien Andalou“. არც ფილმის ქართული სახელწოდებაა სწორი. უნდა იყოს არა „ანდალუსიელი ძაღლი“ (გვ. 120), არამედ — **„ანდალუსიური ძაღლი“** (შეადარეთ: კავკასიური ნაგაზი, კავკასიური კამეჩი და ა. შ.).

ასევე გამაოცა **ფრ. ნიცშეს** საქვეყნოდ აღიარებული ნაწარმოების სათაურმა **„ასე ამბობდა ზარათუშთრა“** (გვ. 81). ცნობილია, რომ მსოფლიოს მართლაც ეს ერთ-ერთი უპოპულარესი წიგნი ლეგენდარული **ერეკლე ტატიშვილის** თარგმანით, **თამაზ ბუაჩიძის**, **როსტომ ჩხეიძის**, **სერგი ავალიანის**, **ნიკო ჭავჭავაძის** რედაქტორობითა და შესავალი სიტყვებით ჯერ კიდევ 1993 წელს გამოვიდა და ეწოდება: **„ესე იტყოდა ზარატუსტრა“.**

ახლა სხვა, უმეტესად, ორთოგრაფიული საკითხები:

„კოსმიური“ კი არა (გვ. 58), არამედ **„კოსმოსური“,** „მთრთოლვარე“ (9) — „მთრთოლარე“, „სუმთლად“ (25, 37) — **„სულ მთლად“**, „სპილოსძვლის ელფერის“ (36) — **„სპილოსძვლისფერი“**, „ნებსით თუ უნებურად“ (153) და „ნებსით თუ უნებლიედ“ (60) — **„ნებსით თუ უნებლიეთ“,** „რალაცეები“ (47, 121, 135) — **„რალაცები“,** „200 წლის წინ“ (60) — „ ... **წინათ**“, „ამის გარეშე“ (177) — **„უამისოდ“**, „ფერუმარილს“ (75) — **„ფერ-უმარილს“**, „მუხლებსქვემოთ“ (36) — **„მუხლებს ქვემოთ“**, „კატალანურად“ (46) — **„კატალონიურად“**, „მთელს პარიზს“ (124) — **„მთელ პარიზს“** და ა. შ.

ბარემ ისიც აქვე მივანიშნოთ, რომ ერთად იწერება: „ბიჭბუჭებს“ (181), „ნაყარნუყარი“ (37), „ნელინელ“ (80, 102), „არადა“ და ა. შ.

არც „ჯიბიდან ჯაყვა დანა ამოვიღე“ (45)ვარგა, იგივე ითქმის სხვა წინადადებებზეც: „წინააღმდეგობაში მოდიოდა“ (171), „ყველა ის „უცნაურობები“ (174), „სხვადასხვა სტადიონებზე“ (183), „სხვადასხვა სალონებსა თუ გამოფენებზე“ (196) და ა. შ.

რაც შეეხება ისეთ სიტყვებს, როგორიცაა **„აწი“** (69) და **„სხვაფრივ“** (134), „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ კატეგორიული მოთხოვნის თანახმად, უნდა იყოს: „ამის შემდეგ“, „ამიერიდან“ და „სხვაგვარად“.




ერთი სიტყვით, **რედაქტორის ხელი აკლია ყოველივე ამას და ეგ არის.**

საგანგებოდ უნდა შევჩერდე ისეთ, მსუბუქად რომ ვთქვა, „უცნაურ“ სიტყვებზე, როგორიცაა: **„განათუ“** (255) — ნაცვლად ნაწილაკისა „განა“ და **„ღირსპატივსაცემი“** და **„ზეიმურობა“** (66), თანაც ეს ორი სიტყვა ერთიმეორის მიყოლებითაა. პირველმა („განათუ“) ხომ მართლაც „დახურა“ (მთარგმნელების სტილში თუ ვიტყვით, ცხადია, კარგი გაგებით, რადგან ამ მხრივ, ასეთი, რომ იტყვიან, მოსწრებული გონებამახვილობით მათი თარგმანი ერთობ გამოირჩევა). რაც შეეხება დანარჩენ ორ სიტყვას, მთელი წინადადება უნდა გავიხსენოთ: **„ამ ნივთს რაღაც განსაკუთრებული, ღირსპატივსაცემი ზეიმურობა და დიდებულება დაჰკრავდა!“** ახლა, ამოვიღოთ პირველი („ღირსპატივსაცემი“), მეორე კი კონტექსტით გავიაზროთ და ვნახოთ, დააკლდება მას რამე თუ მოემატება: **„ამ ნივთს რაღაც განსაკუთრებული, საზეიმო იერი და დიდებულება დაჰკრავდა!“.** რას იტყვით, ჩემო ძვირფასო კოლეგა-მთარგმნელებო, დააკლდა თუ მოუხდა?

**გოგი დოლიძე**,
პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი

**P.S. ქართველი მკითხველი გულგრილად ვერ წაიკითხავს იმ სტრიქონებს, რომელთაც სალვადორ დალი უძღვნის თავად შერვაშიძეს („თავადი შერვაშიძე... ევროპული არისტოკრატიის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია...“) და ბუნებრივად იბადება ინტერესი, უფრო მეტი ვიცოდეთ ამ „ევროპული არისტოკრატიის უთვალსაჩინოეს წარმომადგენელზე“. ეგებ ამაზეც იზრუნონ გამომცემლობამ და მთარგმნელებმა?**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 3D Viewer-ი iPhone-ისთვის

**ეს მოწყობილობა წააგავს ჩვეულებრივ ბინოკლს, თუმცა რეალურად მისი და iPhone-ის დახმარებით შეგიძლიათ, ვიდეოს 3 განზომილებაში უყუროთ.** Poppy 3D — ასე ჰქვია ამ პროდუქტს და მისი დახმარებით შეგიძლიათ გადაიღოთ და უყუროთ 3D ვიდეოებს. მისი გამოყენებისთვის საჭიროა iPhone მოათავსოთ მოწყობილობის თავზე ჩასადებ ადგილას. Poppy 3D იყენებს სარკეებს, რათა გადაღებული კადრი 2 კადრად აქციოს და ასე წარმოიქმნება 3D ეფექტი. როდესაც ჩაიხედებები Poppy 3D-ში, შენი თვალები ხედავს 1 კადრს, ხოლო ტვინი — 2 კადრს აერთიანებს და საბოლოოდ 3D ვიდეოს ხედავთ. მოწყობილობა ღირს 59 დოლარი. ასევე მისი გამოყენება შეიძლება Youtube-ზე არსებული 3D ვიდეოების 3 განზომილებაში სანახავად.



# ყველაზე უცნაური მოწყობილობები

**მსოფლიოში ყველაზე დიდი ტექნოლოგიების გამოფენა, ანუ CES (Consumer Electronics Show), რომელიც ლას ვეგასში ტარდება, ყოველთვის გამოირჩევა სიურპრიზებით და ეს წელიც არ იყო გამონაკლისი. აქ იყო წარმოდგენილი ნამდვილი ტექნოლოგიური შედევრები.**



## ChefJet 3D Printer

**თუკი შენ ტექნოლოგიების და ამავე დროს ტკბილეულის მოყვარული ხარ, მაშინ 3D System Corporation-ს თქვენთვის გამოუშვია ეს 3D „შეფმზარეული პრინტერი“.** ამ პრინტერს შეუძლია დაამზადოს სხვადასხვა ფორმის ტკბილეული. ჯერჯერობით გამოგონებულია მხოლოდ რამდენიმე რეცეპტი და არომატი. ძირითადად მათ შემადგენლობაში შედის: შოკოლადი, ვანილი, პიტნა, მჟავე ვაშლი, ალუბალი და საზამთრო. კომპანიის განცხადებით, ChefJet 3D Printer ბაზარზე 2014 წლის მეორე ნახევარში გამოვა და 5000 დოლარზე ნაკლები ეღირება.



## «არ მოიხარო წელში!»

**ეს არის პატარა, უცნაური და ბევრისთვის გამოსადეგი ხელსაწყო. თანაც მისი გამოყენება უმარტივესია. როდესაც ეს მოწყობილობა ჩაეშვება გაყიდვაში, თქვენ წელში გამართულად სიარულისთვის აღარ დაგჭირდებათ წიგნის თავზე დადება და სხვა მსგავსი ხრიკები.** Lumo Lift დაგეხმარებათ ამაში. მას მიიმაგრებთ საყელოზე, გოგოებს შეუძლიათ ბიუსტჰალტერზეც მიიმაგრონ. მოწყობილობა აფიქსირებს მომენტს, როდესაც თქვენ დახრას იწყებთ და ვიბრაციის საშუალებით გახსენებთ, რომ წელში გასწორდეთ. მოდელების სავარჯიშოდ და მზრუნველი მშობლებისთვის გამოსადეგია, თუმცა პროდუქტის გამოსვლამდე ლოდინი მოგიწევთ. როგორც ოფიციალური საიტი LumoBodyTech.com იტყობინება, ისინი ელოდებიან დაინტერესებული ხალხის სიის გაზრდას. შავარაუდოდ, მოწყობილობა გაზაფხულის ბოლოს გამოვა და ეღირება 59-დან 79-დოლარამდე.




## საწოლი «ანტიხვრინვა»

**რატომაც არ უნდა ვაკონტროლოთ თავი თუნდაც ძილში?! — სწორედ ეს კითხვა გაუჩნდა კომპანიას, რომელმაც ეს „ჭკვიანი საწოლი“ გამოიგონა (Smart Bed). ეს 8000-დოლარიანი საწოლი უზრუნველყოფს თქვენს ტკბილ ძილს ხმოვანი ბრძანებების დახმარებით. ადამიანს შეუძლია საწოლის სირბილე და ფორმა შეცვალოს ბრძანებებით.**

საწოლი მთელი ღამის განმავლობაში აკვირდება მოძრაობებს და ინახავს მათ, შემდეგ კი ამ ინფორმაციას უგზავნის პლანშეტურ კომპიუტერს. ამ ინფორმაციის წყალობით, თვითონ განსაზღვრავს თავის მონაცემებს (სირბილეს და განლაგებას). ასევე კომპანია Sleep Number აცხადებს, რომ საწოლს შეეძლება „გააჩუმოს“ ხვრინვა. ნაზად მაღლა და დაბლა მოძრაობით, საწოლი ახერხებს გაუხსნას საჰაერო გზები მხვრინავს და შეაწყვეტინოს ხვრინვა ადამიანს გაღვიძების გარეშე.



## გიგანტური დინამიკები

**„არაამქვეყნიური მონსტრი“, სახელად The Dalek, BBC-ის ტელესერიალის Doctor Who-სთვის დამზადდა სპეციალურად. ეს არის Dalek-ის ასლი, რომელსაც გააჩნია Bluetooth Speaker-ის სისტემა და დამზადებულია Massive Audio-ს მიერ (ეს კომპანია ძირითადად მანქანების დინამიკებს აწარმოებს).** კომპანიის თქმით, Dalek არის ყველაზე მასიური და დიდი დინამიკი, რომელიც Bluetooth სისტემაზე მუშაობს. ნებისმიერი სმარტფონი შეგიძლიათ Bluetooth-ის მეშვეობით დაუკავშიროთ მას და მოუსმინოთ სასურველ სიმღერებს. კომპანია მომავალში Dalek-ის გაუმჯობესებასა და მის გაყიდვას აპირებს eBay-ის აუქციონზე, შემოსულ თანხას კი საქველმოქმედო ფონდში გადარიცხავს.



## «დედა ყოველთვის გადევნებს თვალს»

**ეს მოწყობილობა რუსულ თოჯინა მატრიოშკას წააგავს ფორმით. „დედა“ — ასე ჰქვია მოწყობილობას, რომელიც უკაბელო ინტერნეტით უკავშირდება Motion Cookies-ს.** ეს უკანასკნელი კი შეგიძლია დააყენო ოთახის ნებისმიერ ადგილას, იქნება ეს ყავის მადუღარა, უჯრა, გასაღები ან თუნდაც კბილის ჯაგრისი. Motion Cookie-ის დავალებაა, დააფიქსირიოს მოძრაობები და შემდეგ ინფორმაცია გადასცეს „დედა“-ს. როგორც მწარმოებელი Sen.se იტყობინება, „დედა“ დაეხმარება მსურველს, განსაზღვროს, რა და რამდენი ჭამოს, დაეხმარება ფიტნესში, ჰიგიენის დაცვაში და, რაც ყველაზე მთავარია, სახლის უსაფრთხოებაში. მწარმოებლის მიზანია, ინტერნეტთან დაკავშირებული მოწყობილობები ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში შეიტანონ. „დედა“ თავისი 4 Motion Cookie-ით ღირს 222 დოლარი.



## გადახდის ახალი სისტემა

**წარმოიდგინეთ, რა კარგი იქნებოდა, რომ შეგეძლოთ თქვენი ხელისგულით რაიმეს ყიდვა.** „PulseWallet“ სწორედ ამას გვპირდება. მათ CES-ზე წარადგინეს სენსორი, რომელიც აფიქსირებს ხელის გულზე ვენების განლაგების უნიკალურ კომბინაციას. აყენებთ თქვენი ხელის გულის კოდს საკრედიტო ბარათზე და შემდეგ ამ სენსორის დახმარებით შეგეძლებათ ივაჭროთ. ეს სისტემა გამოვა მომავალ თვეში, ფასი ჯერ დაკონკრეტებული არ არის. PulseWallet-ის შემქნელები იუწყებიან, რომ ეს სისტემა ყველაზე უსაფრთხოა, სხვა უსაფრთხოების სისტემებთან შედარებით.



## პერსონალური თერმული ვიზუალიზაციის მოწყობილობა

**ეს თერმული ვიზუალიზაციის მოწყობილობა სახელად FLIR ONE, თავსებადია მხოლოდ iPhone 5 და iPhone 5S-ისთვის.** მისი წყალობით შეგიძლიათ სხვადასხვანაირი თერმული ინფორმაციის მიღება ახლომდებარე საგნებზე. მოწყობილობას გააჩნია ვიზუალურ-თერმული კამერა და სპეციალური ბატარეა. ეს მოწყობილობა ეღირება 349 დოლარი და გაყიდვაში ჩაეშვება 2014 წლის გაზაფხულიდან.



## iPhone, როგორც იარაღი

**ეს არის ყველაზე საშიში ტელეფონის ჩასადები, რომელიც კი CES-ზე წარუდგენიათ. კომპანია Yellow Jacket-მა წარმოადგინა iPhone 5/5S-ის ქეისები, რომლითაც შეგიძლიათ თავდაცვაც კი. მისი დახმარებით იტენება მობილური და ამავე დროს მოწინააღმდეგეს შეგიძლიათ მიაყენოთ ელექტროდარტყმა!** ადრეული ვერსია, რომელიც 2012 წელს გამოვიდა, განკუთვნილი იყო iPhone 4/4S-ისთვის. ძველი ვერსიისგან განსხვავებით, უკვე შეგიძლიათ შალითის ფერიც აირჩიოთ (სულ 4 ფერია). პროდუქტის გაყიდვა დაიწყება თებერვალში და ეღირება 149 დოლარი.




## iGrow

**ეს არის მოწყობილობა მათთვის, ვინც თმების ნაკლებობას განიცდის თავზე. კალიფორნიულმა კომპანია Apira Science Inc.-მა გამოუშვა iGrow, რომელიც არის 51 ლაზერითა და LED განათებით აღჭურვილი მსუბუქი ჩაფხუტი. ეს უკანასკნელები ეხმარება თმებს ზრდაში, ამ პროცესს ეწოდება ლაზერული თერაპია.** კომპანია იუწყება, რომ წითელი ლაზერი თმის მოლეკულებს აგულიანებს და სტიმულაციას უწევს თმის ზრდას, მაგრამ ამ ყველაფრის უკან რამდენიმე მეცნიერული დეტალი იმალება. საუკეთესო შედეგების მისაღწევად მომხარებელმა ჩაფხუტი უნდა ატაროს ყოველ მეორე დღეს, 20 წუთის განმავლობაში. ეს უნდა გაგრძელდეს 4-დან 6 თვემდე. შედეგის შესანარჩუნებლად მთელი დარჩენილი ცხოვრება მომხარებელმა ჩაფხუტი კვირაში ერთხელ მაინც უნდა ატაროს. მოწყობილობის ტარება რომ მოსაწყენი არ ყოფილიყო, შემქმნელებმა ჩაფხუტს iPod/MP3-ით აღჭურვილი ყურსასმენები დაუმატეს. პროდუქტი ხელმისაწდომია და ღირს 695 დოლარი.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მამაკაცი აუქციონზე ტვინს ყიდდა

**ინდიანაპოლისში პოლიციამ 21 წლის დევიდ ჩარლზი დააპატიმრა. იგი ონლაინ აუქციონ eBay-ზე ტვინს ყიდდა.**

დევიდი ადგილობრივი სამედიცინო მუზეუმიდან (Indian Medical History Museum) იპარავდა ქილებს, რომლებშიც ტვინი იყო მოთავსებული და ინტერნეტით ყიდდა. ტვინი 4 800 დოლარად შეაფასეს. მუზეუმში 2000-ზე მეტი გარდაცვლილი პაციენტის სხეულის ორგანოები ინახება.

# ჩიპებიანი და სენსორებიანი ადამიანები



**სამედიცინო სფეროში ახალი ერა იწყება — მალე დიაგნოზის დასმა სხეულში ჩამონტაჟებული ჩიპებით იქნება შესაძლებელი. სენსორები და ჩიპები უკვე გამოიყენება და მისი დახვეწა მიმდინარეობს.**

„ეს მხოლოდ დროის საკითხია, ჩიპები პაციენტის სხეულში, კანქვეშ თავსდება“, — ამბობს ორგანიზაცია Electronic Frontier-ის მთავარი ტექნოლოგი პიტერ ეკერსლი.

როგორც მეცნიერები ამბობენ, ხელსაწყოს წყალობით პიროვნების აქტივობის დონისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გამოჩნდება. კომპანია Proteus Biomedical-ის წარმომადგენლის — არნა იონესკუს თქმით, ამ ხერხით ქრონიკული დაავადებების აღმოფხვრაა შესაძლებელი. გავრცელებული ინფორმაციით, ციფრული მოწყობილობა სამომხმარებლო ბაზარზე უახლოეს მომავალში გამოჩნდება. სენსორების წყალობით ექიმს სრული ინფორმაცია ექნება, თუ როგორ რეაგირებს პაციენტი მედიკამენტზე, რა დოზაა მისი ორგანიზმისთვის საჭირო და ასე შემდეგ.

# რატომ არ იმახსოვრებს ტვინი ბავშვობის მოგონებებს



**ყველას აინტერესებს, როგორ ცხოვრობდა 5 წლამდე, რა უყვარდა, ახარებდა და ადარდიანებდა, მაგრამ ამ ყველაფრის შესახებ მოგონებები დუმნან და ბავშვობას მშობლების მონაყოლითა და ფოტოსურათებით თუ ვიხსენებთ.**

ტვინი დღემდე ამოუცნობი ფენომენია, თუმცა, მეცნიერებმა დაკვირვების შედეგად გარკვეული მონახაზი მაინც გააკეთეს, რაც კანადაში ნეირომეცნიერთა ყოველწლიურ კონფერენციაზე წარადგინეს.

აღმოჩნდა, რომ „ბავშვური ამნეზია“ გამოწვეულია ჰიპოკამპუსზე არსებული ნერვული უჯრედების სწრაფი ზრდით. ტორონტოს ბავშვთა საავადმყოფოს მთავარი მეცნიერის პოლ ფრენკლენდის თქმით, ახალგაზრდები მხოლოდ მნიშვნელოვან მოვლენებს იმიტომ იმახსოვრებენ, რომ ტვინში ახალი ინფორმაციის სწრაფი ჩანაცვლება ხდება.

ჰიპოკამპუსს 2 რამ ევალება: ყველა დეტალი ჩაიწეროს და შეინახოს, საჭიროების შემთხვევაში კი მიაგნოს და აღადგინოს. მთელი ენერგია ახალ ნეირონებზე იხარჯება.

„ადამიანებს ცხოვრების პირველ წლებში სტაბილური მეხსიერების ფორმირება არ შეუძლიათ. 4 წლის ქალიშვილი მყავს და ექსპერიმენტში ჩავრთე. ყოველთვის ვეკითხები რამდენიმე კვირისა და თვის წინ მომხდარ მოვლენებზე, ვინტერესდები, ახსოვს თუ არა ღონისძიებები და კონცერტები, რომელთაც ერთად ვესწრებოდით. გარკვეულ დეტალებს მიყვება, მაგრამ 5 წლის შემდეგ არაფერი ემახსოვრება. მხოლოდ ჩემი და ჩემი მეუღლის მონათხრობის შემდეგ შეიძლება აღადგინოს გარკვეული კადრები“, — ამბობს პოლ ფრენკლენდი.

# ანტარქტიდაში 100 წლის წინანდელი ფოტოები აღმოაჩინეს



**ანტარქტიდაში 100 წლის წინანდელი დღემდე უცნობი 22 ფოტო აღმოაჩინეს.** ფოტოები 100 წლის მანძილზე ყინულის ბლოკში მოთავსებულ პატარა ყუთში ინახებოდა. დაზიანებულ ფოტოებს ველინგტონელმა ფოტოგრაფებმა მიაგნეს. როგორც მეცნიერი ნიგელ უოტსონი ამბობს, ფოტოები დღემდე არავის უნახავს. ფოტოები ექსპედიციას ასახავს.

სამეცნიერო ორგანიზაცია Antarctic Heritage Trust-ის ჯგუფის წევრებმა ფოტოები იმ ტერიტორიაზე იპოვეს, სადაც თავის დროზე დიდი ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საზღვაო ფლოტის კაპიტნისა და მკვლევარის — რობერტ სკოტის ნივთებს მიაგნეს.

1910-1913 წლებში რობერტ სკოტის ხელმძღვანელობით ხუთკაციანი გუნდი ხომალდით „ტერა-ნოვა“ ექსპედიციაში წავიდა, მაგრამ უკან დაბრუნებისას სკოტი და მისი მეგზურები დაიღუპნენ. ეს ყუთი მოგვიანებით მკვლევარმა ერნესტ შეკლტონმა გამოიყენა და, როგორც ჩანს, ნეგატივების ეს პარტია ხელუხლებელი დარჩა. მოგვიანებით მეცნიერთა გარკვეულმა ჯგუფმა ხომალდით „ავრორა“ დარჩენილი ჯგუფის წევრებისთვის პროდუქტები და ნივთები წაიღო. ჯგუფში 8 კაცი შედიოდა და ერთ-ერთი ფოტოგრაფი იყო. ფოტოსურათები სწორედ ამ ადამიანების გმირულ საქციელს ასახავს.

# მარსზე საცხოვრებლად 1058 ადამიანს აგზავნიან



**კომპანია Mars One-ს, რომლის მიზანია მარსზე მოსახლეობის გადასახლება, უამრავი გულშემატკივარი გამოუჩნდა.**

რამდენიმე თვის წინ კომპანიამ საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსა აპლიკაცია, სადაც ნებისმიერ მსურველს გარკვეული საფეხურების გავლის შემდეგ დარეგისტრირება შეეძლო. როგორც ჩანს, დედამიწაზე ცხოვრება 200 000-ზე მეტ ადამიანს მობეზრდა და მზად არიან, მარსი დაიპყრონ. თუმცა კომპანიის წარმომადგენელი ჟურნალისტებთან საუბარში ამბობს, რომ 200 000 კანდიდატიდან მხოლოდ 1058-მა ადამიანმა დააკმაყოფილა მონაცემები და მეორე ტურში გადავიდა.

მეორე ტურში კანდიდატები მსოფლიოს 107 ქვეყნიდან გავიდნენ. მათი უმრავლესობა ამერიკელია — აპლიკანტების 43 პროცენტი ამერიკის კონტინენტიდანაა, თითქმის თანაბრად ნაწილდებიან კანდიდატები ევროპიდან და აზიიდან. მარსზე გამგზავრების მსურველებს შორის 5 პროცენტი აფრიკელია. რაც შეეხება ასაკს, უმრავლესობა 26-55 წლამდეა, აპლიკანტების 34 პროცენტი 25 წელზე ახალგაზრდაა, მათ შორის არიან სკოლის მოსწავლეებიც.

პროექტი ითვალისწინებს ადამიანების დასახლების შექმნას მარსზე. 2018 წლიდან წითელ პლანეტაზე გაგზავნიან რობოტებს, რომლებიც დასახლების მშენებლობას დაიწყებენ და საცხოვრებელ პირობებს მოუმზადებენ პლანეტის მომავალ ბინადრებს. 2024 წლიდან კი ყოველ 2 წელიწადში შერჩეული კანდიდატებიდან 4-4 კაციანი ჯგუფი გაიგზავნება მარსზე სამუდამოდ საცხოვრებლად.



# ჰოფდორფში «ეროტიკულ უნივერსიტეტს» ააშენებენ



**ჰოლანდიის დედაქალაქ ამსტერდამს კონკურენტი გამოუჩნდა — ჰოფდორფში უზარმაზარი ეროტიკული ცენტრის — „სიყვარულის ქალაქის“ (City4Love) აშენება იგეგმება.**

„სიყვარულის ქალაქი“ მსოფლიოში ყველაზე დიდი საროსკიპო იქნება. როგორც პროექტის ორგანიზატორი ამბობს, ის ამერიკული ლას-ვეგასის მსგავსი ცენტრი იქნება, მაგრამ ამ შემთხვევაში, აქცენტი სექსზე გაკეთდება. გასართობი ცენტრი ნებისმიერი გემოვნების ადამიანისთვისაა განკუთვნილი. დაგეგმილია დიდი რაოდენობით სექსშოპების, სტრიპტიზბარების გახსნა, მათ შორის, გეებისა და ლესბოსელებისთვის. კლიენტს საშუალება ეძლევა, რომ „ეროტიკულ თეატრსაც“ ეწვიოს. პროექტს ექცენტრული ბიზნესმენი რინუს ბოიზენბერგი აფინანსებს. მის გეგმაში „ეროტიკული უნივერსიტეტის“ აშენებაც შედის. მისი აზრით, საჭიროა, ახალგაზრდებმა სექსთან დაკავშირებით ყველაფერი კვალიფიციური კადრებისგან შეისწავლონ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკის შეერთებულ შტატებში ავტომანქანების მძღოლები ხშირად ხედავენ თოვლის კაცებს იმ ადგილებში, სადაც საავტომობილო გზები ტყის გავლით აკავშირებს ერთ პუნქტს მეორესთან. ყველა იხსენებს, რომ ეს არ იყო ადამიანი, ეს იყო არსება, რომელსაც ჰქონდა მაიმუნის სახე, იყო დათვივით ბეწვიანი და სხეულის ფორმით ადამიანს წააგავდა.**

# თოვლის კაცები

**დედამიწის ზურგზე დღემდე არსებობენ ცხოველთა ისეთი სახეობები, რომელთა არსებობის შესახებ ადამიანმა ან არაფერი იცის, ან მხოლოდ ნაწილობრივ თუ გაუგია რაიმე. ამ მეორე კატეგორიას მიეკუთვნება არსება, რომელიც ადამიანებს ხშირად შეუმჩნევიათ და მეტიც, მოუკლავთ ან დაუჭერიათ მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი.**

ეს გონიერი ცხოველი ადამიანს საფრთხედ აღიქვამს. არსებობს მისი დაჭერის შემთხვევები, მაგრამ ასე შეპყრობილი ეგზემპლარები შთამომავლობას არ ტოვებენ მარტივი მიზეზის გამო — დაჭერილი არსება ან მარტო მდედრი იყო, ან მარტო მამრი და მისი გამრავლების საშუალება პრაქტიკულად არ არსებობდა.

მიუხედავად ამისა, თოვლის კაცებზე გარკვეული ინფორმაცია მაინც დაგროვდა.

**ამ არსების მეცნიერული სახელწოდებაა რელიქტური ჰომონოიდი** (სიტყვა „რელიქტური“ ნიშნავს შორეული დროის გადმონაშთს, ხოლო „ჰომონოიდი“ — ადამიანის მსგავსს), **რომელსაც სხვადასხვა ენაზე თუ დიალექტზე სხვადასხვა სახელწოდება გააჩნია. საქართველოში მას ტყის კაცს უწოდებენ, აშშ-ში — Bigfoot-ს, რომელიც ითარგმნება, როგორც „დიდტერფა“, რუსეთში — снежныи человек, ანუ თოვლის კაცი და სწორედ მისი ეს სახელი გახდა საქართველოშიც უფრო პოპულარული, ვიდრე ქართული სახელწოდება.**

რაც შეეხება მის ზოოლოგიურ კლასიფიკაციას, ეს ცხოველი მიეკუთვნება ძუძუმწოვართა კლასს და შედის პრიმატთა ოჯახში (პრიმატების ოჯახში შედიან მაღალორგანიზებული თავის ტვინის მქონე არსებები, ჰომონოიდის გარდა, ესენი არიან ადამიანები და მაიმუნები). ჰომონოიდი თავისი გონებრივი განვითარებით ადამიანზე დაბლა, მაგრამ მაიმუნზე მაღლა დგას (მაიმუნებიდან ყველაზე მაღალგანვითარებულ ინტელექტს ფლობს შიმპანზე, რომელსაც შეუძლია ისწავლოს, რამდენად დაუჯერებელიც უნდა იყოს, ლურსმნის ჩაჭედება, ძაფის ნემსის ყუნწში გაყრა, ველოსიპედის ტარება და მანქანის მართვაც კი. ამან საქმე იქამდეც კი მიიყვანა, რომ აშშ-ის ერთ-ერთ შტატში დაიწერა კანონი, რომლის მიხედვითაც დანაშაულია შიმპანზესთვის მანქანის მართვის სწავლება, რადგან მან შეიძლება საფრთხეში ჩააგდოს ფეხით მოსიარულეები და ასევე დააზიანოს ქუჩის ინფრასტრუქტურა.

**ჰომონოიდის ფიზიკური მახასიათებლებია: გადაადგილდება ორი ფეხით. ზრდასრული ინდივიდის სიმაღლეა 1,6 მ-დან 2,1 მ-მდე. სხეული დაფარული აქვს 2 სმ-დან 8 სმ-მდე სიგრძის ბეწვით (სახეზე არ აქვს ბეწვი, გარდა წვერისა და წარბებისა). ბეწვის ფერი შეიძლება იყოს შავი, წითური, ველისფერი, ნაცრისფერი და გვხვდებიან ალბინოსებიც. ისინი ღმუიან, ღრიალებენ, უსტვენენ, აკეთებენ ფრინველთა, ცხოველთა და ადამიანის ხმების იმიტირებასაც კი. იციან ქვების სროლა.**

**მათი საკვებია, ძირითადად, ხორცეული: ბაყაყები, მწერები, ჩიტები, კვერცხი (ჩიტის), მღრღნელები, ასევე ტყის კენკრა; დიდ ცხოველებზე თითქმის არ ნადირობენ.**

**ღამით აქტიურობენ, დღისით ძინავთ, მათთან ადამიანის შეხვედრის ალბათობა იმ ტყეებში, რომლებშიც ისინი ბინადრობენ, დღისით 15%-ია, ადრე დილით და გვიან საღამოს კი — 40%. ზამთარში მათთან შეხვედრის ალბათობა პრაქტიკულად არ არსებობს.**



მკვეთრად აქვთ განვითარებული გრძნობის ყველა ორგანო. არ აქვთ სიტყვების გამოთქმის უნარი. ყველა შინაურ ცხოველს ეშინია ჰომონოიდის. ისინი ძალიან სწრაფად დარბიან, შეუძლიათ იქ აძვრნენ, სადაც ადამიანი სპეციალური ალპინისტური მოწყობილობების გარეშე ვერ ავა, ასევე ფიზიკურად ბევრად ძლიერია ადამიანზე.

**ჰომონოიდების საცხოვრებელი გარემო არის ტყე, ძირითადად დღესდღეობით მაღალმთიან რეგიონებში, მაგალითად: კავკასიაში (კავკასიონის და მცირე კავკასიონის ქედებზე), სკანდინავიაში (სკანდინავიის მთებში), ინდოეთში (ჰიმალაებში), ჩინეთში (ტიბეტში) და ასე შემდეგ.**

როდესაც დედამიწაზე ჯერ კიდევ არ შეინიშნებოდა ადამიანის მიერ ბუნებაზე ზემოქმედება და ტყეებს დიდი ფართობი ეჭირა, მათ გააჩნდათ საარსებოდ უფრო ფართო არეალი, ვიდრე დღეს და ამიტომ ისედაც გადაშენების პირას მდგარი ცხოველის ეს სახეობა, გადაშენების თვალსაზრისით, უფრო დიდი საფრთხის ქვეშ დადგა.

ისინი ან ხის ტოტებით და თივით იშენებენ ბუნაგებს გაუვალ ტყეში, ან ცხოვრობენ გამოქვაბულებში, რომლებიც მათთვის ბუნებრივ თავშესაფარს წარმოადგენს.

**ამერიკის შეერთებულ შტატებში ავტომანქანების მძღოლები ხშირად ხედავენ მათ ადგილებში, სადაც საავტომობილო გზები ტყის გავლით აკავშირებს ერთ პუნქტს მეორესთან. ყველა იხსენებს, რომ ეს არ იყო ადამიანი, ეს იყო არსება, რომელსაც ჰქონდა მაიმუნის სახე, იყო დათვივით ბეწვიანი და სხეულის ფორმით ადამიანს წააგავდა.**



# მეცნიერებმა მორწმუნე ადამიანის უპირატესობა დაამტკიცეს

**ადამიანები, რომლებიც რელიგიურები არიან, ნაკლები სიხშირით სტუმრობენ საავადმყოფოებს, როგორც პაციენტები, — ირწმუნებიან ახალი გამოკვლევის ავტორები. მათი თქმით, მორწმუნე ადამიანები ასევე ნაკლებად განიცდიან სტრესსა და დეპრესიას.**

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს ფაქტობრივი გარემოება შეიძლება დაეფუძნოს იმას, რომ მორწმუნე ადამიანის სულიერი მდგომარეობა თავისებურ ბუფერულ ზონას წარმოადგენს. სტოკპორტის ფსიქოლოგიური ლაბორატორიის მეცნიერებმა შეამჩნიეს, რომ რაც უფრო რელიგიურია ადამიანი, მით უფრო ნაკლებად ავადდება იგი შფოთვით, დეპრესიითა და მორალური გამოფიტვით.

**ექიმი როქსანა ჟერვე ასევე ამტკიცებს, რომ რაც უფრო მორწმუნეა და რელიგიური ადამიანი, მით უფრო მეტად აცნობიერებს, რომ მის ცხოვრებას აზრი აქვს.**

დოქტორმა ჟერვემ ჩაატარა გამოკითხვა-დაკვირვება ერთ-ერთ დიდ კორპორაციაში. იგი იკვლევდა, თუ როგორ გრძნობენ თავს მორწმუნე და არამორწმუნე ადამიანები სამსახურსა და სახლში, არიან თუ არა ისინი ბედნიერები. დაკვირვების შედეგად გაირკვა, რომ ისინი, ვინც ეკლესიურ მსახურებებს ესწრებიან, მეტად თავდაჯერებულები და თავიანთ გადაწყვეტილებაში მტკიცენი არიან, ვიდრე ისინი, ვინც თავისუფალ დროს სხვა რამით კავდებიან.

**ადამიანები ხშირად ეკითხებიან საკუთარ თავს, თუ რა მიზანი აქვს მათ ცხოვრებას, რა არის მათი მიზანი, რა უნდა აკეთონ და არის თუ არა ის, რასაც აკეთებს, ბედნიერების მომტანი. გამოკვლევებმა დაამტკიცა, რომ მიზანსწრაფულები და ცხოვრებაში მეტად „გაცნობიერებულები“ არიან მორწმუნეები, რადგან მათ გააჩნიათ მიზანი და იციან თავიანთი ცხოვრების არსი.**

ასევე, გამოკითხვამ დაამტკიცა, რომ **რელიგიური ადამიანები თავიანთ საქმეში მეტად მომთმენები არიან და იგებენ კიდეც. ისინი არ წუწუნებენ სამსახურის გაუსაძლისი პირობების გამო და ალბათობა იმისა, რომ ისინი დამატებით შემოსავლებს მიიღებენ, მეტია, ვიდრე იგივე ალბათობა მუდმივად უკმაყოფილოთათვის.**

ეს გამოკითხვა და დაკვირვება მას შემდეგ დაიწყო, რაც კოლუმბიის უნივერსიტეტის პრაქტიკოს მეცნიერთა მიერ ოფიციალურად აღმოჩენილ იქნა, რომ მორწმუნე ადამიანის თავის ტვინის ქერქი გაცილებით სქელია, ვიდრე ურწმუნოსი.

ამ გამოკვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ **ღვთისადმი რწმენა ახდენს თავის ტვინის ფორმულირებას და, აქედან გამომდინარე, მცირდება მორწმუნე ადამიანებში გარკვეული ფსიქოლოგიური დაავადებების რისკიც.**

# ბრაზილიელი მამაკაცი თხაზე დაქორწინებას აპირებს

**პენსიონერმა აპარესიდო კასტალდომ გადაწყვიტა, ცოლად მოეყვანა მისი საყვარელი თხა კარმელა. რადგანაც არც ერთი ქრისტიანი მღვდელი არ დათანხმდებოდა, ჩაეტარებინა მათთვის საქორწილო ცერემონია, ისინი „ეშმაკის“ ეკლესიაში დაქორწინდებიან.**



ადამიანები ქორწინდებოდნენ თავიანთ საყვარელ ცხოველებზე წარსულშიც, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ქორწინების ცერემონია იყო მხოლოდ სიმბოლური და იმართებოდა ოჯახის წევრებთან ან მეგობრებთან ერთად. ამ შემთხვევაში კი 74 წლის აპარესიდო კასტალდომ, ქვრივმა და 8 შვილის მამამ, გადაწყვიტა, დაქორწინებულიყო თავის თხაზე ეკლესიაში.

**არც ერთ ეკლესიას, რომელთაც მან მიმართა თავისი უჩვეულო თხოვნით, არ სურდა, ჩაეტარებინა რიტუალი; ასე რომ, საბოლოო ჯამში, აპარესიდო დაუკავშირდა თავის ძველ მეგობარს — ტონინო ტო დიაბლოს, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, წარმოადგენდა ბრაზილიაში ყველაზე ცნობილი სატანისტებიდან ერთ-ერთს.**

როგორც ჩანს, თხა უკვე აღიარებული იყო „დედინაცვლის“ სტატუსით აპარესიდოს რვავე შვილის მიერ, რომლებიც დაესწრებიან ქორწილს.



მიუხედავად იმისა, რომ მათმა მომავალმა ქორწილმა გამოიწვია ბევრი დაპირისპირება საზოგადოებაში, აპარესიდო კასტალდომ განაცხადა, რომ ისინი არ გეგმავენ ფიზიკურ ურთიერთობას, მას მხოლოდ სჭირდებოდა ცხოვრების პარტნიორი და კარმელია იდეალურია ამ როლისთვის.

**სიძებატონი აქებს თავის თხას: „თხა არ ლაპარაკობს, არ მთხოვს ფულს, არ დადის მაღაზიებში და არ შეუძლია დაფეხმძიმება“. თუმცა თხას ერთი ნაკლი აქვს — ცდილობს ყველაფრის ჭამას, რასაც ხედავს, და საკუთარი საქორწილო კაბაც არ დაინდო.**



## რემბრანდტის ახლადაღმოჩენილი შედევრი

**ამსტერდამის ერთ-ერთ ძველ სახლში აღმოაჩინეს რემბრანდტის აქამდე უცნობი ტილო. როგორც მეცნიერებმა დაასკვნეს, ტილო რემბრანდტმა მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში შექმნა. რემბრანდტს ნახატი მის სახელოსნოსთან მდებარე სახლის პატრონისთვის უჩუქებია.** რემბრანდტმა მოღვაწეობა 1624 წელს დაიწყო. პირველსავე გრავიურებიდან და ნახატებიდან იკვეთება მისეული თვითმყოფადობა. სწორედ მაშინ უნდა შეექმნა ახლადაღმოჩენილი ნახატიც. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ შემდგომში უკვე დაოსტატებულმა ჰოლანდიელმა თავიდან დახატა მოხუცი კაცის პორტრეტი წვერით. ეს უკვე შუა, პორტრეტების პერიოდს მიეკუთვნება და ძველთან შედარებით მეტად სახასიათოა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკელმა 4 წელიწადში 20 უცხო ენა ისწავლა

**17 წლის ტიმოთი დონერმა, რომელიც ნიუ იორკში ცხოვრობს, მიზნად დაისახა ერთობ რთული მიზანი. მას მოკლე დროში მოუნდა უბრალო სკოლის საშუალო დონის მოსწავლიდან პოლიგლოტად ქცევა.**



ტიმოტთი დონერმა თავისი ლინგვისტური კარიერა არაბული ენის სწავლით დაიწყო, მან ძალიან მიზერულ დროში მოახერხა ამ ენის ათვისება და ყველას გასაკვირად არაბულად ალაპარაკდა.

მან მომდევნო ენად ფრანგული აირჩია. ფრანგულის სწავლას 3 თვე დასჭირდა. ამის შემდეგ მან იტალიური ენის შესწავლა განიზრახა და 3 თვესა და 15 დღეში ბერტოლუჩის კინოებს ორიგინალში უყურა. შემდეგ გერმანულისა და ლათინურის დრო დადგა და ა. შ.

ახლახან ტიმოთიმ რუსული ენის შესწავლა დაიწყო. ტიმოთის მშობლების თქმით, იგი პატარაობიდან გამოირჩეოდა უცხო ენების ათვისების ნიჭით, თუმცა ის ძალიან ზარმაცი მოსწავლეა და სკოლაში დაბალ შეფასებებს იღებს.

აღსანიშნავია, რომ ტიმოთი უცხო ენების უმეტესობას დამოუკიდებლად ეუფლება.

საერთო ჯამში ტიმოთიმ უკვე 20 ენა ისწავლა და ამით დაამტკიცა, რომ ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი არ აქვს, რომ ადამიანის შესაძლებლობა აღემატება მის ფანტაზიებს.

# სამყარო უსასრულოდ ბრტყელია



**ასტრონომებმა დედამიწიდან ექვსი მილიარდი სინათლის წლის მოშორებით გალაქტიკებს შორის დისტანცია 1%-მდე სიზუსტით გაზომეს, რამაც მათ სამყაროს ფორმაზე დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა მისცა. ამის შესახებ ინფორმაცია ბერკლის ლოურენსის სახელობის ნაციონალური ლაბორატორიის საიტზეა განთავსებული.** მკვლევარები პროექტ BOSS-ის (Baryon Oscillation Spectroscopic Survey) ფარგლებში ე. წ. ბარიონულ აკუსტიკურ რხევებს შეისწავლიან. გალაქტიკები წრეებში თავსდება, რომელთა რადიუსი მუდმივია და ამიტომ კოსმოსში მანძილის გასაზომად შეიძლება გამოდგეს. მისი მნიშვნელობა დაახლოებით ნახევარ მილიარდ სინათლის წელს შეადგენს. მიღებული მონაცემები სამყაროს ზუსტი დროით გაფართოების აჩქარების ახსნის საშუალებას იძლევა, თვლიან ასტრონომები. ასევე ეს კვლევები მეცნიერებს შავი ენერგიის თვისებების შესწავლის შესაძლებლობას მისცემს, რომელიც სამყაროს გაფართოებაზეა პასუხისმგებელი. ჯერჯერობით პროექტ BOSS-ის მონაცემები იმაზე მეტყველებენ, რომ შავი ენერგიის მნიშვნელობა დროსა და სივრცეში უცვლელი რჩება. გარდა ამისა, ეს მონაცემები ბრტყელი სამყაროს მოდელს შეესაბამება.



# ყველაზე სწრაფი მოტოციკლეტი

**მსოფლიოში ყველაზე სწრაფი მოტოციკლეტი წარმოადგინა ამერიკულმა კომპანიამ Dodge-მ 2003 წელს. მოტოციკლეტს ჰქვია Tomahawk. მას აქვს ორ-ორი წინა და უკანა ბორბლები. ბორბლებს შორის დაშორება კი მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრია.**

ეს გაკეთდა მოტოციკლეტის სიჩქარის გაზრდის მიზნით. საწვავის ავზის მოცულობა 8.3 ლიტრია, სიმძლავრე უტოლდება 500 ცხენის ძალას და მასში 10 ცილინდრია.

2,5 წამში მოტოციკლეტი გადის 0-დან 96.5 კილომეტრს საათში და ამ დროს მისი სიჩქარეა 480 კილომეტრი საათში.

მწარმოებლები ამტკიცებენ, რომ ჰაერის წინააღმდეგობა რომ არა, მოტოციკლეტის სიჩქარე იქნებოდა 676 კილომეტრ საათი. ამ ფაქტის დამტკიცება შეუძლებელია, რადგან ჰაერი ყველგანაა და შესაბამისად — მისი წინააღმდეგობაც.

**Tomahawk-I**, როგორც მოტოციკლეტების ერთ-ერთი სერია, არ გამოსულა. ის მხოლოდ 10 ეგზემპლარად გამოვიდა და თითოეულის ფასი იყო 550 000 ამერიკული დოლარი.

ისეთი მოტოციკლეტით, როგორიცაა **Dodge Tomahawk-I**, ჩვეულებრივ გზაზე ვერ გაივლი, ამიტომაც ისინი კიდევ კარგა ხანს არ გამოჩნდება.

# მზემ «საუკუნის კომეტა» გაანადგურა



**„საუკუნის კომეტამ" — კაშკაშა ციურმა სხეულმა, რომელიც ამჟამად მზის სისტემაში მიფრინავდა, როგორც ჩანს, ვერ გაუძლო მზესთან მიახლოებას. ნასა-ს ასტრონომები აღნიშნავენ, რომ კომეტა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ შეუიარაღებელი თვალით ჩანდა, ამჟამად ძლიერი ტელესკოპებიდანაც კი არ ჩანს.**

კომეტა გასული წლის შემოდგომაზე რუსეთისა და ბელარუსის ასტრონომების მიერ იქნა აღმოჩენილი, მისი სიკაშკაშის გამო ციურმა სხეულმა „საუკუნის კომეტის" სახელი მიიღო. კომეტის ოფიციალურ სახელად მიღებულ იქნა ISON (ან C/2012 S1).

კომპიუტერული გამოთვლები აჩვენებს, რომ ISON პირველად შემოფრინდა მზის სისტემაში; მთელი გზის გავლას მან დაახლოებით 5,5 მილიონი წელი მოანდომა. დაზუსტებული მონაცემების მიხედვით, მისი ბირთვის დიამეტრი რამდენიმე კილომეტრია.

კომეტის პერიჰელიუმი (ციური სხეულის ორბიტის მზესთან ყველაზე ახლოს მდებარე წერტილი) 2013 წლის 28 ნოემბრისთვის იყო ნავარაუდევი. ციური სხეული ჯერ მზეს შემოუვლიდა 1,1 მილიონი კილომეტრის დაშორებით, შემდეგ კი დედამიწიდან 3,5 მილიონი კილომეტრის დაშორებით გაიფრენდა.

ISON-ის მოძრაობაზე დაკვირვებისას, მეცნიერები სხვადასხვა პროგნოზს აკეთებდნენ. ზოგი ვარაუდობდა, რომ ახალი ციური სხეული ისეთივე კაშკაშა იქნებოდა, როგორც სავსე მთვარე. სხვები ირწმუნებოდნენ, რომ მზის ახლოს არსებული ინტენსიური გამოსხივება პერიჰელიუმის გავლის დროს კომეტას მთლიანად გაანადგურებდა.

სამწუხაროდ, მართალნი ეს უკანასკნელნი აღმოჩნდნენ: ჯერ კიდევ პერიჰელიუმთან მიახლოებამდე კომეტამ ბირთვის სიცხადე დაკარგა, ხოლო მისი კაშკაშა კუდი უფრო გაბუნდოვანდა. ამჟამად კი




ნასა-ს კოსმოსური ობსერვატორიების მიერ განხორციელებული დაკვირვებები და გადაღებები, კომეტის პერიჰელიუმში ISON-ის ყოფნას არ აჩვენებს. ასტრონომების გამოთვლებით, კომეტის ბირთვის ზედაპირი 2700°C-მდე შეიძლებოდა გაცხელებულიყო, რამაც მისი დაშლა და აორთქლება გამოიწვია.

ISON-ის ვოიაჟის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ის ბოლო 100 წლის განმავლობაში ყველაზე კაშკაშა კომეტა იქნებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ კომეტის სიკვდილი არ წარმოადგენს უნიკალურ მოვლენას: მზის მახლობლად გამუდმებით კვდებიან სხვა მსგავსი ციური სხეულები.

# ხუჭუჭა ქათამი

**ჩინეთის ერთ მთიან სოფელში, სინცზეცუნში, ცხოვრობს გლეხი ჩჟან იანუ, რომელსაც ხუჭუჭა ქათამი ჰყავს. მისი თქმით, ქათამი აპრილის თვეში ჩვეულებრივი კვერცხისგან გამოიჩეკა.**



მიუხედავად არაჩვეულებრივი გარეგნობისა, ქათამს ჩვეულებრივი ქცევები ახასიათებს, ზუსტად ისეთივე ჭამის მანერა და სიარული აქვს, როგორიც ჩვეულებრივ ქათამს. თავიდან ჩვეულებრივი ბუმბული ჰქონდა, თუმცა მოგვიანებით, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, დაუხუჭუჭდა.

ქათმის პატრონის თქმით, თმის დახუჭუჭებამ გამოიწვია ქცევის დარღვევაც — ფრინველი უფრო მგრძნობიარე, ჯიუტი და ამაყი გახდა, სხვა ქათმები მასთან საკვების წასართმევად მისვლასაც კი ველარ ბედავდნენ.

საქმეში ჩაერია მეცხოველეობისა და მეფრინველეობის დეპარტამენტის უფროსი, რომელმაც განაცხადა, რომ მიუხედავად სოლიდური სტაჟისა, მსგავსი რამ არასდროს შეხვედრია. იგი თვლის, რომ ქათმის დახუჭუჭება გენებითაა გამოწვეული, შესაძლოა ფრინველის გენებმა მუტაცია განიცადეს, რაც გარეგნულად ამგვარად გამოვლინდა.

### თეიმურაზ მაჩიტიძე:

# «მომავლის ახალგაზრდული პოზიცია» პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშესაწყობად შეიქმნა

**რამდენიმე თვეა, ინტერნეტგამოცემებში აქტიურად ჩანს ორგანიზაცია „მომავლის ახალგაზრდული პოზიციის“ სტატიები და შეფასებები სხვადასხვა საკითხზე. დავინტერესდით, თუ რას ემსახურება ხსენებული არასამთავრობო ორგანიზაცია და მის თავმჯდომარეს — თეიმურაზ მაჩიტიძეს გავესაუბრეთ.**



**— როდის შეიქმნა თქვენი ორგანიზაცია და რა არის მისი მიზანი?**

— „მომავლის ახალგაზრდული პოზიცია“ 2013 წლის ნოემბერში შეიქმნა. მისი მიზანია, გააუმჯობესოს ახალგაზრდების ცხოვრება, ხელი შეუწყოს მათი სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებას. დაიცვას მათი უფლებები და უზრუნველყოს ახალგაზრდების ინტერესების დაცვა სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს; უზრუნველყოს ახალგაზრდების ჩართულობა საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ლიტერატურულ, სპორტულ, კულტურულ, სოციალურ და გარემოს დაცვით ღონისძიებებში; მოაწყოს შეხვედრები, დისკუსიები, დებატები და ტრეინინგები; ითანამშრომლოს საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან; ხელი შეუწყოს ახალგაზრდებში პოლიტიკური კულტურის ამაღლებასა და დემოკრატიული პრინციპების განვითარებას; უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობების, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში სადამკვირებლო მისიის განხორციელება...

**— ანუ ერთგვარი ახალგაზრდული პროფკავშირი შეგიქმნიათ, ახალგაზრდების შრომითი უფლებების დამცველი?**

— არა მხოლოდ შრომითი უფლებების. ჩვენ არ შემოვიფარგლებით მხოლოდ ზემოთ აღნიშნულით. **მთავარი, რისი მიღწევაც გვინდა, არის — ქვეყანაში არ იყოს ასეთი გაჭირვება. ამ მიმართულებით პროგრესი კი შეუძლებელია მიმდინარე პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და შრომით პროცესებში ახალგაზრდების კვალიფიციური ჩართულობის, მათი უფლებების დაცვისა და ახლებური ხედვების, ინოვაციების დანერგვის გარეშე.** ალბათ, შეამჩნევდით, რომ არ გვაქვს ნახსენები სოციალური საკითხები, ჩვენ ეს არც წესდებაში გვიწერია, რადგანაც მძიმე სოციალური ფონის დაძლევა არის ჩვენი მთავარი მიზანი, რომლისთვისაც მთელი გუნდი ერთად ვმუშაობთ. თუ გადახედეთ ჩვენს აქტიურობას, ალბათ, შეამჩნევდით, რომ სხვადასხვა საკითხზე ვმუშაობთ და მთავარ თემად სოციალურად დაუცველების ოჯახებთან ურთიერთობა გვაქვს აღებული.

**— თქვენი ორგანიზაციის წევრების უმრავლესობა „ქართული ოცნების“ კოალიციიდან შეიკრიბეთ, მაინტერესებს თქვენი პოზიცია პარტიულობასთან დაკავშირებით...**

— დიახ, ჩვენ ,,ქართულ ოცნებასთან“ ერთად ვიდექით ქვეყნის გადასარჩენად, მაგრამ ამ წუთას არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან არ ვთანამშრომლობთ. რომ შევხედეთ უარყოფით თემებს პოლიტიკაში, გადავწყვიტეთ, ჩამოგვეყალიბებინა ახალგაზრდული ორგანიზაცია „მომავლის ახალგაზრდული პოზიცია“, რომელიც მონიტორინგს გაუწევს მთავრობის აქტივობას და თან კარგ საქმესაც გაკეთებს, არანაირ მიკერძოებას ჩვენს საქმიანობაში ადგილი არ აქვს და არც მომავალში ექნება.

ესაუბრა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

# სერგო თეთრაძის საქმეში ბრალდებულებს 9-წლიანი პატიმრობა შეუფარდეს

**პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის წამებისა და გარდაცვალების საქმეში ბრალდებულებს — გლდანის ციხის ყოფილ დირექტორ ალექსანდრე მუხაძეს, აგრეთვე, ამ დაწესებულების ადმინისტრაციის ყოფილ წარმომადგენლებს — ვიქტორ ყაჭეიშვილსა და ოლეგ ფაცაციას მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილმა 9-9 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ძებნილ მეგის ქარდავას, რომელიც სერგო თეთრაძის წამების ეპიზოდში გამართლდა, მის წინააღმდეგ აღძრული საქმის კიდევ ერთ ეპიზოდზე 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.**

თეთრაძის საქმე რამდენიმე ეპიზოდს მოიცავდა, მათ შორის პატიმარ ჩიკვატიას წამების ეპიზოდს. აღნიშნულ ეპიზოდზე საქმეში რამდენიმე პირი იყო ბრალდებული, ჯამში კი ყველა ეპიზოდზე ბრალდება წაყენებული ჰქონდა 13 პირს. მათ შორის არის რატი მგელაძე, რომელიც თეთრაძის ნაწილში იყო ბრალდებული, იგი მოსამართლის გადაწყვეტილებით გამართლდა.

**პოლკოვნიკი სერგო თეთრაძე, ჯაშუშობის ბრალდებით, 2011 წლის 19 სექტემბერს დააკავეს, 25 სექტემბერს კი გლდანის ციხეში გარდაიცვალა.**


## მკურნალი საუკეთესო შედეგებით

ნანა პაიჭაძე სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მენჯ ბარძაყის სახსრის ართროზის, დისკოზისს, სამწვერა ნერვის ანთებას, ჰაიმორიტსა და ყველა იმ დაავადებას, რომლებშიც ძვალ-სახსარს უკავშირდება.

ჯემალ ღაღანიძე, მსახიობი:
ქალბატონ ნანასთან მივედი ნერვის მწვავე ანთებით რომელიც ოსტეოქონდროზმა და ლორდოზმა გამოიწვია, ძლიერი ტკივილგამაყუჩებლები არ მშველოდა. ქალბატონ ნანას მალამომ არაჩვეულებრივი შედეგი მომიტანა უმოკლეს დროში. მადლობა საუკეთესო მკურნალს.

**ტელ. 599-54-64-81, 593-00-08-26, 290-5189**

## ძვლის პრობლემები

მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემებზე, კოქსართროზი, ოსტეოქონდროზი, ოსტეპარეზი, ოსტეოართროზი, რევმატოიდული ართროზი, პოდაგრული ართრიტი, დაზიანებული ხრტილის და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, ასევე გახდომა თვეში 5-15 კგ მიღებული შედეგის შენარჩუნებით დიეტებისა და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ჰორმონალური და ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენებების გარეშე 100%-იანი გარანტიით.

**ტელ. 218-46-08 (ოფისი)**
**555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**


# განახლების თვალით მზირალი...

**დემოკრატიულ საზოგადოებაში არაფერია არჩევნებზე უფრო მნიშვნელოვანი. რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი ახალი რექტორის ასარჩევად ემზადება. სავარაუდო კანდიდატთა შორისაა ახლანდელი რექტორიც, რომელიც განათლების კანონის იგნორირებით, უკვე მესამედ იყრის კენჭს მისთვის ამ საოცნებო თანამდებობაზე. ათასგვარი ხრიკებისა და დემაგოგიის მოშველიებით ახლანდელი რექტორი ცდილობს, უარყოს ის ფაქტი, რომ უკვე ცხრა წელია, ერთპიროვნულად მართავს აღნიშნულ უნივერსიტეტს და რომ ამ ცხრა წლის განმავლობაში სხვა არაფერი უკეთებია ამ სკამის შენარჩუნებისთვის ზრუნვის გარდა.**



და აი, მისდა მოულოდნელად, მის „გვირგვინს“ მოცილე გამოუჩნდა. ნეტა, ვინ გაბედა, წაპოტინებოდა ესოდენ ღირსეულ მელოტ თავზე ასე მედიდურად მდებარე ელვარე თავსაბურავს? ვინ აღმოჩნდა მისი მეტოქე?

ერთი ცეცხლოვანი ქალბატონი, კრეატივითა და კონსტრუქტიულობით აღსავსე, ნამდვილი ხელოვანის შემართებით და... სიწმინდით, ანუ არსებული რექტორის სრული ანტიპოდი, ყველა თვალსაზრისით და ყველა მიმართულებით. **ახალგაზრდა ქალბატონი მარინე მიქაუტაძე... მუსიკოსი, მსახიობი და ხელოვნებათმცოდნე, თეორეტიკოსი და გამოცდილი პრაქტიკოსი, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ცნობილი ანსამბლის — „რუსთავის გვირილების“ გამორჩეული სოლისტი.**

რას იზამ, ყოფიერებას უყვარს კონტრასტები.

უფრო მეტიც, **ამ ქალბატონმა წარმოადგინა თეატრისა და კინოს განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელშიც მონიშნულია ყველა იმ უმსგავსობათა ძირფესვიანი ამოძირკვა, რომელიც ასეთი რუდუნებით ინერგებოდა ამჟამინდელი რექტორისა და მისი სატელიტი ხელქვეითების მიერ.** პირველი რიგის ამოცანად აქ გათვალისწინებულია უმაღლესი განათლების კანონის ის მუხლები და პარაგრაფები, რომელთა შემწეობით შესაძლებელია შემოქმედებითი ცეცხლის ხელახალი აბობოქრება, აკადემიური პერსონალის შერჩევის დროს სამართლიანობის აღდგენა, მეცნიერული კვლევის პრაქტიკასთან მისადაგება, სტუდენტური თვითმმართველობის გამოღვიძება და მასთან აქტიური თანამშრომლობა. **ჩვენ ერთი დასი ვართ, ერთი სამჭედლო, სადაც უნდა ჩამოისხას და თეატრებს, კინემატოგრაფს, ხალხურ ქორეოგრაფიასა და მუსიკას მიეწოდოს შემოქმედებისთვის თეორიულად და პრაქტიკულად მზად მყოფი ახალგაზრდა კადრები. ასეთია ამ გეგმის დევიზი, თუ გნებავთ, საომარი ყიჟინა.** ის მოდის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ასაღორძინებლად და, თუკი ადამიანს, მით უფრო ხელოვანს, სინდისის თუნდაც ნატამალი შერჩენია, იგი წინ ვერ აღუდგება ესოდენ საჭირო ცვლილებას.

**მარინე მიქაუტაძე... ეს ახალი ძალაა ქართული კულტურის სფეროში და ისღა დაგვრჩენია, მივცეთ გზა ფართო და დავულოცოთ მომავალი.**

**მერაბ გეგია,**
**ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კოტე მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი**

მეუღლე თამარ ჭანტურია, შვილები ციცნა, თეოშა ბენდელიანები, სიძეები გივი მიქანაძე, შოთა სვანიძე, შვილიშვილები თათუ, დათი, გიო, ნუცი, ცოლისდა ლალი ჭანტურია, ქვისლები ნოდარ გომელაური, ნუგზარ ფოფხაძე, მძახლები ლამარა თოდუა, გია სვანიძე, ბიძები თამაზ ჭუმბურიძე, გიკა საყვარელიძე, დეიდა ემა საყვარელიძე, ბიძაშვილები მაია, მარინე აბაშიძეები, მაია, გია ბენდელიანები, ნანი, სოსო ბობოხიძეები, მამიდაშვილი ალეკო ლუხავა, დეიდაშვილი ნუგზარ დურმიშიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კანისა და ვენ-სნეულებათა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ზურაბ დავითის ძე ბენდელიანი

პანაშვიდი 28, 29 იანვარს,
გამოსვენება 30 იანვარს 15.00 საათზე.
მისამართი: ფანასკერტელის მე-19 კორპუსი, მე-7 სადარბაზო, მე-6 სართული.

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გაზეთი
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894